K 131.284
3

[illegible]ეშგაია [ბროსე]

ფეოდალური ხანის სეჯაჩოთველოს ეთისა და ხალხის ეროვნული ფორმირების საკითხები

· მეცნიერება ·

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. ხოშტარია-ბროსე

ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და გარის ურთიერთობის საკითხები

(ისტორიოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი ძიებანი)

19/284
3

„მეცნიერება"
თბილისი
1984

9 (с 41)
63 [2 Г)
90(47 922)
ხ (812)

წიგნში თავმოყრილია ნარკვევები ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის ცალკეულ საკითხებზე. ქართული ისტორიოგრაფიის კრიტიკული გაანალიზებისა და წყაროების მონაცემების შედარებითი შესწავლის საფუძველზე განხილულია ქართული ფეოდალიზმის გენეზისისა და განვითარების ძირითადი ხაზი. შესწავლილია საქართველოს მთის ცალკეული რეგიონების (სვანეთი, ქსნის ხეობა, არაგვის ხეობა) საზოგადოების ადგილი ქართულ ფეოდალურ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში. განხილულია ამ რეგიონებში მოქმედი ზოგიერთი სოციალური ინსტიტუტის არსი (ხევისბერნი, ჰეროვანნი, საყდრისშვილები), მთის სატაძრო და სასოფლო თემების ფუნქციონირების მასშტაბები და ხასიათი. დასკვნებში შეჯამებულია კვლევის შედეგები.

ხ $\frac{0505010000}{М\ 607(06)-84}$ 199—84 გამომცემლობა „მეცნიერება“, 1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუძღვნი ლაშა ჯანაშიას
ნათელ ხსოვნას

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნში თავმოყრილია უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ჩვენს მიერ ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის — მთისა და ბარის ურთიერთობის სხვადასხვა საკითხებისადმი მიძღვნილი ნარკვევები, რომელთაგან ნაწილი უკვე გამოქვეყნდა წერილების სახით პერიოდულ გამოცემებსა და კრებულებში. ამ ნარკვევებში განხილულია საქართველოს მთის ზოგიერთი წამყვანი რეგიონის (სვანეთის, არაგვის და ქსნის ხეობათა მთიანი ნაწილის) პოლიტიკური და სოციალური ისტორიის საკითხები. აღნიშნული ნარკვევების წინამდებარე წიგნში გაერთიანების მიზანი არის შესწავლილი პრობლემის სხვადასხვა ასპექტის კვლევის შედეგების ერთობლიობაში წარმოდგენა და შემაჯამებელი დასკვნების გამოტანა.

ამავე დროს წიგნს წარვუმძღვარეთ ფეოდალიზმის გენეზისისა და განვითარების საკითხისადმი მიძღვნილი საგანგებო ნარკვევიც, რომელშიც მოხმობილი მასალა და კვლევის შედეგები წარმოადგენს ერთგვარ ამოსავალს მთის საზოგადოების ბუნების ამოსაცნობად და მთისა და ბარის ურთიერთობის არაერთი მხარის სწორად გასაშუქებლად. ამავე მიზანს ემსახურება დაკვირვებანი ფეოდალური ხანის საქართველოს სამხედრო ორგანიზაციისა და მთიელთა სალაშქრო ვალდებულების შესახებ.

რამდენადაც ნარკვევებში ვრცლად არის განხილული წამოჭრილი საკითხების ისტორიოგრაფია, ხოლო ჩვენი კვლევა მთლიანად ემყარება პირველწყაროთა კრიტიკულ შესწავლას, წიგნი ატარებს ისტორიოგრაფიულ და წყაროთმცოდნეობით ძიებათა ხასიათსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეოდალიზმის გენეზისისა და განვითარების ზოგიერთი საკითხი

ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენიებული სოციალური ცნება-ტერმინის „ერის“ გაგებისა და გატონყმობის გამარჯვების დროის შესახებ

ა) ისტორიოგრაფიული ექსკურსი

ქართული ფეოდალიზმის გენეზისის და განვითარების ძირითადი საკითხების შესწავლა ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევათაგანია, რაც აისახა კიდევ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებისათვის შექმნილ სახელმძღვანელო ლიტერატურაში[1] და საქართველოს ისტორიის ნარკვევებში[2]. მაგრამ აღნიშნული პრობლემის ირგვლივ კვლავ დავა წარმოებს, დღეისათვის სადავოდ არის ქცეული, მაგალითად, თვით პატრონყმობა-ბატონყმობის არსისა და განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობათა გამარჯვების დროის საკითხიც კი.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენს ამოცანას შეადგენს შევეხოთ ამ საკითხის ზოგიერთ ასპექტს, მის ისტორიოგრაფიას, განვიხილოთ წყაროების მონაცემები და წარმოვადგინოთ ზოგიერთი დაკვირვება ადრეფეოდალური ხანის ქართული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი საზოგადოებრივი ფენის — „ერის“ შესახებ, რომლის ისტორიული თავგადასავლის თვალის გადევნება, ჩვენი აზრით, შუქს ფენს ჩვენში ბატონყმობის გამარჯვების დროის საკითხსაც.

ქართულ წერილობით ძეგლებში მოხსენიებული სოციალური ცნება-ტერმინი „ერი“ თავდაპირველად ივ. ჯავახიშვილის საგანგებო ყურადღების საგნად იქცა. თავის „ქართული სამართლის ისტორიის“

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, წ. I, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1946; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1958.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, ტ. III, თბ., 1979; ტ. IV, თბ., 1973.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ წიგნში იბერიის საზოგადოების შესახებ სტრაბონის ცნობის განხილვისას, კერძოდ, ივ. ჯავახიშვილი წერდა: „მოსახლეობის მთავარ ნაწილს, რომელიც სტრაბონის აღწერილობის თანახმად მესამე წრედ ითვლებოდა, მთელი ხალხი შეადგენდა, რომელიც მიწისმოქმედებასა და მოლაშქრეობას მისდევდა. აღსანიშნავია, რომ ამ ორი ხელობის მიმდევარი ცალ-ცალკე, განსაკუთრებულ სოციალურ ერთეულებს არ შეადგენდნენ, არამედ ერთ ოდენობად ჰყავს სტრაბონს დასახელებული. საფიქრებელია, ეს იმის მომასწავლებელი უნდა იყოს, რომ დღევანდელი მიწისმოქმედი ხვალ, თუ ქვეყანას გასაჭირი დაადგებოდა, ან სახელმწიფოს ინტერესი ამას მოითხოვდა, მეომრად გახდებოდა. ეს რომ სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო, ამას ერისა და მეომრის აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინიც ამტკიცებს. საღმრთო წერილის უძველეს ქართულ თარგმანებში ხალხის აღმნიშვნელ სიტყვად იხმარებოდა „ერი“... ამავე დროსა და ხანაში „ერი“ ჯარსაც აღნიშნავდა...

ამგვარად ირკვევა, რომ ძველ ქართულ სამწერლობო ენაში ხალხისა და ჯარისათვის ერთი და იგივე სიტყვა იხმარებოდა და ეს გარემოებაც იმის დამადასტურებელია, რომ სტრაბონის დროს აღმოს. საქართველოში გაცალკევებული სამხედრო და მიწისმოქმედთა სოციალური ერთეულები არ უნდა ყოფილიყო“[3].

იგივე საკითხს ივ. ჯავახიშვილი შეეხო „ქართული სამართლის ისტორიის“ II წიგნში, სადაც ვკითხულობთ: „შემკრებელობითი, საზოგადო ცნების გამომხატველი იყო აგრეთვე სიტყვა „ერი“, რომელსაც ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა: ხალხსაც ნიშნავდა და ჯარსაც...

სიტყვა „ერის“-ს ორგვარი მნიშვნელობა ხალხისა და ჯარის აღსანიშნავად გასაკვირველი არც არის იმიტომ, რომ ხალხი და ჯარი უძველეს დროს ერთი და იგივე იყო. მხოლოდ მომავალში, როდესაც ქართული მწერლობის უძველესი ძეგლები საკმაოდ აღმოჩენილი, შესწავლილი და მეცნიერულად გამოცემული იქნება, შეიძლება გამოირკვეს, რომელი ამ ორ მნიშვნელობისაგანი თავდაპირველი და ძირითადია. მაინც-და-მაინც ნათლად ეტყობა, რომ „ერი“ თანდათან ჯარის მნიშვნელობას ჰკარგავს და განსაკუთრებით ხალხის აღმნიშვნელ ტერმინად ხდება. ჯარისათვის კი სამწერლო ენაში, ჯერ ერთი, სპარსული სიტყვა „სპა“ შემოდის, შემდეგ მეორე სიტყვა „ლაშქარიც“ ემატება.

იმ ხანაში, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს, „ერი“ უკვე თითქმის განსაკუთრებით ხალხის შესატყვისი და აღმნიშვნელია...

რაკი ერთხელ ამ სიტყვამ ასეთი გარკვეული მნიშვნელობა შეით-

---

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1927, გვ. 145—146.

ვისა, შემდეგ უფრო და უფრო განმტკიცდა და საყოველთაოდ სწორედ ასეთის ფართო მნიშვნელობით, ხალხის აღსანიშნავად იხმარებოდა"[4].

ივ. ჯავახიშვილს იქვე საგანგებოდ აქვს აღნიშნული ქართულ წყაროებში ისეთი ტერმინებიც ხმარებაც, როგორიცაა „წურილი ერი", „ერნი სოფლიონი", „მდიდარნი ერისანი", „საეროჲ საქმე", „უბრალო ერი" და სხვა.

ამრიგად, უკვე ივ. ჯავახიშვილს აქვს დადასტურებული „ერისა" და „ჯარის", „ლაშქრის" მნიშვნელობის დამთხვევა და ახსნილიც ამისი მიზეზი — უძველეს დროს ჯარი და ხალხი ანუ ერი ერთი და იგივე იყო. მაგრამ, ივ. ჯავახიშვილი არ იძლევა დროთა ვითარებაში ერის და ხალხის მნიშვნელობის დაცილების სოციალური მიზეზის ახსნას, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების პროცესის შესწავლისათვის.

ქართული წყაროების „ერის" შესახებ ფართო მსჯელობას სწორედ ზემოთ აღნიშნულ ასპექტში ვხვდებით ს. ჯანაშიას შრომებში, სადაც ფეოდალიზმის გენეზისისა და განვითარების საფუძვლიანი კვლევაა მოცემული.

ფეოდალურ ელემენტებს ს. ჯანაშია უკვე სტრაბონის მიერ აღწერილ ქართლის საზოგადოებაში ხედავდა ე. წ. „მეოთხე გენეს" ანუ „ლაოების" სახით, რომელთა ექსპლოატატორებადაც იმთავითვე გვევლინებიან სეფეწულები (სამეფო სახლი), მაგრამ ფეოდალიზაციის პროცესი, ს. ჯანაშიას თვალსაზრისით, უფრო მკვეთრად იმდროინდელი საზოგადოების სხვა ფენაში „ერში" იჩენს თავს: „ფეოდალური ურთიერთობა ისახებოდა და ვითარდებოდა იბერიის საზოგადოების ძირითად ფენაში, სტრაბონის „მესამე გენეში", ქართულ „ერში". ამ „მესამე გენეს", „ერის", მთელი შემდეგდროინდელი ისტორია იმაში მდგომარეობს, რომ იგი სულ უფრო და უფრო მკვეთრად და შეურიგებლად იყოფა ორ ბანაკად: უმრავლესობა თანდათან ჰკარგავს თავის ძველს ძირითად ქონებრივსა და სოციალურ-პოლიტიკურ უფლებებს და „მეოთხე გენეში", „გლეხობაში" გადადის (თავის მდგომარეობის მიხედვით). უმცირესობა კი ჰქმნის იმ კლასს, რომელსაც ჩვენ ფეოდალებს ვეძახით"...[5]

მოტანილ ციტატაში წარმოდგენილია ს. ჯანაშიას კონცეფციის ძირითადი არსი. სხვაგან, ს. ჯანაშია უფრო დაწვრილებით ეხება აღნიშნულ პროცესს და იძლევა „ერის", როგორც გვაროვნული საზოგადოების დროინდელი და ადრეფეოდალურ საზოგადოებაში გარდამავა-

---

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. I, თბ., 1928, გვ. 20—21.

[5] ს. ჯანაშია, შრომები, წ. I, თბ., 1949, გვ. 171.

ლი ხანის საქართველოს ძირითადი საზოგადოებრივი ფენის, არსებით დახასიათებას. „ერი“ უაღრესად შესანიშნავი ძველი ქართული ტერმინია, რომელიც ერთსა და იმავე დროს აღნიშნავს როგორც „ხალხს“, ისე „ჯარსაც“ — წერს ს. ჯანაშია. ეს იმიტომ, რომ გვაროვნული საზოგადოება წარმოადგენს „სამხედრო დემოკრატიას“: ხალხი და ჯარი აქ ერთმანეთისაგან განუყრელნი არიან. ყოველი „ერის კაცი“, ყოველი „სახლისშვილი“ იმავე დროს მეომარია. „ერისკაცი“ „ჯარისკაცსაც“ ნიშნავს. ყველა „ერის კაცი“ (ანუ „ერისგანი“), ყველა „სახლისშვილი“, თანასწორუფლებიანი წევრია საზოგადოებისა; ეს უფლებები, სხვათა შორის, გვაროვნული დემოკრატიის უზენაესი ორგანოების წევრობაში გამოიხატება. ასეთ ორგანოებს წარმოადგენს სახლი — გვარისა და ნათესავ-ტომის სახლიშვილთა ყრილობა, რომელსაც „ერის კრება“ ეწოდებოდა, როგორც მერმინდელი მასალებიდან არის საგულისხმებელი. ამ „ერის კრების“ საშუალებით ახორციელებს თავის ნებას გვაროვნული საზოგადოება ანუ „ყოველი ერი“. „ყოველი ერი“ ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, „მთელი ხალხი“ არის უზენაესი ბატონ-პატრონი. ვინც ამ „ნათესავს“, ამ „თესლს“ (ე. ი. ამ მოდგმას) არ ეკუთვნის, ის „უცხო თესლია“ და, მაშასადამე, აქ, არა თავისი გვაროვნული საზოგადოების წიაღში, სათანადო უფლებებს მოკლებულია.

აი, სწორედ ეს „ერი“ შეადგენდა სტრაბონის „მესამე გენეს“ და ამ გენეს იმ დროს ქართულად ჯერ კიდევ სწორედ „ერის“ სახელწოდება უნდა ეტარებინა“[6].

„ერის“ განვითარება გვაროვნული საზოგადოების რღვევისა და ფეოდალური საზოგადოების ჩასახვის პირობებში ს. ჯანაშიას შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: „მესამე გენის („მიწისმოქმედნი და მეომარნი“) ქართული სახელწოდება, — წერს ს. ჯანაშია, — როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არის „ერი“, მილიტარულის ანუ სამხედრო დემოკრატიის წიაღში წარმოშობილი ცნება-ტერმინი. ამდენად, „ერის“ აყვავების პერიოდად უნდა მიჩნეულ იქნას გვაროვნული წყობილების უმაღლესი საფეხური, რომელიც სტრაბონის ცნობის დროისათვის უკვე განვლილია, რადგანაც „ერისგან“ გამოყოფილია და ცალკე წოდებრივ წრედ არის ჩამოყალიბებული მონათმფლობელ ქურუმების ჯგუფი (მეორე გენე). რომ სტრაბონის დროინდელი „ერი“ უკვე ძველი ერი აღარ არის, ეს კიდევ უფრო კარგად ჩანს მისი სუვერენული თვითმყოფობის ძირითადი ნიშნის, ძველი მმართველობის უმაღლესი ორგანოების, საბჭოსა და სახალხო კრების („ერის-კრების“) გაქრობის ფაქტიდან. სტრაბონისეული „ერი“, რომელიც ჯერ კიდევ შეიცავს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას, თავისი სოციალურ-ეკონომიკური შემ-

[6] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, წ. II, თბ., 1952, გვ. 163—164.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგომი დიფერენციაციის გზაზეა შემდგარი. ქართლის ფეოდალიზაციის ხანგრძლივი პროცესი ამ გენეში, „ერში“, მიმდინარეობს. „ერს“ ეთიშება და ზევით მიიწევს მისი უმცირესობა — „ერისთავები“, საერთოდ „თავები“ და „თავადები“ (ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით), „მთავრები“, „წარჩინებულნი“ და სხვ., რომელნიც ბოლოს და ბოლოს ერთიანდებიან „აზნაურთა“ ახალ წოდებაში. ქვევით მიდის და უფლებებისაგან სულ უფრო და უფრო მეტად იძარცვება „ერის“ უმრავლესობა, რომელიც ჰქმნის ყმათა ფეოდალური კლასის ძირითად სარეზერვო სოციალურ მასას, წყაროებში „წვრილი ერის“ სახელწოდებებით აღნიშნულს (ზემოთ დასახელებული ჯგუფი მასთან შეპირისპირებით „მსხვილი“ ერია). „წვრილი ერი“ დიდხანს იბრძვის თავისი ძველი უფლებების დასაცავად (მისი ნაშთები „ჰეროვანთა“, „ერისგანთა“ და სხვ. სახელით, ქართ. ფეოდალიზმის კლასიკურ პერიოდშიც გვხვდება), მაგრამ, საბოლოოდ, მარცხდება და ყალიბდება როგორც „ყმათა“ ძირითადი ფეოდალური კლასი“[7].

სხვაგან ს. ჯანაშია აღნიშნავს: „სულ უფრო და უფრო დიდი მასები „წვრილი ერისა“ და სულ უფრო და უფრო სწრაფი ტემპით ეშვებიან კიდევ უფრო დაბლა, ისინი საკუთრივ „გლეხობის“, „ყმა-გლეხობის“ კატეგორიაში გადადიან. ამ პროცესის დამთავრება საქართველოს ძირითად არენაზე ნიშნავდა ფეოდალურ საზოგადოების საბოლოო ჩამოყალიბებას“[8].

როგორ აქვს წარმოდგენილი ს. ჯანაშიას საკუთრივ ქართული ფეოდალური საზოგადოების სახე მისი „საბოლოო ჩამოყალიბების“ საფეხურზე?

როგორც ცნობილია, ფეოდალიზმის გამარჯვების ანუ „ფეოდალური საზოგადოების საბოლოო დაბადების“ ხანად ს. ჯანაშიას მიაჩნდა VI საუკუნე, როდესაც ქართლის წარჩინებულმა აზნაურებმა და ერისთავებმა უცხო ძალასთან (ირანელებთან) კავშირში ბოლო მოუღეს ძველ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემის წარმომადგენელ სამეფო ხელისუფლებას და შეუვალობა მოიპოვეს — დაიმკვიდრეს საშვილიშვილოდ მამულები და სამოხელეო თანამდებობები.

ამის წინარე პერიოდის სოციალური მოვლენების განხილვისას ს. ჯანაშია წერს: „ყველაფერი მოწმობს, რომ ახალი წოდებრივი საზოგადოება უკვე გარკვეულ სახეს ატარებს. სხვადასხვა ტერმინებით, მაგრამ არსებითად ერთსა და იმავე სოციალურ ჯგუფებს აგვიწერენ წყაროები“[9].

უშუალო მწარმოებელ საზოგადოებაში, ს. ჯანაშიას თანახმად, ამ

---

[7] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, წ. I, გვ. 161, შეადარე: წ. II, გვ. 223.
[8] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, წ. I, გვ. 271, იგივე იხ. წ. II, გვ. 223.
[9] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, წ. II, გვ. 221.

დროს წამყვან სოციალურ ძალას „წვრილი ერი“ წარმოადგენდა. „წვრილი ერის“ გვერდით საკუთრივ ყმა გლეხობაც ამ დროს, უეჭველია, მოიპოვება, მხოლოდ უფრო მცირე რაოდენობით“[10].

ავტორი ასკვნის: „აზნაურები, წვრილი ერი, გლეხები, მონები წარმოადგენენ ძირითად კატეგორიებს ქართლის მოსახლეობისას V საუკუნის მეორე ნახევარში“[11].

როგორი იყო საზოგადოების შემდგომი განვითარების გეზი? ამაზე პასუხს გვაძლევს ს. ჯანაშიას შემდგომი მსჯელობა: „პოლიტიკური ხელისუფლების ფეოდალური კლასის ხელში საბოლოოდ გადასვლა ამ საზოგადოებრივი ჯგუფის მიერ გამოყენებულია „წვრილ ერთან“, თავისუფალ სოფლის მოსახლეობასთან, საბრძოლველად, რომელსაც ჯერ კიდევ შემონახული ჰქონდა თავისი გვაროვნულ-თემური უფლებების გარკვეული ნაწილი. ბრძოლის მიზანია სათემო და წვრილ-მფლობელთა მიწების მიტაცება და მისაკუთრება და თავისუფალი სოფლის მოსახლეობის ამა თუ იმ სახით დამორჩილება ფეოდალთა მიერ. მე-9 საუკ. დამდეგისათვის ფეოდალები ახერხებენ „წვრილი ერის“ გაალმასებული წინააღმდეგობის გატეხას, და გლეხური, კერძო-მესაკუთრული თუ სათემო ადგილ-მამულების ძირითადი ფონდების დატაცებას. „წვრილი ერის“ პიროვნული დათრგუნვისა და ყმობის უღელში შებმის პროცესი უფრო ნელა მიმდინარეობს, მაგრამ ისიც თანდათან, ხოლო განსაკუთრებით მე-10 საუკუნეში, მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს“[12].

თავისუფალი სოფლის მოსახლეობის თუ „თავისუფალ წვრილ მწარმოებელთა“ არსებობა, რომელთაც როგორც საყრდენ სოციალურ ძალას, ჯერ კიდევ ემყარებოდა სამეფო ხელისუფლება, ს. ჯანაშიას ნაგულისხმევი აქვს დავით აღმაშენებლის დროსაც[13]. ქართულ პატრონყმობის ანუ ფეოდალურ ვასალიტეტის ბუნების შესახებ ს. ჯანაშია წერდა: „მთელი ეს შენობა დამყარებული იყო დამოკიდებული სოფლის მოსახლეობის ექსპლოატაციაზე. ეს სოფლის მოსახლეობა იყოფოდა ფეოდალისაგან დამოკიდებული, მოწინავე და წამყვანი რაიონების, უმრავლესობად („მდაბიო“, „მსოფლიო“, „მიწის მოქმედი“) და ჯერ კიდევ თავისუფალ სოფლის მეურნეთა უმცირესობად, რომელიც ძნელად მისავალ ხეობებსა და მაღალმთიან რაიონებში აფარებდა თავს. გლეხობის ფეოდალური დამოკიდებულების გამკაცრება და საკუთრივს ბატონყმურ ურთიერთობაში გადასვლა ამ ეპოქაში სულ უფრო და უფრო ჩქარი ტემპით წარმოებს“[14].

---

[10] იქვე, გვ. 224.
[11] იქვე, გვ. 225.
[12] იქვე, გვ. 420—421.
[13] იქვე, გვ. 426.
[14] იქვე, გვ. 430.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც რა დროს იგულისხმება ამ ეპოქაში?

„ფეოდალისაგან დამოკიდებული გლეხობა, — განაგრძობს ს. ჯანაშია, იყოფოდა ორ დიდ ჯგუფად: ერთს მამულიდან ადგომისა და სხვა მემამულესთან წასვლის უფლება უკვე წართმეული ჰქონდა, იგი მიწაზე იყო მიმაგრებული; მეორე ამ თავისუფლებით ჯერ კიდევ სარგებლობდა... ბატონყმური ურთიერთობის მთელს გლეხობაზე განვრცობის ტენდენცია იზრდებოდა და ძლიერდებოდა მე-12 საუკუნის მთელ სიგრძეზე. ფეოდალიზაციის პროცესი თანდათან იჭრებოდა უკვე მაღალმთიან რაიონებშიც“[15].

ერთი სიტყვით, ს. ჯანაშიას თვალსაზრისით, „მე-10—13 საუკუნეები ქართული ფეოდალიზმის აყვავების ხანაა. საზოგადოების წყობა ჩამოყალიბებულ ფეოდალურ ხასიათს იღებს“[16].

აქ იგულისხმება როგორც ფეოდალთა კლასის („აზნაურობის“) ერთ ფეოდალურ წოდებაში „მოთავსება“ (ე. ი. კონსოლიდაცია), მიუხედავად ამ წოდების შიგნით არსებული დიფერენციაციისა, ასევე უშუალო მწარმოებელთა (მთელი გლეხობის) ერთიანად ბატონყმურ უღელში მოქცევა, რაც აქ თავისუფალ მწარმოებელთა ფენის („წვრილი ერის“) ანუ თავისუფალ სოფლის მოსახლეობის ნაშთის გაქრობას ნიშნავდა (ცხადია, მაღალმთიან რაიონების გამოკლებით).

როგორც ვხედავთ, ქართული ფეოდალიზმის განვითარების მაგისტრალური ხაზი, ს. ჯანაშიას მიხედვით, მიწის ფეოდალიზაციას და მთელი მწარმოებელი მოსახლეობის დაყმევებას, მიწაზე მიმაგრებას გულისხმობს, რაც ფეოდალური ურთიერთობის ბატონყმურ საფეხურზე შედგომას ნიშნავდა. ეს პროცესი, ს. ჯანაშიას თანახმად, XII—XIII საუკუნეებში დასრულებულ სახეს იღებს.

ცხადია, მთელი ეს კონცეფცია წყაროების მონაცემების დეტალური ანალიზის შედეგს წარმოადგენს, თუმცა ზოგადი მსჯელობის სახით არის წარმოდგენილი ამ წყაროზე კონკრეტული მითითების გარეშე.

ქართულ მედიევისტიკაში აღნიშნულმა კონცეფციამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი, თუმცა საკუთრივ ცნება-ტერმინი „ერის“, „წვრილი ერის“ როგორც თავისუფალ მწარმოებელთა ფენის გაგებას და ამ ტერმინის წყაროებში ხმარების მნიშვნელობას ბოლო დრომდე საგანგებო ყურადღება აღარ დათმობია.

საქართველოს აღრეფეოდალური ხანის საზოგადოების დახასიათებისას ნ. ბერძენიშვილი ფართოდ ეხება ერისაგან-მოლაშქრეთა ანუ მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენას, როგორც „ერისაგან“ მომდინარე საზო-

---

15 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები II, გვ. 430.

16 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, გვ. 428.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადოებრივ წრეს, მაგრამ თვით ამ ცნება-ტერმინზე („ერზე"), როგორც ჯარის შესატყვისზე არ ამახვილებს ყურადღებას[17].

თავისუფალ მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენის არსებობა ფეოდალურ საქართველოში ნ. ბერძენიშვილს აღნიშნული აქვს XI—XII საუკუნეებამდე ჩათვლით და სწორედ მის გაქრობას უკავშირებს იგიც ბატონყმობის შემოსვლას. „განვითარებული ფეოდალიზმის იმ საფეხურზე, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — რომელზედაც საქართველო იმჟამად იმყოფებოდა, საზოგადოებრივი წინსვლა, უპირველეს ყოვლისა, მდაბიორ-მოლაშქრეთა ანუ ერისაგან-მოლაშქრეთა საზოგადოებრივი ფენის დაცემა-გაქრობის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა...

საქართველოში იმ დროს მატერიალური დოვლათის მწარმოებელი საზოგადოების უდიდეს ნაწილს ჯერ კიდევ მდაბიორ-მოლაშქრენი შეადგენდნენ.

კანონით მდაბიორ-მოლაშქრენი პირადად თავისუფალნი იყვნენ, თუმცა მათ ჰყავდათ „პატრონები", „მფარველები" (მეფე, ეკლესია-მონასტერი, დიდი თუ მცირე აზნაურები), რომელთაც, დიდი ხანია, ამ მდაბიორ-მოლაშქრეთა მიწებზე ხელი დაედოთ, თავიანთი უფლება გაევრცელებინათ. მდაბიორ-მოლაშქრენი თავიანთ „პატრონთა" „ყმებად" ითვლებოდნენ და ამის შესაბამისად ემსახურებოდნენ კიდეც ჭათ. მაგრამ რაც დრო გადიოდა და ქვეყნის განვითარება წინ მიიწევდა, მდაბიორ-მოლაშქრეთა უმრავლესობას სულ უფრო და უფრო უძძიმდა იმ მოვალეობის შესრულება, ქვეყნისა და პატრონის წინაშე რომ ემართა.

მდაბიორ-მოლაშქრეს მძიმე სახელმწიფო და კერძო-საპატრონო მოვალეობა აწვა: ლაშქრობა და პატრონის წინაშე საპატიო სამსახური. ეს კი საკმაო მატერიალურ სახსარს მოითხოვდა..

ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების ნიადაგზე ეკონომიკური დაწინაურების პირობებში მდაბიორთა ოდესღაც ერთფეროვანი მასა სწრაფად იშლებოდა. ზოგი მდაბიორი მდიდრდებოდა, პატრონის წინაშე სახელოვანი ხდებოდა, ლაშქრობასა და ხლება-სამსახურს აზნაურულად ასრულებდა, აზნაურდებოდა, გლეხებს იჩენდა. სხვები კი (უმრავლესობა) სუსტდებოდნენ, ღარიბდებოდნენ, ვალებში ცვივოდნენ, მიწაადგილს ჰყიდდნენ, ქვეყნისა და პატრონის მძიმე საპატიო სამსახურს ვერ ასრულებდნენ და გლეხურად იბეგრებოდნენ, გლეხდებოდნენ.

განსაკუთრებული გასაჭირი ამ მდაბიორ-მოლაშქრეებს სწორედ XI—XII საუკუნეთა მიჯნაზე დაუდგათ. თურქი მოთარეშენი მათ მე-

---

[17] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 55—60. მაგრამ, ეს არ გამორიცხავს „ერისა" და ლაშქრის, ჯარის იდენტურობას. იხილე იქვე, გვ. 9, 64 და მ ი ს ი ვ ე — საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 71, 73.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეობას ანადგურებდნენ, მაგრამ არა ნაკლებად მძიმე ტვირთად აწვა მათ თურქთა წინააღმდეგ გამუდმებული ლაშქრობა, რომელსაც ქართველი ხალხი დავით აღმაშენებლის ხელმძღვანელობით აწარმოებდა...

XII საუკუნის მიწურულს მდაბიორ-მოლაშქრეთა საზოგადოებრივ ფენას კრიტიკული ხანა უდგა...

მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენის გაქრობა, მისი გლეხობაში გადასვლა იყო ყველაზე უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი სოციალური პროცესი, რომელიც საქართველოში ფეოდალურმა ურთიერთობამ კლასთა ბრძოლის გაღრმავება-განვითარების გზით განიცადა. XII საუკუნის მიწურულისათვის ეს პროცესი ძირითადად უკვე დასრულებული იყო.

ასე, რომ მდაბიორ-მოლაშქრეთა სოციალური ფენა, რომელიც ადრეფეოდალური ხანის ქართული პატრონყმობის საფუძველს წარმოადგენდა, იმჟამად უკვე გაქრა ძირითადად და ქართული ფეოდალური საზოგადოება ორ მთავარ ანტაგონისტურ კლასად—აზნაურებად და გლეხობად დაიყო. ბატონყმობა შემოვიდა"[18]

როგორც ვხედავთ, ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი ბატონყმობის შემოსვლას თავისუფალ მწარმოებელთა ფენის — პირველის თანახმად „წვრილი ერის", ხოლო მეორის ტერმინოლოგიით მდაბიორ-მოლაშქრეთა (ანუ ერისაგან-მოლაშქრეთა) გაქრობას უკავშირებენ, რასაც საქართველოს სინამდვილეში, მათი აზრით, წამყვან რაიონებში ადგილი ჰქონდა XI—XII საუკუნეებში.

ასეთ თვალსაზრისს ძირითადად იზიარებენ და მხარს უჭერენ მკვლევარნი: მ. ლორთქიფანიძე[19], მ. ბერძნიშვილი[20]; ვ. გაბაშვილის აზრით, ბატონყმობა საქართველოში იმარჯვებს XII—XIII საუკუნეებში[21]. მ. დუმბაძის მიხედვით კი „ბატონყმური ეპოქის პირველ საფეხურად ჩვენში XIV—XV სს. შეიძლება მივიჩნიოთ"[22].

ანალოგიურ დასკვნამდე მიდის გ. მელიქიშვილიც. იგი მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენის არსებობას საქართველოში აღიარებს, მაგრამ ძნე-

---

[18] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ. 1973, გვ. 55—60.

[19] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 97—98.

[20] მ. ბ ერ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველო XI—XII საუკუნეებში, თბ., 1970, გვ. 24—30.

[21] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 81, 137.

[22] მ. დ უ მ ბ ა ძ ე, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია (XV საუკუნემდე), კრებულში: „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია", თბ., 1980, გვ. 42. შეადარე: ი ლ. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, XI—XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980, გვ. 83.

ლად გასაზიარებლად მიიჩნევს დებულებას, რომ XI—XIII საუკუნეებში ადგილი ჰქონდა მდაბიორ-მოლაშქრეთა ანუ ერისაგან-მოლაშქრეთა საზოგადოებრივი ფენის გაქრობას, იმას, რომ თითქოს სწორედ ეს იყო ამ დროის „საზოგადოებრივი განვითარების პროცესის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი“.

„მართალია, — წერს გ. მელიქიშვილი, — ამ ეპოქის ძირითადი შინაარსი მდგომარეობდა განვითარებულ ფეოდალიზმზე გადასვლაში, რაც გამოიხატებოდა ქვეშევრდომებზე ცალკეული ფეოდალების ძალაუფლების მაქსიმალური განმტკიცებით, ფეოდალების, სადაც ეს ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი, გადაქცევით მოხელეებიდან „მამულობით“ ქვეყნის მფლობელებად და ა. შ. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ ამზადებდა ნიადაგს გლეხთა მთელი მასის მიწაზე მიმაგრებისა და ფეოდალისადმი მათი პირადი და ეკონომიკური დამოკიდებულების უკიდურესი გაღრმავებისათვის, რაც დამახასიათებელია განვითარებული ფეოდალიზმის ეტაპისათვის. XI—XII სს. საქართველოში ინტენსიურად მზადდებოდა საამისო პირობები მომავლისათვის, მაგრამ არსებული სიტუაცია, რომელიც მოლაშქრეთა დიდ რიცხვს მოითხოვდა, უეჭველია, აბრკოლებდა ამ დამოკიდებულების ბატონყმურ დამოკიდებულებად გაფორმების პროცესს. უნდა ვიფიქროთ, პირიქით, ადგილი ჰქონდა სამხედრო ვალდებულების ხვედრითი წონის ზრდას, ეკონომიკური ვალდებულების ნაწილობრივ შეცვლას მოლაშქრეობის ვალდებულებით“[23].

„რა თქმა უნდა, — განაგრძობს გ. მელიქიშვილი, — XI—XII საუკუნეებშიც ზემოხსენებულ მდაბიო თავისუფალთა გვერდით არსებობდა არათავისუფალ მწარმოებელთა — გლეხთა ფენა. იგი ამ დროს გარკვეულად უნდა გაზრდილიყო კიდეც, თუ გავითვალისწინებთ წარმატებულ ომებში ხელთგდებულ დიდძალი ტყვის ნაწილობრივ მაინც მიწაზე დასმის შესაძლებლობას, მაგრამ არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება უკვე ამ დროს ვივარაუდოთ სოფლის მწარმოებელი მოსახლეობის მთლიანად ბატონყმურ ურთიერთობაში ჩაბმა, მათი მიწაზე მიმაგრება...

მხოლოდ XIII—XIV საუკუნეებში ხდება გლეხსა და ყმას შორის განსხვავების წაშლა, ისიც ძირითადად, რადგანაც იურიდიულად თავისუფალი მწარმოებლები დროდადრო ამ დროსაც გვხვდებიან... მაგრამ, რადგანაც ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით (XIV ს.) გლეხთა მიმაგრება მიწაზე ფაქტია, უნდა ვიფიქროთ, რომ ბატონყმური ურთიერთობის გამარჯვება და გლეხთა მიწაზე მიმაგრება XIII—XIV სს. უნდა დას-

---

[23] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 73.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებულიყო, თუმცა ეს მნიშვნელოვანწილად მოამზადა სწორედ ფეოდალიზაციის გაღრმავებამ XII საუკუნეში"[24].

როგორც ვხედავთ, გ. მელიქიშვილი გლეხთა მიწაზე მიმაგრების, ანუ თავისუფალ მდაბიურ-მოლაშქრეთა ფენის გაქრობას და ამდენად ბატონყმობის შემოსვლის დროს XIII—XIV საუკუნეებს თვლის, თუმცა თვითონ ასეთი ფენის არსებობას იგი ეჭვის ქვეშ არ აყენებს.

ბოლო წლებში ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა ზემოთ აღნიშნული კონცეფციებისაგან არსებითად განსხვავებული თვალსაზრისიც. მაგალითად, 1979 წ. გამოქვეყნებულ წიგნში — „ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში" ქ. ჩხატარაიშვილმა ქართული ფეოდალური ლაშქრის შემადგენლობაზე მსჯელობისას კატეგორიულად უარყო ე. წ. „მდაბიორ-მოლაშქრეთა" ფენის — როგორც ნ. ბერძენიშვილის მიერ „დადგენილი წყობის სურათის შესავსებად" გამოგონილი კატეგორიის, არსებობა. „ნ. ბერძენიშვილმა სავსებით ლოგიკურად და კანონზომიერად ეძება ასეთი მოლაშქრე და ამას „მდაბიორ-მოლაშქრის" „აღმოჩენა" (ა. ბოგვერაძე) მოჰყვა" — წერს ქ. ჩხატარაიშვილი.

ქ. ჩხატარაიშვილის აზრით, „ასეთი მოლაშქრე მართლაც არსებობდა, ევროპაში მას მინისტერიალი ერქვა, საქართველოში კი მსახური, ვინც ქართველ მსახურში მინისტერიალის ბუნებას დაინახავს, მისთვის ფეოდალურ ეპოქაში (ამ ეპოქის საწყისი ფაზის შემდეგ) სხვა „მდაბიორ-მოლაშქრე" საძიებელი აღარ იქნება".

ქ. ჩხატარაიშვილმა წინაფეოდალური ხანის მეთემე-მოლაშქრეთა გაგლეხების პროცესი პირველ საუკუნეებიდანვე იმდენად ინტენსიურად წარმოიდგინა, რომ VI—VIII საუკუნეებისათვის იგი უკვე დასრულებულად მიიჩნია, რაც, მისი აზრით, ბატონობის გამარჯვებას მოასწავებდა[25].

ქ. ჩხატარაიშვილის წიგნის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ თითქოს მთელს შუა საუკუნეებში ფეოდალური „ლაშქრის ძირითად, ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან მასას საქართველოში მსახურები შეადგენდნენ"[26].

როგორც ვხედავთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებული აღრეფეოდალური ხანის ქართული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი საზოგადოებრივი ფენა, რომლის უმთავრეს მოვალეობას მო-

---

24 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76-78.

25 ქ. ჩ ხ ატ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში („ლაშქარ-ნადირობა" და მისი სოციალური არსი), თბ., 1979, გვ. 112—113.

26 იქვე, გვ. 149.

ლაშქრეობა შეადგენდა, აქ მსახურთა კატეგორიასთან არის გაიგივებული ბული ფეოდალიზმის განვითარების მთელ სიგრძეზე[27].

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალ მდაბიორ-მოლაშქრეთა საკითხს შეეხო გ. ჯამბურია-აც საგანგებოდ ბატონყმობისადმი მიძღვნილ წერილებში[28]. იგი წერს: „ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, საქართველოში არსებობდა თავისუფალ მწარმოებელთა ფენა, რომლის მოვალეობა პატრონის წინაშე იყო მოლაშქრეობა და რომელსაც მდაბიორ-მოლაშქრეთა ანუ ყმა მოლაშქრეთა ფენას უწოდებენ.

ჩვენი აზრით, ყმათა ცალკე სოციალური ფენა არ არსებობდა-ყმა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საზოგადოების რომელიმე ფენას ან წოდებას აღნიშნავდა“. შემდეგ ავტორი კვლავ იმეორებს: „ყმათა ცალკე ფენა — თავისუფალი მოლაშქრეებისა არ არსებობდა“[29],

გ. ჯამბურიას მიხედვით, გლეხობა, რომელიც პირველ საუკუნეებში მწარმოებელთა ერთი მცირე ნაწილი უნდა ყოფილიყო, თანდათან გამრავლდა, ჯერ მწარმოებელთა დიდი ნაწილი შეიქმნა, შემდეგ კი ბარის მთელ მწარმოებელ საზოგადოებას მოიცავდა. თავისუფლებადაკარგულ გლეხთა ფენის არსებობას გ. ჯამბურია ადრიდანვე აღნიშნავს, კერძოდ წყაროებში უკვე V საუკუნიდან ხედავს, IX საუკუნიდან კი ბარის მწარმოებელ საზოგადოებაში მხოლოდ გლეხობას გულისხმობს და ამდენად ბატონყმურ ურთიერთობაზე გადასვლას ამ დროიდანვე ვარაუდობს: „IX ს. ჩვენი აზრით, ბატონყმობის გამარჯვების საუკუნეა. აქედან მოყოლებული იგი არსებობდა საქართველოში, ზოგიერთი სახეცვლილებით, თვით XIX საუკუნის 60-იან წლებამდე“ — წერს იგი[30].

გ. ჯამბურია, ე. წ. ბაგრატის სამართალზე დაყრდნობით, რომელსაც იგი IX ს. მიაკუთვნებს, იმ დროის საქართველოში ფეოდალური საზოგადოების **ორ ძირითად კლასს — ფეოდალებს** (დიდებული, აზნაური) და გლეხობას ხედავს. მისივე აზრით, აქ წარმოდგენილია „აგრეთვე განვითარებული ვასალიტეტი (მეფე-დიდებული-აზნაური), რომელიც სენიორალურ სისტემასაც გულისხმობს. ამდენად, სამართალ-

---

27 ქ. ჩხატარაიშვილის მოტანილ მსჯელობაზე ჩვენი თვალსაზრისი იხილე: ე. ხოშტარია, ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის (ფეოდალური ლაშქრის სოციალური შედგენლობის შესახებ), მაცნე, ისტორიის... სერია, 1981 წ. № 4, გვ. 108—124.

28 გ. ჯ ა მ ბ ურ ი ა, ბატონყმობის საკითხისათვის, მაცნე, ისტორიის... სერია, 1979, № 4, მ ი ს ი ვ ე, ბატონყმობა საქართველოში, კრებულში: „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია,“ თბ., 1980.

29 მაცნე, ისტორიის სერია, 1979, № 4, გვ. 175—176.

30 იქვე გვ. 187.

ში წარმოდგენილია ბატონყმური ურთიერთობის საზოგადოება, რომელიც განვითარებული ფეოდალიზმის ეტაპზე იმყოფება“[31].

„ფეოდალიზმის ბატონყმური ეტაპი, — გ. ჯამბურიას აზრით, — ორ პერიოდად შეიძლება დაიყოს. პირველი პერიოდი მოიცავს IX—XIV სს. — საქართველოს გაერთიანებისა და ერთიანი მონარქიის ხანას, როცა ბატონყმობა, დასავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად, არ იყო ყოვლის მომცველი, და თავისუფალი თუ ნახევრადთავისუფალი მწარმოებლები ჯერ კიდევ არსებობდნენ, განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში და აგრეთვე ქალაქებში. მეორე პერიოდი მოიცავს XV—XIX ს-ის პირველ ნახევარს, საქართველოს პოლიტიკური დაშლილობისა და სენიორული სისტემის გაღრმავების ხანას, როცა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად, ბატონყმობა ხდება ყოვლის მომცველი და თავისუფალი მწარმოებელი უკვე აღარ არსებობს (ზოგიერთი მაღალმთიანი რაიონის გამოკლებით)“[32].

ამ მსჯელობის მიხედვით, IX—XIV საუკუნეებში თავისუფალი და ნახევრადთავისუფალი მწარმოებლები საქართველოში (ჩანს, ბარშიც), ჯერ კიდევ არსებობდნენ და ამდენად ბატონყმობა ყოველის მომცველი ურთიერთობა ჯერ არ ყოფილა. ასეთად ეგი XV საუკუნიდან ხდება.

აღნიშნულ საკითხზე თავისი თვალსაზრისი გ. ჯამბურიას შემდეგნაირადაც აქვს ჩამოყალიბებული: „V ს. საქართველოში ყალიბდება ადრეფეოდალური სენიორები (ფეოდალური „სახლები“), რომლებშიც მოქცეული სოფლებისა და დაბების მცხოვრებნი, რომლებიც თავიდანვე მხოლოდ მიწით უნდა ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი უფალზე, თანდათან გადადიან მის განკარგულებაში ადმინისტრაციულად, სამხედრო და სასამართლო ხაზით, ბოლოს პირად თავისუფლებასაც კარგავენ და გლეხთა რიგებში ექცევიან. ყველა ეს „ქვეყნისმოქმედნი“ თავიანთ უფალს უხდიან ბეგარას შრომით, ნატურით, პირადი სამსახურით სასახლეში (წვრ. მოხელეები, მცველები, მსახურ-მოახლეები და სხვ.). იგივენი ამუშავებდნენ უფლის მეურნეობაში მრავალრიცხოვან აგარაკებს (საყანე ადგილები), ბაღებსა და ზვრებს, უვლიდნენ ჯოგებს. საბატონო მეურნეობის განვითარებამ ხელი შეუწყო შრომითი ბეგარის ზრდას. შრომითი ბეგარა კი, როგორც ცნობილია, ბატონყმობის საფუძველია. ეს პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობდა VII—IX სს., როცა სენიორულმა სისტემამ დიდ განვითარებას მიაღწია. სენიორია არის ის ადგილი, სადაც თავისუფალი თუ ნახევრადთავისუ-

[31] იქვე, გვ. 184.
[32] იქვე, გვ. 187.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფალი მწარმოებელი ყმა-გლეხად იქცევა და არა მარტო ცალკეული მწარმოებელი, არამედ ხშირად მთელი სოფლობით...

IX ს. ბარის მწარმოებელი საზოგადოებების ძირითადი ნაწილი უკვე გლეხია — ე. ი. თავისუფლება დაკარგული და მიწაზე მიმაგრებული მწარმოებელი. IX ს-დან დაწყებული ქართული დოკუმენტური წყაროები მწარმოებელთაგან მხოლოდ გლეხებს და მათ წრიდან გამოსულ მსახურებს ასახელებენ"[33].

აქ ხაზგასმულია, რომ IX საუკუნიდან ბარად მწარმოებელი საზოგადოების „ძირითადი ნაწილი" უკვე თავისუფლებადაკარგულია.

ავტორი ამის შემდეგ ლაპარაკობს მხოლოდ გლეხობის მდგომარეობის გაუარესებაზე კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში, ხოლო თავისუფალ მწარმოებლებს ავტორი ხედავს მხოლოდ მთიან რაიონებში, სადაც აგრეთვე იჭრებოდა ბატონყმური ურთიერთობა[34].

„მდაბიორ-მოლაშქრეთა" გლეხთა კატეგორიაში მოქცევისა და განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობაზე გადასვლის საკითხში ანალოგიურ თვალსაზრისზე დგას დ. მუსხელიშვილიც. მისი შეხედულებით, VIII საუკუნის შუახანები, და კერძოდ, არჩილის ე. წ. „რეფორმების" ხანა უნდა მიჩნეულ იქნას იმ ქრონოლოგიურ მიჯნად, რომელიც ჰყოფს საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ორ — ადრეფეოდალურ და განვითარებულ ფეოდალიზმის ეტაპს. ავტორის აზრით, ეს გარდატეხა ძირითადად გამოიხატება საერისთავოების გარდაქმნაში „სავსებით განვითარებული ფეოდალიზმის საზოგადოებისათვის" დამახასიათებელ სენიორიებად და რიგით თავისუფალ მწარმოებელთა — ალოდისტთა ფენის გაქრობაში. აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობის შემდეგ ავტორი წერს: „ფეოდალურ ციხესიმაგრეთა ინტენსიური მშენებლობა, რაც აგრეთვე ერთ-ერთი არსებითი ნიშანია განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის დადგინების დასადასტურებლად — ზემოთქმულთან ერთად იმის მაუწყებელიც უნდა იყოს, რომ რიგითი თავისუფალი მწარმოებლები, მეთემე-ალოდისტები, უდიდეს ნაწილში უკვე დამოკიდებულ მიწათმოქმედებად, ფაქტიურად „გლეხებად" გადაიქცნენ... ერთსა და იმავე ტერიტორიაზე თავისუფალი თემისა და ფეოდალის ციხესიმაგრის არსებობა სრულიად შეუთავსებელი მოვლენებია. ამის კლასიკური მოწმობაა როსტომ ბიბილურისა და დვალთა შორის მომხდარი კონფლიქტი"[35].

---

33 გ. ჯამბურია, ბატონყმობა საქართველოში, კრებულში: „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაციის". თბ., 1980, გვ. 98—99.

34 იქვე, გვ. 99—100.

35 დ. მუსხელიშვილი, ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის (IV—X საუკუნეებში). „ისტორიის... სერია, 1980 წ., № 2, გვ. 157.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაბთა მიერ „დაცვის სიგელით“ ქართლში ფუძეზე გადასახადის დადება დ. მუსხელიშვილის თვალსაზრისით იმის მაჩვენებელია, რომ საგადასახადო ერთეული ქართლში ამ დროის ფუძეა (კომლია). „აქ არის პირდაპირი მოწმობა თემური მიწათმფლობელობის გაქრობისა და გლეხის ინდივიდუალური მეურნეობის გაბატონებისა VII ს-ის შუახანებისათვის მაინცდამაინც იმ ტერიტორიაზე, რომელსაც „დაცვის სიგელი“ ეხება[36].

ავტორი წერს: „საინტერესოა, რომ დაყმევებული უშუალო მწარმოებლის აღსანიშნავად სპეციალური ტერმინი „გლეხი“ სწორედ VIII—IX საუკუნეებიდან გვხვდება ქართულად ნათარგმნ ლიტერატურულ წყაროებში, ხოლო IX ს-დან ეს ტერმინი ენაცვლება „მდაბიოს“. ამასთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ „ბაგრატ კუროპალატის სამართალმა“, რომელიც ა. კიკვიძესთან ერთად ჩვენ IX ს-ის ძეგლად მიგვაჩნია, დამოკიდებული მოსახლეობის აღსანიშნავად ერთადერთი ტერმინი — „გლეხი“ — იცის. ეს უნდა მოწმობდეს თემის დაშლის და ალოდიალური მიწათმფლობელობის გაქრობას“[37].

ამასთან, დ. მუსხელიშვილი თვლის, რომ VI ს. ჯერ კიდევ ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ბატონობის ხანაა, როდესაც ერისთავებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მოპოვებული საერისთავოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილზე პოლიტიკური უფლებები, ისინი ფაქტობრივად მოკლებულნი იყვნენ დამოუკიდებელი არსებობის შესაძლებლობას. პირველ რიგში საჭირო იყო თავისუფალი მეთემე-ალოდისტთა დაყმევება და ამ მიზნის განსახორციელებლად სრულიად აუცილებელი იყო ერისთავთა კლასობრივი ინტერესებისათვის მისაღები ცენტრალური ხელისუფლების არსებობა და მხარდაჭერა, ხოლო VIII ს-ის შუახანებისათვის (ე. ი. საუკუნენახევრის შემდეგ) ეს პროცესი ძირითადად დამთავრებულია, ფეოდალებმა მოასწრეს გადაქცევა სრულუფლებიან სენიორებად, „მთავრებად“... „და, რამდენადაც, ფაქტობრივად, აღარავინ რჩებოდა დასაყმევებელი, შემდგომმა სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ურთიერთქიშპობა თვით ამ მთავართა შორის“[38].

ავტორის თანახმად, VIII ს. მეორე ნახევარი — XI ს. განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის პირველი პერიოდია.

ამრიგად, როგორც გ. ჯამბურია, ასევე დ. მუსხელიშვილი განს-

---

[36] იქვე, გვ. 159.

[37] იქვე.

[38] იქვე, გვ. 163.

სხვავებით წინამორბედ მკვლევართაგან, რომელთა თვალსაზრისი ადრე განვიხილეთ, თვლიან, რომ ე. წ. მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენის დაყმევების პროცესის დასასრული და ამდენადვე განვითარებული ფეოდალიზმის თუ ბატონყმური ურთიერთობის საფეხური ჩვენში VIII—IX საუკუნეებიდან არის სავარაუდებელი.

აღსანიშნავია, რომ არც გ. ჯამბურია და არც დ. მუსხელიშვილი, განსხვავებით ქ. ჩხატარაიშვილისაგან, რომელიც დაახლოებით იგივე თვალსაზრისზე დგას, არ სვამენ საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი სოციალური ფენა წარმოადგენდა ძირითად სამხედრო ძალას მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენის გაგლეხების შემდეგ, მითუმეტეს რომ მათთვის წყაროების „ერის", „წვრილი ერის" პრობლემა ამ დროიდან საერთოდ აღარ დგას.

ერთადერთი მკვლევარი, რომელმაც ბოლო ხანებში კვლავ დასვა წყაროების „ერის" საკითხი, არის ა. ბოგვერაძე. იგი გამოდის ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას თვალსაზრისიდან ერისა და ჯარის იდენტურობის თაობაზე, ანზოგადოებს ს. ჯანაშიას კონცეფციას „ერის" შემდგომი დაშლის შესახებ და დასძენს: „ამავე დროს „ერი" ლაშქრის შინაარსით საზოგადოების უფრო ფართო წრეს მოიცავს ადრეული ფეოდალიზმის ხანაში, ვიდრე „ერი" სოციალური აზრით, რადგან ხალხი და ლაშქარი სოციალურად უკვე საკმაოდ დაშორდა ერთმანეთს და მაინც ის გარემოება, რომ ერი ლაშქრის მნიშვნელობით მთელი ადრეული ფეოდალიზმის ხანაში ხმარებიდან არ გამოსულა, იმის მოწმობა ჩანს, რომ ჯერ კიდევ იყო ხალხი „ერის" ძველი გაგებით, რომელიც ამდენად ლაშქრობის ვალდებულიც რჩებოდა. ასე რომ არ ყოფილიყო, მოლაშქრე „ერი" რომ არ ყოფილიყო, არც ტერმინი „ერი" იქნებოდა ლაშქრის შინაარსით"[39].

სავსებით მართებული მსჯელობაა, მაგრამ საქმე ისაა, თუ სადაშდის გულისხმობს ავტორი ადრეული ფეოდალიზმის ხანას. თუ კი ავტორი მიიჩნევს, რომ ჩვენში ადრეული ფეოდალიზმი IV—VIII საუკუნეებით იფარგლება[40], როგორღა უნდა ავხსნათ „ერის" ლაშქრის მნიშვნელობით ხმარება ქართული ნარატიული წყაროების მომდევნო ხანაში? განა განვითარებულ ფეოდალიზმზე გადასვლა „ერის" (მდაბიორ-მოლაშქრეთა) გაგლეხებას არ უნდა გულისხმობდეს?

ზემოთ მოტანილი ვრცელი ისტორიოგრაფიული მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ერთ-

---

[39] ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, ქართლის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 202.

[40] ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმათა განვითარება ადრეფეოდალურ ხანაში. კრებულში: „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია", თბ., 1980, გვ. 76—77.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ ყველაზე არსებით საკითხზე—უშუალო მწარმოებელთა თავისუფალ ფენის („მდაბიორ-მოლაშქრეთა“) გლეხთა კატეგორიაში გადასვლისა და განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობებზე და ბატონყმობაზე გადასვლის დროის შესახებ ბოლო დროს აზრთა არსებითი სხვაობა გაჩნდა. ამ მოვლენის თარიღი სხვადასხვა მკვლევართა შრომებში მერყეობს VI—VIII საუკუნეებიდან XIV—XV საუკუნეებამდე, მაშინ, როდესაც აქამდე ჩვენს ისტორიოგრაფიაში ძირითადად იგი თარიღდებოდა XI—XII—XIII საუკუნეებით. აზრთა ასეთი დიდი სხვაობის გაჩენით არის გაპირობებული ის, რომ ჩვენ დაგვჭირდა სხვადასხვა მკვლევართა თვალსაზრისისა და არგუმენტაციის ესოდენ ვრცლად განხილვა. წინაღმდეგ შემთხვევაში მკითხველს გაუჭირდება საკითხის სირთულის გამო მის არსში ჩაწვდომა და ჩვენი თვალსაზრისის გაგებაც.

საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად საჭიროა მისი ყოველმხრივი შესწავლა, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების ერთობლიობაში გააზრება. ჩვენ, ბუნებრივია, ვერ დავისახავთ მიზნად ამის გაკეთებას, მაგრამ, ვფიქრობთ თვალი გავადევნოთ წყაროებში „ერის“ ჯარის, ლაშქრის მნიშვნელობით ხმარებას და საერთოდ თავისუფალ მოლაშქრეთა ფენის („მდაბიორ-მოლაშქრეთა“) საზოგადოებრივი ფუნქციონირების საკითხს, რაც უთუოდ დაგვეხმარება დასმული პრობლემის გარკვევაში, მაგრამ, მანამდე უშუალოდ წყაროების განხილვაზე გადავიდოდეთ, გვინდა გავაკეთოთ რამდენიმე შენიშვნა იმ ძირითად დასკვნების მიმართ, რომელნიც მოცემულია ქართულ ისტორიოგრაფიაში დასმული საკითხის ირგვლივ და წარმოადგენენ ამოსავალს ჩვენს კვლევაში.

ზემოთ უკვე იყო მოტანილი ამ 60-იოდე წლის წინათ ივ. ჯავახიშვილის მიერ სტრაბონის ცნობის განხილვის საფუძველზე გამოთქმული დებულება, რომ თავდაპირველად ჩვენში „ერს“ ერთდროულად ხალხისა და ჯარის მნიშვნელობა ჰქონდა, რაც აისახა კიდეც უძველეს ქართულ ძეგლებშიც. შემდეგ კი ეს ტერმინი „თანდათან ჯარის მნიშვნელობას ჰკარგავს და განსაკუთრებით ხალხის აღმნიშვნელ ტერმინად ხდება. ჯარისათვის კი საშწერლო ენაში ჯერ ერთი სპარსული სიტყვა „სპა“ შემოდის, შემდეგ მეორე სიტყვა „ლაშქარი“ ემატება“.

ამასთან, ივ. ჯავახიშვილი მომავალში წყაროთა აღმოჩენას, შესწავლას და მეცნიერულ გამოცემას უკავშირებდა იმის გარკვევას, თუ „ერის“ ზემოთ მოტანილ მნიშვნელობათაგან („ხალხი“, „ჯარი“) რომელია თავდაპირველი და ძირითადი.

ს. ჯანაშიას მიერ ჩატარებულმა საგანგებო კვლევამ დაადასტურა, რომ „ერის“ თავდაპირველი მნიშვნელობა „ხალხიცაა“ და „ჯარიც“, რამდენადაც ხალხი და ჯარი საზოგადოების განვითარების გარკვეულ

ეტაპზე განუყოფელი იყო. ს. ჯანაშია თვლიდა, რომ „ერი“ სტრაბინის დროინდელი ტერმინია და იმთავითვე „მიწათმოქმედთა და მეომართა ქართული სახელწოდებაა“.

ს. ჯანაშიამ თვალი გაადევნა „ერის“ სოციალური დაშლის პროცესს ზოგად ხაზებში — „ერისაგან“ ერთის მხრივ დაწინაურებულ ფეოდალურ წრის უმცირესობის, ხოლო მეორე მხრივ ექსპლოატირებულ უშუალო მწარმოებელთა უმრავლესობის გამოყოფას („ერის“ სოციალური დამცრობის შედეგად ჯერ „წვრილი ერის“, ხოლო შემდგომ ყმა გლეხთა კლასის წარმოქმნას). ს. ჯანაშიას მიხედვით ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი იყო და მხოლოდ XI—XII სს. დამთავრდა, თუმცა „ერის“ ძირითადი მასის „წვრილი ერად“ გადაქცევა მას უკვე V საუკუნეში აქვს ნავარაუდევი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „ერი“ ამის შემდეგ უკვე ქრება, რამდენადაც ს. ჯანაშია არაერთგზის მიუთითებს „თავისუფალ სოფლის მოსახლეობის“, ან „თავისუფალ სოფლის მეურნეთა“ არსებობაზე XI—XII სს. ჩათვლით. ტერმინი „წვრილი ერის“ ხმარება „თავისუფალ სოფლის მოსახლეობის“ მიმართ მაჩვენებელია ამ სოციალური წრის დაშლის, დამცრობის პროცესისა, „ერის“ უმრავლესობა ჰქმნის ყმათა ფეოდალური კლასის ძირითად სარეზერვო მასას, წყაროებში „წვრილი ერის სახელწოდებით აღნიშნულს“ — წერს ს. ჯანაშია.

ნ. ბერძენიშვილმა ამავე სოციალური ფენის შესატყვისად შემოიღო ტერმინი „მდაბიორ-მოლაშქრე“ და მოგვცა მისი (წყაროების იგივე „ერის“) თავგადასავლის დამაჯერებელი სურათი, თუმცა თვით ტერმინი „ერის“ ჯარის მნიშვნელობით წყაროებში ხმარებისათვის საგანგებო ყურადღება არ მიუქცევია. იგი აგიოგრაფიულ ძეგლების შესაბამის ადგილების ინტერპრეტაციისას უფრო ამ ტერმინის კრებითობის, სიმრავლის მნიშვნელობაზე აკეთებს აქცენტს[41]. თუმცა ნ. ბერძენიშვილს მხედველობიდან არ გამორჩენია არც „ერის“ ლაშქრის მნიშვნელობით „შესაძლებელი“ ხმარების შემთხვევებიც.

წყაროთა მონაცემების საგანგებო შესწავლა, ჩვენი აზრით, საკმაოდ ადასტურებს დასმული საკითხისადმი ზემოთ მოტანილი მიდგომის სისწორეს.

ბ) წყაროების მონაცემები*

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ლეონტი მროველის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთა...“, რომელიც მიზნად ისახავს წარ-

[41] იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 367—368.

* წყაროთაგან ჩვენ ძირითადად ვემყარებით ნარატიულ საისტორიო ძეგლებს, ხოლო აგიოგრაფიიდან ვიყენებთ მხოლოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს“, რადგან ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოგვიდგინოს ქართველთა უძველესი ისტორიული თავგადასავალი, „ერის“ — როგორც გარკვეული საზოგადოებრივი ფენის, თუნდაც მთლიანად ხალხის აღმნიშვნელი ტერმინის ხმარებას ვხვდებით მხოლოდ ერთხელ, გამონაკლისის სახით („ქ. ც.“ I, გვ. 57)[42]. აქ მთელი ხალხის მნიშვნელობით „ნათესავი“ იხმარება (გვ. 8, 10 და შემდ.), ხოლო უფრო მიღებული ცნებაა „ყოველნი ქართველნი“ (გვ. 15, 22, 23, 35, 65, 66): „მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი, და ტყება ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულთაგან ვიდრე გლახადმდე. და იტყებდეს ყოველნი თავთა თჳსთა ყოველთა შინა ქალაქთა და დაბნებთა“... (ქ. ც. I, გვ. 53).

აქედან ნათლად ჩანს, რომ „ყოველნი ქართველნი“ შეადგენდნენ ქვეყნის „ქალაქთა და დაბნებთა“ მთელ მოსახლეობას „წარჩინებულთაგან ვიდრე გლახადმდე“.

„ყოველთა ქართველთა“ სინონიმური ცნება ლეონტისთან არის „ყოველნი მკჳდრნი ქართლისანი“ (გვ. 28, 29). ტერმინი „მკჳდრნი“ იხმარება საკუთრივ კლარჯეთის მცხოვრებთა მიმართაც, რომელნიც დახასიათებულნი არიან როგორც „კაცნი მკჳრცხლნი და მჴედარნიცა“ (გვ. 48).

ლაშქრის მნიშვნელობით ლეონტისთან უმეტეს შემთხვევაში გვხვდება „სპა“, რომელიც სპასპეტის თუ ერისთავთა განმგებლობაში იმყოფებოდა და შედგებოდა „ქვეითაგან“ და „მჴედართაგან“ (გვ. 28, 56). ხშირად გვხვდება გამოთქმა „მეფე და სპა მისი“ (გვ. 14, 32, 52, 67), „სპანი ქართლისანი“ (გვ. 23, 31, 51).

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ „ნინოს მიერ ქართლის მოქცევის“ ლეონტისეულ ვერსიაში, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშია“ შეტანილი, ჩვენთვის საინტერესო ტერმინოლოგიის მხრივ სულ სხვა სურათი გვაქვს, ვიდრე „მეფეთა ცხოვრებაშია“. ეტყობა, ლეონტი მროველმა „მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს“ რედაქციულ გადამუშავებისას საჭიროდ არ სცნო შეხებოდა ტერმინოლოგიას. ამიტომ ჩვენი მიზნისათვის „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ დამოუკიდებლად ვიხილავთ.

ჩვენთვის ნათელი არ არის, რატომ გაურბის ლეონტი „ერის“ ხმარებას ხალხის ან ლაშქრის მნიშვნელობით, მაშინ, როდესაც მის ეპოქაში ეს ტერმინი ჯერ კიდევ ცოცხალია და მის თხზულებაშიც იჩენს თავს, მითუმეტეს, რომ იმ ხანაში, რომელსაც იგი აგვიწერს, „ერი“ ჯერ კიდევ უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ძირითადი საზოგადოებრივი ფენა,

---

უკანასკნელი ისტორიულ ქრონიკას შეიცავს. სხვა აგიოგრაფიულ ძეგლებით, რომელნიც საისტორო თხზულებათა ანალოგიურ სურათს გვაძლევენ, და ეპიგრაფიკით ვსარგებლობთ მხოლოდ, როგორც დამხმარე მასალით.

[42] ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ ლეონტი მროველთან ჩანართებში „ერის“ მოხსენიებას (ქ. ც. I, გვ. 40, 41, 42).

და ერისთავთა ხსენებასაც მასთან ხშირად ვხვდებით სწორედ სამეფოს პროვინციათა მმართველების თუ ლაშქრის მეთაურების მნიშვნელობით.

შესაძლებელია, რომ ლეონტი მროველისათვის „ერი“, ისევე როგორც „აზნაური“ ქრისტიანობის მიღების შემდგომი დროის საზოგადოებრივი ფენებია და უფრო ადრეული ეპოქებისათვის მას ამ ტერმინების გამოყენება არ მიაჩნია საჭიროდ („აზნაურნი“ ლეონტისთან მხოლოდ აზოს თანმხლები პირებია, რომელთაგან მოდიან შემდეგ-დროინდელი აზნაურები).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ძეგლია, სადაც „ერი“ წარმოგვიდგება როგორც აქტიური სოციალური ძალა, რომელიც იხსენიება და მოქმედებს მეფესთან ერთად. „მეფე და ყოველი ერი“ აქ ნამდვილ ტრაფარეტულ ფორმულად გვევლინება სხვადასხვა სიტუაციისათვის, სადაც კი მეფე ფიგურირებს: „და წარვიდა მირიან მეფეᲩ და ყ ო ვ ე ლ ი ე რ ი, რამეთუ იქმოდეს ზემოსა ეკლესიასა ქვითა...“ („შატბერდის კრებული“, თბ, 1979, გვ 324), „წარვიდა მეფᲩ და ყ ო ვ ე ლ ი ე რ ი“ (იქვე, გვ. 344), „წარმართებულ არს მეფᲩ და ყ ო ვ ე ლ ი ე რ ი“ (იქვე), „ხოლო წმიდამან მან ჰრქუა მეფესა და ყ ო ვ ე ლ ს ა ე რ ს ა“ (გვ. 348), „მაშინ განზრახვიდა მეფᲩ ყ ო ვ ე ლ ს ა მ ა ს ე რ ს ა“ (გვ. 350) და სხვ.

„ერი“ ამავე დროს თვითმოქმედი საზოგადოებაცაა: „და ტფილისისა მკჳდრთა დიდსა ეკლესიასა დაიწყეს: ნახევარსა იქმოდა ყ ო ვ ე ლ ი ე რ ი და ნახევარსა ერი თავნი“ (იქვე, გვ. 326). აქედან ჩანს, რომ „ერი“ განიხილება „ქუეყნის მკჳდრთა“ შორის, და მას სხვა სოციალურ ძალთაგან მხოლოდ „მთავარნი“ უპირისპირდებიან: „მაშინ შეუკრბეს მეფენი ქუეყნისანი და მთავარნი დედებითურთ და ს ი მ რ ა ვ ლᲩ ე რ თ ა ძლიერთაჲ“ (გვ. 327—328), „მაშინ იყო შფოთი დიდი მცხეთას შინა მეფეთაჲ და მთავართაჲ და ყ ო ვ ლ ი ს ა ე რ ი ს ა ჲ“ (გვ. 339), „და დამოსდიოდეს მდინარენი ცრემლთანი მეფესა და მთავართა და ყ ო ვ ე ლ ს ა ე რ ს ა“... (გვ. 345).

როგორც ვხედავთ, აქ ყველგან „ერი“ ზოგადად ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობაა: „ყოველი ერი ქართველი“ (გვ. 347) ან „ერი ქუეყნისაჲ მის“ (გვ. 353).

ამავე დროს იგივე ძეგლში გვაქვს „ერის“ მხოლოდ ლაშქრის მნიშვნელობით ხმარების შემთხვევებიც: სანადიროდ წასულ მირიან მეფეს „ერი“ ახლდა თან. ამ დროს ჩამოწვა წყვდიადი „და განიბნივნეს ურვისა მისგან და ჰირისა ურთიერთას ყ ო ვ ე ლ ნ ი ე რ ნ ი მისნი, და დარჩა მეფე მარტოჲ და იარებოდა მთათა ზედა“... ხოლო მას შემდეგ, რაც წყვდიადი გაიფანტა მირიანის მიერ „ნინოს ღმერთის“ ხსენებაზე, „იხილეს ნათელი ე რ მ ა ნ მ ი ს მ ა ნ, მყოვარ ჟამ შეიერთნეს...“ ქა-

ლაქში დაბრუნების შემდეგ კი მათ მოძებნეს ნინო და „მოდრკა მეფე და ყოველი იგი ლაშქარი, მოვიდა და გარდმოვარდა საკედრისაგან...“ (გვ. 342, 343). „ერი“ ეწოდება სპარსთა ლაშქარსაც, რომელიც ნინოს მიერ იქნა შეჩერებული: „და ვიდრე არა ეყივნა ქათამსა, სამთავე კართა სცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან და დაალეწნეს კარნი ქალაქისანი, და აღივსო ქალაქი სპარსთა ლაშქრითა და მეყსეულად შეიქმნნეს ზარის აღსაჯდელნი ზრინვანი, და ყივილნი და კვლაჲ ერისაჲ, ვითამცა სისხლი დიოდა... და მოექცა [ნინო] ერსა მას მომავალსა ჩუენ ზედა და ჰრქუა: სადა არიან მეფენი სპარსთანი ხურარა და ხუანხუარა? ... და დიდად რამე არს ლაშქარი, უზომო ვიდრემდე ხართ... და მეყვსეულად უჩინო იქმნა ყოველი იგი სიმრავლე ერისაჲ და იქმნა დაყუდება დიდი“ (გვ. 344—345).

ამავე ძეგლში ვხვდებით გამოთქმას „ერნი ზეცისანი“ (გვ. 332), რაც ზეციურ ძალას, ლაშქარს გულისხმობს. მაგრამ „ერი“ ქალაქ ურბნისის მცხოვრებლებსაც ეწოდება, რომელთა საქმიანობა ვაჭრობაც შეიძლება ყოფილიყო: „აღიძრნეს ერნი ძლიერნი და ურიცხვნი სიმრავლითა მით ქალაქით წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად, რომელ იყო საჯდომელი დიდთა მეფეთაჲ, ვაჭრობად და ლოცვად არმაზ ღმრთისა მათისა“ (გვ. 334).

ჯუანშერის თხზულება ხასიათდება ჩვენთვის საინტერესო ტერმინების დიდი ნაირსხვაობებით. ზოგადად ხალხის მნიშვნლობით აქ გვაქვს „ყოველნი ქართველნი“ (ქ. ც. I, გვ. 140), „ქართველნი“ (გვ. 141), ეს იგივე „ერია“ — მოგვი მობიდანი „ვერცა განაცხადებდა ქადაგებასა სჯულისა მისისასა შიშისაგან მეფისა და ერისა“ (გვ. 142), მიქაელ ეპისკოპოსმა „იპყრნა სარწმუნოებასა ზედა ყოველნი წარჩინებულნი ქართლისანი და ერიცა უმრავლესი...“ (გვ. 145), „ხოლო ესე არა მეფეთა ჩუენთა ცოდვისაგან იქმნა, არამედ ერისა ცოდვათაგან“ (გვ. 146); გვაქვს ასეთი გამოთქმაც: „სთნდა ვახტანგს და ყოველსა ერსა მისსა“ (გვ 181). ვახტანგის სიკვდილთან დაკავშირებით ჯუანშერთან ვკითხულობთ: „მაშინ წარჩინებულთა და ყოველსა ერსა ზედა დღე იყო სასჯელისა... და მორწმუნე ერი ჰნატრიდა მეფესა, რამეთუ ქრისტესთჳს მოიკლა“ (გვ. 204). არჩილი ეუბნება აფხაზთა ერისთავს ლეონს: „არამედ კეთილად პატივსცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა“... (გვ. 240). არის ადგილები, სადაც ძნელია იმის გარკვევა. „ერი“ ზოგადად ხალხს ნიშნავს, თუ ჯარს, მაგრამ ბევრ შემთხვევაში მისი ლაშქრის მნიშვნელობით ხმარება ეჭვს არ იწვევს. „მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა თხუთმეტისა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა, და შემოკრიბნა ყოველნი ქალაქად. და განმზადა მეფემან სახლი ერთი ოა დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა, ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასხდეს საყდართავე, და სხვანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელ-
ბითა, და ათასის-თავნი და ასის-თავნი და ყ ო ვ ე ლ ი ე რ ი წარმოდგეს
ზე“ (გვ. 147). უეჭველია, რომ აღწერილ ცერემონიალში მაღალი რან-
გის სამხედრო მოხელეებთან ერთად მონაწილეობდა „ერიც“ ანუ ლაშ-
ქარი (და, ცხადია, არა მთელი ხალხი). „ვახტანგ მეფემან შეწირა მად-
ლობა ღმრთისა მიმართ მრავლითა ლოცვითა და ღამისთევითა, და გლა-
ხაკთა მიცემითა, და გასცა ნიჭი ე რ ს ა თ ჳ ს ს ა და წარჩინებულ ქმნა
მჴედარნი, მსახურნი მჴნედ და გამოცდილნი წყობასა შინა ოვსთასა“
(გვ. 158).

„ერის“, ე. ი. ლაშქრის საბრძოლო წარმატებების შემდეგ დასა-
ჩუქრების მეორე შემთხვევაც გვაქვს: „და ვითარ წარმოვიდა ვახტანგ
და მოვიდა ქალაქად თჳსად მცხეთად, იყო სიხარული დიდი და მადლი-
სა მიცემა ღმრთისა, რამეთუ მოვიდა იგი მშჳდობით, და მისცა ნიჭი
დიდი ე რ ს ა თ ჳ ს ს ა“ (გვ. 178). არ არის გამორიცხული, რომ აქ
ლაშქრისათვის დაწესებული საზღაურის გაცემაც იყოს ნაგულისხმევი,
ალაფიდან თუ სამეფო საჭურჭლიდან.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ერთ-ერთი ბრძოლის წინ ვახ-
ტანგ მეფემ მოატანინა ჯვარი პეტრე მღვდელს და უთხრა: „დადეგ
წინაშე პირსა მტერისასა და ე რ ი ს ა ჩუენისასა, და არქუ ყოველთა —
„თაყუანის-ეცით ჯუარსა და ვძლიოთ მტერსა“, და რომელმაც არა თა-
ყუანი სცეს, მოკალთ... და მივიდოდეს ყ ო ვ ე ლ ნ ი ე რ ნ ი და თა-
ყუანის-ცემდეს, და დადგებოდეს წინაშე ჯუარსა... და აღთქმით ეტყოდა
ე რ ი ივი მეფესა ვახტანგს: „უკეთუ შემეწიოს ჩუენ ჯუარი, არღარა
იყოს ჩუენდა სხვა ღმერთი გარნა ჯუარცმული“.

და გარდაჴდა მეფე და თაყუანისცა მას, და ყ ო ვ ე ლ მ ა ნ ე რ-
მ ა ნ მის თანა...“ (გვ. 174). „მაშინ ვახტანგ განაძლიერნა ციხენი ქა-
ლაქისანი, და ურჩეულესი მებრძოლი ე რ ი ს ა მისისა ვითარ ასი
ათასი მჴედარი და ასი ათასი ქუეთი იპყრა მის თანა, და დაუბანაკა მათ
დიღმით ვიდრე ქართლის კართამდე“ (გვ. 179). „ერის“ ლაშქრის
მნიშვნელობით ხმარების თვალსაჩინო მაგალითია შემდეგიც: „და იყო
ლ ა შ ქ ა რ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ი ორას ორმოცი ათასი, ხოლო სპარსთა
— შჳდას ორმოცი ათასი. და განყო ვახტანგ ლაშქარი მისი სამად...

ღამესა ნისლისაგან განცისკრებულსა ოდენ დაესხა ვახტანგ სპარ-
სთა ზედა და რქუა ყოველსა ე რ ს ა მ ი ს ს ა: „ყოველი კაცი, რომელი
დარჩეს სიკუდილისაგან და მტერთა ჩუენთაგანისა თავი ანუ ჴელი არა
გამოიტანოს, ჩუენ მიერ მოკუედინ იგი“ (გვ. 202).

ჯუანშერთან ტერმინი „ერი“ გამოყენებულია უცხო ლაშქრის მი-
მართაც: „...მისვლამდე სპარსთა ლაშქრისა მოეკლა ბ ე რ ძ ე ნ თ ა ე რ-
ი ს ა მისგან ოცდაშჳდი ათასი, და განძლიერდა ბრძოლა...“ (გვ. 173).

საყურადღებოა, რომ ამ ციტატაში გამოთქმა „ერისა მისგან“ ჭალაქვილისეულ ნუსხაში მოცემულია შემდეგნაირად: „ლაშქრისა მისგანი“.

ვახტანგ მეფე კეისართან მოლაპარაკებისას უთვლის მას: „ნუმცარა იქნების საქმე უშუერი, და ნუცა საქმე შფოთისა თქუენ მიერ, რათა არა დაეცნენ პირითა მახვლისათა ე რ ნ ი თ ქ უ ე ნ ნ ი, რამეთუ ე რ ნ ი თ ქ უ ე ნ ნ ი განლაღებულ არიან ჯობნასა ზედა სპარსთასა, ხოლო სპარსნი არავე შეშინებულ არიან, არამედ შურითა თქუენითა წადიერ არიან წყობასა: ანუმცა მოკუდეს, ანუმცა იძიეს შური სისხლთა მათთა. ხოლო ს პ ა ნ ი ესე შენნი თუ, ბიღმართ ჰბრძვანან, მემცა უბრალო ვარ“ (გვ. 171—172). კიდევ რამდენიმე მაგალითი: „..ფრიად მწუხარე იყო კეისარი, არამედ რაჟამს უთხრეს, ვითარმედ ტყუე პირველ შეპყრობილი და ტ ყ უ ე ე რ ი ს ა გ ა ნ მეოტისა ყოველი დაუკლებლად განუტეობია, მაშინ განიხარა ფრიად“ (გვ. 177). „პატივ-სცემდა ვახტანგს ყ ო ვ ე ლ ი ე რ ი სპარსეთისა ვითარცა ხუასროს, მეფესა მათსა, და მერმე წარემართნეს მტერთა ზედა“ (გვ. 187). „მაშინ სინდთა მეფემან განყო ე რ ი თ ვ ს ი ციხეთა და ქალაქთა შინა“ (გვ. 188).

ჯუანშერის თხზულებიდან მოტანილი ადგილები მოწმობენ, რომ „ერი“ ზოგადად ხალხიცაა, ლაშქარიც, სოციალურად იგი „წარჩინებულებთან“ არის დაპირისპირებული: „მაშინ წარჩინებულთა და ყ ო ვ ლ ი ს ა ე რ ს ა ზედა დღე იყო სასჯელისა..“ (გვ. 204), თუმცა იგი ჯერ კიდევ უფლებამოსილი საზოგადოებაცაა, რომელიც გარკვეულ როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია სპარსთა მეფის ხუასროს სიტყვები: „მოკუდა მამა ჩემი, და მეფე მყო მე ყ ო ვ ე ლ მ ა ნ ე რ მ ა ნ მისმან საყდართა მისთა ზედა“... (გვ. 200). ე, ი. ჯაუნშერისათვის „ერი“ ისეთი საზოგადოებრივი წრეა, რომელიც მონაწილეობს მეფის დასმის საქმეში. თუმცა კი ეს საზოგადოებრივი ფენი დაშლის გზაზეა და მისი ნაწილის დამცრობა გვაძლევს „წურილ ერსაც“ (გვ. 145)[43].

„მატიანე ქართლისაჲ“ სოციალური ტერმინებით განსაკუთრებით მდიდარი ძეგლია და იგი ამ მხრივაც კარგად ასახავს თავის ეპოქას. აქ ქვეყნის სამხედრო ძალის შესატყვისად, როგორც წესი, იხმარება ტერმინები „სპა“ და განსაკუთრებით კი „ლაშქარი“. ყურადღებას იქცევს, მაგალითად, გამოთქმები „მეფე და ყოველი ლაშქარი“ (გვ. 267), მეფემ „მიუცნო ლაშქარსა თჳსსა“ (გვ. 264), „ხოლო ლაშქარი მისი უმრავლესი წარავლინა გზასა გარესა“ (იქვე). ეს გამოთქმები ძალიან გვაგონებენ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და ჯუანშერის გამოთქმებს: „მეფე და ყოველი ერი“, „მეფე და ერი მისი“.

„მატიანე ქართლისაჲში“ „ერს“, როგორც ლაშქრის შესატყვისს, და

---

[43] „წვრილი ერის“ შესახებ იხილე სპეციალური ნარკვევი აქვე, გვ. 40—50.

საერთოდაც, არც თუ ხშირად ვხვდებით, მაგრამ ასეთი ადგილები მაინც გვაქვს:„ და მოკუდა ურიცხვ ერი სარკინოზთა; და ცხენმან მათმან ძოვა იელი, და დაიჯოცა ფრიად. ხოლო სიმრავლისაგან ლაშქარისა არა აჩნდა დაკლება, რამეთუ იყო სიმრავლე მისი ვითარ ასოცი ათასი“ (გვ. 256). ბაგრატის ჯარებმა „მოსრეს და ტყუე ყვეს ლაშქარი ფადლონისი. ხოლო ფადლონ თხუთმეტითა ოდენ ცხენოსნითა წარვლო გზა წილკანისა... დახუდა კაცი ვინმე მეცნიერი, რომელი იცნობდა ფადლონს... წარუძღვა კაცი იგი და მიჰგუარა ჟალეთს ისაკ ტოლობელის ძესა, აზნაურსა მესხსა. ხოლო რა ცნა ფადლონის კარად მისვლა, გაძარცვა ერი ფადლონისი, გარდაყარნა ცხენსა და დაიჭირნა ჟელთა...“ (გვ. 311—312). როგორც ვხედავთ, ფადლონის „ერი“ ის თხუთმეტიოდე ცხენოსანია, რომელიც შერჩა მას თავის ლაშქრისაგან.

მაგრამ „მატიანეში“ არის ადგილი, სადაც „ერი“ ხალხსაც, კერძოდ ქალაქის მცხოვრებლებსაც აღნიშნავს: მეფე ბაგრატ „წარემართა ტფილისად და მოეგებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი დიღმისა ველისა, და ყოველი ერი ქუეითი დაკაზმული უმედეულსა, და დედათა და მამათა სიმრავლე იყო მოედანს“ (გვ. 299). თუ კი „დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი“ ქალაქის წარჩინებულებს უნდა გულისხმობდეს, „ყოველი ერი ქუეითი დაკაზმული“ უთუოდ ჯარია, ხოლო ქალაქის დანარჩენი მოსახლეობა წარმოდგენილი იყო „მამათა და დედათა სიმრავლით“. რაც შეეხება ფრაზას: „და იყო მათ ჟამთა ერისთავი ქართლისა ივანე მარუშის-ძე, კაცი ძლიერი და ერ-მრავალი“ (გვ. 272), ვფიქრობთ, რომ აქ „ერმრავალი“ სწორედ „ლაშქარმრავალის“ სინონიმი უნდა იყოს, რაშიც მდგომარეობდა სწორედ მისი სიძლიერე[44]. „მატიანე ქართლისაჲში“ ვხვდებით ტერმინ „წვრილ ერსაც“, რაც მაჩვენებელია „ერის“ დამცრობის პროცესისა. კერძოდ, მემატიანე შემდეგს მოგვითხრობს კლარჯეთში ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ განწყობილ ადგილობრივ მცხოვრებთა ბიზანტიელთა მხარეზე გადასვლის შესახებ: „მას ჟამსა გაგზავნა პარკიმანოზმან და პროედროსმან იოვანე ბანელი ხარტულარი, წარიყვანა თანა ვალანგი ლაშქრითა დიდითა, და

---

44 შეადარე: ბასილ ზარზმელის თანახმად, გიორგი ჩორჩანელი იყო „მთავარი დიდი და წარჩინებული ქვეყანასა ამას, რომელი ჰყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთასთა...“ (ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 324), ხოლო გიორგი მცირის ცნობით, აბაზასძენი იყვნენ „კაცნი ძლიერნი და ახოვანნი, სიმდიდრესა ზედა მკლავისასა თჳისისასა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზუავებულნი“ (იქვე, II, თბ., 1967, გვ. 160).

აღსანიშნავია, რომ გარდა ვეფხისტყაოსნის „ლაშქარმრავლისა“ იმ დროის წყაროებში გვხვდება ტერმინი „სპამრავლობა“ (ქ. ც. II, გვ. 7).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისცა თანა დემეტრე კლარჯი, ძე სუმბატისი, რეცა შესატყუევნელად ქვეყანისა კაცთათჳს, და ამით მიზეზითა მოიქცეს მრავალი კაცნი მის ქუეყანისანი წ ურ ი ლ ი ს ა ე რ ი ს ა გ ა ნ“ (გვ. 292).

საყურადღებოა, რომ სუმბატ დავითის ძესთან, რომელიც „მატიანეს“ ემყარება, შესატყვის ადგილას მოცემულია გამოთქმა: „რეცა შესატყუენელად ქ უ ე ყ ნ ი ს ა მ კ ჳ დ რ თ ა...“ (გვ. 386). ე. ი. „ქუეყნის კაცნი“ და „ქუეყნის მკჳდრნი“ აქ ერთი მნიშვნელობის ცნებებია. ჩანს, რომ „წვრილი ერი“ თუმცა „ერის“ დამცრობის პროდუქტია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ „ქუეყნისა კაცთა“ ანუ „ქვეყნის მკჳდრთა“ წრეში ითვლება. მითუმეტეს თავის უფლებებში კვლავ რჩებოდა თვით „ერი“, რომელიც აღებულ ეპოქაში უთუოდ განაგრძობდა ფუნქციონირებას, როგორც ცოცხალი საზოგადოებრივი ორგანიზმი.

აღნიშნულის დადასტურებას ვპოულობთ სუმბატ დავითისძის თხზულებაში, სადაც „ერი“ ხშირად იხსენიება „სპასთან“ და „ლაშქართან“ ერთად.

სუმბატ დავითის-ძის თხზულების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მასში მოცემულია ისტორიული წიაღსვლა საქართველოს ისტორიის აღრეული ეპოქაში და თხრობა მოტანილია XI ს. მოვლენებამდე. შესაბამისად მასში აირეკლა სხვადასხვა დროის წყაროთა ტერმინოლოგიაც — კერძოდ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ-სა“ და „მატიანე ქართლისაჲსაც“ და ამ წყაროებში აღწერილი მოვლენებიც, თუმცა ბევრი რამ თავისებურად არის გადამუშავებული, ახალი ფაქტებისა და დეტალების შემოტანით.

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია შემდეგი ადგილი: „ტფილისისა მკჳდრთა ეკლესიისა გებად იწყეს, რომლისა ნახევარსა ყ ო ვ ე ლ ი ე რ ი აშენებდა, და ნახევარსა ერთი ვინმე დედაკაცი“. (ქ. ც. I, გვ. 374).

ყველა სხვა შემთხვევაში კი სუმბატ დავითის-ძის მიხედვით „ერი“ არის ან სამხედრო ძალა — ლაშქარი, ან ის ფენა, საიდანაც დგება ეს ლაშქარი: „ხოლო ასამ და ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩოანს, და გარდაუქციეს ე რ ი ვეზანს, ერისთავსა ბაჰარ ჩუბინისსა, და ვეზან მოკლეს, და დაიპყრეს მათ კამბეჩოანი“ (გვ. 374). „ნათელ-სცა ერეკლე ვარაზ გაგელსა და ყ ო ვ ე ლ ს ა ე რ ს ა მისსა“ (გვ. 375).

არაბთაგან ლტოლვილი აშოტ კურაპალატი მიემართება საბერძნეთსა და თან ჰყავს მას დედა, ცოლი და ორნი ძენი... „და ე რ ი თ ჳ ს ი მცირედ ჰყვა თანა, მკჳდრნი მისნი, დედაწულითურთ და შვილითურთ“... ჯავახეთში მას დაესხა „დიდნი ლაშქარნი სარკინოზთანი. მაშინ შეეწია ღმერთი კურაპალატსა და კინესა მ ა ს ლ ა შ ქ ა რ ს ა მ ი ს ს ა მოსცა ძლევა მათ ზედა“ (გვ. 376).

ქვემოთ სუმბატ დავითის-ძე მოგვითხრობს: „და იყო ერთსა შინა ჟამსა, განვიდა აშოტ, რათამცა შეკრიბა ლაშქარი ბრძოლისათჳს სარკინოზთასა. მოვიდა იგი ადგილსა რომელსამე და განავლინა ლაშქრის მაწუეველნი. და ვიდრე არღარა შეკრებული იყო ლაშქარი იგი მისი მისთანა, დაესხნეს მას სარკინოზნი უცნაურად და აოტეს იგი. წარმოემართა და მოიწია ჯევსა ნიგალისასა და იწყო ძებნად ერისა, რათამცა ვითა განიმრავლა ლაშქარი თჳსი. და წარმოემართნეს მოსვლად მის წინაშე ეგინი, რომელთა მან უბრძანა, ხოლო იგინი მოვიდოდეს კლვად მისსა. მაშინ ვიდრე მოწევნადმდე მათდა კარად მისსა არა უწყოდა აშოტ ზაკუა მათი, და რაჟამს მოიწივნეს იგინი კარად მისსა, მაშინღა აგრძნა ზაკუა რაჲ-იგი ეგულივებოდა მათ. და არა ჰყვა მას ერი თჳსი თჳნიერ მცირედთასა. ვერ წინააღუდგებოდა იგი მათ. ამისთჳსცა შეივლტოდა აშოტ კურაპალატი ეკლესიად, და მოწყალეს იგი მახჳლითა საკურთხეველსა ზედა...

ხოლო ესმა რა ესე ამბავი ერსა მისსა, რომელნი-იგი იყვნეს დოლისყანასა, ვითარმედ მოიკლა უფალი იგი მათი აშოტ ჯელითა ოროზ-მოროზის ძეთათა... დევნა უყვეს მკვლელთა მათ უფლისა თჳსისათა, დაეწივნეს მათ სავანეს ზედა ჭოროხისასა, მოსრნეს იგინი ბოროტად“... (გვ. 377).

ამ ვრცელი ამონაწერებიდან აშკარად ჩანს „ერისა“ და „ლაშქრის“ იდენტურობა; ისიც, რომ ხდებოდა ლაშქრის „წვევა“ სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ პირთა მიერ (ლაშქრის მაწუეველნი“), ხოლო ლაშქრის თავმოყრას გარკვეული დრო ჭირდებოდა; ის საზოგადოებრივი ფენაც, რომლისაგანაც „ბრძანებით“ იწვევდნენ ლაშქარს, იყო სწორედ „ერი“. ამ უკანასკნელს შესაძლოა ორგულობაც გამოეჩინა „უფლის“ მიმართ (აშოტის მოკვლა), რასაც თან სდევს შეტაკება ერთგულ „ერთან“ და აშოტის მკვლელთა ამოწყვეტა.

სუმბატ დავითის-ძესთან სხვა შემთხვევაშიც იხსენიება „ერი“, როგორც ქართველ მეფე-დიდებულთა ლაშქარი: „და შეკრიბეს ლაშქარი ერთმანეთსა ზედა ერთ-კერძო გურგენ კურაპალატმან და ერთა მისთა, მეორე-კერძ ადარნასე ქართველთა შეფემან და ბაგრატ არტანუჯელმან...“ (გვ. 379).

თუ აქ ტექსტი დამახინჯებული არ არის, გამოდის, რომ ლაშქარს კრებენ გურგენ კურაპალატი და „ერნი“ მისნი. თუშცა უნდა იგულისხმებოდეს, რომ ერისაგან იკრიბება ლაშქარი.

მეტად საყურადღებოა ის ადგილი, სადაც „ერი“ იხსენიება როგორც „ქუეყნისა მკვიდრი“: „ხოლო მოავლინა მუნ პარკიმანოსმან იოვანე ხარტულარი, სახელითა ვალანგ, ლაშქრითა დიდძალითა, და თანა მოსცა მას ძე გურგენ კლარჯისა დემეტრე, რეცა შესატყუენელად ქუეყნისა მკვიდრთა, რომელი-ესე იქმნა ესრეთ. რამეთუ, მიიქცეს

ე რ ნ ი, სოფელნი უგუნურ-უსუსურნი ცნობითა და გონებითა“ (გვ. 386).

როგორც ვიცით, შესაბამის ადგილას „მატიანე ქართლისაჲ“-ში ჩანს არა „ერი“, არამედ „წურილი ერი“ დაპირისპირებით „უმრავლეს ერთან“.

აღსანიშნავია, რომ „ერი თჳსი“ ყავდა საეკლესიო ხელისუფალთაც: „ხოლო აღაშენა სიმაგრე საბა მტბევარ ეპისკოპოსმან, მახლობელად ტბეთის ეკლესიასა და სახელ-სდვა მას სუეტი. და შეკრიბა მაშინ მან ე რ ი თ ჳ ს ი და შევიდეს მას შინა თჳთ საბა მტბევარ ეპისკოპოსი, და ეზრა ანჩელ ეპისკოპოსი, და შავშეთის აზნაურნი, და განძლიერდა მას შინა“ (გვ. 386).

სუმბატ დავითის-ძის თხრობის თანახმად, საბა მტბევარი ეპისკოპოსი და მისი მომხრენი ბაგრატ IV-ის ინტერესებს გამოხატავდნენ და სწორედ მათ წინააღმდეგ იყო გამოგზავნილი პარკიმანოსის მიერ „იოვანე ხარტულარი სახელით ვალანგ, ლაშქრითა დიდითა“, დემეტრე კლარჯის თანხლებით, რაზედაც ადრე გვქონდა საუბარი.

რადგანაც ამ უკანასკნელთა მხარეზე გადავიდა „ერის“ გარკვეული ნაწილი, ხოლო „ერი თჳსი“ საბა მტბევარ ეპისკოპოსმა შეიყვანა სიმაგრეში, გამოდის, რომ შავშეთის მოსახლეობა გაყოფილი იყო ერთის მხრივ ბიზანტიელთა, ხოლო მეორეს მხრივ ბაგრატ IV-ის მომხრეებად. როგორც საფიქრებელია, ბიზანტიელებს, გარკვეული კლასობრივი მოტივებით მიემხრო „ერის“ დამცრობის გზაზე დამდგარი ნაწილი — „წვრილი ერი“[45].

სუმბატ დავითის-ძესთანაც „ერი“ უცხო ლაშქარსაც (თუ მოლაშქრე საზოგადოებასაც) ეწოდებოდა: „ხოლო ღმერთმან ბასილის დიდად შეშინებულსავე პატივ სცა, რამეთუ განუდგეს ქსიფენ წარვეზს, და ყ ო ვ ე ლ ნ ი ვ ე ე რ ნ ი მისად მიმდგომელნი შეიტყუენეს ციხესა შინა, შეიპყრეს და ბასილის წინაშე წარმოგზავნეს...“ (გვ. 383—384).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების განხილვას ჩვენთვის განსაკუთრებული ღირებულება აქვს იმ თვალსაზრისით, რომ ავტორი მიზნად ისახავს აგვიწეროს ჩვენი ქვეყნის ისტორიის შედარებით ხანმოკლე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი, როდესაც ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ძვრებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამავე დროს, ავტორი, მიუხედავად მისი განსწავლულობისა, ვფიქრობთ, ნაკლებად განიცდის გარეშე ზეგავლენას და მისი თხზულება სარკესავით ასახავს ეპოქას.

ზოგადად საქართველოს მოსახლეობის აღსანიშნავად დავითის ისტორიკოსი, როგორც წესი, ხმარობს ცნებას „მკჳდრნი ქვეყანისანი“:

---

[45] დაწვრილებით იხილე აქვე გვ. 49.

„მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვდრი ყოველი“ (გვ. 319), „იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვდრთა ქუეყანისათა“ (გვ. 320), „მზეებრ მიჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკვდრთა ქუეყანისათა“ (გვ. 329), „ზარი მისი განითქუა კიდეთა ქუეყანისათა, და განკრთეს ყოველნი მკვიდრნი ქუეყანისანი“ (გვ. 356).

რაც შეეხება ქვეყნის სამხედრო ძალას, იგი ამ თხზულებაში ძირითადად წარმოდგენილია ტერმინებით „სპა“, „ლაშქარი“, „მჴედარი“. ძეგლში ვხვდებით აგრეთვე ტერმინს „ერი“, მაგრამ გარდა ზოგადად ხალხის და კერძოდ ლაშქრის მნიშვნელობისა, დავითის ისტორიკოსთან ეს ტერმინი ახალ ნიუანსებსაც იძენს: „და რამეთუ არა სწორი არს ცოდვა მღდელისა და მჴედრისა, არცა ერისა და მღდელთ-მთავრისა, არცა მწყემსისა და სამწყოსა...“ (გვ. 327), „ამათ უკუე ესევითართა და დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრბა ერი მრავალი: რამეთუ სამეფოსა თჳსისა კათალიკოსი, მღვდელთ-მთავარნი, მეუდაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე მისსა...“ (იქვე), „უკეთუ არა, ვინ იყო ესოდენ მართლად აღმწონელ საქმეთა და მცნობელ ვითარებასა კაცისასა, რომლისა აჩრდილსა შეკრებულ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ჴელმწიფენი ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი...“ (გვ. 360).

როგორც ვხედავთ, აქ „ერი“ განზოგადებულად ხალხიცაა, საერო პირიც და საეკლესიო მოღვაწენიც.

დავითის ისტორიკოსთან „ერის“ ლაშქრის მნიშვნელობით ხმარების ადგილი შემდეგია: „და აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი, და ერწუხს ქმნნა წყობანი დიდნი და ჴმა-გასმენილი იგი დიდი ძლევა, რომელ მცირედითა ლაშქრითა და გ ა ნ წ ი ლ უ ლ ი თ ა ე რ ი თ ა დაჴოცნა სულტანისა იგი ურიცხუნი სპანი, ათაბაგი განძისა და უმრავლესი კახთა და ქ უ ე ყ ა ნ ი ს ა ე რ ი, მტერთავე თანა გარემოდგომილი ჩუენდა“ (გვ. 328). „ერი“ აქ ორგზის არის ნახსენები — მეფის ლაშქარი (სხვა წყაროების „ერი თჳსი“) და „ქუეყნისა ერი“, რომელიც ამჴერად მტრის ბანაკში იგულისხმება.

„ერის“ ლაშქრის მნიშვნელობით ხმარებას შემდგომი ხანის ძეგლებშიც ვხვდებით, მაგრამ სულ უფრო და უფრო იშვიათად. თამარის ისტორიკოსთან, მაგალითად, რუქნადინზე გამარჯვების გამო შემდეგია ნათქვამი: „განკჳრვებულ ვარ, თუ ვითარითა წყალობითა მოხედა სამკვდრებელსა თჳსსა ღმერთმან და ვარძიისა ღმრთისმშობელმან, ვითარ უვნებლად დაიცვა მის წინაშე და მისი შევედრებული ე რ ი ქართველთა და ეგრეთ წარმოვლენილი ე რ ი, რომელ ეგოდენისა სიმრავლისაგან არცა ერთი ვარგი, მეფისაგან შესწავლილი, კაცი მოკუდა, ვითარ ეგოდენი სიმრავლე სპისა მათისა ივლიტოდა და თუ ვითარ უვნებლად დაიცვა ს პ ა ნ ი თამარისნი“ (ქ. ც. II, გვ. 98). ეს სწორედ ის სპა (ანუ

„ერი“) იყო, რომელიც ლაშქრობაში გაგზავნამდე შეავედრა თამარმა ვარძიის ღმრთისმშობელს (გვ. 94—95). უფრო გვიანი დროის წყაროებში „ერის“ ლაშქრის მნიშვნელობით ხმარება უკვე გამონაკლისია. მაგალითად, ჟამთააღმწერელთან გვაქვს ასეთი ადგილი: „წარმოემართა ესე ჩოფან ე რ ი თ ა ურიცხვთა“ (გვ. 322).

აღსანიშნავია, რომ „ერი“ როგორც აქტიური, ცოცხალი საზოგადოებრივი ძალა, რომელიც უშუალოდ მეფესთან თუ ერისთავებთან ერთად მოქმედებს ან მათზეა დამოკიდებული წარმოგვიდგება X—XIII საუკუნეების ეპიგრაფიკაში. ამ მხრივ საყურადღებოა სამსარის ვანის ეკლესიის წარწერა: „აშენდა წმიდაჲ ესე ვანი ღმრთისმშობლის სამკჳდრე, ოდეს ქართველთა მეფემან, კურაპალატმან დავით და ე რ მ ა ნ ყ ო ვ ე ლ მ ა ნ ესე ვანი და კრებული შეგუიბრალა“[46]. უშუალოდ ერისთავებთან დაკავშირებული წარწერებიდან აღსანიშნავია ფოროთის მონასტრის სააღაპე წარწერის ფრაგმენტი: „ნებითა და შეწევნითა ღმრთისაითა დაიდვა აღაპი (?) აბაზ ერისთავისაჲ. გარდაიხდიდეს ჴელშეუვალად ე რ ი ს ი ო ნ ი ს ა ჲ“[47] გარკვეული „ქვეყნის“ ერი წარმოგვიდგება ს. ცხავატში მაცხოვრის ეკლესიაზე მოთავსებულ ფილის წარწერაშიც: „ხატო ღმრთაებისაო ადიდენ ე რ ი ც ხ ა ვ ა ტ ი და ინა კალატოზი. ამენ“[48].

ერი ერისთავთა გამგებლობაში მყოფ საზოგადოებად ჩანს X ს. წარწერაში სოფ. რგანიდან: „ქრისტე შეიწყალე აბუსერ ერისთავი და შვილნი მისნი და ყ ო ვ ე ლ ი ე რ ი მ ი ს ი“[49]. ერი ანალოგიურ კონტექსტში გვხვდება მოგვიანო ხანის (XIII ს.) წარწერაშიც სოფ. ᲚᲮᲕᲐᲕᲐᲓᲐᲜ (ამბროლაურის რ-ნი): „წმიდაო იოვანე, შეიწყალე ვახტანგ და გაბრიელ—ძე მისი, ყ ო ვ ე ლ ი ე რ ი მ ა თ ი“[50].

მოტანილი ეპიგრაფიკული მასალები ავსებენ ნარატიულ წყაროთა ჩვენებას „ერის“ შესახებ.

გ) ზოგადი დასკვნები

ზემოთ განხილული წყაროების მონაცემები მოწმობენ, რომ „ერი“ ლაშქრის ან მოლაშქრე საზოგადოების მნიშვნელობით ჯერ კიდევ ცოცხალი ტერმინია XIII საუკუნის ჩათვლით, მაგრამ მას ადრიდანვე

---

[46] ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 275.

[47] იქვე, გვ. 301.

[48] იქვე, გვ. 192.

[49] დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX—XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1979, გვ. 64.

[50] იქვე, გვ. 171.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდათან ენაცვლება ტერმინები „სპა“, „ლაშქარი“. უფრო მოგვიანებით „ერი“ ასეთი გაგებით მხოლოდ მთიანი რეგიონების საზოგადოების აღსანიშნავად იხმარება.

როგორც ჩანს, ლაშქრის მნიშვნელობით ტერმინი „ერის“ ხმარებიდან გამოსვლა დაკავშირებულია შესაბამის ფენის გადაშენებასთან: ნაწილი კნინდება, „წვრილ ერად“ იქცევა და შემდეგ ყმა-გლეხთა კატეგორიაში ექცევა, ნაწილი წინაურდება და აზნაურთა ფენს ავსებს. XI—XII სს. გაცხოველებულ საომარ მოქმედების პირობებში „ერის“ ნაწილი განაგრძობს არსებობას და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებაში. იგი ჯერ კიდევ შეადგენს ქართული ლაშქრის ძირითად კონტიგენტს — ყოველ შემთხვევაში სამეფო სპის დიდ ნაწილს, რომელიც ერისთავთა განმგებლობაშია. მაგრამ ამ წრის წარმომადგენლები თანდათან წყვეტენ კავშირს მეურნეობასთან (ე. ი. უკვე არიან არა „მდაბიორ-მოლაშქრენი“ არამედ პროფესიონალი მოლაშქრენი) და თუ არ ლაშქრობენ ან ვერ ლაშქრობენ, მეკობრეობას ეწევიან. ეს წრე ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების მოშლასთან და წარმატებულ საგარეო ლაშქრობათა შეწყვეტასთან ერთად ფაქტიურად განწირული ხდება და ისპობა კიდეც. თავის მხრივ, ფეოდალიზაციის პროცესში „ერის“ გადაშენება უნდა მივიჩნიოთ ქართულ ფეოდალურ სამხედრო ორგანიზაციის კრიზისად. დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმა — ყივჩაღთა გადმოსახლებით ძველი „ერის“ ხელოვნურად შექმნის წარმატებული ცდა იყო[51], მაგრამ საბოლოო ანგარიშში ვერც ამ ღონისძიებამ გაუძლო დროთა სვლას. მონღოლთა პირისპირ საქართველო ფაქტიურად ფეოდალურად დაქსაქსული აღმოჩნდა მხოლოდ მეფისა თუ ფეოდალთა განკარგულებაში მყოფი პროფესიონალ მოლაშქრეთა (მონა სპისა და იგივე მსახურთა თუ მინისტერიალთა) შედარებით მცირერიცხოვანი რაზმებით.

ამასთან კავშირში ჩვენ აქ არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ თამარის ისტორიკოსის მითითება, რომ საერთო კეთილდღეობის პირობებში „გააზნაურდეს ქუეყნისა მოქმედნი“ (ქ. ც. II, გვ. 34)., ანუ იგივე ძველი „ერის“ წარმომადგენელნი („მდაბიორ-მოლაშქრენი“) და, ცხადია, არა გლეხობა, რომელიც, როგორც არამოლაშქრე საზოგადოება, როგორც წესი, მოკლებული უნდა ყოფილიყო გააზნაურების საშუალებას. ამასთან, „ქუეყნისა მოქმედთა“ „გააზნაურობა“ ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ეს ეხებოდა ცალკეულ პირებს, არამედ ეს ნათქვამია ზოგადი მნიშვნელობით, სწორედ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ მოლაშქრეთა მხრივ მასობრივად მეურნეობასთან კავშირის

---

[51] შეადარე: ნ. ბერძენიშვილთან — ყივჩაღები „იგივე მდაბიორ-მოლაშქრეები ხდებოდნენ“, იხ: საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწყვეტისა და პროფესიონალ მოლაშქრედ გადაქცევის ზემოთ აღნიშნული პროცესის გამოსახატავად.

პროფესიონალ მოლაშქრეთა ფენის („სპათა") განმტკიცებასთან ერთად, რომელიც უკვე ზემოქმედებას ახდენს სახელმწიფო პოლიტიკაზე და თვით მეფეზე (მოითხოვს **საგარეო ლაშქრობებს, ერევა** თამარის ქმრის მოყვანის საქმეშიც კი და სხვა), ლაშქრის მნიშვნელოვან ნაწილს კვლავ შეადგენენ „ერისგანნი", „ჰეროვანნი", მხოლოდ ეს უკვე უპირატესად მთის მოსახლეობაა, რომელიც სამეფო ყმათა სახით ჯერ კიდევ არსებობს და ასრულებს ასეთ ფუნქციას მომავალშიც[52].

ზემოთ ჩვენს მიერ წყაროებიდან მოტანილი მასალა და მისი ანალიზი, ვფიქრობთ, უნდა დაგვეხმაროს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის — განვითარებული ფეოდალიზმის საფეხურზე გადასვლის თუ ბატონყმურ ურთიერთობათა დადგინების დროის გარკვევაში.

მართალია აღნიშნულ საკითხს არაერთი მხარე და ასპექტი აქვს, მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი მაინც არის თავისუფალ მწარმოებელთა ანუ ე. წ. „მდაბიორ-მოლაშქრეთა", ე. ი. წყაროების „ერის" დაყმევების ანუ გლეხად გადაქცევის პროცესი, და ამასთან დაკავშირებით მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის ზრდა.

როგორც აღინიშნა, დასმულ საკითხზე აზრთა დიდი სხვაობა არსებობს — ერთნი ამ მოვლენას VI—VIII—IX საუკუნეებით ათარიღებენ, სხვები კი XIV—XV საუკუნეებით, თუმცა ჩვენს ისტორიოგრაფიაში დაფუძნებული თვალსაზრისით ასეთი ტეხილს ქვეყნის ცხოვრებაში ძირითადად XI—XII—XIII საუკუნეებში ჰქონდა ადგილი.

პირველი თვალსაზრისის წარმომადგენელის ქ. ჩხატარაიშვილის უმთავრესი არგუმენტი, როგორც ეს ადრე უკვე ითქვა, არის თავისუფალ მწარმოებელთა ანუ „მდაბიორ-მოლაშქრეთა" მოუხსნებლობა XI—XIII სს. წყაროებში, რაც ამ ფენის ადრევე გაქრობას—გაგლეხებას უნდა მოასწავებდეს. ამასთან, ქ. ჩხატარაიშვილს მიაჩნია, რომ ფეოდალური ეპოქის მთელ სიგრძეზე საქართველოში ძირითად სამხედრო ძალას „მსახურნი" ანუ ევროპული მინისტერიალები შეადგენდნენ. უშუალო მწარმოებლები (გლეხები) სამხედრო საქმეში გვიან ხანამდე (XVII ს-მდე არ მონაწილეობდნენ).

ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი მასალები წყაროებიდან და ამ მასალაზე დამყარებული დაკვირვებანი მხარს არ უჭერენ ქ. ჩხატარაიშვილის არგუმენტაციას და მის დებულებებს.

გ. ჯამბურია და დ. მუსხელიშვილი სპეციალური ლიტერატურის

---

[52] საქართველოს მთაში არსებული „ერისა" თუ „ეროვანთა" შესახებ იხილე ჩვენი საგანგებო ნარკვევი, აქვე გვ. 69—86, 87—108.

განხილვას და წყაროების ანალიზს იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ VII საუკუნის შუახანებში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური ძვრების (ე. წ. „არჩილის რეფორმების") შედეგად IX საუკუნისთვის საქართველოში უკვე სახეზე იყო განვითარებული ფეოდალიზმის შესაბამისი სენიორალური სისტემა, მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის უპირატესობით და თავისუფლებადაკარგულ უშუალო მწარმოებელთა — მებეგრე გლეხების ექსპლოატაციით. ამავე დროს, ძირეული სხვაობაა აღნიშნული ამ პერიოდის ვითარებასა და V—VI საუკუნეებში არსებულ მდგომარეობას შორის, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვისაც საქართველოში გაბატონებული ყოფილა განვითარების ადრეფეოდალური სტადიისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ურთიერთობა (ადრეფეოდალური სენიორები), რომელიც უკვე გულისხმობდა მსხვილ ფეოდალურ მიწათმფლობელობასაც („შუშანიკის წამებაში" დახატული სურათი).

ამ მსჯელობაში „არჩილის რეფორმების" შედეგებთან ერთად (ბენეფიციუმის გადაქცევა ფეოდად), დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. ბაგრატ კურაპალატის სამართლის IX საუკუნისადმი მიკუთვნებას, სადაც მწარმოებელ საზოგადოებიდან მხოლოდ „გლეხი" ეხსენიება.

თავისთავად VIII ს. შუახანები, წყაროების (უპირატესად ჯუანშერის თხზულების) თანახმად, მართლაც წარმოადგენდა გარკვეული ოფიციალური ცვლილებების პერიოდს. რამაც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადო შეფასება მიიღო კიდევაც, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ძირეული გარდატეხას ამ დროს მაინც არ უნდა ჰქონოდა ადგილი, იმ შემთხვევაში, რომ დადასტურებულიყო ამ დროიდან თავისუფალ მწარმოებელთა ფენის, ე. წ. მდაბიორ-მოლაშქრეთა, ანუ ალოდიისტთა მეტ-ნაკლებად სრული გაგლეხება საქართველოს ბარში, მაშინ დამაჯერებელი იქნებოდა დებულება VIII—IX სს. განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობაზე გადასვლის შესახებაც, მაგრამ რამდენადაც ასეთი ფენა („ერის" სახით) ჯერ კიდევ არსებობს და განაგრძობს ფუნქციონირებას, როგორც ცოცხალი, აქტიური საზოგადოებრივი ძალა, ლაპარაკი ასეთ მკვეთრ ტეხილზე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაადრევად გვეჩვენება. ამდენად VIII—IX სს. ვითარებაც, ჩვენის აზრით, სავსებით თავისუფლად შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ადრეფეოდალური ურთიერთობა. ამასთან, ჩვენც საეჭვოდ გვეჩვენება ე. წ. ბაგრატის სამართლის IX საუკუნით დათარიღებაც. უფრო შესაძლებელია რომ ეს ძეგლი XI საუკუნეს მივაკუთვნოთ[53], თუმცა როგორც ცნობილია, ეს დათარიღებაც ეჭვს იწ-

---

[53] იხილე: ი. დ ო ლ ი ძ ე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 43—60; ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 625—628.

ვევს, რაც უსაფუძვლო არ არის[54]. რაც შეეხება წყაროებში ტერმინი „გლეხის“ ხმარებას და ამის მნიშვნელობას, ჩვენ სავსებით დამაჯერებლად მიგვაჩნია ამ საკითხზე ა. ბოგვერაძის მსჯელობა, რომლის თანახმადაც IX საუკუნიდან ტერმინი გლეხის შემოტანა საბუთებში სრულიადაც არ გულისხმობს თავისუფალ მწარმოებელთა არ არსებობასაც, თუმცა ეს უკანასკნელნი გარკვეულ ვალდებულებით დამოკიდებულებაში იმყოფებიან მათ „პატრონთაგან“[55].

ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ბუნებრივია, დიდი ხანია დასმულია საკითხი, თუ რა ტერმინი მიესადაგებოდა ადრეფეოდალურ ხანაში პირადად არათავისუფალ, დაბეგრილ მიწათმოქმედს, ამ მნიშვნელობით ხმარებაში „გლეხის“ შემოტანამდე. არსებულ მოსაზრებებზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით, მაგრამ ჩვენის მხრივ კი დავძენთ, რომ სავსებით შესაძლებელია ეს ტერმინი იყო ძველ ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში ხშირად ხმარებული „მუშა“ ან „მუშაკი“. მაგალითად, ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ამ სიტყვის მნიშვნელობის თვალის მიდევნება ეფრემ ასურის თხზულების „პირველი სწავლაჲ მონაზონთა მიმართ“ ადრეულ ქართულ თარგმანსა (Sin 97) და იგივე თხზულების ეფრემ მცირისეულ თარგმანში (A 673). ქვემოთ მოგვყავს შესაბამისი ადგილები ორივე თარგმანიდან*.

Sin. 97(ფ. 3V)

„...უკეთუ მდიდართაგანი არნ, მუნქუესვე პატივსა იძიებნ და თუ გლახაკთაგანი არნ, გ˜ნსუენებაჲ უნებნ და თუ მუშაკ არნ, მუნქუესვე ჯელთა ფუფუნეულად პყრობაჲ უნებნ.

...მუშაკთა შეურაცხყვის ქყ˜ნჲ...“

A 673 (ფ. 189 V)

„...ხოლო უკუეთუ მდიდარ არნ, მყის პატივსა ეძიებნ, ხოლო უკუეთუ გლახაკ — განსუ˜ნებისათჳს იკითხავ. და რომელი სოფელსა შინა მუშაკ ყოფილ არნ, აქა მსუქანეთა თითთა იმკობნ...

მიწის მშორმელთა მიწანი დაუტეობიან“*...

როგორც ვხედავთ, ორივე თარგმანში თავდაპირველად მიწისმოქმედის მნიშვნელობით (ბერძნული ტექსტის — ἐργάτης) ნახმარია ტერ-

---

[54] ი ლ. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, XI—XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980, გვ. 51—66; დ. ე ღ ე ნ ტ ი, იერუსალიმის ქართული მონასტრების ისტორიიდან, მაცნე, ისტორიის... სერია, თბ., 1983, № 2.

[55] ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 227—229. შეადარე მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველო XI—XII საუკუნეებში, თბ., 1970, გვ. 17—31.

* ეფრემ ასურისეულ ტექსტსა, მის ქართულ თარგმანებსა და ჩვენთვის საინტერესო ტერმინებთან დაკავშირებით საყურადღებო განმარტებისათვის მადლობას მოვახსენებ ლია ახობაძეს.

მინი მუშაკი, ხოლო ქვემოთ ანალოგიური მნიშვნელობით (γηπόνοι) ერთგან სახეზე ისევ „მუშაკია“, მეორეგან კი — „მიწის მშრომელი“. ამასთან, ტექსტიდან ისიც ირკვევა, რომ ასეთი საქმიანობა გამორიცხავს „ხელთა ფუფუნებით პყრობას“ ან „მსუქანეთა თითთა შემკობას“, ხოლო სრულიად მიუღებლად არის მიჩნეული, რომ „მუშაკთა შეურაცხვის ქყ¯ნ“ ან „მიწის მშრომელთა მიწანი დაუტეობიან“, რადგან ამათი საქმიანობა სწორედ მიწათმოქმედებაა და სხვა არაფერი (სხვა ძეგლების თანახმად — „ქუეყნის მოქმედება“, „ქუეყნის საქმე“, აქედანვე: „ქუეყნის მოქმედი“, „ქუეყნის მშრომელი“[56]). ამასთან კავშირში თუ გავიხსენებთ „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ გამოთქმას — „მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“, ცხადი უნდა იყოს, რომ „მუშაკი“, „მუშა“ ადრეეც და შემდგომი ტრადიციის მიხედვითაც, ზოგად მნიშვნელობასთან („მშრომელი“) ერთად, ძირითადად მიწის მუშას აღნიშნავდა, შეპირისპირებით მეომართან. ამდენად, ბუნებრივია, რომ „მუშა“, „მუშაკი“ თავიდანვე სწორედ პირადად დამოკიდებულ დაბეგრილ მიწის მოქმედს აღნიშნავდა, რომლის საქმიანობა არ გულისხმობდა სამხედრო ვალდებულებას, რაც, ჩანს, იმთავითვე „ერსგანის“, „ერისკაცის“ ფუნქციას შეადგენდა (შეადარე ვახუშტისთან: „მუშაობა“, „მუშაკნი გლეხნი“).

რაც შეეხება იმას, რომ თვით ტერმინი „ერი“ გარკვეული სოციალური ფენის მნიშვნელობით ადრე არ გვხვდება, გარდა ნარატიული ძეგლებისა, ეს უნდა აიხსნას ამ დროის დოკუმენტური მასალის თუ სამართლის ძეგლების ჩვენამდე მოუღწევლობით. ასეთი სოციალური ფენი კი რომ უთუოდ უნდა არსებულიყო, დასტურდება თუნდაც გვიანდელი ვითარებით მთაში, სადაც „ერი“, „ჰეროვანი“ დიდხანს განაგრძობს არსებობას, როგორც ცოცხალი საზოგადოებრივი ძალა (გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ მიხედვით ჰეროვანის სისხლი 1200 თეთრად ფასობდა). ანალოგიით ბარშიც ადრეულ ხანაში საგულვებელია „ერისგანთა“, „ერისკაცთა“ — ანუ ივივე „ყმათა“ — ფენის არსებობა (ივივე „ერი“), რომლის სოციალურად დამცროობილი ნაწილი გვაძლევს „წვრილ ერს“ და შემდეგ „გლეხობას“. ეს იყო სწორედ ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესის ბუნებრივი შედეგი.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით იმ მკვლევართა თვალსაზრისს, რომელთა დაკვირვებითაც ძირეული გარდატეხა საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ძირითადად ხდება XI—XII საუკუნეებში (ან თუნდაც ამაზე ცოტათი უფრო ადრეულ, თუ მოგვიანო ხა-

---

56 საყურადღებოა გიორგი მცირის განმარტება: „ბერძნულითა ენითა გიორგი მუშაკად||მუშად გამოითარგმნების“ (ძვ. ქართ. აგიოგრაფ. ლიტ. ძეგლები, II, 1967, გვ. 112).

ნებშიც). აქედანვე უნდა ვიგულისხმოთ ჩვენ განვითარებულ ფეოდალიზმის საფეხურზე გადასვლაც. მართალია, ჩვენი მტკიცებით, ამ დროს ჯერ კიდევ განაგრძობდა არსებობას თავისუფალ მოლაშქრე-მწარმოებელთა ფენაც („ერი"), რაც თითქოს უნდა ეწინააღმდეგებოდეს ასეთ თვალსაზრისს, მაგრამ საქმე ისაა, რომ XI—XII სს. განვითარებული ფეოდალიზმის ის საფეხურია, როდესაც ადრეფეოდალური ურთიერთობის შესაბამისი ძალები კი განაგრძობენ არსებობას და გარკვეულ როლსაც თამაშობენ ქვეყნის ცხოვრებაში (ქმნიან ლაშქრის ძირითად კონტინგენტს), მაგრამ ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავების პირობებში ეს ძალები განიცდიან გადაგვარებას, რითაც მზადდება საფუძველი ბატონყმობაზე, ანუ განვითარებული ფეოდალიზმის უფრო მაღალ საფეხურზე ასასვლელად.

ბატონყმობის გამარჯვებაზე ლაპარაკი ამაზე ადრე, მით უმეტეს VI—VIII—IX საუკუნეებში, ჩვენ უსაფუძვლოდ გვეჩვენება. საქმე ისაა, რომ ქვეყანაში ფეოდალიზმის განვითარების პირობებში ბრძოლა ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფეოდალურ ძალებს შორის დიდხანს ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა და ამდენად უკანასკნელთა საბოლოო გამარჯვებაზე ლაპარაკი მხოლოდ მას შემდეგ შეგვიძლია, რაც ფეოდალურმა დეცენტრალიზაციამ (სენიორალურმა სისტემამ შესაბამისი იმუნიტეტით) უკუქცევადი ხასიათი დაკარგა. მართალია, ერისთავ-დიდებულებმა არაერთგზის მოიპოვეს წარმატება (და ამაში თითქმის ყოველთვის საგარეო ფაქტორიც არსებით როლს თამაშობდა), მაგრამ იმის გამო, რომ ეს გამარჯვება საბოლოო არ იყო, არ შეიძლება ლაპარაკი ფეოდალიზაციის პროცესის დასრულებაზე. დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის დროს ცენტრალური ხელისუფლების შეტევა ფეოდალურ ძალებზე ამისი კარგი მაგალითია. ერისთავ-დიდებულები არაერთგზის კარგავენ იმ პოზიციებს, რომელსაც მოიპოვებენ სამამულო სისტემის და სახელოთა მემკვიდრეობით დასაკუთრებისათვის ბრძოლაში, მანამ საბოლოოდ არ მიაღწევენ თავის საწადელს („სათავადო")[57].

---

[57] ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით „ახალი ქართლის ცხოვრების" ცნობა, რომელიც XV—XVI სს. შეეხება და ასახავს საქართველოს საბოლოო დაშლის სურათს:

„და დაჯდა მის (კონსტანტინეს) წილად ძე მისი დავით.

აქა არღარა იცვალებოდა ერისთავნი და არც თავადნი, ყოველნივე ნევსა და სანახებსა და თემთა და ადგილთა მკჯდრ ქმნილიყვნენ, და, ვისცა მამულსა მისცემდა, მკჯდრად მიეცემოდა, და ყოველნივე ძლიერ იყვნეს: მთავარნი, ერისთავნი და თავადნი.

ხოლო ამა ალექსანდრესა და კოსტანტინესა ჟამში განდგნენ იმერელნი, ოდიშარნი და გურიელნი, და არღარა მორჩილებდა ათაბაგი, და განდგა კახეთი... არღარა შეეწივნენ მოსვლასა სპარსეთის ლაშქართა". (ქ. ც. II, გვ. 348).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდატეხის მაჩვენებელი საქართველოს სოციალურ ცხოვრებაში უნდა იყოს ბექა-ალბუღას სამართალში ასახული „ყმასა“ და „გლეხს“ შორის სხვაობის წაშლის ტენდენცია, „ერისგანისა“ და „მეომრის“ სემანტიკური დაცილება და დაპირისპირება, რაც „ერის“ დაშლაზე მეტყველებს („ერისგანს“ დაეკარგა მეომრის, ანუ მუდმივ მოლაშქრის ფუნქცია), ხოლო ამავე დროს გლეხის ინვენტარში „აბჯარის“ მოხსენიება. არსებითი როლი, ჩვენი აზრით, ამაში შეასრულა მოლაშქრე საზოგადოების გადაშენების პირობებში სალაშქრო ვალდებულების გლეხობისათვის დაკისრებამ, რაც მონღოლთა დროს ხდება (ქ. ც. II, გვ. 235) და მტკიცედ იკიდებს ფეხს ქართულ სინამდვილეში[58].

---

[58] იხილე: ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის..., „მაცნე“, ისტორიის... სერია, № 4, 1981, გვ. 121—124.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ნარატიული ძეგლების ცნება-ტერმინის „წურილი ერის“ გაგებისათვის

„წურილი ერი“ ერთ-ერთი ისეთი სოციალური ტერმინია, რომელიც საისტორიო წყაროებში არცთუ ხშირად გვხვდება, მაგრამ მისი არსის დადგენას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ფეოდალური ხანის საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების არსებით პრობლემებში გასარკვევად.

„წურილი ერი“ ქართულ ნარატიულ წყაროებში გვხვდება შედარებით იშვიათად სხვადასხვა დროის მოვლენათა ამსახველ კონტექსტებში: ჯუანშერთან, „მატიანე ქართლისაჲში“ და „ძეგლი ერისთავთაში“.

ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგ გორგასალის ბავშვობისას, როდესაც ქვეყანას (ქართლს) მისი დედა საგდუხტი მართავდა, უკანასკნელის მამის სპარსეთის მეფის მოხელის — „რანის ერისთავის“ ბარზაბოდის ბრძანებით ქართლში წარმოგზავნილი იქნენ ცეცხლის-მსახურნი, რათა გაევრცელებინათ აქ მაზდეანობა. ჯუანშერი წერს: „ხოლო ბინქარან, ეპისკოპოსი ცეცხლის-მსახურთა, ასწავებდა ქართველთა სჯულსა თჳსსა, არამედ არავინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, გარნა წ ურ ი ლ ი ე რ ი მიიქცა მრავალი ცეცხლის-მსახურებასა.

და შეერია ქართლს წ ურ ი ლ სა ე რ ს ა ცეცხლის მსახურება“[1].

ჯუანშერის გადმოცემით, ამით შეწუხებული საგდუხტ დედოფალი საბერძნეთიდან მოიყვანს მღვდელს მიქაელს და დასვამს ეპისკოპოსად „ზემოსა ეკლესიასა“: „და ესე მიქაელ ეპისკოპოსი წინააღუდგა ბინაქარან მაცთურსა, რამეთუ ასწავებდა ყ ო ვ ე ლ თ ა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა სჯულსა ჭეშმარიტსა. ამან იპყრნა სარწმუნოებასა ზედა ყ ო ვ ე ლ ნ ი წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ნ ი ქართლისანი და ე რ ი ც ა უ მ რ ა ვ ლ ე ს ი, არამედ მცირედნი ვინმე წ ურ ი ლ სა ე რ ი ს ა გ ა ნ ნ ი მიიქცეს ცეცხლის-მსახურებასა“[2].

„მატიანე ქართლისაჲ“ „წურილ ერს“ XI ს. მოვლენებთან დაკავშირებით იხსენიებს. ამ წყაროს მიხედვით, ბაგრატ IV-ის გამეფების

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 145 (ხაზი აქ ჩვენია, — ე. ხ.).

[2] იქვე.

შემდეგ მისი მოწინააღმდეგე ტაოელი აზნაურები — ვაჩე კარიჭისძის და ბანელი ეპისკოპოსის იოვანეს მეთაურობით—წავიდნენ საბერძნეთს. ერთი წლის შემდეგ კონსტანტინე კეისარმა „გამოგზავნა პარკიმანოზი ლაშქარითა ურიცხჳთა, მოვიდა და ჩამოდგა, და მოაოჴრნა იგივე ქუეყანანი, რომელნი ბასილი მეფესა მოეოჴრნეს“... შემდეგ მოვიდნენ თრიალეთს და შემოადგნენ კლდეკარის ციხეს, რომელიც მაშინ ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავს ჰქონდა. ციხე ვერ აიღეს და უკუიქცნენ. იმავე ხანებში ბერძენთა მხარეზე გადავიდნენ ჩანჩახ ფალელი და არჯევან ჰოლოლას-ძე, რომლებმაც გადასცეს მტერს თავისი ციხეები. მაგრამ ბაგრატს მომხრეებიც ჰყავდა: „რაჟამს იხილა საბა, მტბევარმან ეპისკოპოსმან, რომელ შავშეთს არღარა იყო სხუა ღონე, ააგო ციხე თავსა ზედა ტბეთისასა, დაიჭირა ქუეყანა შავშეთსა, ქმნა დიდი ერთგულობა ბაგრატ აფხაზთა მეფისათჳს. პატივ-სცა ღმერთმა და ვერ წარუღეს ქუეყანა მტერთა. რამეთუ მას ჟამს გაგზავნა პარიკმანოზმან და პროედროსმან იოვანე ბანელი ხარტულარი, წარიყვანა თანა ვალანგი ლაშქრითა დიდითა, და მისცა თანა დემეტრე კლარჯი, ძე სუმბატისი, რეცა შესატყუევნელად ქუეყანისა კაცთათჳს, და ამით მიზეზითა მოიქცეს მრავალნი კაცნი მის ქუეყნისანი წურილისა ერისაგან. შემოვიდა მასვე ციხესა შინა ეზრი ანჩელი, და რომელნი აზნაურნი გამოჩნდეს ერთგულად, შეუდგეს მასვე ციხესა და გამაგრდეს ფრიად“[3].

იგივე წყაროს თანახმად, შავშეთ-კლარჯეთში დიდ მღელვარებას ჰქონდა ადგილი: „და მათ ჟამთა ქუეყანათა ამათ შინა იქმნეს ბრძოლანი და შუღლნი და მი-და-მონი მრავალნი. და ვითარ დიდად იღელვებოდა ქუეყანა ესე, კუალადცა პატივ-სცა ღმერთმან ბაგრატს აფხაზთა და ქართველთა მეფესა“. კონსტანტინე კეისრის გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატის დედის მარიამის შუამდგომლობით, ბაგრატმა რომანოზ კეისრისაგან კურაპალატობა მიიღო და დაემოყვრა კიდეც კეისარს[4].

„ძეგლი ერისთავთაში“ „წურილი ერი“ სულ სხვა ეპოქაში და განსხვავებულ ვითარებაში არის მოხსენიებული. კერძოდ, ამ წყაროს თანახმად, არაგვის ხეობაში, ვიროელ ერისთავის ძის ქვენიფნეველის ერისთავობაში (XIV ს.) ცხავატელებსა და ცხრაძმისხეველებს შორის ბრძოლა მომხდარა, რომელიც შემდეგნაირად არის აღწერილი: „მაშინ ჩამოვიდეს ცხრავატელნი ჟამურს და მისცა ღმერთმან გამარჯვება გიორგის, ძმასა ერისთავისასა და გააქცივნეს აღმა მთისა სიმაღლესა. და

---

[3] ქართლის ცხოვრება I, გვ. 291—292.

[4] იქვე, გვ. 293—294.

ვითარცა აღვიდეს მთად, დაუდგეს წინა მამასახლისნი და აღარ სდევნეს, რამეთუ თქუეს: კმა არს ბრალი ესე, რამეთუ მომკუდარ იყო გარეშე წ ურ ი ლ ი ს ა ე რ ი ს ა იგ თავადი ჴევისპერი ცხავატელი...[5]

ბუნებრივია, რომ ცნება-ტერმინი „წურილი ერი“ იქცა საგანგებო დაკვირვების საგნად იმ ისტორიკოსთა მხრივ, რომელნიც იკვლევდნენ საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარების პროცესს.

ს. ჯანაშიას აზრით, „წურილი ერი“ არის „ერის“ — გვაროვნული წყობილების დროიდან მომდინარე საზოგადოების, თავისუფალ მეთემე-მოლაშქრეთა—სოციალური დამცრობის ანუ გაგლეხების გზაზე დამდგარი ნაწილი, ე. ი. „თავისუფალი სოფლის მოსახლეობა“, „რომელსაც ჯერ კიდევ შემონახული ჰქონდა თავისი გვაროვნულ-თემური უფლებების გარკვეული ნაწილი“. ერის დაშლის შედეგად ერთი მხრივ ივსება დაწინაურებული კლასის — აზნაურთა რიგები, ხოლო მეორეს მხრივ „ქვემოთ მიდის და უფლებებისაგან სულ უფრო და უფრო მეტად იძარცვება „ერის“ უმრავლესობა, რომელიც ქმნის ყმათა ფეოდალური კლასის ძირითად სარეზერვო სოციალურ მასას, წყაროებში „წვრილი ერის“ სახელწოდებით აღნიშნულს... „წვრილი ერი“ დიდხანს იბრძვის თავის ძველი უფლებების დასაცავად (მისი ნაშთები, „ჰეროვანთა“, „ერისგანთა“ და სხვ. სახელით, ქართ. ფეოდალიზმის კლასიკურ პერიოდშიც გვხვდება), მაგრამ, საბოლოოდ მარცხდება და ყალიბდება, როგორც ქართველ „ყმათა“ ძირითადი ფეოდალური კლასი“[6].

ს. ჯანაშიას მიხედვით, „მე-9 საუკ. დამდეგისათვის ფეოდალები ახერხებენ „წვრილი ერის“ გაალმასებული წინააღმდეგობების გატეხას. და გლეხური, კერძომესაკუთრული თუ სათემო, ადგილმამულების ძირითად ფონდების დატაცებას. „წვრილი ერის“ პიროვნული დათრგუნვისა და ყმობის უღელში შებმის პროცესი უფრო ნელა მიმდინარეობს, მაგრამ ისიც თანდათან, ხოლო განსაკუთრებით მე-10 საუკუნეში, მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს“[7]. მომდევნო ხანაში „ბატონყმური ურთიერთობის მთელს გლეხობაზე გავრცობის ტენდენცია იზრდებოდა და ძლიერდებოდა მე-12 საუკუნის მთელ სიგრძეზე. ფეოდალიზაციის პროცესი თანდათან იჭრებოდა უკვე მაღალმთიან რაიონებშიც“[8].

ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისით, „ერისგანი, წურილი ერი იგი-

---

[5] ქართული სიმართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის გამოც. თბ., 1965, გვ. 109.

[6] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 161; იხ. აგრეთვე: შრომები, II, გვ. 223.

[7] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, გვ. 421.

[8] იქვე, გვ. 430.

ვე მოლაშქრეა, მაგრამ აქ მარტო სახელების შეცვლასთან როდი გვაქვს საქმე: წვრილი ერი, ერისგანი ეკონომიურად მტკიცე საზოგადოებრივი ფენია და პოლიტიკურად უფლებამოსილი. ის ან სრულიად თავისუფალია ან საპატრონყმო ურთიერთობაში მყოფია (უფრო გვიან). მოლაშქრე ეკონომიურად და სოციალურ-პოლიტიკურად სავსებით დამოკიდებული და დამორჩილებული საზოგადოებრივი წრეა[9]..." „წვრილი ერი" მე-12—13 საუკუნეებისათვის უკვე თითქმის სავსებით გაქრობამდის იყო მოსული"[10].

„წვრილი ერის" ასეთი გაგება უთუოდ იმას ნიშნავს, რომ ეს იგივე ნ. ბერძენიშვილის „მდაბიორ—მოლაშქრეა", რომელსაც მკვლევარმა დიდი ადგილი დაუთმო თავის შრომებში, როგორც ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთ ძირითად საზოგადოებრივ ფენას, თუმცა წყაროების „ერის", „წვრილი ერის" ამ ფენასთან გაიგივება არ უცდია.

საყურადღებოა, რომ ნ. ბერძენიშვილს შენიშნული აქვს „მატიანე ქართლისაჲს" „წურილი ერის" ბიზანტიელთა მხარეზე გადასვლის ფაქტი და სვამს კითხვას — „ბასილ ბულგაროკტონის საგლეხო კანონებით და საერთოდ გლეხთა შედარებით მტკიცე მფარველობით ცენტრალური ხელისუფლების მიერ ხომ არ აიხსნება ის გარემოება, რომ წურილი ერი ბიზანტიის ორიენტაციას რჩებოდა???"[11]. ჩვენ არ ვიცით, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ნ. ბერძენიშვილი „წურილ ერში" გლეხობასაც გულისხმობდა. თითქოს მისი ზემოთ მოტანილი თვალსაზრისი ამას უნდა გამორიცხავდეს.

„მატიანე ქართლისაჲს" ცნობას „წურილი ერის" ბაგრატ IV-ის მოწინააღმდეგეთა ბანაკისადმი მიმხრობის შესახებ საგანგებოდ შეეხო ვ. კოპალიანი. მისი აზრით, „არ არსებობდა ამ დროს რაიმე ეკონომიური და პოლიტიკური საფუძველი, რომელიც ტაო-კლარჯეთის დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებს ბიზანტიისაკენ მიიზიდავდა" ...„მწარმოებელი, დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებისათვის სრულებით არ იყო ხელსაყრელი იგივე გზა, რომელსაც დიდი აზნაურები აღგნენ". ამასთან დაკავშირებით მკვლევარი აღნიშნავს: „კლარჯეთის ბაგრატიონებს თავიანთი სახელმწიფო ყმები „წურილისა ერისაგანი" ჰყავდათ, რომლებიც ბაგრატ IJI მიერ კლარჯეთის შემოერთების შემდეგ საქართველოს სამეფო ყმებად თუ გლეხებად უნდა ქცეულიყვნენ. მწარმოებელი საზოგადოების ამ წევრებთან უნდა გამოენახა საერთო ენა ბიზანტიის აგენტებს"... „დემეტრე კლარჯის მომხრე

---

[9] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VII, თბ., 1974, გვ. 73.

[10] იქვე, გვ. 70.

[11] იქვე, გვ. 71.

„წურილისა ერისაგანი“, რომელშიც ჩვენ პირობითად სახელმწიფო გლეხებს, იგივე „მდაბიორებს“ ვგულისხმობთ, იოანე აბუსერს ან მის მსგავსთ, მეფისადმი ერთგულთ, უნდა ემორჩილებოდნენ, მაგრამ ისინი, ვიღაცისადმი უკმაყოფილონი, ბიზანტიისა და დემეტრეს მხარეზე გამოდიან. მათი თანაკლასელები კი, მწარმოებელი საზოგადოების სხვა წევრები ასე როდი იქცევიან“... აქ იგულისხმება სუმბატ დავითისძესთან იგივე სიტუაციაში მოხსენიებული „ერი“, რომელიც საბა მტბევარ ეპისკოპოსის მხარეზე აღმოჩნდა. ვ. კოპალიანის აზრით, „საბა მტბევარ ეპისკოპოსის მიერ შეკრებილ „ერის“ წევრებში მწარმოებელი საზოგადოების წევრები უნდა იგულისხმებოდეს, რომლებმაც მტერთაგან მიუდგომელი გახადეს ციხე-სიმაგრე“.

ვ. კოპალიანი დაასკვნის: „ბიზანტიისა და დემეტრე კლარჯის მომხრე-მოწინააღმდეგეთა შესახებ სუმბატისა და „ქართლის მატიანის“ ავტორის ცნობები ყველაფრის გათვალისწინების შესაძლებლობას არ იძლევიან, მაგრამ ის კი ჩანს, რომ მწარმოებელი საზოგადოების ერთი და იგივე კლასის, მაგრამ შესაძლებელია სხვადასხვა კატეგორიის ხალხი ორად გაიყო: ერთი ნაწილი ბიზანტიას და დემეტრეს მიემხრო, ხოლო მეორე — თავდაცვის მომხრე ძალებს“... „მწარმოებელი საზოგადოების პოლიტიკური ბრძოლის ასეთი სხვადასხვა მიმართულება შესაძლებელია მათი განსხვავებული მდგომარეობით აიხსნას: ეს ორი ჯგუფი ცალ-ცალკე იმის წინააღმდეგ იბრძვის, ვინც მას აწუხებს: ბიზანტიისა და დემეტრეს მომხრეები საქართველოს სამეფო ხელისუფლებასა და მის მოხელე-ფეოდალებს გაურბიან, ხოლო საბა მტბევარისა და ეზრა ანჩელის მომხრენი — ვიღაც სხვას...

შავშეთ-კლარჯეთის „წურილი ერის“ აღნიშნული მოქმედების ასე ახსნა ჩვენ სრულიად კანონზომიერად გვეჩვენება და ორივე მხარის მოქმედებაში კლასობრივი ბრძოლის ნიშნებს ვხედავთ“...[12]

ამრიგად, ვ. კოპალიანის თანახმად, „წურილ ერსა“ და „ერში“ ერთი და იგივე კლასის — მწარმოებელი საზოგადოების — სხვადასხვა კატეგორიის ხალხი შეიძლება ვივარაუდოთ, რომელთაც სხვადასხვა კლასობრივი ინტერესები ამოძრავებს. ამავე დროს „წვრილი ერი“ იგივე „მდაბიორნი“ ანუ „პირობითად“ სახელმწიფო გლეხებია.

საგანგებო წერილი სათაურით: „გლეხთა 1028 წ. აჯანყება სამხრეთ საქართველოში“ — შავშეთ-კლარჯეთის მოვლენებს უძღვნა ვ. გაბაშვილმა. ავტორი სვამს კითხვას — „ვინ არიან 1028 წ. აჯანყების მონაწილენი?“ — და იქვე იძლევა პასუხს მასზე:

„XI ს. ქართველი ისტორიკოსები (სუმბატ დავითის ძეც და

---

[12] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წლებში, თბ., 1969, გვ. 159—162.

„ქართლის მატიანეს“ ავტორიც) აჯანყებულთა შორის გულისხმობენ არა მარტო „წვრილ ერს“ საზოგადოდ, არამედ გლეხობასაც“. უფრო ქვემოთ ვ. გაბაშვილი წერს: „წვრილ ერში“, როგორც ცნობილია, წარმოდგენილი იყვნენ დაბალი საზოგადოებრივი ფენები, მათ შორის გლეხები, წვრილი ვაჭრები, ხელოსნები მაგრამ ირკვევა, რომ XI ს. ქართველი ისტორიკოსის თვალსაწიერში უპირატესად გლეხობა იყო“.

წერილში ვხვდებით ასეთ დებულებებსაც: „მაშასადამე, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ 1028 წ. შავშეთ-კლარჯეთში ჩვენ საქმე გვაქვს გლეხთა აჯანყებასთან“... „აჯანყებულთა უმრავლესობას, უეჭველია, გლეხობა შეადგენდა, თუმცა მასში, ჩანს, მონაწილეობდნენ „წვრილი ერის“ სხვა ელემენტებიც“...

„როგორც ჩანს, გლეხთა აჯანყება სამხრეთ საქართველოს, განსაკუთრებით კი შავშეთ-კლარჯეთის, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. ამავე დროს მასში მონაწილეობდა „წვრილი ერის“ უმრავლესობა („მრავალნი კაცნი“), ე. ი. იგი ატარებდა მასობრივ ხასიათს“[13].

ვ. გაბაშვილის ძირითადი არგუმენტი „წურილი ერის“ გლეხობად გაგებისას არის ის, რომ სუმბატ დავითის-ძის თხზულებიდან მოტანილ ტექსტში: „რამეთუ მიიქცეს ერნი, სოფელნი უგუნურ-უსუსურნი ცნობითა და გონებით“ — „ერნი“ და სოფლის მოსახლეობა („სოფელნი“) ერთმანეთთანაა გაიგივებული, ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება (რა თქმა უნდა, აუცილებლივ გასათვალისწინებელია გადამწერის შესაძლებელი შეცდომა და „წვრილის“ და „ერის“ ერთმანეთისაგან დაცილება)“. ავტორის აზრით, „კიდევ უფრო კატეგორიული დასკვნის შესაძლებლობას იძლევა ტერმინი „სოფელნი“, რომელიც თავისი შინაარსით მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მოსახლეობას უკავშირდება. თუ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს გადამწერის შეცდომასთან (ყურადღებას იქცევს მისი ძველ-ქართულისათვის უჩვეულო, არაბუნებრივი ფორმა), მაშინ „სოფელნი“ შეიძლება წავიკითხოთ როგორც „მსოფლიონი“. იმ დროს „მსოფლიონი“ მხოლოდ გლეხს ნიშნავდა (გლეხისავე აღმნიშვნელი იყო „მდაბიო“, „მიწისმოქმედი“). ყოველ შემთხვევაშიც, „სოფელნიც“ და „მსოფლიონიც“ შინაარსობლივად ერთსა და იმავე ცნებას გამოხატავენ, ორსავე შემთხვევაში მხოლოდ სოფლის მოსახლეობაზე, გლეხობაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი“[14].

იგივე დასკვნამდე მიყავს ავტორი „მატიანე ქართლისაჲს“ „კაცნი“-ს და „გლეხის“ აზრობრივ გაიგივებას („კაცი“ ქართულ სინამდვილეშიც გლეხს ნიშნავდა).

---

[13] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, გლეხთა 1028 წ. აჯანყება სამხრეთ საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 235—236, 240.

[14] იქვე, გვ. 235—236.

ვ. გაბაშვილის თვალსაზრისით, სუმბატ დავითის-ძესთან „ერი“ აშკარად მწარმოებელი საზოგადოების, გლეხობის მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი“.

საყურადღებოა, რომ „ქართლის ცხოვრების“ გამომცემელი ს. ყაუხჩიშვილიც მის პუბლიკაციისადმი დართულ ლექსიკონში „წურილ ერს“ განმარტავს როგორც „მდაბიო ხალხი“, „გლეხობა“. ასევე ესმოდა ეს ტერმინი ივ. ჯავახიშვილსაც[15].

ამრიგად, „წურილ ერს“ არაერთი მკვლევარი შეეხო და ამ საზოგადოებრივ ფენის შესახებ საკმაოდ განსხვავებული მოსაზრებანიც იქნა გამოთქმული, რომელნიც ძირითადად შემდეგნაირად გვესახება: „წურილი ერი“ არის მწარმოებელი და მოლაშქრე საზოგადოება, რომელსაც შენარჩუნებული აქვს პირადი თავისუფლება, მაგრამ იგი თანდათან სოციალურ დაკნინებას განიცდის და გლეხთა კატეგორიას ავსებს (ს. ჯანაშია); ან ეს არის თავისუფლებას მოკლებული მწარმოებელთა ფართო ფენა — „სახელმწიფო გლეხები“ ანუ იგივე „მდაბიურები“ (ვ. კოპალიანი); და ბოლოს „წურილი ერი“ წარმოგვიდგება უშუალო მწარმოებელთა ფართო წრედ, რომელიც მოიცავს დაბალ საზოგადოებრივ ფენებს — უპირატესად გლეხობას, წვრილ ვაჭრებს, ხელოსნებს. „წვრილი ერის“ ბიზანტიელთა მხარეზე გადასვლა გაგებულია, როგორც გლეხთა აჯანყება (ვ. გაბაშვილი).

საკითხის გასარკვევად ჩვენ ქვემოთ შევეხებით ყველა ზემოთ მოტანილ წყაროს ცნობებს, სადაც „წურილი ერია“ მოხსენიებული, ერთობლიობაში განვიხილავთ მათ, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრების გათვალისწინებით.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ჯუანშერთან ჩვენთვის საინტერესო კონტექსტებში ქვეყნის მთელი მოსახლეობა აღინიშნება ცნებით „ყოველნი ქართველნი“. აქ იგულისხმებიან „ყოველნი წარჩინებულნი ქართლისანი და ერიცა უმრავლესი“, რომელნიც მიქაელ ეპისკოპოსმა „იპყრნა სარწმუნოებასა ზედა“, მაგრამ დარჩა მოსახლეობის ერთი ჯგუფი — „მცირედი ვინმე წურილისა ერისაგანი“, რომელნიც „მიიქცეს ცეცხლის მსახურებასა“. ამრიგად, „წურილი ერი“ კი შედის „ყოველთა ქართველთა“ ცნებაში, მაგრამ ამ შემთხვევაში უპირისპირდება „წარჩინებულებს“ და „უმრავლეს ერსაც“, თუმცა თვით ამ „ერის“ ნაწილად უნდა იქნეს გაგებული.

„მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით „წურილი ერი“ ნაწილია შავშეთ-კლარჯეთის მთელი მოსახლეობისა, რომელიც აქ ზოგადად აღი-

---

[15] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, წ. I, თბ., 1928, გვ. 37—38, მ ი ს ი ვ ე, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1948, გვ. 137.

ნიშნებოდა ცნებით „ქუეყანისა კაცნი“ — სწორედ ამათ „შესატყუვნელად“ წარმოგზავნეს ბიზანტიელებმა ჯართან ერთად დემეტრე კლარჯი. „და ამით მიზეზითა მოიქცეს მრავალნი კაცნი მის ქუეყანისანი წურილისა ერისაგან“ — მოგვითხრობს ისტორიკოსი.

სუმბატ დავითის ძესთან, რომელიც იგივე ფაქტებს აგვიწერს, „მატიანე ქართლისაჲს“ „ქუეყანისა კაცნი“ იგივე „ქუეყანისა მკვდრნია“, ამავე დროს, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ამავე წყაროს თანახმად, ბიზანტიელთა მხარეზე გადავიდნენ „ერნი“, სოფელნი უგუნურ-უსუსურნი“ — ე. ი. იგივე „მატიანის“ „კაცნი მის ქუეყანისანი წურილისა ერისაგანი“. აქედან ჩანს, რომ „ქუეყანისა კაცნი“, ანუ „ქუეყანისა მკვიდრნი“ იგივე „ერია“ ზოგადად, ხოლო მასვე გამოეყოფა რაღაც ნაწილი — „მატიანე ქართლისაჲს“ „კაცნი მის ქუეყანისანი წ ურ ი ლ ი ე რ ი ს ა გ ა ნ ი“, სუმბატ დავითის-ძესთან დახასიათებულნი როგორც „ერნი, ს ო ფ ე ლ ნ ი უ გ უ ნ უ რ-უ ს უ ს უ რ ნ ი“.

ამრიგად, „ერი“ ქვეყნის მოსახლეობის („ყოველთა ქართველთა“) ის ნაწილია, რომელიც წარჩინებულებს უპირისპირდება, მაგრამ ქვეყნის მკვიდრად, ე. ი. საზოგადოების უფლებამოსილ ნაწილად განიხილება. ეს არის სწორედ ადრეფეოდალური ხანის საქართველოს მწარმოებელი და მოლაშქრე საზოგადოება, რომელიც ჯერ კიდევ ქმნიდა საქვეყნო ლაშქრის ძირითად კონტინგენტს[16]. რაც შეეხება „წვრილ ერს“, იგი „ერის“ ის ნაწილია, რომელმაც გარკვეული სოციალური დაკნინება განიცადა, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაუკარგავს მისი უფლებრივი უპირატესობა — „მკვდრობა“, თუმცა განიხილება როგორც „სოფელნი“, თუ „მსოფლიონი“ ე. ი. უშუალო მწარმოებელნი, რომელთაც მდაბიურ-მოლაშქრის („ერის“) მდგომარეობიდან გლეხის მდგომარეობაში გადასვლის საფრთხე ემუქრება.

საქმე ისაა, რომ საკუთრივ გლეხთა ფენა ამ დროს, და ამაზე ბევრად ადრეც, უკვე არსებობდა[17], მაგრამ იგი ჯერ არ გვესახება როგორც

---

[16] დაწვრილებით იხ. ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა (ბ რ ო ს ე), ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის (ფეოდალური ლაშქრის სოციალური შედგენილობის შესახებ), „მაცნე“, ისტორიის... სერია, 4, 1982.

[17] ტერმინი „გლეხის“ ხმარებაზე ძველ ქართულ ძეგლებში და მის მნიშვნელობაზე იხ. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ლექსიკიდან, 3, გლეხი, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959, გვ. 167—175. იხ. აგრეთვე: Г. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 416—420, ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII სს., 1979, გვ. 218—230 (შეად. აქვე, გვ. 36-37).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი საზოგადოებრივი ძალაც, რომელმაც შეცვალა „ერი“. გლეხები პირადად თავისუფლებას მოკლებული, დაყმევებული და დაბეგრილი, იმ დროისათვის არამოლაშქრე საზოგადოებაა. „ერისაგან“ განსხვავებით ასე განიხილავენ „გლეხობას“ ქართული ნარატიული წყაროები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა იგივე ჯვანშერს ცნობა, რომლის თანახმად სპარსეთში ლაშქრობის დროს „პატივ-სცემდა ვახტანგს ყოველი ერი (ე. ი. ლაშქარი — ე. ხ.) სპარსეთისა ვითარცა ხუასროს, მეფესა მათსა, და მერმე წარემართნეს მტერთა ზედა“... „პირველად მივიდეს ჯორჯანეთს, და წარმოტყუენეს ჯორჯანეთი, და ყოვლად უმკჳდრო ყვეს. და დასხნეს ადგილსა მათსა ნათესავნი სპარსთანი. და მიერითგან იქმნნეს ჯორჯანნი გ ლ ე ხ ა დ, რომელნი აწ არიან მებეგრენი სპარსთანი“[18].

ცხადია, ამ შემთხვევაში „უმკვიდრო ყვეს“ არ ნიშნავს გაუკაცრიელებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯორჯანნი გლეხებად და სპარსთა მებეგრეებად ვერ გადაიქცეოდნენ.

მოტანილი ციტატიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: ჯორჯანეთი დაპყრობილი ქვეყანაა. მისი მოსახლეობა „წარტყუევნილი“ ანუ ტყვედქცეული, გაძარცული და „უმკჳდრო ქმნილია“, ან მოკლებულია მკვიდრობის უფლებას, ე. ი. მიწაზე უფლებას. ამის შედეგად იგი გლეხად და მებეგრედ არის გადაქცეული[19].

გლეხად გადაქცევა, გლეხად დასმა, დიდი სასჯელი იყო, რადგან როგორც წესი, ეს სოციალურ დამცრობას, უუფლებო, დაბეგრილ მდგომარეობაში მოხვედრას მოასწავებდა. ჩვეულებრივ ასეთებად აქცევდნენ მთლიანად დაპყრობილ მოსახლეობას ან ტყვეებს. ამ მხრივ საყურადღებოა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა: დავითმა „სულტანი დასუა მოხარკედ თჳსა... დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიყვანნა მეფენი, ხოლო მონად ჴელმწიფენი; მეტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დასხნა სპარსნი, ხოლო გ ლ ე ხ ა დ მთავარნი მათნი“[20].

როგორც ვხედავთ, „გლეხად დასმა“ ერთ-ერთი უკიდურესი სასჯელთაგანია, რაც მიგვანიშნებს გლეხის მდგომარეობის სიმძიმეზე.

ცხადია „წურილი ერი“ ჯერ კიდევ ამ მდგომარეობამდე არ იყო მისული. იგი ქმნიდა მხოლოდ „ყმათა ფეოდალური კლასის ძირითად სარეზერვო სოციალურ მასას“ (ს. ჯანაშია), თუმცა ბარში თავისი მდგომარეობის შენარჩუნება მას დიდხანს აღარ ეწერა.

---

[18] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 187.

[19] იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, თბ., 1979, გვ. 27—28.

[20] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 351.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ სხვა ვითარება გვაქვს ამ თვალსაზრისით „ძეგლი ერისთავთაში“. აქ მოხსენიებული „წურილი ერი“ იგივე „ერია“, რომელიც ჯერ კიდევ XIV საუკუნეში შეადგენს მთის მოსახლეობის ძირითად ფენას, 'მდაბიორ-მოლაშქრეთა საზოგადოებას, „ეროვანთა“ სახელით ცნობილს („ძეგლის დადება“). მართალია, „ძეგლი ერისთავთაც“ ერთდროულად ხმარობს „ერს“ და „წურილს ერს“, მაგრამ, ჩანს, ეს უკანასკნელი ტერმინი კონკრეტულ ვითარებაში არის ნახმარი, ცხავატელ „თავად ხევისბერებთან“ მიმართებაში, მათთან სხვაობის ხაზის გასასმელად.

„წურილი ერის“ ასეთი გაგების შუქზე „მატიანე ქართლისაჲს“ და სუმბატ დავითის-ძის ცნობები შავშეთ-კლარჯეთში მომხდარი მოვლენების შესახებ, მართალია, უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მოსახლეობის ფართო მასების გადასვლა ბიზანტიელთა მხარეზე, მაგრამ არა გლეხობისა, არამედ მდაბიორ-მოლაშქრეთა ანუ „ერის“ იმ ნაწილისა — „წურილი ერისა“, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებათა გამო არჩევს უცხო ძალას მიემხროს ქართულ ძლიერ ფეოდალურ სახელმწიფოს ძალაუფლების ქვეშ მოხვედრის შიშით.

კერძოდ, „წურილი ერის“ მოქმედება უნდა აიხსნას ქვეყანაში ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავებით, რომელიც ინტენსიურად მიმდინარეობდა და თავდაპირველად იწვევდა „ერისაგან“ „წურილი ერის“ გამოყოფას, ხოლო შემდგომ უკანასკნელის კიდევ უფრო მეტად დაკნინებას, ანუ გაგლეხებას. ბაგრატის ძალაუფლების ქვეშ მოხვედრა, ჩანს, ამ პროცესის ხელისშემწყობი ფაქტორი იყო (ქვეყნის ცენტრალიზაცია და ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნა, სათანადო იერარქიით), ხოლო შავშეთ-კლარჯეთის ძველ ხელისუფლებაში (რომელსაც დემეტრე კლარჯი განასახიერებდა) და ბიზანტიელთა ძალაში „წურილი ერი“ უთუოდ თავისი ძველი პოზიციების შენარჩუნების გარანტიას ხედავდა, რადგან ეს ძალები ბაგრატს უპირისპირდებოდნენ.

ნიშანდობლივია, რომ წყაროთა ჩვენებით, „წურილი ერი“ წარმოგვიდგება მერყევ სოციალურ წრედ, რომელიც ადვილად ექცევა მტრის, უცხო ძალის იდეოლოგიურ თუ პოლიტიკური გავლენის ქვეშ. ამას ადგილი ჰქონდა ჯუანშერის მიერ აღწერილ სიტუაციაში („წურილი ერის“ მოქცევა მაზდეანობის გავლენის ქვეშ) და „მატიანე ქართლისაჲს“ და სუმბატ დავისთის-ძესთან მოცემულ ვითარებაში („წურილი ერის“ გადასვლა ბიზანტიელთა მხარეზე). ყოველივე ეს, ცხადია, უნდა აიხსნას სწორედ ამ სოციალური ფენის არამტკიცე საზოგადოებრივი მდგომარეობით, ფეოდალიზაციის პროცესის შედეგად მისი სოციალური დაკნინებით, რასაც მისი გაგლეხება მოყვებოდა. ამ ფენის

მტრის მხარეზე გადასვლა, ბუნებრივია, იყო ამის საწინააღმდეგოდ პროტესტის გამოხატულება, თუ თავის გადარჩენის ცდა.

ჩვენთვის ძნელია დაბეჯითებით იმის თქმა — ვახტანგის ეპოქაში, რომელიც ჯუანშერთან არის ასახული და „მატიანე ქართლისაჲ“ ავტორის მიერ აღწერილ ვითარებაში — „წურილი ერი“ ერთნაირი მნიშვნელობის მქონე სოციალურ ძალას წარმოადგენდა, თუ ჯუანშერთან ჩვენ საქმე გვაქვს გვიანდელი ავტორის მიერ მის დროისათვის შემუშავებულ ცნების გამოყენებასთან ადრეული ხანის სიტუაციისადმი. „წურილი ერი“, როგორც „ერის“ დაშლის პროდუქტი ადრევე უნდა არსებულიყო, მაგრამ თვით ეს ცნება, შესაძლებელია, უფრო გვიანაც შექმნილიყო, როდესაც „ერის“ დაშლა-დაკნინების პროცესი უფრო ღრმად იყო წასული[21]. მაგრამ ეს არ ცვლის საქმის არსს, კერძოდ. წყაროების „წვრილი ერის“ ზემოთ მოტანილ გაგებას როგორც მდაბიურ-მოლაშქრეთა[22], ე. ი. „ერის“ ისეთი ნაწილისა, რომელიც სოციალური დაქვეითების, გაგლეხების გზაზე იყო დამდგარი.

---

[21] ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ს. ჯანაშიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ „წვრილი ერი“—„აშკარად კნინობითობის მნიშვნელობას ატარებს“, იგი „დაბალი“, „პატარა“ ხალხის აღსანიშნავად იხმარება (იხ. შრომები, ტ. I, გვ. 272). შეად. ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 204.

[22] „წვრილი ერის“ —მდაბიურთან“ თუ „მსოფლიოსთან“ მიმართების თვალსაზრისით საყურადღებოა ა. ბოგვერაძის დაკვირვება იმის შესახებ, რომ ადრეფეოდალურ ხანაში „მდაბიური“ იყო მეთემე მიწის მუშა, რომელიც მწარმოებელთა ძირითად კლასს ქმნიდა და აზნაურ-ფეოდალებზე სამიწო ურთიერთობით უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, თანაც უფრო თემობრივად, ვიდრე პიროვნულად, (ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 175—177).

ამავე დროს „მდაბიური“ თავდაპირველად შინაარსობრივად კი არ უდრის „გლეხს“, არამედ წარმოადგენს მის სოციალურ წინამორბედს (იქვე, გვ. 163, 217). რაც შეეხება „მსოფლიოს“ — ჩვენი აზრით, წყაროებში არ დასტურდება ამ ტერმინის ხმარება კონკრეტულად „გლეხის“ მნიშვნელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანეთის ადგილი ქართულ ფეოდალურ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში მთისა და გარის ურთიერთობის პროგლემის შუაგზე

სვანეთი, როგორც საქართველოს ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის მქონე კუთხე, ბუნებრივია, ადრეც იქცევდა მკვლევართა ყურადღებას. უკანასკნელი 3—4 ათეული წლის მანძილზე ეს კუთხე ინტენსიური ეთნოგრაფიული შესწავლის საგნადაც იქცა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერ არ არის შემუშავებული ერთიანი აზრი სვანეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარების მთელ რიგ არსებით საკითხებზე.

საქართველოს ისტორიის მკვლევართა ერთი ნაწილი ადრევე განიხილავდა სვანეთს, როგორც ქართული ფეოდალური სამყაროს ორგანულ ნაწილს, მასთან მჭიდროდ დაკავშირებულს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით (დ. ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია).

ამავე დროს, უკვე XIX საუკუნიდან იქმნებოდა სვანეთის შესახებ ეთნოგრაფიული ნაშრომები, იბეჭდებოდა ცალკეული წერილები, რომელნიც, ერთი მხრივ, ეკუთვნოდა ადგილობრივ დამკვირვებლებს — მხარეთმცოდნეებს თუ ეთნოგრაფებს (ბ. ნიჟარაძეს, ნ. ჩიმაკაძეს, ი. მარგიანს, უფრო მოგვიანებით ე. გაბლიანს და სხვებს) და, მეორე მხრივ, ამ კუთხით დაინტერესებულ რუს მკვლევარებს (ი. კოვალევსკის, ვ. ტეპცოვს, ე. კალვეიტს, ბ. დეგენ-კოვალევსკის და სხვ.).

აღსანიშნავია, რომ სვანეთის შესახებ შექმნილ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში იმთავითვე ყურადღება გამახვილებული იყო სვანეთის ყოფაში დადასტურებულ უძვ „გადმონაშთურ“ ელემენტებზე, რამაც შექმნა ამ კუთხეში გვაროვნული წყობილების „გახანგრძლივებული“, უწყვეტი არსებობის შთაბეჭდილება და შესაბამისი კონცეფციებიც.

ქართველ ეთნოგრაფთა (ვ. ბარდაველიძე, რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მ. გეგეშიძე და სხვ.) მიერ ჩატარებული საგანგებო კვლევის შედე-

---

* დაიბეჭდა კრებულში: „სვანეთი II, კომპლექსური შესწავლის მასალები“, თბ., 1979.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გად სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილი და განზოგადებული იქნა სვანეთის ეთნოგრაფიული ყოფის უძვირფასესი მასალა, და ამასთან, ბოლო მოეღო მცდარ შეხედულებას სვანეთში გვაროვნული წყობილების გახანგრძლივებული არსებობის შესახებ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქართველ ენათმეცნიერთა (ა. შანიძე, ვ. თოფურია, ს. ჟღენტი, მ. ქალდანი, ე. ონიანი და სხვ.) მიერ სვანური ენის, სვანური ტექსტების შესწავლის დარგში ჩატარებული მუშაობაც.

სვანეთის ისტორიული განვითარების შესწავლის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კუთხის ეკონომიკისა და კულტურის ცალკეული მხარეების, სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის ისტორიის (მ. ჩართოლანი, გ. ჯალაბაძე და სხვ.), ჩვეულებრივი სამართლის ნორმების (მ. კეკელია), ეპიგრაფიკის და დიპლომატიკური ხასიათს მასალის (მ. ბერძნიშვილი, ვ. სილოგავა) კვლევას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელოვნების ისტორიკოსთა — გ. ჩუბინაშვილის და მისი მოწაფეების (რ. შმერლინგი, თ. ვირსალაძე, ნ. ალადაშვილი, გ. ალიბეგაშვილი, ა. ვოლსკაია, რ. ყენია), თუ შ. ამირანაშვილის გამოკვლევები. საყურადღებო შედეგი გვაქვს, ერთის მხრივ, არქეოლოგიური მასალის (შ. ჩართოლანი), ხოლო მეორეს მხრივ XIX—XX საუკუნეების ისტორიული მოვლენების (ა. ჩარკვიანი, დ. ონიანი) კვლევაშიც.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ფეოდალური ხანის სვანეთი აქამდე უფრო ეთნოგრაფთა დაკვირვების საგანს წრმოადგენდა და ისტორიკოსთა მხრივ საგანგებო, მონოგრაფიული შესწავლის ობიექტად უკანასკნელ დრომდე არ გამხდარა (პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა ფეოდალური ხანის სვანეთზე არც თუ დიდი ხნის წინათ გამოაქვეყნა გ. გასვიანმა).

ცხადია ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ისტორიის მკვლევართ აქამდე არ ჰქონიათ ძირითადად სწორი შეხედულება სვანეთის წარსულზე.

ამჟამად ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა დეტალურად შევეხოთ სვანეთის შესახებ არსებულ მთელ ლიტერატურას — ისტორიულსა თუ ეთნოგრაფიულს, მაგრამ გვინდა მაინც გამოვყოთ ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას მოსაზრებანი და შევეხოთ აგრეთვე ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოთქმულ მეტად საყურადღებო დაკვირვებებს.

ივ. ჯავახიშვილს თავისი შეხედულება სვანეთზე მოკლედ, მაგრამ საკმაოდ მეტყველად, ჩამოყალიბებული აქვს „ქართველი ერის ისტორიის“ IV ტომში, სადაც საქართველოს სახელმწიფოს დაყოფის ეკონომიკური შედეგების განხილვისას წერს: „საქართველოს შემადგენელ ნაწილებს, როგორც, მაგ. მესხეთს და თვით ისეთ თითქოს მოწყვეტილს თემსაც კი როგორიც სვანეთი იყო, სრულიად საქართველოს სამეფო-

სამთავროებად დაყოფის გამო გაჭირვება დაადგათ. ბუნებრივი პირობების გამო, ოროგრაფიულ თვისებათა წყალობით, მესხეთიცა, მისი უდიდესი ნაწილი მაინც, და სვანეთიც დანარჩენ საქართველოსთან იყო ეკონომიკურად დაკავშირებული და ყველა ბუნებრივი სავაჭრო გზები მათ ქართლ-იმერეთისაკენ ჰქონდა და აქვს მიმართული... დაყოფის შემდგომ საქართველოს მეფე-მთავართა შორის ხშირი ურთიერთშორისი ბრძოლისა და მტრობის გამო ეს ბუნებრივი ეკონომიური კავშირი და ურთიერთობაც წამდაუწუმ სწყდებოდა და ჩვენი ქვეყნის წესიერ განვითარებას აფერხებდა, რაც ქონებრივად, რასაკვირველია, დამღუპველი იყო"[1].

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი სვანეთსა და მესხეთს — მის დიდ ნაწილს მაინც, ბუნებრივი პირობების თვალსაზრისით და ისტორიულ-ეკონომიკურად ერთ სიბრტყეზე განიხილავს, როგორც საქართველოს ერთიანი პოლიტიკურ-სამეურნეო ორგანიზმის განუყოფელ ორგანულ ნაწილებს.

ს. ჯანაშიას ნაშრომებში სვანეთს ფართო ადგილი აქვს დათმობილი. სვანეთი ს. ჯანაშიასათვის არა მარტო ქართული სამყაროს ორგანული ნაწილია, არამედ ის კუთხეცაა, რომლის ისტორიის მაგალითზე გარკვეულ პერიოდში დგინდება საქართველოს ისტორიული განვითარების კანონზომიერებანი.

ცნობილია ს. ჯანაშიასეული ანალიზი სტრაბონის ცნობისა ძვ. წ. II—I სს. სვანეთის შესახებ (300 კაცისაგან შემდგარი სატომო საბჭო, „ბაზილევსი" — ტომის ბელადი, თავისუფალ მეთემეთაგან შემდგარი ლაშქარი და სხვ.)[2].

ამ ცნობებს მკვლევარი იყენებს მთელ საქართველოში გვაროვნული წყობილების არსებობის საჩვენებლად და აღადგენს შესაბამის ინსტიტუტებს. ეს შეეხება საქართველოს შორეულ წარსულს. მართალია მომდევნო ხანის სვანეთის ისტორიაზე მსჯელობისას ს. ჯანაშია სარგებლობს გვიანდელი (XIX ს.) მონაცემებითაც, რომლებშიც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, აშკარად გამოკრთის გვაროვნული ორგანიზაციის სახე და პირველყოფილი მდგომარეობის კვალიც (შრომები, II, გვ. 123), მაგრამ იგი შორს იყო იმისაგან, რომ ბრმად მინდობოდა ამ ცნობებს, იგი წერდა: „მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ ახალი სვანური თემი გაქვავებულ პირველყოფილ გვარად წარმოგვედგინა. მას უკვე დიდი ცვლილებები ჰქონდა განცდილი. საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ მისი საძირკველი იყო გარღვეული: მოცემულ პერიოდში უძრავი ქონება აქ უკვე კერძო საკუთრების საგნად ითვლებოდა. სახნავ-სათესი,

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1948, გვ. 186.
[2] ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 117 და შემდ.

ტყე და საძოვარი ცალკე ოჯახებს ეკუთვნოდათ. მესაკუთრეს თავისი მამულის გასხვისების (მაგ., გაყიდვის მის მიერვე დანიშნულ ფასებში) უფლება ჰქონდა. გაყიდული მამული მყიდველის სამუდამო და სამემკვიდრეო საკუთრებად იქცეოდა. მაგრამ, ამ სფეროშიც მოქმედებდნენ შემზღუდველი წესები, რომელნიც თემურ საკუთრების ინსტიტუტიდან მომდინარეობდნენ...“ (შრ. II, 123).

„ამრიგად — დაასკვნის მკვლევარი — ჩვენ ვხედავთ, რომ სვანური თემიც, თავის შინაგანი განვითარების ძალით, საერთო გზას ადგა. აქაც საზოგადოების შიგნით ჩნდებოდნენ ძალები, რომელნიც ძველ ურთიერთობას ღრღნიდნენ და ახალს ნიადაგს უმზადებდნენ. მხოლოდ ბუნებრივი პირობების წყალობით, განვითარებას აქ უფრო ნელი ტემპი ახასიათებდა და ტრადიციებიც უფრო დიდხანს ინახავდნენ თავს. ბარის ტომებში ეს პროცესი ბევრად უფრო ადრე მოხდა...“ (იქვე, გვ. 124).

მაინც როდის ვარაუდობს ს. ჯანაშია სვანეთის საზოგადოების გამოსვლას გვაროვნული საფეხურიდან? საყურადღებოა, რომ უკვე სტრაბონის ცნობის ანალიზის დროს, რომელშიც იგი ხედავს გვაროვნულ წყობილებას, მკვლევარი იმთავითვე გულისხმობს საზოგადოებრივი პროგრესის საწყისებს. იგი წერს: „სვანეთში, ჩვენ ეს უკვე ვნახეთ, ჯ ე რ კ ი დ ე ვ (ხაზი ჩვენია. —ე. ხ.) ცოცხალია „მოსახლეობის თვითმოქმედი შეიარაღებული ორგანიზაცია“. საზოგადოებრივი ხელისუფლება ხალხისაგან გამოთიშული არ არის, და ამდენადვე სახელმწიფოც არ არსებობს. ცნობა „მეფის“ არსებობის შესახებ სვანეთში, თუ იგი გარეშე სახელმდებლის შეცდომას არ წარმოადგენს, შეიძლება მიუთითებდეს ტომის მეთაურის უფლებების ერთგვარ გაძლიერებაზე, და ამდენადვე, სახელმწიფოებრიობის მხოლოდ სუსტ ჩანასახებზე“ (იქვე, გვ. 156). ე. ი. გვაროვნული წყობილების რღვევის საწყისების არსებობა ს. ჯანაშიას უკვე სტრაბონის დროიდანვე (ე. ი. ძვ. წ. II—I საუკუნეებიდანვე) დასაშვებად მიაჩნია.

რაც შეეხება კუთხის შემდეგდროინდელი განვითარების ხაზს, იგი მკვლევარს სწორედ ფეოდალიზმის სახით ჰქონდა წარმოდგენილი (და არა მარტო სვანეთის რომელიმე ნაწილში, არამედ მთლიანად ამ კუთხეში). ამაზე აშკარად მეტყველებს მისი შენიშვნა ცნება — „უბატონო სვანეთთან“ დაკავშირებით: „თავის დროზე უბატონო სვანეთშიაც საკმაოდ მკაფიოდ ისახებოდა ფეოდალური ურთიერთობა, მაგრამ ამ კუთხის შემდეგდროინდელმა ეკონომიურმა ვითარებამ შეაჩერა ეს პროცესი. ამ საინტერესო მოვლენას შემდგომ განაკვეთებში ჩვენ უფრო დაწვრილებით შევეხებით“ — წერდა ს. ჯანაშია (იქვე 119, შენიშვნა).

სამწუხაროდ, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ავტორს აღარ მოუხდა ამ საკითხისადმი დაბრუნება. მაგრამ უაღრესად საყურადღებოა მისი დაკვირვებანი სვანურ სამყაროსთან დაკავშირებულ ზოგიერთ ტერმინზე — „ფუსთ“ და „ვარგზე“.

ორივე ამ ტერმინს მკვლევარი სემანტიკურად ფეოდალურ ურთიერთობათა სფეროში ათავსებს, კერძოდ, „ვარგზე“, წერს: „ტერმინი იმ სოციალური ეპოქის ძეგლია, როდესაც საზოგადოებაში ჯერ კიდევ ორი ძირითადი წოდებაა მხოლოდ წარმოდგენილი. ამრიგად, სვან. ვ ა რ გ უ დრის ქართულ აზნაურს მე-12 საუკუნის მნიშვნელობით. ასეთი ვითარება დამოწმებულია სვანეთის უძველესი ისტორიული დოკუმენტებით“ (შრომები, III, გვ. 135).

აქედან აშკარად ჩანს, რომ ს. ჯანაშია სავსებით გარკვევით მიუთითებს სვანეთში ფეოდალური ინსტიტუტების არსებობაზე, რაც ემყარება „სვანეთის უძველესი ისტორიული დოკუმენტების“ ანალიზს. აქედან და ადრე მოტანილი მსჯელობიდან ჩანს, რომ მკვლევარი უკვე 30-იან წლებშივე იცნობდა იმ საბუთებს, რომელნიც შემდგომ, 40-იან წლების დასაწყისში გამოქვეყნდა[3]. წინააღმდეგ შემთხვევაში, მარტო XIX ს. მასალების საფუძველზე, მკვლევარი, ცხადია ვერ გააკეთებდა იმ დასკვნებს, რომლებზედაც ზემოთ მიუთითეთ. მართალია ფეოდალური ხანის სვანეთის ისტორია ს. ჯანაშიას საგანგებოდ არ უკვლევია, მაგრამ იმ დროისათვის მის მიერ ნათქვამი მეტად მნიშვნელოვანია საკითხის დასმისა და შესწავლის თვალსაზრისით.

საერთოდ, ს. ჯანაშია არ თიშავდა ერთმანეთისაგან მთისა და ბარის ისტორიული განვითარების პროცესებს. მისი აზრით მთა ყოველთვის მხოლოდ „რამდენადმე ჩამორჩებოდა ბარს“ (შრომები, II, 119), განვითარების ძირითადი ხაზი კი, როგორც ეს კონკრეტულად სვანეთზედაც აქვს მას ნათქვამი — ერთნაირი იყო. არც გვაროვნული წყობილების ძლიერი გადმონაშთების არსებობა მიაჩნდა მას რაიმე დაბრკოლებად, რომ ესა თუ ის საზოგადოება კლასობრივად ვაღიაროთ — „იმიტომ, რომ — წერდა იგი — გვაროვნული წყობილების ნაშთებს ჩვენ ფეოდალურ საზოგადოების განვითარების მთელ სიგრძეზე ვხედავთ. ისინი კაპიტალისტურ საზოგადოებასაც კი გადმოჰყვებიან და ზოგჯერ ჩვენს დროშიც იჩენენ თავს, ბევრად უფრო შესუსტებული სახით, რა თქმა უნდა“ (შრომები, II 138). ამასთან, გვაროვნული წყობილების ნაშთები სრულებითაც არ იყო მხოლოდ მთისათვის დამახასიათებელი მოვლენა. როდესაც ლაპარაკობს გვაროვნული წყობილების ნაშთებზე საერთოდ ქართველ ტომებში, ს. ჯანაშია, ცხადია, პირველ რიგში, მთას გულისხმობს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ „ეს მოვლენები

---

[3] პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II; ტექსტები, თბ., 1941.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვხვდებოდა და ნაწილობრივ ეხლაც გვხვდება ბარშიც“ (შრომები, II, 116).

ნ. ბერძენიშვილმა სვანეთში 1964 წელს იმოგზაურა (ამ წელს მისი ხელმძღვანელობით მოეწყო ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საგანგებო ექსპედიცია, რომელსაც ამ კუთხის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლა ჰქონდა მიზნად დასახული). ამ დროს ეკუთვნის ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებანი სვანეთის განვითარების საკითხებზე, რომელნიც მან თავის დღიურებში და ექსპედიციის დამთავრების შემდეგ დაბეჭდილ საგაზეთო წერილში გამოთქვა. ამდენად, ნ. ბერძენიშვილის შეხედულებანი უშალოდ სვანეთში ექსპედიციის მუშაობისას მიღებულ შთაბეჭდილებებს წარმოადგენენ და შეიცავენ უაღრესად საყურადღებო დაკვირვებებს და დებულებებს. თუმცა თვით ნ. ბერძენიშვილს მიაჩნდა, რომ სვანეთის ისტორიის კარდინალური საკითხების კვლევა მომავლის საქმეა. განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია ის, რაც ნ. ბერძენიშვილმა დაბეჭდა ექსპედიციის დამთავრებისას და წარმოადგენს სვანეთის შესწავლის მიმართულებით მთელი მანამდელი მუშაობის კრიტიკულ შეფასებას და მომავალი კვლევის პერსპექტივების დასახვას.

„დღეს — წერდა ნ. ბერძენიშვილი — საჭიროა მეთოდოლოგიურად სწორი, დიდი კრიტიკული მუშაობის შესრულება, პირველწყაროთა, ძველის თუ ნაგვიანევის, მონაცემებისა და მეცნიერთა მონაპოვრების ყოველმხრივი კრიტიკის ცეცხლში გატარება და აგრე გამობრძმედილი მასალის ურთიერთისადმი შეწყობა-შეთანხმება.

თუ ეს არა, მეტისმეტად დიდია და თვალსაჩინო ის შეუთანხმებლობა, რომელიც საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ აყენებს ჩვენი ცოდნის სისწორეს სვანეთის ცხოვრების რიგი არსებითი მხარის შესახებ“.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, ერთმანეთთან შეუთავსებელია სვანეთის სამეურნეო-პოლიტიკური ცხოვრებისა და კულტურის დაწინაურება და, მეორეს მხრივ „ჩვენი ვითომცდა ცნობა-ცოდნანი სვანთა სამეურნეო კარჩაკეტილობისა და კულტურული ჩამორჩენილობის შესახებ“, სვანთა „პირველყოფილობის“ შესახებ. „დამეთანხმებით, — დაასკვნის ნ. ბერძენიშვილი, — საკითხის აგრე ღატოვება საბჭოური ისტორიოგრაფიისათვის შეუწყნარებელია და მისი შესაფერისი გამართვა ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის ღირსეული საქმეა“[4].

როგორც ვხედავთ, ნათქვამი არა მარტო კრიტიკულია, არამედ თვითკრიტიკულიც, რადგან, ნ. ბერძენიშვილი სულ სხვა შთაბეჭდილე-

---

[4] იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. V, თბ., 1971, გვ. 67—68.

ბით წამოვიდა სვანეთიდან, იმასთან შედარებით თუ რა განწყობით შეხვდა ეს ფეხი და თუნდაც შეადგინა თავის დღიურის დიდი ნაწილი.

მიუხედავად ამისა, ხსენებული დღიური, როგორც უკვე ითქვა, ჩვენთვის უაღრესად საყურადღებო დაკვირვებებს და დებულებებს შეიცავს და მას ამიერიდან გვერდს ვერ აუვლის საქართველოს ისტორიის, კერძოდ, მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხების მკვლევარი.

მაგრამ დღიურში მოცემული დასკვნითი დებულებანი, რომ „ფეოდალურმა ურთიერთობამ ვერ შეაღწია ამ ბედნიერ ქვეყანაში, მან მხოლოდ კიდეები მოაჭამა მას...“ და „იქ ან აღრეფეოდალური ურთიერთობა დამყარდა (ქვემო სვანეთი, სადადეშქელიანო სვანეთი), ან სამხედრო დემოკრატიას შემორჩა“, ჯერ კიდევ ძველი თვალსაზრისის გამოხატულებაა, და როგორც ამ კუთხის ჩამორჩენილობის, მისი „პირველყოფილობის“ აღიარება, ეწინააღმდეგება თვით ნ. ბერძენიშვილის მიერ ექსპედიციის დასასრულისათვის შემუშავებულ კრიტიკულ დამოკიდებულებას ასეთი შეფასებისადმი.

აქვე გვინდა მოკლედ შევჩერდეთ გ. გასვიანის მონოგრაფიზედაც, რომელიც, როგორც ითქვა, ფეოდალური ხანის სვანეთის ისტორიისადმი მიძღვნილი ერთადერთი სპეციალური ისტორიული ხასიათის ნაშრომია[5].

უნდა ითქვას, რომ ეს წიგნი მნიშვნელოვნად გვიადვილებს დღეს მსჯელობას ამ კუთხის ისტორიული განვითარების პროცესზე, ვინაიდან აქ დიდი გულმოდგინებითაა თავმოყრილი და გააზრებული სვანეთის შესახებ არსებული თითქმის ყველა წყარო — წერილობითი ძეგლები — ნარატიული, დოკუმენტური თუ ეპიგრაფიკული, . მატერიალური კულტურის ძეგლები, გადმოცემები და სხვა. კარგად იცნობს ავტორი საკითხის ისტორიოგრაფიასაც. ყოველივე ეს შესაძლებლობას აძლევს მას განიხილოს სვანეთის წარსული საერთო ქართული სამყაროს ისტორიის ფონზე, მასთან მჭიდრო კავშირში და დაადგინოს ამ კუთხეში სოციალური დიფერენციაციის სურათი, საგანგებოდ გააშუქოს მიწისმფლობელობის საკითხები, გლეხთა ბეგარა-ვალდებულებანი, იურიდიული ინსტიტუტები, ეკლესიის როლი და ადგილი კუთხის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში და სხვ.

გ. გასვიანის ძირითად ამოცანას შეადგენს აჩვენოს სვანეთის ცხოვრების მსგავსება საერთო ქართულ ფეოდალურ სამყაროს ცხოვრებასთან, რასაც იგი წარმატებით აღწევს.

არ შეიძლება ითქვას, რომ მას ავიწყდება სვანეთის სპეციფიკაც. მას ხშირად ხაზგასმულიც აქვს კუთხის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების თავისებურება, რაც ზღუდავდა და ამუხრუჭებდა ფეოდალური

---

[5] გ. გ ა ს ვ ი ა ნ ი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973.

ურთიერთობის განვითარებას (გვ. 60, 82), აღნიშნულია მიწის ფოსტის სიმცირე, რაც განაპირობებდა გაბატონებული წრის ხელში არსებულ სამამულო საკუთრების შეზღუდულობას. ავტორს პირდაპირ აქვს ნათქვამი, რომ ერთიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლის შემდეგ „სვანეთი ჩიხში ექცევა“, ფერხდება „ზრდადაუსრულებელი“ ფეოდალური ურთიერთობის შემდგომი განვითარება და სხვ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, სვანეთის ცხოვრების სპეციფიკური მხარეების ჩვენება შედარებით მკრთალად წარმოგვიდგება. ზოგი რამ საერთოდ სადავოც არის, რაც სავსებით ბუნებრივია ძალზე რთული პრობლემებისადმი მიძღვნილ ასეთ ნაშრომში.

* * *

საისტორიო წყაროების, უპირატესად ბიზანტიელი მწერლების მოწმობით, სვანეთი ადრევე შედიოდა დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო წარმონაქმნთა შემადგენლობაში — ლაზიკის, შემდეგ ეგრისაფხაზეთის სამეფოთა ფარგლებში და ჩაბმული იყო იმ პოლიტიკური მოვლენების ფერხულში, რომელთაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში ბიზანტია-ირანის მეტოქეობის პირობებში. ეს მოვლენები ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ არის გაშუქებული (რამდენადაც ამის საშუალებას წყაროები იძლევიან) და მათ აქ არ შევეხებით[6].

ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს იმდროინდელი სვანეთის საზოგადოების განვითარების დონე და მისი ადგილი საერთო ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ს. ჯანაშია სტრაბონის აღწერილობის მიხედვით სვანეთის საზოგადოებაში გვაროვნული წყობილების ყველა ნიშანდობლივ ატრიბუტს ხედავდა და, ამასთან, ამ საზოგადოების შიგნითვე იმთავითვე წინსვლის ელემენტებსაც ამჩნევდა — კერძოდ, ე. წ. „მეფის“ მოხსენებაში მკვლევარი გულისხმობდა ტომის მეთაურის უფლებების ერთგვარ გაძლიერებას და ამდენად უშვებდა სახელმწიფოებრიობის სუსტ ჩანასახსაც. ბუნებრივია, რომ შემდგომ ხანაში ეს ჩანასახი უფრო გაღვივდებოდა, ე. ი. გვაროვნული წყობილების დაშლის პროცესი ამ კუთხეში უნდა გაღრმავებულიყო.

ვ. ბარდაველიძეს ეკუთვნის მოსაზრება, დამყარებული სვანურ და უპირატესად კი აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის უძველესი რელიგიური რწმენებისა და რიტუალების ანალიზზე, რომლის

---

[6] იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1976, გვ. 159—188, 249—268.

თანახმად აქ ადრეკლასობრივი (ანუ განუვითარებელი კლასობრივი) საზოგადოება არსებობდა[7]. თუ გავითვალისწინებთ ასეთი საზოგადოების ბუნებას, ე. ი. სოციალური დიფერენციაციის და ექსპლოატაციის მარტივ ფორმებს და აგრეთვე იმასაც, რომ საზოგადოების ბუნებრივი განვითარება სწორედ მარტივი ფორმებით იწყება, სავსებით კანონზომიერად გვეჩვენება საქართველოს მთის საზოგადოებაში, და კერძოდ, სვანეთშიც ადრითგანვე გვაროვნული წყობილებიდან სწორედ ასეთი გარდამავალი ტიპის ადრეკლასობრივ საფეხურზე გადასვლა ვივარაუდოთ.

მაგრამ საკითხი დგას იმის შესახებ თუ კონკრეტულად როგორი ბუნებისა იყო ეს საზოგადოება. იყო იგი ნამდვილად ძველი აღმოსავლური ტიპისა და ატარებდა ცენტრალიზებული დესპოტიის ხასიათს (როგორც ეს ვ. ბარდაველიძეს მიაჩნდა), თუ აქ რაიმე სხვა საზოგადოებასთან გვაქვს საქმე?

ჩვენ საეჭვოდ გვეჩვენება, რომ საქართველოს მთის პირობებში, კერძოდ კი სვანეთში, ძველი აღმოსავლეთის სამყაროს ტიპის საზოგადოება განვითარებულიყო, მისთვის დამახასიათებელი ცენტრალიზებული დესპოტიით. მაგრამ ეს არ გამორიცხავს აქ ადრეკლასობრივი საზოგადოების დანახვის შესაძლებლობას, თუ ამ საზოგადოებას წარმოვიდგენთ როგორც განვითრებულ სამხედრო დემოკრატიას, მის უმაღლეს საფეხურზე, სადაც პატრიარქალური დესპოტიის (და არა აღმოსავლურის) ნაშთებიც შეიძლება გვქონდეს სხვა ატრიბუტებით (პატრიარქალური მონობა, მეთემეთა დამორჩილება ეთნიკურ-პოლიტიკური ერთეულის წინამძღოლისადმი და სხვ.).

საამისო საფუძველს გვაძლევს ისიც, რომ მთის სამეურნეო-ეკონომიკური პირობები და მეურნეობის წამყვანი დარგი — მესაქონლეობა მიწათმოქმედებასთან ერთად საკმარისი და შესაფერისი ნიადაგი იყო ასეთი საზოგადოების არსებობისათვის.

სხვა საკითხია, თუ როგორ წარიმართა მთის შემდგომი განვითარება — იყო თუ არა მთიან რაიონებში ყველგან ერთნაირი ბუნებრივ-სამეურნეო პირობები საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის, გარკვეულ დონეზე კი, კერძოდ, გვაროვნული წყობიდან ადრეკლასობრივზე გადასვლისათვის, ვფიქრობთ, საქართველოს მთაში მეტ-ნაკლებად ყველგან არსებობდა საამისო საფუძველი, რაც სათანადო არქეოლოგიური მონაცემებით (მთაში აღმოჩენილი ბრინჯაოს მაღალი კულტურით) სავსებით დასტურდება კიდეც.

ვ. ბარდაველიძეს საქართველოს მთის, და კერძოდ, სვანეთის ადრინდელი საზოგადოება სატაძრო თემებისა და თეოკრატიული ძალა-

---

[7] В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957. с. 11—15.

უფლების სახით აქვს წარმოდგენილი, რაც ემყარება კონკრეტულ ეთნოგრაფიულ მონაცემებს და ზოგადად ადრეკლასობრივი საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას[8].

მართლაც, სატაძრო თემი, თეოკრატიული ძალაუფლებით, სავსებით ბუნებრივად მოჩანს მთის ადრეკლასობრივი ურთიერთობის შესაბამის ორგანიზაციად, რომელიც გვაროვნული წყობილების შლის პირობებში სამხედრო დემოკრატიის უშუალო მემკვიდრედ შეიძლება წარმოგვიდგეს.

აღსანიშნავია, რომ ის რელიგიური რწმენები და რიტუალები, რომლებიც წარმოადგენენ საფუძველს მთის საზოგადოებაში ადრეკლასობრივი საფეხურის დასადგენად, მხოლოდ ასეთი მარტივი სტრუქტურის მქონე საზოგადოების წიაღში შეიძლება შექმნილიყო და არავითარ შემთხვევაში ფეოდალური სისტემის პროდუქტად არ შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ფეოდალიზმი, იმ საფეხურზე, როდესაც მას რეალურად უნდა მოეხდინა ზეგავლენა მთის საზოგადოებაზე, გაცილებით რთული და სრულყოფილი ურთიერთობა იყო.

ამავე მოტივით არაბუნებრივად გვეჩვენება აგრეთვე მთის საზოგადოების გვაროვნულიდან უშუალოდ ფეოდალურ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობაც, რადგან ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი შედარებით რთული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელნიც შესაბამისი ბაზისის გარეშე თავისთავად არ აღმოცენდებიან, მთაში ადრე გამორიცხულად გვეჩვენება, ხოლო გვიან მათი შეჭრა აქ მხოლოდ ბარის გავლენით შეიძლება აიხნას.

თუ გავითვალისწინებთ ადრეფეოდალური ხანის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სვანეთის მონაწილეობის შესახებ წყაროების მწირ მონაცემებს, უნდა ვიფიქროთ, რომ სვანეთს ეჭირა ისეთივე ადგილი, როგორიც ჩვენ ისტორიოგრაფიაში მიჩენილი აქვს აფშილების, აბაზგების და სანიგების ტომურ გაერთიანებათა საფუძველზე აღმოცენებულ ადრინდელ ეთნიკურ-პოლიტიკურ ერთეულებს („სამთავროებს“), რომელნიც ფორმალურად ლაზთა თუ ეგრისის მეფეებს ემორჩილებოდნენ — უხდიდნენ გადასახადს და ასრულებდნენ სამხედრო სამსახურს, ხოლო პერიოდულად, პოლიტიკურ თავისუფლებასაც აღწევდნენ[9].

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ სვანებს, წყაროების მიხედვით, ადრიდანვე ჰქონდათ თავისი ძლიერი გაერთიანება „ბასილევსით“ სათავეში, ხოლო მომდევნო პერიოდში იგივე ერთეული მნიშვნელოვან

---

[8] იქვე, გვ. 34, 39, 40 და შემდ.

[9] იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 161—180.

როლს თამაშობს დასავლეთ საქართველოში მომხდარ პოლიტიკურ მოვლენებში.

IV—V საუკუნეებში აბაზგების, აფშილების, სვანების, სკვიმნიალეჩხუმის ხელისუფალნი ლაზიკის მეფის ვასალები იყვნენ, მოძდევნო ხანაში კი იგივე ერთეულები „საერისთავოთა“ სახით წარმოგვიდგებიან. ვახუშტის თანახმად, ლეონ ერისთავთ მთავარმა ქვეყანა საერისთავოებად დაყო: ესენი იყო აფხაზეთის, ცხუმის, ეგრისის, გურიის, რაჭალეჩხუმის, სვანეთის, არგვეთის, ვაკე-იმერეთის საერისთავონი[10].

ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით „ლაზიკის პატრიკიოზი VII საუკუნისა, იმისი მოწმობაა, რომ ამ დროს ლაზიკას ჩამოცილებული არიან ყველა ძველი ქვეშევრდომი ქვეყნები (აბასგია-აფშილია, მისიმიანები, სვანია, სკვმნია), რომ ლაზიკა ისეთივე საერისთავო არის (პატრიკიოსი-ერისთავი), როგორც აბაზგია, სვანია, სკვმნია“[11].

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ აღებული ხანის (IV—IX სს.) სვანეთის შინაგანი სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა? ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ეს არის გარდამავალ საფეხურზე მდგომი საზოგადოება, სადაც ერთდროულად მოქმედებენ გვაროვნული წყობილების ძლიერი ელემენტები და ახალი საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც მთის პირობებში ჯერ სუსტად არიან წარმოდგენილნი, მაგრამ შინაგანი განვითარების ძალით და ბარის გავლენით თანადათან იკაფავენ გზას თეოკრატული ძალაუფლების წარმომადგენელთა — „მოხელეთა“ და თვით თემურ-პოლიტიკური გაერთიანების მეთაურის — „მეფის“, მთავრის თუ ერისთავის სახით. აქ საკმაოდ დიდხანს ძლიერი უნდა ყოფილიყო სახალხო კრების და მსგავს თემურ დაწესებულებათა როლი, რომელნიც არამც თუ მთიან სვანეთში, არამედ დასავლეთ საქართველოს ბარშიც — ეგრისში, VI საუკუნეშიც კი განაგრძობდნენ არსებობას გვაროვნული წყობილების გადმონაშთის სახით და საჭიროების შემთხვევაში გარკვეულ ფუნქციასაც ასრულებდნენ (მაგალითად, „სახალხო კრების“ მოწვევა ეგრისში ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის გასარკვევად)[12].

მაგრამ ამ დროს სვანეთშიც „თემი“ უკვე გვაროვნული წყობილების შესაბამის ინსტიტუტად აღარ ჩაითვლება. იგი სატაძრო თემის შინაარსით თანდათან ტერიტორიულ ანუ სასოფლო თემის სახეს იღებს და გარკვეულ ვალდებულებით დამოკიდებულებაშია როგორც ადგილობრივ ხელისუფალთა, ასევე ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების მიმართაც. ეს ვალდებულება განსაკუთრებით სამხედრო სამსახურში გამოიხატებოდა.

---

10 იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 419.

11 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 363.

12 იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, წ. I, გვ. 63.

ეს იყო სვანეთში იმთავითვე ფეოდალური ურთიერთობის შეჭრის პირობაც და გზაც.

სვანური თემის ასეთი გაგებისათვის ძალზე საინტერესოა დასავლეთ საქართველოს ბარშიც საკმაოდ მოგვიანო ხანაში თემის ანალოგიური ფუნქციის დადასტურება[13].

სვანეთში გვაროვნული წყობილებიდან კლასობრივ საზოგადოებაში გადასვლის გზის შესახებ არსებობს თვალსაზრისი (რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე), რომლის თანახმად: „XV ს-ის ბალსზემო სვანეთში სოციალური დიფერენციაციის პროცესი გარკვეულ სახეს ატარებს; ეს პროცესი, სვანეთის ამ ნაწილში, ისევე როგორც საქართველოს მაღალმთიანეთის სხვა რაიონებში, გულისხმობდა კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებასა და ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებას სოფლის თემის არსებობის პირობებში. მეთემეთა გაგლეხება ამ დროს საქართველოს მაღალი მთიანეთის ამ ნაწილში ეპიზოდურ და სპორადულ ხასიათს ატარებდა“[14]. ე. ი. სვანეთი მიდიოდა გვაროვნული წყობილების შლისა და ადრეფეოდალურ ურთიერთობათა ფორმირების გზით, მხოლოდ ეს პროცესი აქ წარმოიდგინება საკმაოდ გვიან, საქართველოს დაშლის დაწყების დროიდან (XIII—XV სს).

ამასთან დაკავშირებით ისმის ორი კითხვა — გამოირიცხება თუ არა აქ გვაროვნული საზოგადოებიდან კლასობრივ, ე. ი. ფეოდალურ საზოგადოებაში გადასვლისას გარკვეული შუალედი რგოლი — ადრეკლასობრივი, ანუ განუვითარებელი კლასობრივი საფეხური და მეორეც — გასარკვევია ამ პროცესის, ე. ი. ფეოდალიზაციის დროის საკითხიც.

შევეცდებით გავარკვიოთ პირველი საკითხი, რომელზედაც ნაწილობრივ ადრეც იყო ლაპარაკი. ცნობილია, რომ მონობა არის ექსპლოატაციის პირველი და ყველაზე უფრო მარტივი ფორმა. მარტივია მისი უმთავრესი და უპირველესი წყაროც (მონებად ტყვეების გადაქცევა) და განხორციელების საშუალებაც (უშუალო დამონება და იძულება — გარეეკონომიური იძულება). ამიტომ არის, რომ მონობას გარკვეული დროიდან ვხვდებით ყველა უძველეს საზოგადოებაში. ექსპლოატაციის ეს ფორმა ხდება ხელისშემწყობი დამორჩილების სხვა, უფრო მაღალი ფორმების განვითარებისათვის (თემების დაწინაურებული წევრების მიერ დანარჩენ მეთემეთა შემდგომი დამორჩილება, მონათმფლობელური ურთიერთობის კლასიკური ფორმის განვითარება და საბოლოო ანგარიშში ფეოდალურ ურთიერთობაზე გადასვლა მონათმფლობელური წყობის გავლის გზით, თუ მის გარეშე).

---

[13] იხ. თ. ბერაძე, სასოფლო თემი იმერეთის სამეფოში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, 81, № 1, 1976, გვ. 225—228.

[14] რ. ხარაძე, ა. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, გვ. 106.

ამდენად, ადრეკლასობრივი საზოგადოებრივი საფეხური, ე. ი. საზოგადოების განვითარების ის დონე, როდესაც მიმდინარეობს გვაროვნული წყობილების შლის ინტენსიური პროცესი და საზოგადოებრივ ძალთა ორ გამიჯნულ პოლუსზე დაჯგუფება—უშუალო მწარმოებელი ფენის (ამ შემთხვევაში ჯერ კიდევ მეთემეთა) ექსპლოატირებულ მასად გადაქცევა, ხოლო მეორეს მხრივ, ექსპლოატატორთა ფენის და მმართველი წრის გამოყოფა, რომლის მიზანი იყო საერო და სასულიერო ძალაუფლების და შესაბამისად სოციალური პრივილეგიების მითვისება — ბუნებრივი გზაა საზოგადოების განვითარებისა.

სასოფლო თემის არსებობის ადრიდანვე დაშვება, სწორედ ასეთი შუალედი რგოლის დამადასტურებელი უსდა იყოს (ცხადია, მისი გაიგივება ადრეფეოდალურ საზოგადოებასთან არ შეიძლება).

რაც შეეხება ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების — ე. ი. მთის რაიონების და, კერძოდ, სვანეთის ფეოდალურ სოციალურ-პოლიტიკური სისტემის სფეროში ორგანულად შემოსვლის დროის საკითხს, იგი უნდა განიხილოს ზოგადად ფეოდალური ხანის მთისა და ბარის ურთიერთობათა კანონზომიერების თვალსაზრისით.

ბარის მხრივ მთაზე პოლიტიკური და ერთდროულად იდეოლოგიური ზემოქმედების ხანა ეს არის ფეოდალიზაციისა და ქრისტიანობის გავრცელების ეპოქა. ეს პროცესი, დაწყებული ადრეფეოდალურ ხანაშივე, თავის კულმინაციას აღწევს ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის აღმავლობის, საქართველოს ერთიანი მონარქიის პოლიტიკური ძლიერების პერიოდში, ე. ი. XI—XII სს. სწორედ ამ ხანებში ხდება ფეოდალიზმის სფეროში სვანეთის ინტენსიური შემოყვანაც, რაც დასტურდება წერილობითი წყაროებით და მატერიალური კულტურის ძეგლებით.

უფრო ადრე კი, დასავლეთ საქართველოს შედარებით სუსტი სახელმწიფო წარმონაქმნები (ლაზიკის სამეფო, ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფო) და იმდროინდელი ეკონომიკური კავშირები ჯერ არ ქმნიდნენ ფეოდალურ ურთიერთობათა არეში სვანეთის მტკიცე შემოყვანის შესაძლებლობას. როგორც უკვე ითქვა, ადგილობრივ ეთნიკურ-პოლიტიკური წარმონაქმნები — სამთავროს თუ საერისთავოს სახით, საზოგადოებრივ-პოლიტიკურად გარდამავალ რგოლს შეადგენდნენ წინაფეოდალურიდან (შეიძლება ითქვას ადრეკლასობრივიდან) ფეოდალიზმზე გადასასვლელად. ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფო თავისი ბუნების გამო ჯერ ურიგდებოდა მასში შემავალი ერთეულების (და, კერძოდ, სვანეთის) სუსტ ცენტრალიზაციას, მაგრამ საქართველოს მტკიცე ერთიანმა ფეოდალურმა მონარქიამ სულ სხვა როლი შეასრულა ამ კუთხის ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანეთის სამეურნეო-კულტურული ცხოვრების შედარებით მაღალი დონე, რაც ქმნიდა პირობას სვანთა აქტიური და ფართო მონაწილეობისათვის მთლიანად საქართველოს სამეურნეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში (სვანების ბარად მუშაობა, რასაც აგრიკულტურის დარგში ტრადიციულად გამომუშავებული ჩვევები სჭირდებოდა, მოლაშქრეობა, რომელიც თავის მხრივ მოითხოვდა ეკონომიკურ საფუძველს, მატერიალურ სახსარს, შესაფერის საომარ აღჭურვილობით უზრუნველსაყოფად), სვანთა დაწინაურებული ფენის მეფის კარზე სამსახური და ამ გზით ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში ორგანულად შესისხლხორცება, ხდება საფუძველი სვანეთის საზოგადოებრივი წყობის დაახლოებისა ბარულთან. პრივილეგირებულ აზნაურთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენა სვანთა გვარებისა წარმოიქმნება როგორც ბარში, ასევე საკუთრივ სვანეთშიც, სადაც სულ უფრო და უფრო ღრმავდება სოციალური დიფერენციაცია (ბარში მეფის სამსახურში მოპოვებული საკარგავ-მამულები და ლაშქრობებში აღებული ალაფი საწინდარი ხდება ამ გზით დაწინაურებულ პირთა გვარების ადგილზე სოციალური აღზევებისა). თავდაპირველად უთუოდ სამეფო კარი ცდილობს სვანეთში თავის საყრდენად აქციოს სატაძრო თემი, რომელიც შემდგომ, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-პოლიტიკურ ორგანიზაციის ფორმა, თანდათან ადგილს უთმობს საერო ხელისუფალთ ერისთავისა და აზნაურთა სახით. ეკლესიების მშენებელი აზნაურების მომრავლება (XI საუკუნიდან განსაკუთრებით) და სხვა მოვლენები ამ სფეროში თვით ეკლესიის ფეოდალურ წესზე მოწყობის მაჩვენებელი იყო.

ერთი სიტყვით, აღებულ პერიოდში (XI—XII სს.) ყველა მონაცემი არსებობს იმის მტკიცებისათვის, რომ სვანეთი ორგანულადაა დაკავშირებული ბართან და მტკიცედაა შემოსული ქართულ ფეოდალურ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში.

მაგრამ, არ შეიძლება ისიც არ აღინიშნოს, რომ თუ კი ადგილობრივი ბუნებრივ-სამეურნეო პირობები და კულტურის დონე, ერთი მხრივ, ქმნიდნენ შესაძლებლობას აქ ფეოდალურ ურთიერთობათა მყარად ფეხის მოკიდებისათვის, მეორეს მხრივ იგივე პირობები არ იძლეოდნენ საშუალებას ფეოდალიზაციის პროცესის გასაღრმავებლად მხოლოდ ადგილობრივ ნიადაგზე. როგორც აღინიშნა, სვანთა წარჩინებული გვარების (ერისთავ-აზნაურთა) ძლიერების ძირითადი საფუძველი მეფის კარზე სამსახური და ბარში მოპოვებული საკარგავ-მამულებია. ადგილზე ფეოდალიზაციის გაღრმავება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად შეძლებდნენ უპირატესობისათვის მებრძოლი დაწინაურებული გვარები ურთიერთის წინააღმდეგობის დაძლევას და მწარმოებე-

ლი საზოგადოების სრულ დამორჩილებას (დაყმევებას). აქამდე კი, უნდა ვიფიქროთ, უშუალო მწარმოებელთა — გლეხთა ფენის დაყმევების, მათი მიწაზე მიჯაჭვის პროცესი შეზღუდული იყო და მხოლოდ ნაწილობრივ ხორციელდებოდა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული, XIII—XV საუკუნეების სვანურ დოკუმენტებში მოცემული ვითარების გათვალისწინებით, საფუძველს იძლევა აღებული ხანის (ე. ი. XI—XII სს.) სვანეთის საზოგადოება დავახასიათოთ როგორც ადრეფეოდალურ საფეხურზე მყარად შემდგარი ორგანული ნაწილი ქართული ფეოდლური სოციალურ-პოლიტიკური სისტემისა. იმ ვითარებას, რომელიც აქ შეიქმნა ამ სისტემის აღმავლობის პერიოდში (XI—XII სს). არ შეიძლება არ დაეჩქარებინა გვაროვნული წყობილების დროინდელი ინსტიტუტების საფუძვლიანი რღვევა და ფეოდალური წესების შემოღება. მხოლოდ ამ ნიადაგზე შეიძლება მოეძებნოს ახსნა იმ ისტორიულ-კულტურულ მოვლენებს, რომელნიც ესოდენ თვალში საცემია ამდროინდელი სვანეთის ცხოვრებაში (ეკლესიათა ინტენსიური მშენებლობა-შემკობა, ოქრომჭედლობა, საეკლესიო წიგნების გადაწერა, კავშირი საქართველოს გარეთ არსებულ ქართულ საეკლესიო-კულტურულ ცენტრებთან და სხვ.).

ამდენად ლაპარაკი ამხანად სვანეთში სამხედრო დემოკრატიის არსებობაზე, თუნდაც ადრეფეოდალურ საფეხურზე გადასვლის სტადიაზე, ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია.

ზემოთქმულთან კავშირში მოკლედ უნდა შევეხოთ სვანეთის ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან წყაროს — XIV—XV საუკუნეებით დათარიღებულ სვანურ საბუთებს. რადგან ეს წყარო სპეციალისტებისათვის კარგადაა ცნობილი, არ შევჩერდებით მათ შინაარსზე და შემოვიფარგლებით მათი ინტერპრეტაციით.

ამ საბუთებში ასახული ვითარების დამახასიათებელია სამი უმთავრესი მომენტი — პირველი ესაა „სვანეთის ერთობილი ჯვის“ ანუ „ერთობილის“ სიძლიერის ხაზგასმა, მეორეა—სვანეთის საზოგადოების დაწინაურებული თუ დაბალი ფენების ტაძრების გარშემო შემოკრება, მესამეა — სვანეთის საზოგადოების შიგნით საკმაოდ ღრმა სოციალური დიფერენციაციის კონსტატაცია, წოდებრივი სხვაობის (სისხლის განსხვავებული ფასის), მიწაზე კერძო საკუთრებისა და წოდებათა ბატონობა-მორჩილების მრავალმხრივი ფორმების დადასტურება.

იმ საფუძველზე, რომ ეს საბუთები XIV—XV საუკუნეებით არის დათარიღებული, არსებობს ცდუნება — „ერობილის“ როლის გაძლიერებაში დავინახოთ დაშლის გზაზე თითქოს ახლად შემდგარი თემის ბრძოლა ამ ტენდენციის წინააღმდეგ, ისევე როგორც კერძო საკუთრების და სოციალური დიფერენციაციის ფაქტები მივიჩნიოთ ამავე პრო-

ცესის საწყისის მაჩვენებლად. როგორც ვიცით, ჩვენს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში არსებობს ამ საბუთების ასეთი გაგება.

მაგრამ ვიფიქროთ, რომ თუ კი გავითვალისწინებთ ისტორიული განვითარების კანონზომიერებას და სვანეთის კონკრეტულ ვითარებას, ეს საბუთები ასეთი ინტერპრეტაციის საფუძველს არ იძლევიან.

ჩვენის აზრით, „ერთობილის“ მისწრაფება განმტკიცებისაკენ უნდა გავიგოთ არა როგორც მისი ბრძოლა თემის ახლადდაწყებული რღვევის წინააღმდეგ, არამედ უკვე საკმაოდ დარღვეული ერთობის აღდგენის ცდა ახალ ვითარებაში.

ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია ხაზგასმა იმისა, რომ ერთობილმა ონაშელებმა „ახლად სიმტკიცე“ მოინდომეს („...ოდეს მოგვინდა ჩუენ შიგან ახლად სიმტკიცეო“).

„საერთაპირო“ და „ქვეყნის სამაგრობელი“ დოკუმენტების შედგენა დაახლოებით ერთსა და იმავე დროს მოწმობს იმას, რომ ეს დაკავშირებული იყო სვანეთის ცხოვრებაში მომხდარ ძვრებთან. ეს სწორედ ის დროა, როდესაც საქართველოს ერთიანი სამეფო დაშლის გზაზე დგას, ბარი სუსტდება და ქვეყნის ცალკეული კუთხეები სეპარატისტული ტენდენციებით მოცულნი, ბედის ანაბარა რჩებიან და შექმნილ ვითარებაში შესაფერის ორგანიზაციას საჭიროებენ.

საყურადღებოა, რომ ასეთი ორგანიზაციის ფორმა „ერთობილის“ განმტკიცებაში გამოიხატება და „საერთპირო“ ხელშეკრულებანი და „ქვეყნის სამაგრობელი“ თავისებური საკანონმდებლო აქტების სახით ფორმდება, დაწინაურებული ფეოდალური საზოგადოების იმ წესების და დიპლომატიკური ხერხების გამოყენებით, რომელნიც აქ ადრევე შემოვიდა.

ქართული სახელმწიფოებრიობის დაცემის და ერთიანი სამეფოს დაშლილობის პირობებში, ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლიდან გამოსვლისა და ადგილობრივი დაწინაურებული ფენის უპირატესობის მასაზრდოებელ ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს — მეფის კარზე სამსახურის მოშლის, თუ საერთოდ ბართან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირის შესუსტების შედეგად სვანეთის საზოგადოებაში ადგილი აქვს მძაფრ დაპირისპირებას და ბრძოლას პრივილეგირებული ფენის შიგნით (აზნაურთა გვარებს შორის) ერთის მხრივ, და ამ უკანასკნელსა და მწარმოებელ საზოგადოებას შორის, მეორეს მხრივ.

როგორც ცნობილია, ზემოაღნიშნულ შინაკლასობრივ ბრძოლაში დიდხანს აზნაურთა ვერც ერთმა გვარმა ვერ მიაღწია გადამწყვეტ უპირატესობას, თუმცა არაერთი გვარი მთლიანადაც კი შეეწირა ამ ბრძოლას. ძალთა ასეთი წონასწორობის მიზეზი უთუოდ ფეოდალური ექსპლოატაციის პირობების შედარებითი შეზღუდულობა და ამ ნიადაგზე სოციალურ-პოლიტიკური უპირატესობის უზრუნველყოფის შეუძლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა იყო. ამავე დროს მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო თვით მწარმოებელი ფენის გააფთრებული წინააღმდეგობა გაბატონებული ფენის მიმართ. ამ დაპირისპირებისას თავის მხრივ მოსახლეობის ფართო ფენა ახდენს თვითორგანიზაციას ტაძრებს ირგვლივ, რასაც მოყვება თეოკრატიული ელემენტის როლის ზრდა სასოფლო თემის ფარგლებში, სატაძრო თემის ტრადიციების აღდგენა. შექმნილ ვითარებაში თავის ძალაუფლების რეალურ საფუძველსმოკლებული პრივილეგირებული ფენა (ვარგ-აზნაურები), რომელსაც არსებითად მხოლოდ ნომინალური წოდებრივი უპირატესობაღა შერჩა, ცდილობს სატაძრო თემში ჩაიგდოს ხელში მმართველობის და ძალაუფლების სადავეები და ამ გზით განამტკიცოს თავისი პოზიციები.

მაგრამ ამ მხრივ სვანეთში ყველგან და ყოველთვის ერთნაირი ვითარება აღარა გვაქვს. თანდათან თავს იჩენს სხვაობა სვანეთის სხვადასხვა ნაწილებში. თუ კი ბალსზემო სვანეთში ბოლომდე ვერ მოხერხდა საზოგადოებრივ ძალთა წონასწორობის დარღვევა და ამიტომ აქ სავსებით თავისებური ვითარება შეიქმნა, რაც გამოიხატა ნაწილობრივ ფეოდალური ნორმების შენარჩუნებასა და ნაწილობრივ ძველ სატაძრო თემის ტრადიციების აღდგენაში და მათ თანაარსებობაში, ბალსქვემო და ქვემო სვანეთს სხვა ბედი ეწია. პირველში დადეშქელიანების ფეოდალურმა გვარმა შეძლო უპირატესობის მოპოვება და გათავადება, ხოლო მეორე დადიანთა ხელში მოექცა. ამ გზით სვანეთის ეს ორი ნაწილი საბოლოოდ ქართულ ფეოდალურ ბატონყმურ სისტემაში აღმოჩნდა ჩართული. მხოლოდ ესაა ბარის მიერ მთის ათვისების მეორადი პროცესი, რომელიც დაკავშირებულია არა ძლიერი ქართული სახელმწიფოს მთაზე შეტევასთან, რასაც ადრე ჰქონდა ადგილი, არამედ გაძლიერებულ მთავარ-თავადთა (დადიანი, დადეშქელიანი) ექსპანსიასთან ფეოდალური შინაომების პირობებში.

მიუხედავად გვიანი ხანისათვის დამახასიათებელი კარჩაკეტილობისა და თავისებური სოციალურ-პოლიტიკური პირობებისა, სვანეთის საერთოდ, და კერძოდ ბალსზემო სვანეთის ეკონომიკური კავშირი ბართან კვლავ საკმაოდ ძლიერია და ეს კუთხეც ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების კანონზომიერებას ემორჩილება, განსაკუთრებით XIX ს. მეორე ნახევრიდან, როდესაც მთლიანად საქართველოში ირყევა ფეოდალური წყობილება.

ბოლო დროს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება გამახვილდა კავკასიის მთიელთა საზოგადოების ბუნების საკითხებზე თეორიულ ასპექტში. თუ ადრე ამ საზოგადოების მიმართ ზოგადად იხმარებოდა განსაზღვრებანი „ნახევრად-პატრიარქალური“, „ნახევრად-ფეოდალური“, დღეს მეცნიერთა ნაწილი მას ახასიათებს, როგორც

„მთური ფეოდალიზმს“[15], მეორეს მხრივ იმავე საზოგადოების ბუნების გამოსახატავად უფრო მისაღებად ითვლება ცნებები „წინაფეოდალური“, „პროტოფეოდალური“ — ნაცვლად „ადრეფეოდალურისა“[16].

ვფიქრობთ, კერძოდ სვანეთის საზოგადოების ბუნების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ კუთხის განსაკუთრებული, თავისებური მდგომარეობა და მისი ადგილი ქართულ ფეოდალურ სისტემაში ისტორიული განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე, რადგანაც, როგორც სამართლიანად შენიშნავს გ. მელიქიშვილი, „მთიელთა ყოველი ადრეკლასობრივი საზოგადოება ცალკე განხილვას საჭიროებს. ამ საზოგადოების განვითარების გზები სულაც არაა ერთგვარი, მათ შორის განსხვავებები საკმაოდ არსებითია. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება ჩვენ მომავალში მივაღწიოთ ფართო განზოგადოებებს და განვსაზღვროთ, თუ რა ადგილი უნდა მიეჩინოს ამ საზოგადოებებს ადრეკლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაში“[17].

ცხადია, იგივე პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე გვაქვს მთიელთა საზოგადოების ადრეკლასობრივიდან უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლასთან.

---

[15] იხ. ზ. ანჩაბაძე, ალ. რობაქიძე, კავკასიური მთური ფეოდალიზმის ბუნების საკითხისათვის, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XVIII, 1973, გვ. 116—121.

[16] გ. მელიქიშვილი, მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის კლასობრივი საზოგადოების ბუნების საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1976, გვ. 170.

[17] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძეგლი ერისთავთას“ ზოგიერთი რეალიის გაგებისათვის*

ქსნის ერისთავების საგვარეულო მატიანე — „ძეგლი ერისთავთა“ დიდი ხანია მკვლევართა შესწავლის საგანს წარმოადგენს. მან ჯერ კიდევ აკადემიკოს მარი ბროსეს ხელში გაიარა, რომელმაც გამოაქვეყნა კიდეც მისი ფრანგული თარგმანი[1]. შემდეგ ეს ძეგლი რამდენიმეჯერ გამოიცა: ქართულად — თ. ჟორდანიასა (პირის მიხედვით)[2] და შ. მესხიას (დედანი)[3] მიერ. რუსულად კი თარგმნა მ. ჯანაშვილმა (თ. ჟორდანიას პუბლიკაციის მიხედვით)[4] და საურმაგ კაკაბაძემ (დედნის მიხედვით)[5].

დასახელებულ პუბლიკაციებიდან უმრავლესობას ახლავს საათანადო გამოკვლევა და კომენტარები. გარდა ამისა, ამ ძეგლებზე საგანგებო წყაროთმცოდნეობითი ხასიათის დაკვირვებანი აქვთ ივ. ჯავახიშ-

---

* დაიბეჭდა კრებულში: „მრავალთავი (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი)“, VII, თბ., 1980.

[1] M. Brosset, Additions et éclarcissement à l'histoire de la Géorgie, SPb, 1851, pp. 372—385.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა... II, ტფ., 1847, გვ. 1—19.

[3] ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე). ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შოთა მესხიამ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, იხ. აგრეთვე: ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის გამოც., თბ., 1965, გვ. 102—117.

[4] М. Джанашвили, Известия грузинских летописей и историков о Северном Кавказе и России, СМОМПК, вып. 22, Тифл., 1897, იხ. აგრეთვე: «История Осетии в документах и материалах», составили Г. Д. Тогошвили и И. Н. Цховребов, I, Цхинвали, 1962, с. 85—100.

[5] С. С. Какабадзе, Хроника Ксанских эриставов начала XV в., Письменные памятники Востока, Историко-филологические исследования, 1968; აგრეთვე: Памятник эриставов, Перевод, исследование и примечания С. С. Какабадзе, Тб., 1979.

ვილს[6], ს. ჯანაშიას[7], ირ. სურგულაძეს[8], დ. გვრიტიშვილს[9], გ. მელიქიშ-ვილს[10], გ. თოგოშვილს[11], ჯ. გვასალიას[12] და სხვებს.

დასახელებული მკვლევარნი ძეგლს სხვადასხვა თვალსაზრისით უდგებოდნენ. ივ. ჯავახიშვილს მოცემული აქვს მისი ზოგადი შეფასება. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „უძველესი ხანის შესახებ მემატიანეს მცირედი ცნობები ჰქონია... რაც უფრო მემატიანე მოთხრობის უკანასკნელ ნაწილს უახლოვდება, თვით აღწერილობაც უფრო და უფრო ვრცელი და ცხოველი ხდება. აქ მოთხრობილის სიმართლის დამტკიცებაც სხვადასხვა საბუთებით შეიძლება...“[13].

ს. ჯანაშია ძეგლს იყენებს, როგორც ქართველ ტომთა სოციალური დიფერენციაციის პროცესის წარმოსადგენად უძვირფასეს „მერმინდელი ანალოგიების“ შემცველ წყაროს. ეს ანალოგიები, მკვლევარის სიტყვით, „საშუალებას გვაძლევენ თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ აღნიშნული პროცესის ზოგიერთი მეტად საყურადღებო მომენტი ცოცხალი ცხოვრების მასალაზე“.

ამავე დროს, მკვლევარი დაასკვნის, რომ ძეგლში წარმოდგენილი „მთელი ეს სურათი საკუთრივ ფეოდალურ სამყაროს ეკუთვნის და პირველ რიგში ამ სამყაროს განვითარებისათვის არის საინტერესო. მაგრამ მასში, ჯერ ერთი, უეჭველად არის უფრო ძველი ელემენტები, და გარდა ამისა. საანალოგიოდაც მას დიდი მნიშვნელობა აქვს“[14].

ირ. სურგულაძე ძეგლს იყენებდა ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემის გასაშუქებლად, რისთვისაც, მისი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძეგლის პირველი ნაწილი. „ძეგლის ამ ნაწილში, წერდა მკვლევარი, უძველესი ტრადიციის ცოცხალი ელემენტები არის დაცული, მაგრამ ეს ელემენტები განხილულია ნარატიულ ფორმაში, რომელიც ძეგლის შედგენის პერიოდისათვის

---

[6] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 264—267.

[7] ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 163—168.

[8] ირ. სურგულაძე, „ძეგლი ერისთავთა“ და მისი მნიშვნელობა საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის, ენიმკის მოამბე, XIII, 1943.

[9] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.

[10] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 404—406.

[11] გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამდეგამდე), სტალინირი, 1958, გვ. 210—220.

[12] ჯ. გვასალია, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967.

[13] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 266.

[14] ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 163—167.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ე. ი. XIV—XV სს.) დამახასიათებელ იდეებსა და წარმოდგენებში მიმდინარეობს"[15].

ირ. სურგულაძე ცალ-ცალკე განიხილავს, ერთის მხრივ, ცხრაძმისხევში საერისთავო ხელისუფლების წარმოშობას და ამაში პოლიტიკური ფორმის წარმოქმნის პროცესს ხედავს (სახელმწიფო ხელისუფლების არარსებობის პირობებში) და, მეორე მხრივ, როსტომ ქვენიფნეველის გაერისთავებას, როგორც სამეფო ხელისუფლების მიერ სანქციონირებელ აქტს. ამასთან, მკვლევარი საერთოდ ცხრაძმისხევის საზოგადოებას, მიუხედავად მასში დაწყებული კლასობრივი დიფერენციაციის მაჩვენებელი ფაქტებისა („დიდებულთა და აზნაურთა" მოხსენიება, ციხე-სიმაგრეების არსებობა, ცხრაძმისხევის ციხისთავსა და მის მამულზე მითითება და სხვა), გვაროვნული წყობილების ფარგლებში ათავსებს: „ცხრაძმისხეველთა საზოგადოება ამ პერიოდში მაინც ჯერ კიდევ საგვარეულო წყობილების ფარგლებს არ გასცილებია; იგი საკმაოდ მომწიფებულია ახალი საზოგადოებრივი წყობილების მისაღებად, მაგრამ ჯერ კიდევ საგვარეულო საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ ფორმებში მიმდინარეობს მისი არსებობა და საქმიანობა"[16].

დ. გვრიტიშვილი თვლის, რომ თუმცა ძეგლი ადრეული ხანისათვის (ე. ი. XIII—XIV სს. წინარე პერიოდისათვის) ნაკლებ სანდო და საეჭვო ცნობებს შეიცავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საერისთავოს არსებობას ქსნის ხეობაში ადრიდანვე გულისხმობს, რომელიც თავიდანვე, ე. ი. საერისთავოების წარმოქმნის დროიდანვე, შედიოდა ქართლის საერისთავოს თუ საერისთავთერისთავოს შემადგენლობაში[17].

შ. მესხია თვალსაზრისით: „XIV საუკუნე ქსნის საერისთავოს ჩამოყალიბებისა და გაფორმების საუკუნეა". ამდენად, მკვლევარი ძეგლში, კერძოდ კი მის დასაწყის ნაწილშიც, გადმოცემულ ისტორიულ რეალიებს ამ ეპოქას განაკუთვნებს[18].

საურმაგ კაკაბაძე, რომელსაც მიაჩნია, რომ ძეგლის პირველი ნაწილისადმი ზედმეტი კრიტიკული დამოკიდებულება არ არის გამართლებული, თვითონ ძეგლის დასაწყისში მოთხრობილ ამბებს მიაკუთვნებს არა VI საუკუნეს (ე. ი. იუსტინიანეს ეპოქას), არამედ IX საუკუნეს, ვინაიდან აქ მოხსენიებულ ადარნასეში და დავით ბაგრატიონში რეალურად ხედავს დავით კურაპალატსა და მის შვილს ადარნასეს[19].

---

[15] ირ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 220.
[16] იქვე, გვ. 223.
[17] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 57, 68.
[18] შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 316.
[19] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 107—109.

ჯ. გვასალიას ძეგლის პირველ ნაწილში მოთხრობილი მოვლენები მიაჩნია ადრეფეოდალურ ხანაში ცხრაძმისხევის აღზევების ანარეკლად. მისი აზრით, „ქრონიკის ავტორი ზეპირ გადმოცემაში დაცულ ცხრაძმის ხელისუფლის (ხევისუფლის? ციხისთავის?) გაძლიერებაში უცხო ძალის მხარდაჭერის შესახებ (ერისთავთა განდიდების მიზნით), გარდაქმნის ცხრაძმის მმართველისათვის ერისთავთერისთავის ტიტულის ბოძებად“[20].

უცხო ძალაში ავტორი ბიზანტია-ირანის აგრესიას გულისხმობს, რომელიც ხელს უწყობდა ერისთავთა გაძლიერებას და მათ მიერ ხელისუფლების სამემკვიდრეოდ დამკვიდრებას, ე. ი. ავტორი ძეგლის ამ ნაწილში ხედავს ადრეფეოდალური ხანის რეალური ვითარების ანარეკლს, თუმცა იმთავითვე აქ ერისთავობის ინსტიტუტის არსებობას არ გულისხმობს.

როგორც ვხედავთ, ძეგლის შესახებ, კერძოდ მის პირველ ნაწილში ასახული ვითარების დროისა და ფაქტების სანდოობის საკითხებზე, არ არსებობს ერთიანი თვალსაზრისი და მით უმეტეს არა გვაქვს ძეგლის საფუძვლიანი წყაროთმცოდნეობითი ნარკვევი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში დედნის მიხედვით შ. მესხიას მიერ განხორციელებულ პუბლიკაციისადმი და საურმაგ კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებულ რუსულ თარგმანისადმი დართულ ვრცელ არქეოგრაფიულ აღწერილობებს, ძეგლის ავტორისა და დაწერის დროის დადგენილ და ცალკეულ ადგილების კომენტარებს.

უნდა ითქვას, რომ ძეგლი საკმაოდ რთული შედგენილობისა და ხასიათისაა და არც ჩვენ გვაქვს პრეტენზია გავარკვიოთ მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ამჯერად ჩვენს ამოცანას შეადგენს კონკრეტულად განვიხილოთ ძეგლის დასაწყისი ნაწილი, სადაც მოთხრობილია ცხრაძმისხევში ქვენიფნეველთა გვარის დამკვიდრებისა და ერისთავობის მიღების ამბავი, გავარკვიოთ ამ ფაქტების ქრონოლოგია და რეალური პირობები. „ძეგლი ერისთავთა“ ქსნის ხეობაში, უფრო ზუსტად კი ცხრაძმისხევში, ქსნის ერისთავთა საგვარეულოს საფუძვლის ჩამყრელ — ოსეთიდან გადმოსულ სამეფო გვარის უმცროსი შტოს წარმომადგენელთა — როსტომ, ბიბილა და წითლისანის აქ დამკვიდრებას იუსტინიანე კეისრის ეპოქას, ე. ი. VI საუკუნეს განაკუთვნებს, და, ამდენად, ქვენიფნეველთა საგვარეულოს დასაწყისს და ერისთავთა ინსტიტუტის შემოღებას ამ მხარეში ამ დროიდან გულისხმობს.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ოსური, წარმოშობის სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელთა გადმოსვლა და დამკვიდრება ქსნის ხეობის ზემო წელში არ არის საგულვებელი უადრეს XIII ს. მე-

---

[20] ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

ორე ნახევრის და XIV ს. დასაწყისისა[21]. ამაზე ადრე აქ არც ცალკე საერისთავოს და ერისთავთა ინსტიტუტის არსებობა დასტურდება.

ქართულ ნარატიულ ძეგლებში (კერძოდ ლეონტი მროველთან) დაცული ისტორიული ტრადიციის თანახმად, ქსნის ხეობა და მითუმეტეს მისი ზემო წელი ადრიდანვე არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ საერისთავოს[22]. ცალკე საერისთავოს აქ არ გულისხმობდა არც თამარის ისტორიკოსი[23]. ადრეულ ხანაში საერისთავოს არსებობას ცხრაძმისხევში არ უჭერენ მხარს არც სხვა ნარატიული წყაროები და არც ეპიგრაფიკული ძეგლები. მაგალითად, „მატიანე ქართლისაჲ“ ამ მხარეში ასახელებს ცალკეულ აზნაურებს. ესენი არიან მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვილოსნელნი, რომელნიც მიუდგნენ კვირიკეს გიორგი მეფის წინააღმდეგ. გ. ბოჭორიძის მიერ გამოქვეყნებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებიდან, რომელნიც ამ მხარეს განეკუთვნებიან, ერთი — X საუკუნის ჭელი — მოიხსენიებს „ცხრაზმის ჭევის ჭევისუფალს“, ხოლო მეორე წარწერა — XI საუკუნის „დაწერილი“ — ასახელებს ზაზის, თოთს და კოლონკელ ფხვნელაისძეს, დაწინაურებული წოდების წარმომადგენლებს, მაგრამ ერისთავი აქ არსად არ ფიგურირებს[24]. მხოლოდ ერთი შემთხვევა გვაქს, როცა IX საუკუნის წარწერაში ბიეთიდან ყანჩაელი დიდებული — იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა, თავს ერისთავთერისთავს უწოდებს. მაგრამ, ეს პირი ქსნის ხეობის ერისთავთერისთავი, და მით უმეტეს ცხრაძმისხევის ერისთავი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ქსნელ ფეოდალთა წარმომადგენელი ქართლის ერისთავთერისთავი[25].

როგორია ამ თვალსაზრისით თვით „ძეგლი ერისთავთაში“ მოცემული სურათი?

ძეგლის თანახმად, გრუელებთან ბრძოლის დროს გაჭირვებაში ჩავარდნილ ცხრაძმისხეველებს დახმარებას აღმოუჩენს ოსეთიდან გადმოხვეწილი როსტომი, ძმებით და თავისი რაზმით. მადლობის ნიშნად

---

21 გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171—225.

22 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, თბ., 1955, გვ. 24—25.

23 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. II, თბ., 1959, გვ. 33—34.

24 გ. ბოჭოიძე, ორი ფიქალწერილი, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 96—106. გ. ბოჭოიძის აზრით, „ფიქალწერილში მოხსენიებული პირნი ზაზი და თოთი, რომელნიც აძლევენ სიგელს, უნდა იყვნენ ქსნის ერისთავის გვარის, რადგან მათ მიერ მიცემული მამული კოიტორი მდებარეობს ცხრაზმის შვიდ ჭეობათა ფარგლებში, რომლის მფლობელებადაც შემდეგში იყვნენ ქსნის ერისთავები“ (იქვე, გვ. 103). ეს ვარაუდია და თვით საბუთის ტექსტიდან ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს.

25 Р. Меписашвили, Полупещерный памятник IX в. в сел. Биети, ქართული ხელოვნება, 6, А, თბ., 1963, გვ. 44, 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრაძმისხეველებმა თქვეს: „არა განვიშოროთ ჩუენგან ამიერითგან კაცი ესე გოლიათი, არამედ უყოთ ყოველი, რაჲცა უნდეს მას.

მაშინ ჰრქუა მამასახლისმან ლარგუსისამან, ხუციანდაბისძემან: უკუეთუ გნებავს მკჳდრყოფაჲ ქუეყანასა ამას, ითხოვე საფლავი მონასტერსა ამას, რამეთუ ყოველთა დ ი დ ე ბ უ ლ თ ა დ ა ა ზ ნ ა უ რ თ ა საფლავი აქა არს და სოფელნი ესე, რომელნი ღმრთივ გჳრგჳნოსნისა ისტჳნიანე აღმაშენებლისაგან შემოწირულ არიან, იყო წინამძღვარ მათდა, თუ ღმერთს უნდეს.

მაშინ ჰრქუა როსტომ: მე მოვითხოვო ყოვლისა ამის ერისაგან, გარნა შენა შემიქმენ მარჯუენით კერძო საკურთხეველისა ადგილსა უმჯობესსა და იყოს ღმერთი შუა ჩემსა და შენსა და შუა ნათესავთა შენისა და ჩემისა, რომელ პ ა ტ ი ვ ი დ ა ჯ ე ლ ი შ ე ნ ი, რ ო მ ე ლ ი მ ე ფ ე თ ა გ ა ნ მ ო ც ე მ უ ლ ა რ ს, არა შეეცვალოს ნათესავსა შენსა უკუე და რომელი სჯობდეს საქმედ ჩემდა, მეტყოდი მე.

მაშინ ჰრქუა გუგაკ: მე თავი ჩემი დავდვა ერთგულებით მსახურებად შენდა და ღმერთმან წარგიმართოს უმჯობესი ყოველი.

მაშინ ჰრქუა ყოველმან ერმან როსტომს: რაჲ გნებავს, რაჲთა ვყოთ შენთჳს? ხოლო მან მოითხოვა საფლავი ლარგუსს და საჯდომაღ სახლი შუა საყდრის შვილთა და ცხრაძმას **ციხისთავისა ნაქონები მამული**. და მისცეს ესე ყოველი ცხრაზმისჴეველთა შუა ცხრაზმას **ციხისთავისა ნაქონები სოფელნი და ქუეყანანი**, საფლავი ლარგუსს და საჯდომი ქუენიფნეჴს და უწოდეს ქუენიფნეველნი, რამეთუ სხუაჲ სახელი არა ინებეს“[26].

ამგვარად, ძეგლის თანახმად, ცხრაძმისხევში ქვენიფენეველთა საგვარეულოს დამკვიდრების დროისათვის აქ მოიხსენიებიან ადგილობრივი მმართველობის ისეთ წარმომადგენლები, როგორიცაა „ლარგვისის მამასახლისი“, რომელსაც პატივი და ჯელი მეფისაგან ჰქონდა ბოძებული, „ცხრაზმის ციხისთავი“, რომლის მამული („სოფელნი და ქუეყანანი“) ამ დროისათვის თავისუფალი იყო. აქვე არიან წარმოდგენილნი „აზნაურნი და დიდებულნი“ — ვითარცა „საყდრის შვილნი“, რომელთა საფლავიც მონასტერში იყო და რომელთაც ეკუთვნოდა „ეკლესია და ყოველი მიმდგომი მისი“.

როგორც ვხედავთ, ჩვენს წინაშეა საზოგადოება, რომელმაც უკვე განვლო სოციალური დიფერენციაციის გარკვეული საფეხური. მასში გამოყოფილია პრივილეგირებული საზოგადოებრივი ფენა და ადმინისტრატიული მმართველობის წარმომადგენლები, რომელთა პრივილეგიები სამეფო ხელისუფლების მიერ არის ბოძებული (თუ დადასტურებული).

---

[26] ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოც. გვ. 345.

ვფიქრობთ, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს სამეფო ხელისუფლებაზე დამოკიდებულ ფეოდალიზირებულ სატაძრო (სამონასტრო) თემთან, რომელშიც გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ დასახელებულ „საყდრისშვილთ“. ესენი ეწოდნენ როგორც სატაძრო მამულებზე მსხდომ გლეხების, ასევე ნაწილობრივ თავისუფალ მეთემეთა — „ერის“, „ეროვანთა“ ექსპლოატაციას[27].

ამასთან კავშირში ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რა ადგილი უნდა მიეჩინოს ამ საზოგადოებაში თვით „ერს“, ე. ი. ხალხს (იგივე მეთემეებს), რომელიც ძეგლის თანახმად, ესოდენ აქტიურ როლს თამაშობდა ცხრაძმისხევში როსტომის დამკვიდრების თუ მის შემდგომ აღზევების — გაერისთავების საქმეში („ერის“ შუამდგომლობით და დასტურით იუსტინიანემ მისცა როსტომს „შჯიდნი ესე ჴევნი, განსაგებელნი ეკლესიისანი და ყოველნი აზნაურნი მკჳდრნი მას შინა და უწოდა ერისთავ ცხრაზმისჴევისა...[28]). მართლა შეეძლო „ერს“ ასეთი როლი შეესრულებინა ამ დროს, თუ ეს ძეგლის ავტორის გამონაგონია, იმ მიზნით, რათა ერისთავთა ხელისუფლება ხალხის მიერ სანქციონირებულ ძალაუფლებად წარმოედგინა?

პასუხს ამ კითხვაზე გვაძლევს მთელი იმ სიტუაციის გათვალისწინება, რომელიც არსებობდა აღნიშნულ მხარეში არა მარტო ძეგლის დაწერის დროისათვის (ე. ი. XV ს. დასაწყისში), არამედ ადრეც.

როგორც ძეგლში მოცემული რეალიების ანალიზი მოწმობს, ის მოვლენები, რომლებზედაც მოგვითხრობს ავტორი ძეგლის დასაწყისშივე, სინამდვილეში განეკუთვნებიან XIII ს. მეორე ნახევარსა და XIV ს. დასაწყისს. ეს ის დროა, როდესაც მონღოლთა ბატონობის პირობებში ქართული სახელმწიფოებრიობა სუსტდება და იწყება ქვეყნის პოლიტიკური დაშლა სამეფო-სამთავროებად.

ბუნებრივია, რომ ამ დროს მნიშვნელოვნად სუსტდება ცენტრალური ხელისუფლების გავლენა ქვეყნის განაპირა მხარეებში და განსაკუთრებით მთიან რაიონებში. „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს მხარეები ფაქტიურად თავის ანაბარა იყვნენ მიტოვებულნი. ამაზე მეტყველებს, მაგალითად ის, რომ ლარგვისის მამასახლისი, რომელსაც ჴელი მეფეთაგან ჰქონდა მიცემული, დაუბრკოლებლად უკავშირდება ცხრაძმისხევში გამოჩენილ ახალ ძალას, როსტომისა და მისი რაზმის სახით, სთავაზობს როსტომს თავის სამსახურს, ხოლო მისგან იღებს დაპირებას — მემკვიდრეობით დაუმტკიცოს თავისი პატივი და პრივილეგიები. ამავე დროს თავისუფალი ჩანს ცხრაძმისხევის ციხისთავის, ე. ი. ამ შემთხვევაში უკვე საერო ხე-

---

[27] შეადარე: ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 268—270.

[28] ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოცემა, გვ. 346.

ლისუფლების წარმომადგენლის, ადგილიც — „სახლი“ და „მამული“, რომელთა ხელში ჩაგდებას ცდილობს სწორედ როსტომი. ამ ფონზე ხდება სწორედ „ერის“ ე. ი. ხალხის (თავისუფალ მეთემეთა) გააქტიურებაც, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ყველა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა და ფაქტის გაგება შესაძლებელია, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ორ არსებით გარემოებას: ერთი ისაა, რომ საქართველოს ერთიანობის ხანის ძლიერი მონარქიის მოშლის შედეგად, რაც მონღოლთა ბატონობას უკავშირდება, როგორც ბარად, ასევე, განსაკუთრებით, მთაში, ირღვევა საზოგადოებრივ ძალთა ის წონასწორობა, რაც საქართველოს ძლიერების ხანაში იყო აქ შექმნილი. კერძოდ, მთაში იშლება სამეფო ხელისუფლების მოხელეთა ფუნქციები, მხარე მართლაც თავის ანაბარა რჩება. მეორეც ისაა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს საქართველოს მთიან ზოლთან, სადაც გვიანობამდე შემორჩა „ერის“ („ჰეროვანთა“) საზოგადოებრივი წრე, ფეოდალურ დიფერენციაციის და ფეოდალურ ურთიერთობის (თავისი იდეოლოგიით — ქრისტიანობით) შეჭრის და ფეხის მოკიდების პირობებში.

ასეთ ვითარებაში ადგილი უნდა ჰქონოდა ორმხრივ ტენდენციას. ერთის მხრივ ეს არის ადრევე დაწინაურებული საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენელთა მისწრაფება თავის პოზიციების განმტკიცებისა და უკონტროლო ბატონობისაკენ, ხოლო მეორეა — „ერის“ ცდა თავიდან მოიშოროს ასეთი ბატონები. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ძეგლის ტექსტის დასაწყისი: „... ხოლო ერისთავობაჲ არავისი ინებეს, არამედ ეძიებდეს კაცსა ესევითარსა, რომელმანმცა პატივით იპყრნა და არა მძლავრობით და იგიმცა დაამკჳდრნეს შუა ქუეყანასა მათსა“[29].

მაგრამ მიუხედავად „ერის“ წინააღმდეგობისა და თვითორგანიზაციისაკენ მისწრაფებისა, რაც ძველი სატაძრო (ამჟამად საეკლესიო) თემის გამოცოცხლებაში გამოიხატა, საზოგადოებრივი განვითარების გეზს, მეტ-ნაკლებად, მაინც გარკვეულ პირთა, თუ გვართა გაბატონებისაკენ მივყევართ, იმის მიხედვით თუ რამდენად არის მომწიფებული საამისო პირობები ამა თუ იმ კუთხეში.

საქმე ის არის, რომ „ერს“ ახალ პირობებში, უკვე აღარ ჰქონდა თავდაპირველი ძალა. ეს უკვე აღარ იყო ძველი თვითმმართველი თემი, არამედ, ძეგლისავე ტერმინი რომ ვიხმაროთ, „წვრილ ერამდე“ დაყვანილი ნახევრად დამოკიდებული ფენა, რომელმაც შეინარჩუნა არსებობა ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოს ძლიერების პერიოდში მთის ფეოდალიზირებულ საზოგადოებაში. ამ საზოგადოებას მოცემულ შემთხვევაში აღარ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა და იგი თვითონვე ეძებს მაორგანიზებელ ძალას, რომელსაც ჰპოვებს კიდეც როს-

---

[29] ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოც., გვ. 344.

ტომისა და მისი რაზმის სახით. თავის მხრივ ამაშივე მდგომარეობს სწორედ როსტომის ცხრაძმისხევში გაბატონების საფუძველიც და პირობაც.

ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით ცხრაძმისხევის საზოგადოების სხვაობა დვალთა საზოგადოებისაგან, სადაც ძეგლის თანახმად, თავდაპირველად სცადეს დამკვიდრება როსტომმა და მისმა რაზმმა. მაგრამ, ჩანს, დვალები არ საჭიროებდნენ უცხო ძალის „დახმარებას" და როგორც კი იგრძნეს მოსულთა მხრივ მათზე გაბატონების საფრთხე, უმალვე გააძევეს ისინი.

არც ცხრაძმისხეველებს აწყობდათ ვინმეს „ერისთავობა", როგორც ეს ძეგლის დასაწყისიდან ჩანს, მაგრამ ისინი მაინც იძულებულნი შეიქმნენ არამცთუ ნება მიეცათ როსტომისათვის დამკვიდრებულიყო მათ ქუეყანაში, არამედ ხელი შეეწყოთ მისი გვარის შემდგომ განდიდებისთვისაც. აქედან გამომდინარე, ცხრაძმისხეველთა სახით ჩვენ საქმე გვაქვს განვითარების ისეთ საფეხურამდე მიღწეულ საზოგადოებასთან, რომელსაც დამოუკიდებლად აღარ შეეძლო არსებობა და საზოგადოებრივ ძალთა წონასწორობის უზრუნველსაყოფად საჭიროებდა მაორგანიზებელ ძალას.

ამგვარად, „ძეგლი ერისთავთას" პირველ ნაწილში დაცული რეალიების ანალიზს და მათ შედარებას სხვა წყაროთა მონაცემებთან იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ ქვენიფნეველთა გვარის დამკვიდრება ქსნის ხეობაში და მისი შემდგომი განდიდება (გაერისთავება) წარმოადგენდა არა სოციალური დიფერენციაციის და საგვარეულო არისტოკრატიის წარმოქმნის პირველად პროცესს, არამედ სამხედრო-არისტოკრატიული ზედაფენის გაბატონებას ისეთ საზოგადოებაში, რომელმაც ადრე უკვე გაიარა ფეოდალიზაციის გარკვეული საფეხური. როგორც დავინახეთ, ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო უადრეს XIII ს. მეორე ნახევრისა და XIV ს. დასაწყისისა. ამდენად, ქსნის ხეობის, კერძოდ, კი მისი ზედაწელის — ცხრაძმისხევის ფეოდალურ ურთიერთობათა წრეში შემოყვანის ხანა ემთხვევა ფეოდალიზმის აღმავლობისა და ქართული ფეოდალური მონარქიის ძლიერების პერიოდს, როდესაც მთის ფეოდალური ათვისების წარმართველ ძალად უმთავრესად ცენტრალური ხელისუფლება გვევლინება. მაგრამ, იმდენად, რამდენადაც მთის ფეოდალიზირებულ საზოგადოებაში საკმაოდ ძლიერად იყო შემორჩენილი წინაფეოდალური ხანის ელემენტი, ძირითადად „ერის" სახით, რომელიც ქართულ ფეოდალურ მონარქიის დასუსტების პირობებში აქტიურდება კიდეც, ახალი ფეოდალური ძალების მიერ ამ საზოგადოებაში გაბატონების სურათი წარმოადგენს ფეოდალურ დამოკიდებულების წარმოქმნის ერთგვარ მოდელს, შეიცავს ანალოგიებს ზოგადად ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების შესასწავლად.

ქვემოთ ჩვენ შევეხებით საკითხს, თუ კონკრეტულად რა პირობებში და რომელ მეფეთა დროს შეიძლება მომხდარიყო ქვენიფნეველთა ცხრაძმისხევში დამკვიდრება და გაერისთავება. ამ კითხვაზე პასუხს ისევ „ძეგლი ერისთავთაში“ დაცული რეალიები და სხვა წყაროთა მონაცემებთან მათი შედარება გვაძლევს.

როგორც ცნობილია, „ძეგლი ერისთავთა“ ქვენიფნეველთა თავდაპირველ განდიდებას, ანუ ცხრაძმისხევში გაერისთავებას იმპერატორ იუსტინიანეს და მის ეპოქას უკავშირებს, რაც თავისთავად სამართლიან ეჭვს იწვევს მკვლევართა დიდ ნაწილში, მაგრამ ფაქტობრივ ამ გვარის შემდგომი აღზევება ძეგლის მიხედვით უკვე ქართველ მეფეებთან არის დაკავშირებული, დავით ბაგრატიონიდან დაწყებული: „და მოკუდა როსტომ, დაჯდა ერისთავად ძე მის ლარგუელი და შემდგომად ისტენიანესსა დაჯდა მეფედ დავით ბაგრატიონიანი; ამან ფრიად განადიდა ქუენიფნეველი ლარგუელი და სახელსდვა ერისთავთ-ერისთავად და მისცა მთვრობაჲ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთაჲ, რომელნი მკჳდრ არიან შუა არაგუსა და ლიახუსა და ზემოთ შარჰასა მინდორისასა“[30].

მოტანილ ამონაწერში იუსტინიანეს შემდეგ უშუალოდ დავით ბაგრატიონზე გადასვლა, რომელშიც კონტექსტის მიხედვით ძალზე ძნელია კონკრეტული პიროვნების შეცნობა, მოწმობს, რომ ავტორი გადმოგვცემს არა რეალურის ისტორიულ ვითარებას, არამედ განყენებულად წარმოგვიდგენს ქვენიფნეველთა თავდაპირველ აღზევება-განდიდების ამბავს. ავტორის ხელთ რაიმე კონკრეტული სანდო მონაცემების არარსებობაზე მეტყველებს ტექსტის გაგრძელებაც: „და მოკუდა ლარგუელი და დაჯდა ძე მათი დიმიტრი და გარდაიცვალნეს მეფენი კ̄ვ-ნი და ერისთავნი კ̄დ-ნი და წელიწადნი არამცირედნი.

მაშინ დაჯდა მეფედ ადარნასე და მოკუდა ერისთავი ვიროშელი“[31]...

მოტანილ ამონაწერში, რომელიც ფრიად ბუნდოვანია, ნაკლულ ადგილებთან, ხელოვნურად თუ უწიგნურად გაკეთებულ ჩანართებთან ან გადაადგილებებთან ერთად, შეინიშნება ისტორიულად დადასტურებული ფაქტებიც. ქვემოთ ვეცდებით გავარკვიოთ, რა არის აქ მცდარი და რა იმსახურებს ნდობას.

ზოგიერთი მკვლევარი იუსტინიანეს შემდეგ მოხსენიებულ დავით ბაგრატიონში, რომელმაც ძეგლის თანახმად განადიდა ქვენიფნეველი ლარგველი და ერისთავთ-ერისთავობაც უბოძა, გულისხმობს დავით კუროპალატს. ჩვენი აზრით კი აქ დავითის ხსენება, ისევე, როგორც უფრო ქვემოთ მეფე ადარნასესი, არ უნდა ასახავდეს ისტორიულ სი-

---

[30] ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოც., გვ. 346—347.
[31] იქვე, გვ. 347.

ნამდვილეს, არამედ წარმოადგენს ავტორის ცდას თხრობაში, მოვლენების დაძველების მიზნით, შემოიტანოს ტრადიციულად ცნობილი ისტორიული პერსონაჟები და ამას იგი აკეთებს საკმაოდ არეულად (თუ კი მართლაც ჩვენ საქმე გვაქვს ძეგლის პირველად ვარიანტთან და არა შემდგომ დამახინჯებასთან).

აღსანიშნავია, რომ სწორედ დავითის და ადარნასეს ხსენებას ჩვენ ვხვდებით „გერგეტის სულთა მატიანის“ მეფეთა მოსახსენებლების ძველ ფენაშიც. აქ უშუალოდ ვახტანგ გორგასალისა და მის ძმის დაჩის შემდეგ, ბაგრატთან ერთად, მოიხსენებიან დავით და ადარნასე. ამას მისდევს დავით აღმაშენებლის ხსენება და ამაზე მეფეთა მოსახსენებლების ძველი ფენა თავდება, ისე რომ არც თამარი და არც სხვა ამ დროის ქართველი მეფეები არ არიან დასახელებულნი. მოსახსენებლების ახალი ფენა იწყება ბაგრატ V-ით[32].

ჩანს, მთაში (გერგეტის მატიანე ხომ შედგენილია არაგვის ხეობაში, ქსნის ხეობის მეზობლად და მასში თვით ქსნის ერისთავებიც მოიხსენიებიან) არსებობდა რაღაც გადმოცემა, თუ წერილობითი ტრადიცია, ამ მეფეთა (კერძოდ დავითის და ადარნასეს) შესახებ, რომლითაც სარგებლობდა ჩვენი მემატიანეც.

რაც შეეხება იმპერატორ იუსტინიანეს შემოტანას თხრობაში და მის სახელთან ერისთავთა თავდაპირველი დაწინაურების დაკავშირებას, ესეც ერისთავთა გვარში დამკვიდრებულ ტრადიციის გამოხატულებაა, რომელმაც ასახვა პოვა უფრო მოგვიანო ხანის დოკუმენტებშიც. ასე მაგალითად, შალვა ქვენიფნეველი-ერისთავის მიერ 1470 წ. ლარგვისის მონასტრისადმი ბოძებულ შეწირულების წიგნში ვკითხულობთ: „. . .შევამკე მონასტერი ესე ჩუენი საძუალე და საუკუნო სამკვიდრებელი. . . პირველთაგან სულკურთხეულისა ისტჳნიანესაგან ბერძენთა მეფისა და თჳთ-მპყრობელისა აღშენებული და ჩუენთა ჩამომავალთა ერისთავთა ნათესავთათჳს საძვალედ ბოძებული და წინაჲს ჩუენსა ყოველთა ჩუენთა ჩამომავალთაგან სურვილით პატივ-ცემული და შემკობილი...“ ქვემოთ კი ნათქვამია: „და ამით ჩემი და ჩემთა გვართა საფლავი, ღმრთივგჳრგჳნოსნისა ბერძენთა მეფისა ისტჳნიანესაგან საღმრთოჲთა გამოცხადებითა აღშენებული ეკლესიაჲ და ჩუენთა პაპათათჳს საძუალედ ბოძებული, აღმიშენებია, შემიმკვია და გამიდიდებია“[33].

ამრიგად, ლარგვისის ეკლესია ერთგან იუსტინიანეს მიერ აშენებულად არის გამოცხადებული, მეორეგან მისგანვე „საღმრთოითა გამო-

---

32 ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.). გამოკვლევა და ტექსტები, III, გერგეტის სამების მატიანე მოსაჯსენებელი სულთა, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 264.

33 ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 140, 143.

ცხადებითა“ აღშენებულად და ქვენიფნეველებისათვის საძვალედ ნაძებულად.

„ძეგლი ერისთავთას“ ზემოთ მოტანილ ტექსტში ჩვენ არასწორად აგებულად გვეჩვენება ფრაზა: „და მოკუდა ლარგუელი და დაჯდა ძე მათი დიმიტრი...“

ჯერ ერთი, ქვენიფნეველ-ერისთავთა საგვარეულოსათვის სახელი დიმიტრი დამახასიათებელი არ არის. მეორეც — ნაცვალსახელი „მათი“ აქ აგრეთვე უჩვეულოა. ყველა სხვა შემთხვევაში, როცა ლაპარაკია ქვენიფნეველთა ან თუნდაც მეფეთა მემკვიდრეებზე, ძეგლში იხმარება ნაცვალსახელი „მისი“ („და მოკვდა როსტომ, დაჯდა ერისთავად ძე მისი ლარგუელი“, „და მოკუდა ერისთავი ვირშელი, დაშთა ძე მისი შალვა...“, „და მოკუდა მეფე, დაშთა ძე მისი ვახტანგ...“), ასე, რომ ტექსტი აქ თავდაპირველად სხვაგვარად უნდა ყოფილიყო აგებული. მაგრამ, დგება საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება იყოს დასახელებული დიმიტრი, თუ კი იგი ქვენიფნეველთა საგვარეულოს არ ეკუთვნის (ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, მას ერისთავთა საგვარეულოს მიაკუთვნებენ). გვაქვს სრული საფუძველი ვიფიქროთ, რომ აქ მეფე დემეტრე II უნდა იგულისხმებოდეს და აი რატომ: ტექსტში ქვემოთ, სრულიად მოულოდნელად, უფრო ზუსტად უადგილოდ, მეფე ადარნასეზეა ლაპარაკი: „მაშინ დაჯდა მეფედ ადარნასე და მოკვდა ერისთავი ვირშელი და დაშთა ძე მისი შალვა სამისა წლისაჲ, და აღზარდა იგი მეფემან პატივითა მამათა მათთაჲთა. და მოკუდა მეფე, დაშთა ძე მისი ვახტანგ ექუსისა წლისაჲ. . .“[34]

ტექსტის მიხედვით გამოდის, რომ მეფე ადარნასემ აღზარდა ვირშელ ერისთავის მცირეწლოვანი შვილი შალვა, ხოლო როდესაც მეფე (ე. ი. ადარნასე) მოკვდა, მას დარჩა მცირეწლოვანი შვილი ვახტანგი[35].

მთელი ეს კონსტრუქცია სრულიად გაუგებარი და ყალბია და თხრობაში სინათლის შეტანა ხერხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოვრიცხავთ მეფე ადარნასეს და მივუბრუნდებით ადრე დასახელებულ დიმიტრის. იმ შემთხვევაში თუ მასში დემეტრე II-ს ვიგულისხმიებთ, ისტორიული სინამდვილის აღდგენაც მოხერხდება. ამისთვის გასათვალისწინებელია მეორე დეტალიც. მას შემდეგ, რაც ლაპარაკია მეფის სიკვდილზე, რომელსაც დარჩა ექვსი წლის შვილი ვახტანგი, ძეგლში ნათქვამია: „მაშინ მამის ძმამან მისმან დავით დაიპყრა მეფობაჲ და არარაჲ მისცა ძმისწულსა თჳსსა ვახტანგს.

მაშინ, შალვა, გაზრდილი მამისა მისისაჲ არა განეშორა, არამედ

---

[34] ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოც., გვ. 347.

[35] ასეა გაგებული ეს ადგილი „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტში. იხ. „ქართლის ცხოვრება“ II, გვ. 443.

ზრდიდა ყრმასა მას. მაშინ დავით მრავლითა სიტკბოებითა და მრავლისა დიდებისა მინიჭებითა ეველრებოდა შალვას. ხოლო მან არა ისმინა, არამედ განამაგრნა ციხენი და შეჰვედრა ერთგულთა მონათა და თჳთ წარჰყვა ძესა მას მეფისასა ურდოს"[36].

მოტანილი მონაცემების ჟამთააღმწერლის ცნობებთან მიმართებაში გააზრება გვაძლევს შესაძლებლობას ამ ცნობებში რეალური ისტორიული შინაარსი ჩავდოთ. საქმე ისაა, რომ სწორედ დემეტრე II-ს დარჩა მცირეწლოვანი შვილი ვახტანგი. ამავე დროს, დემეტრე II-ის ურდოში დაღუპვის შემდეგ ტახტი დავით ნარინმა ჩაიგდო ხელში, რომელიც, მართალია დემეტრეს ძმა, ე. ი. ვახტანგის ბიძა არ ყოფილა, მაგრამ მაინც ბიძად ეკუთვნოდა ვახტანგს, ვინაიდან იყო რუსუდანის მემკვიდრე ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი.

ჟამთააღმწერლის ცნობით, როდესაც დემეტრე II იხმეს ურდოში ხუტლუბუღას რჩევით, ყაენმა დააპატიმრა იგი და მოაკვლევინა, რათა საქართველოს მეფობა მიეცა დავით ნარინისათვის, იმ მიზნით, რომ ყაენს საქართველოს ორივე ნაწილი დამორჩილებოდა.

ხუტლუბუღამ მართლაც გადმოიყვანა დავით ნარინი მისი ძით, რომელსაც ასევე ვახტანგი ერქვა (ვახტანგ II) და ეს უკანასკნელი გააამეფეს კიდეც.

მეტად ნიშანდობლივია ჟამთააღმწერლის ცნობა, რომ როდესაც დემეტრე II სიკვდილით დასაჯეს, ძე მისი „ვახტანგი იყო მთიულეთს"[37]. „ძეგლი ერისთავთას" თანახმადაც, მეფის მცირეწლოვანი ვაჟი ვახტანგი ხომ შალვა ქვენიფნეველთან დარჩა და უკანასკნელი ზრდიდა მას, როდესაც თითქოს ბიძამ წაართვა მას მეფობა.

უნდა ვიფიქროთ, რომ დემეტრეს სიკვდილის შემდეგ, როდესაც მისი უფროსი ვაჟი დავითი ურდოში დარჩა და ტოჩარ ნოინთან იმყოფებოდა, ხოლო უმცროსი ძე გიორგი წაყვანილი ჰყავდა მის პაპას — ბექას[38], საქართველოს ტახტის პრეტენდენტად მართლაც შეიძლებოდა გამოსულიყო ვახტანგი (დემეტრეს ძე). ამდენად „ძეგლი ერისთავთას" განცხადება, რომ მას წაართვეს ტახტი, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, ჟამთააღმწერლის ცნობების მოშველიებით „ძეგლი ერისთავთას" მოტანილ თხრობაში შემდეგი შინაარსი შეიძლება ჩაიდოს: ტექსტში მეფე დემეტრე II-ზე და მის ძეზე ვახტანგზეა (შემდეგში ვახტანგ III) ლაპარაკი. ეს უკანასკნელი, ორივე წყაროს თანახმად, დემეტრეს დასჯის დროს მთიულეთში

---

36 ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოც., გვ. 347.

37 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 292—293.

38 იქვე, გვ. 293—294.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმყოფებოდა. მეფე დავითი, რომელმაც „ძეგლი ერისთავთას“ თანახმად წაართვა ვახტანგს მეფობა, უნდა იყოს დავით ნარინი (ძეგლის მიხედვით, ვახტანგის ბიძა), რადგან ამ უკანასკნელმა, მონღოლთა პოლიტიკის შესაბამისად და მათი დახმარებით, მართლაც, დასვა მეფედ ქართლში თავისი შვილი ვახტანგი (ვახტანგ II-დ ცნობილი).

„ძეგლი ერისთავთას“ ზემოთ განხილული ადგილი, ვფიქრობთ, გვაძლევს საშუალებას ისიც გავარკვიოთ, თუ რეალურად რომელი მეფის დროს მოხდა ქვენიფნეველთა გვარის განდიდება ცხრაძმისხევში. როგორც უკვე აღინიშნა, ეს არ შეიძლება მომხდარიყო XIII საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე. ამ საფუძველზე გამოირიცხა კიდეც დავით კურაპალატი ან რომელიმე სხვა დავითი XIII ს-ზე უფრო ადრე დროისა. მართალია დავით ბაგრატიონში, რომელსაც ძეგლი მიაწერს ქვენიფნეველთა განდიდებას, შესაძლოა დავით VII ულუ გვევარაუდნა, მაგრამ საეჭვოდ გვეჩვენება, რომ მის დროს, მონღოლთა შემოტევის პირობებში, სამეფო ხელისუფლებას ჰქონდა რეალური შესაძლებლობა მთაში პოზიციები განემტკიცებინა და ქვენიფნეველთათვის მფარველობა გაეწია. ამდენად დავით ბაგრატიონი, როგორც ადრე უკვე ითქვა, იუსტინიანეს მსგავსად ძეგლის ავტორის მიერ აბსტრაგირებული პიროვნება უნდა იყოს, რომელიც საერთოდ ქვენიფნეველთა მფარველ სამეფო ხელისუფლებას განასახიერებს. ერთადერთი რაც შეგვეძლო გვევარაუდა არის ის, რომ დავით VII-ს დროს ხდება როსტომის და მისი რაზმის გადმოსვლა და დამკვიდრება ცხრაძმისხევში. ქვენიფნეველთა განდიდების დასაწყისი კი უფრო დემეტრე II-ის დროიდან უნდა ვიგულისხმოთ, რაზედაც გარკვეული მითითება თვით „ძეგლი ერისთავთაშიც“ არის (თუ მივიღებთ ჩვენს ინტერპრეტაციას). ქვენიფნეველი შალვა ხომ იყო გაზრდილი დემეტრე II-ისა „პატივითა მამათა მათთაჲთა“, ხოლო თავის მხრივ დემეტრეს მცირეწლოვანი ძე ვახტანგი იზრდებოდა ქვენიფნეველის სახლში. როდესაც დემეტრე მოკლეს ურდოში — „მაშინ შალვა, გაზრდილი მამისა მისისაჲ, არა განეშორა, არამედ ზრდიდა ყრმასა მას“. ასეთი დამოკიდებულება მეფესა და ქვენიფნეველთა საგვარეულოს შორის უნდა მიუთითებდეს პატრონისა და ქვეშევრდომის იმდენად ახლო ურთიერთობაზე, რაც ბუნებრივია, სათანადო წყალობაშიც უნდა გამოხატულიყო.

მაგრამ „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით განსაკუთრებული პატივი შალვას, როგორც ზემოთ მოტანილ ტექსტთან დავინახეთ, დასდო დავით მეფემ.

ზემოთქმული იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ დავითში დავით VIII უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც ჟამთაღმწერლის ცნობების თანახმად, დაჯდა საქართველოს სამეფო ტახტზე მონღოლთა წყალობით, როცა

ჯერ კიდევ მეფობა ეპყრა ვახტანგ II-ს (დავით ნარინის ძეს). ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ დავით VIII გახდა აღმოსავლეთ საქართველოს ერთპიროვნული მმართველი.

ჟამთააღმწერლის ცნობებიდან ირკვევა, რომ დავით VIII-ს თავდაპირველად კარგი ურთიერთობა ჰქონდა მის ძმასთან — ვახტანგთან. იგი მას ჩრდილოეთის ულუსშიც კი აგზავნის ელჩად თოხთა ყაენის გადმოსაყვანად. მაგრამ შემდეგ ეს ურთიერთობა ფუჭდება. ვახტანგი შერისხული ჩანს და პატიმრობაშიც კი იმყოფება[39]. ეტყობა მასში დავითი ხედავდა პოტენციალურ პრეტენდენტს სამეფო ტახტზე. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, რომ ვახტანგის მხარეზე ყოფილიყო მისი აღმზრდელი ქვენიფნეველი შალვა, რომლის გულის მოგებას და, ეტყობა, თავის მხარეზე გადაბირებას ცდილობდა სწორედ დავითი.

საყურადღებოა, რომ ცნობა დავითის მიერ შალვა ქვენიფნეველისათვის წყალობის მინიჭებისა და ამ უკანასკნელის მხრივ დავითისადმი ურჩობის გამოჩენის შესახებ დაცული აქვს ჟამთააღმწერელსაც, რომელიც მოგვითხრობს: „მაშინ ქვენიფნეველი შალვა გამოექცა მეფესა, აღსავსე ნიჭითა მიერ მისითა, რომელნი მას ჟამსა მიენიჭნეს. არა მოივსენა წყალობა ეგოდენი, და მივიდა ხუტლუბულა ნიონთანა“[40]. ამ უკანასკნელმა დიდად განიხარა და გამოიყენა შალვა ქსნის ხეობაში ლაშქრობისას.

ცნობილია, რომ საბოლოოდ ვახტანგ დიმიტრის ძეც მიუვიდა მონღოლებს და მეფობაც მიიღო მათგან, რადგან დავით VIII (მისი ძმა) ურჩობას უწევდა ყაენს. ამდენად, ამ მხრივაც „ძეგლი ერისთავთას“ და ჟამთააღმწერლის ცნობები ემთხვევა ერთმანეთს. ორივე წყაროს თანახმად ვახტანგი მიდის ურდოში, ხოლო „ძეგლი ერისთავთას“ ცნობით მას ურდოში შალვაც ახლავს, რაც სავსებით შესაძლებლად გვეჩვენება.

„ძეგლი ერისთავთამ“ ასახა დავით VIII-სა და ვახტანგ III-ის შეტოკვეობის ამბავიც. ძეგლის თანახმად, დავითი აოხრებს შალვას მამულს, მაგრამ კრიტიკულ მომენტში „მოვიდა ვახტანგ და შალვა სპარსთა ლაშქრითა ურიცხვითა სპითა“[41]. ჩანს, აქ საუბარია ვახტანგის მონღოლთაგან დაბრუნების და დავითთან შებრძოლების შესახებ. ძეგლის თანახმად, ვახტანგი გამოიყვანს გუელეთს გამაგრებულ დავითს და უბოძებს ჯავახეთს და ალასტანს, ხოლო შალვა იმორჩილებს დავითის მომხრე მთიულებს და აოხრებს დვალეთს. ამას მოყვება ცნობა შალვას

---

[39] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 302, 307—308.

[40] იქვე, გვ. 305.

[41] ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოც., გვ. 347.

შემდგომი განდიდების შესახებ: „მაშინ წარვიდა ყოველნი სპაჲ სპარსთაჲ. მაშინ მეფემან (ე. ი. ვახტანგ III-მ. — ე. ხ.) მიუბოძა შალვას თრუსოი, ღუდაჲ, გაგასძენი, მლეთე, არაჯუეთი, ჯანდოჲ, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძაგნაკორნანი, დიღუამი, გავაზი... აწერისჯევი, ბეჯუშე და ყოველთა დიდებულთა მისთა უმჯობეს ხედვიდა“[42].

ჟამთააღმწერელთან შალვა ქვენიფნეველის, დავით VIII-ისა და ვახტანგ III-ის ურთიერთობის ამბავი დეტალებში განსხვავებულად არის წარმოდგენილი, თუმცა ძირითადი სიუჟეტი (დავითისა და ვახტანგის მეტოქეობა და ამ უკანასკნელის მხარეზე შალვას გადასვლა) აქაც აისახა. აქ ჯერ ქვენიფნეველ შალვას დავითისადმი ორგულობაზე, ხუტულუბუღასთან წასვლაზე და ამ უკანასკნელის ქსნის ხეობაში ლაშქრობაზეა საუბარი, შემდეგ კი დავითის მხრივ ვახტანგის შევიწროვებასა და ამ უკანასკნელის ურდოში გამგზავრებაზე. ამასთან, ჟამთააღმწერლით გამოდის, რომ ქვენიფნეველი იძულებული შეიქმნა ხლებოდა დავით მეფეს და პატიება ეთხოვა მისთვის, რადგან ამ წყაროს მიხედვით, დავითს ჰქონდა უპირატესობა ქართლში და, კერძოდ, მთიანეთში, ხოლო ვახტანგ III ფაქტიურად ფლობდა თბილისს და ქვემო ქართლს: „და ვითარცა დამტკიცდა მეფობა ვახტანგისი, რამეთუ ყაზანმან ჴელთუდვა სამეფო, დაიპყრა ტფილისი და ყოველი სომხითი, დმანისი და სამშვილდე, ხოლო არა წინაღუდგებოდა ძმასა თჳსსა დავითს...“ ამავე დროს მთიულეთი და ქართლი დავითის ხელში ჩანს: „ზაფხულს მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა“ — გვაცნობებს ჟამთაღმწერელი[43].

როგორ უნდა გავიგოთ „ძეგლი ერისთავთას“ ცნობა იმის შესახებ, რომ ვახტანგმა მისცა დავითს ალასტანი და ჯავახეთი, ამაზე პასუხის გაცემა ამჟამად ჩვენთვის ძნელია, ნიშანდობლივი კი ის არის, რომ ისევ ჟამთააღმწერლის ცნობით, ვახტანგის და დავითის სიკვდილის შემდეგ, პირველი დმანისს იქნა დამარხული, ხოლო დავითი—მცხეთას[44], რაც იმაზე მიუთითებს, რომ შიდა ქართლში უპირატესობა დავითს ჰქონია.

ზემოთ აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით ამჟამად მხოლოდ შევეიძლია ვივარაუდოთ, რომ „ძეგლი ერისთავთას“ და ჟამთააღმწერელს ვახტანგის და დავითის ბრძოლის სხვადასხვა ეპიზოდი აქვთ წინ წამოწეული. ამ დეტალებში გარკვევა დასახელებულ წყაროთა შემდგომი კრიტიკული კვლევის შედეგად თუ შეიძლება. ამჟამად კი იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ მთელი მოტანილი მასალა მეტყველებს ქვენიფნეველთა გვარის განდიდებაზე დემეტრე II-ის, დავით VIII-ისა და ვახტანგის III-ის დროს, ე. ი. არაუადრეს XIII ს. მეორე ნახევრისა და XIV ს. დასაწყისისა.

---

[42] იქვე, გვ. 348.

[43] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 310, 316.

[44] იქვე, გვ. 322—323.

თუ გავითვალისწინებთ ცხრაძმისხევში ქვენიფნეველთა დამკვიდრების ვითარებას, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოში მონღოლთა შემოტევის პერიოდში თავდაპირველად ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაკარგა თავისი ძველი პოზიციები მთაში, კერძოდ, ამ შემთხვევაში ქსნის ხეობის ზემო ნაწილში — ცხრაძმისხევში, რითაც ისარგებლეს ახალმა ფეოდალურმა ძალებმა — როსტომისა და მისი ძმების სახით და მოახერხეს აქ გაბატონება. მაგრამ დროთა ვითარებაში, სამეფო ხელისუფლება ცდილობს აღადგინოს თავისი გავლენა ამ მხარეში, სადაც ამ დროისათვის უკვე მნიშვნელოვანი ცვლილებები იყო მომხდარი. ეს გამოიხატა ძალაუფლების სათავეში ახალი სოციალური ძალების მოქცევაში. სამეფო ხელისუფლებას ისღა დარჩენოდა, რომ ეცნო ეს ძალები და თავის სამსახურში ჩაეყენებინა ისინი.

საკუთრივ „ძეგლი ერისთავთას“, როგორც საისტორიო წყაროს შესახებ კი უნდა ითქვას, რომ მისი ტექსტის პირველი ნაწილის კრიტიკული ანალიზი და შედარება სხვა წყაროების მონაცემებთან ადასტურებს იმ მკვლევართა თვალსაზრისის სისწორეს, რომელნიც ძეგლის პირველ ნაწილს მიიჩნევენ ტენდენციურად აგებულ და ისტორიული ფაქტების გადმოცემისას შინაგან ლოგიკურ კავშირს მოკლებულ თხრობად. ამ ნაწილში აირეკლა და გვიან გადამუშავებული სახით წარმოგვიდგა ხალხში დარჩენილი თუ წერილობითი ტრადიციით შემონახული გადმოცემები, რომელნიც ახლად დაწინაურებულ ფეოდალურ საგვარეულოს მიერ იქნენ გამოყენებული გაზვიადებული და ნაწილობრივ შევსებული სახით, გვარის სიძველისა და დიდების დასადასტურებლად. ავტორის მიზანს უთუოდ შეადგენდა დაემტკიცებინა ქსნის ხეობაში, კერძოდ ცხრაძმისხევში, ქვენიფნეველთა დამკვიდრების და განდიდების სიძველე. ყოველივე ეს ძეგლის ავტორს არა მარტო გადააქვს იმპერატორ იუსტინიანეს ეპოქაში (ე. ი. VI ს.), არამედ მის სახელსაც უკავშირებს გვარის თავდაპირველ დაწინაურებას. მაგრამ, ძეგლის ავტორის ისტორიული საბუთიანობა ძალზე ნაკლულია, ხოლო გადმოცემული ფაქტების თანმიმდევრობა არეულია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მას ჯერ ერთი, არ ჰქონია ხელთ უფრო დეტალური და დამაჯერებელი მასალა, ხოლო მეორეც — კიდეც რომ ჰქონოდა მეტი ცნობები საქართველოს ადრეული ხანის ისტორიულ მოვლენათა შესახებ, მათი ხელოვნური მიყენება ქვენიფნეველთა გვარის წარსულისადმი მაინც ვერ იქმნებოდა ბუნებრივად გამართული და დამაჯერებელი.

იმის გამო, რომ ძეგლი ქვენიფნეველთა განდიდებას საბოლოო ანგარიშში უკავშირებს სამეფო ხელისუფლებას, და არა მარტო იუსტინიანეს, არამედ ბაგრატიონთა გვარის ქართველ მეფეებს, ჩვენ აქ არა გვაქვს საფუძველი დავინახოთ ტენდენცია ერისთავთა მხრივ თავის თავის ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაპირისპირებისა, რაც სეპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატიული მიზნებით შეიძლება ყოფილიყო ნაკარნახევი. ასეთი ტენ-
დენცია უნდა ვაღიარებინოთ უფრო გვიან — ქსნის სათავადოს ჩამოყალიბების შემდეგ. აქ კი ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ ცდასთან — ეჩვენებინათ ქვენიფნეველთა გვარის სიძველე, ამ ფეოდალური საგვარეულოს ავტორიტეტის გაზრდის მიზნით, რაც ჯერჯერობით, სხვა ნიშნებთან ერთად, მხოლოდ ამზადებს ნიადაგს სათავადოს ჩამოყალიბებისათვის.

„ძეგლი ერისთავთაში" ასახული ისტორიული მოვლენები, კერძოდ, ქვენიფნეველთა დამკვიდრება და გაერისთავება ჩვენ უნდა განვიხილოთ, როგორც მთაში ფეოდალური ურთიერთობის გაღრმავების პროცესი, რამაც ბოლოს მიგვიყვანა ჯერ თავისუფალ მეთემეთა — „ერის" დაყმევებამდე და შემდეგ კი გვიანფეოდალურ საქართველოსათვის დამახასიათებელ ერთეულის — სათავადოს შექმნამდე. მაგრამ, ეს როგორც ითქვა, იყო ფეოდალიზაციის არა პირველადი, არამედ უკვე მეორადი პროცესი.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური პროცესები საქართველოს მთის სინამდვილეში დასტურდება სხვაგანაც, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს მთიანეთში — სვანეთში, მხოლოდ რამდენადმე განსხვავებულ ვითარებაში, რამაც იქ თავისებური შედეგიც გამოიღო. როგორც ცნობილია, ბალსზემო სვანეთში დაახლოებით იგივე დროისა და პირობებში (იგულისხმება ცენტრალური ხელისუფლების გავლენის შესუსტება) თემმა შეძლო თვითორგანიზაცია უკვე ფეოდალურ საწყისებზე და თავისუფლების შენარჩუნებაც კი[45]. რა თქმა უნდა, ამას ყველგან არ ჰქონია ადგილი და არც ცხრაძმისხევში მოხერხდა.

მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნული პროცესების შედარება გვაძლევს შესაძლებლობას აქ ბევრი საერთო დავინახოთ და საქართველოს მთის განვითარების ზოგადი სურათიც წარმოვიდგინოთ, მთისა და ბარის ურთიერთობის პრობლემის შუქზე.

---

45 დაწვრილებით იხ. აქვე, გვ. 51—68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაგვის ხეობის სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საკითხები XIV—XV სს. ქართულ საისტორიო ძეგლების მონაცემებით *

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიული წარსული, კერძოდ, ფეოდალურ ხანაში ამ მხარის სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური განვითარების პრობლემები, მოსახლეობის ყოფა, მატერიალური და სულიერი კულტურა დიდი ხანია რაც იქცევს მკვლევართა ყურადღებას. ეს საკითხები გაშუქებულია ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ზოგადი პრობლემებისადმი მიძღვნილ შრომებში (ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ს. კაკაბაძე, გ. მელიქიშვილი, დ. გვრიტიშვილი და სხვები). განსაკუთრებით არის აღსანიშნავი საკმაოდ მდიდარი ეთნოგრაფიული ლიტერატურა, რომელიც უპირატესად მხარის მოსახლეობის ყოფისა და იდეოლოგიის საკითხებს შეეხება, მაგრამ მნიშვნელოვან ნაწილად ისტორიული წარსულის პრობლემებსაც მოიცავს (ს. მაკალათია, ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, თ. ოჩიაური, გ. ჯალაბაძე, ვ. ითონიშვილი და სხვები).

ცალკე უნდა გამოვყოთ ქართლის მთიანეთის შესახებ არსებული ისტორიული წყაროების პუბლიკაციები სათანადო გამოკვლევებით და კომენტარებით, რომელნიც არა მარტო გვაწვდიან პირველხარისხოვან მასალას მხარის ისტორიისათვის, არამედ შეიცავენ გამომცემელთა არა ერთ მნიშვნელოვან მეცნიერულ დაკვირვებას და დებულებას. ასეთი პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია „ძეგლი ერისთავთას“ ორიგინალის ტექსტის შ. მესხიას გამოცემა[1] და ამავე ძეგლის რუსული თარგმანის საურმაგ კაკაბაძის პუბლიკაცია[2], ქ. შარაშიძის მიერ გამოქვეყნებული

---

* გამოქვეყნდა კრებულში: „მრავალთავი (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი)“, VIII, თბ., 1980.

[1] ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე), ტექსტი გამოსცა, გაძოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შოთა მესხიამ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 306—373.

[2] С. С. Какабадзе, Хроника ксанских Эриставов начала XV в., Письменные памятники Востока, 1968, М., 1970, с. 103—126; Памятник Эриставов, Перевод, исследование и примечания С. С. Какабадзе, Тб., 1979.

„გერგეტის სულთა მატიანე“[3] და ი. დოლიძის მიერ ცალკე წიგნად გამოცემული გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“[4].

ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ ბოლო დროს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში განხორციელებულ ფართო არქეოლოგიურ კვლევის შედეგებზე, რომელნიც ამჟამად დაჯამების სტადიაზე იმყოფებიან, მაგრამ საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ის სერიოზული მუშაობა, რომელიც ჩატარებულია მხარის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის მიმართულებით. ეს სამუშაო ერთგვარად აჯამებს ლიტერატურაში და წყაროებში არსებულ მონაცემებს ცალკე არაგვის, ცალკე ქსნის ხეობათა შესახებ და ავსებს მათ ადგილზე შეგროვებული და დამოწმებული მრავალრიცხოვანი მასალით, იძლევა ამ მასალის განზოგადოებას (ჯ. გვასალია)[5]

მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენი აზრით, ფეოდალური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიული წარსულის, ამ მხარის საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურის სურათი, განვითარების ძირითადი ხაზი სათანადოდ შესწავლილი და გარკვეული ჯერ არ არის.

ამჟამად არც ჩვენ ამოცანას შეადგენს აღნიშნული პრობლემების გაშუქება. ამ წერილში შემოვიფარგლებით არაგვის ხეობით და ისიც ამ მხარის მხოლოდ ერთი კუთხით — მთიულეთით. ამასთან, შევეხებით მხოლოდ რამდენიმე საკითხს ამ კუთხის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, კერძოდ, სამოხელეო წყობილებას და მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურას. მაგრამ თავდაპირველად, უნდა აღვნიშნოთ, თუ როგორ წარმოგვიდგება ზოგად ხაზებში ფეოდალური ხანის ქართლის მთიანეთის ისტორიული განვითარების სურათი (იგულისხმება ქსნისა და არაგვის ხეობათა ზემო წელი).

ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ქართლის მთიანეთი ადრიდანვე უშუალოდ სამეფო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული მხარეა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მთის ფეოდალური ათვისება ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოებრიობის განვითარების ადრეულ საფეხურზე (ნინოს მოღვაწეობის ხანაზე) რომ არაფერი ვთქვათ, ვახტანგ გორგა-

---

[3] ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), გამოკვლევა და ტექსტები. III გერგეტის სამების „მატიანე მოსახსენებელი სულთა“. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 217—257, 263—289.

[4] ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ. 1957.

[5] ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967; მ ი ს ი ვ ე, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბ., 1965.

სალიდან მოკიდებული და თამარით დამთავრებული სამეფო ხელისუფლების ინიციატივითა და ძალით წარმოებდა, რის შედეგადაც მთის ადგილობრივი საზოგადოება, როგორც წესი, უშუალოდ მეფის „ყმობაში“ იმთავითვე ექცევა. გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“ ამ პოლიტიკის გამომხატველი უკანასკნელი იურიდიული აქტია, ხოლო საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ქართლის მეფეთა ცდები — განემტკიცებინათ პოზიციები ამ მხარეში, აღნიშნული პოლიტიკის გამოცოცხლების მიზნით გადადგმული ნაგვიანები ნაბიჯებია.

საქართველოში ფეოდალური მეურნეობის (მემინდვრეობა, მევენახეობა) და ფეოდალური ურთიერთობის განვითარების კვალად სულ უფრო და უფრო აშკარად ხდება ბარის წამყვანი როლი და უპირატესობა მთასთან შედარებით, რის შედეგადაც უკანასკნელი იქცევა ბარიდან შემოსული საზოგადოებრივი ურთიერთობის და იდეოლოგიის ზეგავლენის ობიექტად: ადგილზე ფეოდალური ურთიერთობის ინტენსიური განვითარებისათვის სათანადო პირობების არ არსებობის მიუხედავად, მთა ცენტრალური ხელისუფლების მეცადინეობით მაინც ექცევა ფეოდალურ ურთიერთობათა არეში, ანუ ჩვენ საქმე გვაქვს მთის საზოგადოების ფეოდალიზაციის პროცესთან, რაც გამოხატულებას პოვებდა ცენტრალური ხელისუფლებისადმი მის დაქვემდებარებასა და ამა თუ იმ ფორმით „დაყმევებაში“ (სამხედრო მოვალეობა, ბეგარა). ეს არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს მთაში ადგილობრივ დაწინაურებულ ფეოდალური გვარების წარმოქმნას, მაგრამ, ამ მიმართულებით აქ მიმდინარე პროცესები თავისი შეზღუდულობით (ხეობათა ზემო წელში განსაკუთრებით) განსხვავებული იყო საქართველოს ბარის რაიონებისათვის დამახასიათებელი მოვლენებისაგან.

როგორც მართებულად არის შენიშნული ლიტერატურაში, თვით მთაც არ იყო ერთგვაროვანი განვითარების დონის თვალსაზრისით, მაგრამ ლიტერატურაში ეს სხვაობა აქ უპირატესად აღინიშნებოდა ცალკეულ კუთხეებს შორის: ზოგი მათგანის საზოგადოება უფრო ჩამორჩენილად არის მიჩნეული (მეურნეობის პირობებისა და ხასიათის გათვალისწინებით). ჩვენ კი, ამასთან ერთად, ამ კუთხეებში განსხვავებულ საზოგადოებრივ-ორგანიზაციულ ფორმებსაც ვარჩევთ. კერძოდ, ძირითადი სხვაობა შეინიშნება ძველთაგანვე არსებულ სატაძრო თემებიდან მომდინარე საეკლესიო თემებსა და საერო ხასიათის, ე. წ. სასოფლო-სამეზობლო თემთა შორის. პირველთა მაგალითია „ცხრაზმისხევის“ საზოგადოება ქსნის ხეობაში აქ ქვენიფნეველთა გაბატონებამდე და „გერგეტელთა“ საზოგადოება ხევში; მეორესი კი „მთიულეთის“ საზოგადოება არაგვის ზემო წელში, გარკვეული დროიდან მაინც. სწორედ ეს უკანასკნელი არის დღეს ჩვენი საგანგებო მსჯელობის საგანი (ძირითადად გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ საფუძველზე,

„გერგეტის სულთა მატიანის“, „ძეგლი ერისთავთას“, „ჟამთააღმწერ-ლისა“ და სხვა წყაროების მოშველიებით).

დღეს ლიტერატურაში დადგენილია, რომ მთიულეთი „ძეგლის დადების“ მიხედვით გარკვეული ტერიტორიული ერთეულია. მისი მოსახლეობა „სრულიად მთიულნი“ არიან, ხოლო მიწა-წყალი ზუსტად არის განსაზღვრული: „ჯუართა ყელს აქეთ, ჯადა-ცხაოტს, ზანდუკის ჴევს, კიბეთ ქუეშეთ და მენესოს ზემოთ...“ ძირითადად ეს ისტორიულ-გეოგრაფიული ხადა-ცხაოტია. „ძეგლის დადება“ მხოლოდ ამ ფარგლებში მოქცეული საზოგადოებისათვის იყო განკუთვნილი და მის თავისებურებებს გამოხატავდა[6].

მთიულეთი, „ძეგლის დადების“ მიხედვით, წარმოგვიდგება ცენტრალური ხელისუფლებისადმი („დარბაზისადმი“) დაქვემდებარებულ ტერიტორიულ ერთეულად, რომელსაც განაგებდნენ საქვეყნოდ გამრიგე მოხელე — „ერისთავი“, „განმგებელი“ და ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენელნი — „ჴევისბერნი“.

მთიულეთისათვის „ძეგლის დადების“ აქტის გაფორმებაში მონაწილეობის მისაღებად მეფესთან მოწვეულნი იყვნენ „თემისა და თემის ერისთავნი და ჴევისთავნი და ჴევისბერნი და ჰეროვანნი“. მაგრამ ამათგან ადგილობრივი საზოგაოების წარმომადგენელნი იყვნენ მხოლოდ „ჴევისბერნი“ და „ჰეროვანნი“.

რა გაგებითაა ნახმარი „ძეგლის დადების“ შესავალი ნაწილის სიტყვები: „თემისა და თემის ერისთავნი“? გამოდის რომ აქ რამდენიმე ერისთავი იგულისხმება. მაგრამ თვით ძეგლის მიხედვით არაფრით არ დასტურდება მთიულეთში რამდენიმე ერისთავის არსებობა, ამიტომ სავსებით მართებულად მიგვაჩნია ჩვენ მოსაზრება იმის შესახებ, რომ მეფის მიერ სხვა სახელმწიფო მესვეურებთან ერთად („ვეზირნი და ეპისკოპოსნი და მოურავნი“) მოწვეულნი იყვნენ სხვა „თემთა“ ერისთავებიც, თუნდაც ცხრაზმისხევის ერისთავი მეზობელ ქსნის ხეობიდან, სადაც ამ დროს უკვე ქვენიფნეველნი ერისთავობდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ გიორგი ბრწყინვალემ დარიალიდან მობრუნებულმა, „ჩამოიარა ცხრაზმისჴევი და მუნებურნი საქმენიც მოიკვლია“.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ მთიულებს „სასაქმო“ — „სალაშქრო“ თუ „სასაურო“ ურთიერთობა ჰქონდათ მეზობელ ქსნის საერისთავოს საზოგადოებასთან, რასაც კანონმდებელი გარკვეული მოსაზრებით (უთუოდ წესრიგის დამყარების მიზნით) კრძალავს: „ამიერნი ჴევისბერნი და ჰეროვანნი იმიერთ ნუო-

---

[6] ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 23—28; ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტ. გეოგრ. კრებული, V, გვ. 50.

დეს მიუდგებიან, ნუცა სალაშქროდ, ნუცა სასაუროდ ისაქმებენ ერთმანეთთანა თავის თავისასა საერისთავოსაგან კიდე“ (მუხლი 42).

თითქოს ეჭვს არ უნდა ბადებდეს, რომ „ამიერინი“ არაგვის ხეობის ნაწილია — მთიულეთი (ხადა-ცხავატი), ხოლო „იმიერნი“ ქსნის საერისთავოს ნაწილი (ცხრაძმა)[7].

ტერმინი „თემი“ ძეგლში, შესავალს გარდა, მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს აქ იგი ან „ქუეყნის“ სინონიმია ან „სოფლის“ მნიშვნელობით არის ნახმარი: „რომელიც ქუეყანა და თემი აწვივნეს ბრძანებითა ერისთავმან და განმგებელმან და ჟამიერად არ გამოვიდნენ, — ქუეყანამ თუ სოფელმან და ანუ ერთმან კაცმან — და რაზომცაღა კაცმან დააკლის ლაშქრობა, ერთს წელიწადს არ შეენდოს და მამული დაეჭიროს სასეფოდ და თვითო ჯარი წაეგუაროს სასეფოდ...“ (მუხლი 19).

მაგრამ, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ აქ „თემი“ „ქვეყანაზე“ ფართო მნიშვნელობის ტერმინი უნდა იყოს, რადგან თვით „ქუეყანა“ ძეგლში საკმაოდ ვიწრო მნიშვნელობით არის ნახმარი — მთიულეთი რამდენიმე „ქუეყანისაგან“ შედგებოდა: „დარბაზით უბრძანებლად ვისცა ციხე დაუქციონ, — ანუ ჴევისბერმან კაცმან, ანუ ქუეყანამან ქუეყანასა, ანუ სწორმან სწორსა...“ (მუხლი 26). უნდა ვიფიქროთ, რომ ძეგლში „ქუეყანა“ „ჴევს“ უდრის, ხოლო „ჴევი“ როგორც ტერიტორიული ერთეული აქ არ გვხვდება. მხოლოდ ერთ ადგილას იგი გამოყენებულია როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის აღმნიშვნელი ტერმინი, „ქუეყანასთან“ ერთად, ჩანს, როგორც უკანასკნელის სინონიმი: „განმგებელი თუ ქუეყანამან მოკლას, ერთმან სოფელმან, გინა ერთმან პირმან ჴევმან, — მსახური იყოს განმგებლად, ექვსი ათასი თეთრი დაიურვოს სისხლთა ფასად და თჳთო კაცი დაიპიროს სოფლისა და სოფლისა თავადი...“ (მუხლი 2). ვფიქრობთ, „ერთი პირი ჴევი“ აქ სწორედ სოფლების ერთობლიობად, ანუ იგივე „ქუეყანად“ წარმოგვიდგება, და განასახიერებს ამ ერთეულის საზოგადოებას, ანუ „ქუეყანა“ ფისკალური და სამხედროვალდებული საზოგადოებრივ-ტერიტორიული ერთეულია. ძეგლის 27- მუხლით, ბეითალმანი მამული ამოწყვეტილი კაცის გვარის წევრს ეძლეოდა ამ ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად: „ასრე რომე საჯარო და სალაშქრო და საბეგრო არ დააკლდეს ქუეყანასა“.

„ქუეყნის“ უშუალო ხელისუფალი ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენელთაგან არის „მის ქუეყნის ჴევისბერი“ (მუხლი 44). იგი „დარბაზით დაყენებული“ პირი იყო და მას დარბაზითვე „ლაშქართ თავადობა“ ჰქონდა ბოძებული (მუხლი 10). ძეგლიდან არ ჩანს, რომ

---

[7] ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 49—50.

ჰევისბერს რაიმე საეკლესიო ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, ან შეიძლებოდა დაკისრებოდა.

არაადგილობრივ (არა „მუნებურ“) ხელისუფალთაგან ადმინისტრაციულ ფუნქციას მთიულეთში უშუალოდ ახორციელებდა „განმგებელი“, რომელიც სამეფო კარის მიერ იყო დანიშნული, როგორც ჩანს, ვითარცა ერისთავის ნაცვალი, ფაქტიურად იგივე ფუნქციებით აღჭურვილი, თუმცა უფრო დაბალი რანგის საქვეყნოდ გამრიგე მოხელე. იგი მსახური, ან უფრო მაღალი წოდებისაც — აზნაური შეიძლება ყოფილიყო (მუხლები 2, 4).

ძეგლში ერისთავი და განმგებელი თითქმის ყოველთვის (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) ერთად არიან მოხსენიებულნი: „ჰევისბერი თუ მოკლას ჰევისბერმან, სამს წელიწადს მამულისაგან გაიძოს. ერისთავისა და განმგებლისაგან თავადი სახლი დაეწინდნენ... მესამეს წელიწადს ერისთავსა და განმგებელს შემოეხუეწნენ და მათ ვეზირთ მოახსენონ...“ (მუხლი 6); „რომელი ქუეყანა და თემი აწვიენეს ბრძანებითა ერისთავმან და განმგებელმან...“ (მუხლი 19) და ა. შ.

ამავე დროს, ერისთავი მხარის უზენაესი ხელისუფალია. თუ ცალკეულ შემთხვევებში გამგებელი ვერ ახერხებს საქმის გარიგებას, ერისთავს მოახსენებდნენ და საქმეს საბოლოოდ იგი წყვეტდა (მუხლები 28, 44). „ძეგლის დადების“ შესაბამის მუხლების განხილვას იმ ადგილამდე მივყევართ, რომ თუმცა ერისთავი აქ განასახიერებდა უზენაეს ადგილობრივ ხელისუფლებას, მხარეს მისი სახლით და ფაქტიურად იმავე უფლებებით მართავდა განმგებელი (მას, ისევე როგორც ერისთავს, ეკითხებოდა სასამართლოს წარმოება, სალაშქროდ ქვეყნის დაძახება, ბეგარის აკრეფა და სხვა). მაგრამ იყო შემთხვევები, როცა საჭიროება მოითხოვდა, რომ ესა თუ ის საქმე აუცილებლად ერისთავისთვისაც მოეხსენებინათ: „სადაც ახლოს ერისთავი იყოს, მასცა აცნობონ“ — აღნიშნულია ძეგლში (მუხლი 44, შეად. მუხლი 28).

ერისთავისა და განმგებლის ფუნქციების ზემოთ აღნიშნული დამთხვევა ბადებს კითხვას, ხომ არ განასახიერებდა ერისთავობა აქ სამეფო კარის უზენაესი მოხელის ხელისუფლებას, და ხომ არ ათავსებდა იგი ამ თანამდებობას მისთვის დაკისრებულ სხვა უფრო ფართო ფუნქციებთან და პატივთან? კერძოდ, მაინც ვინ უნდა ყოფილიყო „სრულიად მთიულთა“ ერისთავი?

ცნობილია, რომ ქართლის მთიანეთი, სახელდობრ კი ქსნისა და არაგვის ხეობები, თავდაპირველად, ქართული სახელმწიფოებრიობის ძლიერებისა და სამეფოს ერთიანობის ხანაში, ქართლის ერისთავის ხელისუფლებას ექვემდებარებოდა და გარკვეული დროიდან სურამელთა საგამგეოს წარმოადგენდა. მონღოლთა ბატონობის შედეგად ვითარება რამდენადმე იცვლება. ქსნის ხეობაში, ვითარცა ერისთავნი,

ქვენიფხეველები ბატონდებიან (XIII ს. მეორე ნახ. — XIV ს. დასაწყისი), რაც ცენტრალური ხელისუფლების მხრივაც დადასტურებას ჰპოვებს. არაგვზე კი, ჩანს, ძველი ვითარება გარკვეულ დროს კიდევ შემორჩა. თუმაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ადგილობრივ დაწინაურებული საგვარეულოთა ხელისუფლებისაკენ სწრაფვა აქაც საკმაოდ ადრე დასტურდება (შაბურისძენი და სხვ.).

„ძეგლის დადებაში“ ერისთავი ჯერ არ არის „მუნებური“, ე. ი. არც ადგილობრივი მკვიდრი და არც დამკვიდრებული. ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ დროს, შესაძლოა, არაგვის ხეობა კვლავ მეფის მოხელის — იმავე სურამელის საგამგეოდ რჩებოდა, რასაც წყაროთა მონაცემებიც ეთანხმება. ასე მაგ; ჟამთააღმწერელის ცნობით, მთიულეთში გამაგრებული დავით VIII-ის (1293—1311) ერთგულნი იყვნენ სურამელი აჰმადა და ამირეჯიბი აბაზას-ძე ჭილა[8]. ივივე აჰმადა გამოდის შუამავლად დავით VIII-სა და განდგომილ შალვა ქუენიფნეველის შორის. უკანასკნელი „ევედრა სურამელსა მსახურთ-უხუცესსა და ქართლის ერისთავს ჰამადას, რათა იურვოს მეფეს წინაშე“[9] და მან კიდეც შეარიგა მეფე და ქუენიფნეველი. ჩანს, ჰამადა სურამელს უშუალოდ ეკითხებოდა მთიულეთის საქმეები, ვითარცა ქართლის ერისთავს.

ყველაფერი ეს ხდება XIV ს. დასაწყისში. მაგრამ განსაკუთრებით ნიშანდობლივია ჩვენთვის „ძეგლი ერისთავთას“ ერთი ცნობა, რომლის თანახმად, უკვე გიორგი VII-ს დროს, ქვენიფნეველი ვირშელის ერისთაობაში, ე. ი. თვით ძეგლის შედგენის დროისათვის (1400 წ. ახლოს). მთიულები კვლავ სურამელისადმი დაქვემდებარებულად ჩანან: „მაშინ მთიულნი არაგვისანი ზედაზნით დარიალამდისნი ყოველნი ერთად შეკრებით იყუნეს და უძღოდა მათ ერისთავი მათი სურამელი“. აქ საუბარია გიორგი VII-ის ლაშქრობაზე დვალეთში[10]. ცოტა ქვემოთ ნათქვამია, რომ ამ ლაშქრობაში მოკლულ იქნა გამზრდელი „ერისთავისა მათისა“ (ე. ი. მთიულთა). ასე რომ, შეცდომა აქ გამორიცხულია. „ძეგლი ერისთავთას“ გამომცემელს შ. მესხიას საკუთარ სახელთა საძიებელში „სურამელი“ განმარტებული აქვს როგორც „ერისთავი არაგვის მთიულთა“; ხოლო ძეგლის რუსული თარგმანის პუბლიკაციის კომენტარებში საურმაგ კაკაბაძე აღნიშნავს, რომ სურამელნი ადრე ქართლის ერისთავები იყვნენ, ხოლო XIV საუკუნიდან — არაგვის ერისთავები. ამდენად, დასახელებული მკვლევარნი მოტანილი ტექსტის მიხედვით სურამელებს საკუთრივ მთიულეთის ერისთავებად მიიჩნევენ, რაც სხვა დამადასტურებელი მონაცემების უქონლობის გამო, ძნელი გასაზიარებელია.

---

[8] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., II, თბ., 1959, გვ. 305.

[9] იქვე, გვ. 307.

[10] ძეგლი ერისთავთა (შ. მესხიას გამოც.), გვ. 361.

ნიშანდობლივია, რომ „გერგეტის სულთა მატიანე“, რომელიც მოიხსენიებს საგანგებოდ არაგვის ერისთავებს, ქვენიფნეველებს და ათაბაგებსაც კი, არ იცნობს სურამელებს და მათთვის დამახასიათებელ სახელებს (გრიგოლ, ბეგა, ამადა, რატი), რაც თავისთავად გაუგებარია, ვინაიდან ისინი მთიულეთისა თუ არა, ქართლის ერისთავები ხომ იყვნენ?

სამაგიეროდ „გერგეტის სულთა მატიანე“ არაგვის ერისთავებად შაბურისძეებს წარმოგვიდგენს: „სული ყოველთა ერისთავთა შაბურისძეთა კურთხეული იყავნ უკუნისამდე“ — ვკითხულობთ ძეგლში (გვ. 267).

შაბურისძენი ადრევე, ჯერ კიდევ XIII ს. მიწურულსა და XIV ს. დასაწყისში დაწინაურებულ საგვარეულოდ წარმოგვიდგებიან, იმდენად რომ მეფე დავით VIII-მ თავის ძმის ვახტანგ დემეტრეს ძის დამოყვრება შაბურისძეებთან საკმაო საბაბად მიიჩნია ვახტანგის მხრივ განდიდებისადმი მისწრაფებასა და ამდენადვე მის ერთგულებაში ეჭვის შესატანად: „და კუალად ჰგონებდა განდგომასა, ამის ძლით, რამეთუ შაბურის ძმის (თუ ძის?) ასული შეირთო ვახტანგ ცოლად“ — მოგვითხრობს ჟამთააღმწერელი[11]. XIV ს. მიუწურულს კი (1398) შაბურის ძე მიქაი, ვირშელ ერისთავთან ერთად, უკვე ერისთავად არის მოხსენიებული: „მე ქვენიფნეველი ერისთავი ვირშელი მოწამე ვარ“; „მე ერისთავი შაბურისძე მიქაი მოწამე ვარ“[12].

როგორ უნდა შევათავსოთ ერთმანეთთან ის ფაქტები, რომ XIV ს. მიწურულს არაგვის ერისთავებად შაბურისძენი მოიხსენიებიან, ხოლო ამავე დროს, „ძეგლი ერისთავთას“ თანახმად, „ყოველთა მთიულთა“ წინამძღოლობს „ერისთავი მათი სურამელი“?

ამასთან დაკავშირებით ამჯერად მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ სურამელის გამოჩენა XIV ს. მიწურულის მთიულეთის (ამ შემთხვევაში მთელი არაგვის ხეობა) ერისთავის როლში უნდა იყოს მაჩვენებელი ცენტრალური ხელისუფლების კიდევ ერთი ცდისა, განახორციელოს თავისი ძალაუფლება ამ მხარეში ძველი ტრადიციის შესაბამისად. ნიშანდობლივია, რომ „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით, სურამელი მთელი არაგვის ხეობის ერისთავად არის წარმოდგენილი — „ზედაზნიდან დარიალამდე“ და სწორედ მეფის ლაშქარს წინამძღოლობს დვალთა წინააღმდეგ. ამიტომ ვფიქრობთ, რომ გიორგი ბრწყინვალეს დროსაც მთიულეთი, ისევე როგორც მთელი არაგვის ხეობა, სურამელს ექვემდებარებოდა, ვითარცა ქართლის ერისთავს და „ძეგლის დადებაშიც“ იგი უნდა იგულისხმებოდეს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ ძეგლში, არც

---

[11] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 308.

[12] ქრონიკები, თ. ჟორდანიას გამოც., II, 1899, გვ. 203.

შესავალში მოცემულ ზოგად გამოთქმასა: „თემისა და თემის ერისთავნი“ და არც სხვაგან არ ჩანს, თუ კონკრეტულად ვისი ერისთავი იგულისხმებოდა აქ.

რაც შეეხება შაბურისძეებს, ესენი ადგილობრივ დაწინაურებული საზოგადოების წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ, რომელნიც სხვა ასეთივე გვარებთან ბრძოლით მიისწრაფოდნენ არაგვის ხეობაში ბატონ-პატრონობისაკენ, ე. ი. ერისთავობისაკენ და, ჩანს, თანდათან აღწევენ კიდევ ამას ფაქტიურად, ხოლო შემდეგ სამეფო ხელისუფლებისაგანაც იღებენ საამისო დასტურს.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ისტორიული ტრადიციით, ნუგზარ ერისთავის მამა-პაპათა ამოწყვიტეს ჯვის პატრონები თექთურმანიძეები და ხელთ იგდეს არაგვის პატრონობა, ხოლო შემდეგ მეფეთაგან ერისთავობაც მიიღეს[13]. არ არის გამორიცხული, რომ ნუგზარ ერისთავის წინაპრები სწორედ შაბურისძეთა გვარის ერთ-ერთ შტოს ეკუთვნოდნენ. ნიშანდობლივია, რომ შაბურისძეთათვის არ იყო უცხო სახელი ნუგზარი, ხოლო შემდგომ ერისთავთა გვარში სახელი შაბურიც გვხვდება[14]. მაგრამ რა კავშირშია ამასთან ვახუშტისეული ვერსია ნუგზარ ერისთავის პაპის ვანათელ აზნაურის მიერ ქსნის ერისთავების დახმარებით თექთურმანიძეთა ამოწყვეტის შესახებ, ამაზე ამჯერად ჩვენ რაიმეს თქმა გაგვიჭირდება.

მეტად საგულისხმოდ გვეჩვენება ჩვენ „წილკნელის სარგოს წიგნში“ დაცული ისტორიული ტრადიცია შაბურისძეთა შესახებ, რომლის თანახმად, იმ დროს, როცა იესე წილკნელის და მის შემდგომ წილკნელ ეპისკოპოსთა მეცადინეობით ანანურს ზევით მდებარე ტერიტორიის, ე. ი. მთიულეთის მოსახლეობა მოქცეული იქნა ქრისტიანობაზე, „არაგვის ერისთავი არავინ ყოფილა იმის მოქცევაში ერისთავლელთა თვინიერ შაბურისშვილის მეტი. იმას ჰერია დაბალი საერისთაო“[15].

აქედან ისეთი დასკვნა გამოაქვთ, თითქოს არაგვის ხეობაში არსებობდა ორი საერისთავო („დაბალი“ და „მაღალი“)[16], მაგრამ ვფიქრობთ, ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას ეს ტექსტი, ისტორიული პიროებების გათვალისწინებით, არ გვაძლევს, რადგან თვით ეს ტერმინოლოგია გვიანდელი, ე. ი. დოკუმენტის შედგენის დროინდელია (XVII ს.). „დაბალი საერისთავო“ აქ უპირისპირდება „მთას“, რომელიც ანანურს ზემოთ იწყება. ორივე კი ამ დროს არაგვის ერისთავის სამფლობელო

---

13 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 390—391.

14 იხ. გერგეტის სულთა მატიანე, ქ. შარაშიძის გამოც., გვ. 268.

15 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970, გვ. 559.

16 იხ. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 89.

იყო და მოტანილი ცნობა გულისხმობდა ამ საერისთავოს დაბლობ და მთიან ნაწილებს.

შაბურისძენი, ვითარცა ერისთავები, რომელთა საგვარეულო საძვალე ყოფილა ბოდორნა, დოკუმენტებში ჩანან XV ს. 60—70-იან წლებში[17].

ამგვარად, XV საუკუნიდან ცალკე არაგვის საერისთავოს არსებობა უკვე ფაქტია. აქაც, მართალია რამდენადმე დაგვიანებით, მაგრამ ძირითადად იმავე კანონზომიერებით მოხდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა ქსნის ხეობაში. ე. ი. აქაც ადრე უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებულ თემებს ახალი სოციალური ძალა — ადგილობრივი „ერისთავები“ გაუბატონდნენ, თუმცა ესენი უკვე თვისობრივად აღარ იყვნენ ძველი ერისთავები (მეფის მოხელე-განმგებლები). ისინი განეკუთვნებოდნენ ადგილობრივ (უთუოდ „დაბალ საერისთავოში“, ანუ ხეობის დაბალი ნაწილში) სოციალურად დაწინაურებულ საზოგადოებრივ წრეს თუ გვარს, და ახალ ვითარებაში, სოციალურ აღზევებისა და გაერისთავებისთანავე უპირატესად განასახიერებდნენ არა სამეფო ხელისუფლების ადგილობრივ მოხელეს, არამედ, იმთავითვე ითვისებდნენ „თავადის“ ნიშნებს და ამდენადვე მის პროტოტიპს წარმოადგენდნენ.

ნიშანდობლივია, რომ იმ დროს, როდესაც საქართველოს ბარში ერისთავობის ინსტიტუტმა დრო მოჭამა და „მთავრობა“ თუ „თავადობა“ შემოვიდა, ქსნისა და არაგვის ხეობებში „ერისთავობა“ მკვიდრდება, მხოლოდ, ახალი შინაარსით, და, გვარის აღმნიშვნელ სახელადაც კი იქცევა. ეს იყო მთის ფეოდალიზაციის მეორადი პროცესი, განსხვავებული ადრინდელი პროცესისაგან იმით, რომ თუ კი წინათ მთის ფეოდალიზაციას ცენტრალური ხელისუფლება ახორციელებს და უშუალოდ იქვემდებარებს მთას, ახლა აქ განვითარებული მოვლენები თავისი შინაარსითა და შედეგებით ფეოდალურ-თავადურია. განსხვავება კიდევ იმაშია, რომ თუ კი ფეოდალიზაციის ადრეულ ეტაპზე მთა ვერ გასცდა ადრეფეოდალურ ურთიერთობებს, ახალ ვითარებაში მოხდა მთის რაიონების მნიშვნელოვანი ნაწილის საზოგადოების განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობებში, ანუ ბატონყმურ დამოკიდებულებაში მეტ-ნაკლები ხარისხით შემოყვანა. ამ პროცესს მხოლოდ მთის ზოგიერთი კუთხე (მათ შორის ბალსზემო სვანეთი და მთა-რაჭა) გადაურჩა.

* * *

მოკლედ გვინდა შევეხოთ მთიულეთის საზოგადოების სოციალურ აღნაგობას „ძეგლის დადების“ მიხედვით.

[17] იქვე, გვ. 85.

მთიულეთის საზოგადოების სტრუქტურაზე, უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენას გვიქმნის „ძეგლის დადებაში“ გატარებული პრინციპი სისხლის დაურვებისა „გუარსა ზედა“: „სისხლი გასწორდების თავის გუარსა ზედა რასაც გუარის კაცნი იყვნენ“ (მუხლი 28). მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვისი სისხლიც არის გაჩენილი ძეგლში, ყველა ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენელი, ანუ „მუნებური“ იყო.

არაადგილობრივნი (ე. ი. გარეშე) პირნი აქ იყვნენ ერისთავი და განმგებელი. პირველის სისხლი საერთოდ არ არის განსაზღვრული, რადგან ერისთავის მოკვლა მეტად მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და უშუალოდ „დარბაზის“ მოსაკითხი საქმე იყო (მუხლი I), განმგებლის სისხლი კი იმის მიხედვით განისაზღვრებოდა, თუ რომელ წოდებას ეკუთვნოდა იგი — მსახურისა 6 ათასი თეთრი იყო, აზნაურისა კი მეტი (მუხლები 2, 4).

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული წოდებრივი კატეგორიები: „მსახური“, „აზნაური“ არ არის დამახასიათებელი ადგილობრივ საზოგადოებისათვის, არამედ წარმოგვიდგენენ სამეფო კარის ძიერ („დარბაზით“) დანიშნულ არაადგილობრივი წრიდან გამოსულ მოხელის (არა „მუნებურის“) სოციალურ სახეს. საყურადღებოა, რომ ძეგლში არაფერია ნათქვამი არც თვით ერისთავის და არც განმგებლის დანაშაულზე, მაშინ, როდესაც ადგილობრივ მკვიდრთა დანაშაული ძეგლში საგანგებოდ არის წარმოდგენილი (ხევისბერისა თუ სხვების).

„მუნებურ“, ე. ი. ადგილობრივი წრის წარმომადგენელ მოხელეებად გვევლინებიან ხევისბერნი. მათი სისხლიც 6 ათას თეთრად იყო შეფასებული, ე. ი. მსახურთა წრიდან გამოსული განმგებლის ტოლად ფასობდა. მაგრამ ხევისბრობა მარტო თანამდებობრივი პრივილეგია არ იყო. იგი მისი გვარის სოციალურ აღზევებასაც გულისხმობდა. ყველა მისი „სახლის კაცის“ (მამა, ბიძა, ძმა, ბიძასძე, ძმისწული) სისხლი 6 ათას თეთრად იყო შეფასებული, ე. ი. მსახურთა წრიდან გამოსული განმგებლის სისხლის ტოლი იყო (მუხლი 9). მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ კი ხევისბერის გვარის კაცი მისი განაყოფი იყო, ძმაც რომ ყოფილიყო, მისი სისხლი მხოლოდ 3 ათას თეთრად ფასობდა.

ხევისბერის საგვარეულოს ასეთი წოდებრივი პრივილეგიის საფუძველს ის წარმოადგენს, რომ ხევისბერის გაუყოფელი სახლის კაცები ვალდებულნი იყვნენ ხლებოდნენ მას ლაშქრობაში, ანუ ასრულებდნენ „საბატიო“ მოვალეობას. ძეგლის მე-10 მუხლში ვკითხულობთ: „ჴევისბერის მეყჳსისა და მისის მოახლის სისხლისა და მისის განაყოფისა სისხლი, ასეთისა რომე არა ეახლოს, ამად არა სწორად დავდევდით, რომე ჴევისბერს დარბაზით ლაშქართ თავადობა ჰბოძებია და იგინი მისნი მოახლენი იქნებიან და საბატიონი, და მისნი მოახლენიცა, ამად რომე დარბაზით დაყენებულს ჴევისბერს ახლავან; თუარა განა-

ყოფი არიან, მის განაყოფს ჯევისბერის მოახლისა სისხლის სწორიანი მართებს, ამად მისი სისხლი გაუნახევრეთ“.

აქ ყურადღებას იქცევს ისიც, რომ თუმცა ხევისბერის განაყოფი კაცის სისხლი მისი „მოახლის“ სწორი არ არის, და განახევრებულია (ე. ი. შეადგენს 3 ათას თეთრს), მაგრამ იგი მაინც გაცილებით მეტია რიგითი მეთემის სისხლზე, რაც ერთგვარი პრივილეგირებული ფენის გამოყოფაზე მეტყველებს.

ძეგლში რიგითი მეთემეების ანუ „ჰეროვანთა“ სისხლი 1200 თეთრად არის შეფასებული (მუხლი 11).

გარდა ამისა, ძეგლში განსაზღვრულია ხადელი ციხისთავის სისხლი 3500 თეთრად. ხადას ციხისთავი 2 ყოფილა (მუხლი 13). რაც შეეხება ხადის სხვა მოსახლეებს („უციხისთავო ჯადელ კაცს“), მათი სისხლი ჰეროვანის სისხლის ფასად არის განსაზღვრული (მუხლი 14).

ცალკე არის ძეგლში აღნიშნული ლომისის გლეხის (მეფეთაგან თუ სხვა პირთა მიერ შეწირულის) სისხლი — 1500 თეთრი (მუხლი 41).

გარდა „სისხლის დაურვებისა“, მთიულეთში სამოხელეო იერარქიის თუ საზოგადოების სოციალური სტრუქტურის გამომხატველი სხვა მაჩვენებლებიც არსებობდა. „სისხლის დაურვებასთან“ ერთად ცალკეულ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის ზომად იყო დაწესებული „გაძევება“, „მამულის წაღება“ და „სასეფოდ დადება“ გარკვეული ხნით — 2 ან 3 წლით და ე. წ. „უარზანგობის“, ე. ი. საუპატიო საზღაურის განსაზღვრა სისხლის ფასის შესაბამისად: „ვისიც სისხლი უფროსი იყოს, ანუ უმცროსი, უარზანგობაც ამ განაჩენით იყოს“ — წერია „ძეგლის დადებაში“. მაგრამ შესაბამის მუხლში ყველა მოხელის თუ სოციალურ წრის წარმომადგენლის „უარზანგობა“ კი არ არის განსაზღვრული, არამედ, ჩანს, ძირითადი კატეგორიებისა: „მამულისა ანუ სხვისა რისამე ესე არის: ვისიც თორმეტი ათასი თეთრია სისხლის ფასი, მას ერთი უარზანგობა — სამასი თეთრი არის. აზნაურთა, ჯევისბერთა — ასორმოცდაათი თეთრი არის ერთი უარზანგობა, ჰეროვანთა — ოცდაათი თეთრი“ (მუხლი 30).

როგორც ვხედავთ, უარზანგობა პროპორციულად სისხლის ოდენობის მეორმოცედს შეადგენდა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ძეგლს იმ მუხლებში, სადაც განსაზღვრული იყო მთიულეთის მოხელეთა და სოციალურ ჯგუფების სისხლი, ისეთი პირი არ შეგვხვედრია, ვისი სისხლიც 12 ათას თეთრად ფასობდა.

მეორე ჯგუფში, ვისი უარზანგობაც 150 თეთრი იყო, ე. ი. სისხლის ფასი 6 ათას თეთრს შეადგენდა, გაერთიანებული არიან „აზნაურნი“ და „ჯევისბერნი“. როგორც ვიცით, ხევისბერის სისხლი მართლაც 6 ათას თეთრად იყო შეფასებული, მაგრამ აზნაურთა მათთან ერთად მოხსენე-

ბა ამ შემთხვევაში ბადებს მთელ რიგ კითხვებს. ძეგლის მე-2 მუხლის თანახმად, 6 ათას თეთრად შეფასებული იყო მსახურთა წრიდან გამოსული განმგებლის სისხლი, ხოლო აზნაურთა წრიდან გამოსულის უფრო მეტად უნდა ყოფილიყო განსაზღვრული („იმის გუარსა ზედა"), თუმცა ძეგლში ეს თანხა არ არის ნაჩვენები (მუხლი 4).

სავსებით შესაძლებელია, რომ 12 ათასი თეთრი აზნაურთა წრიდან გამოსული განმგებლის სისხლის ფასი იყო. ამიტომ გაუგებარია უარზანგობის დაურვებისას ხევისბერის აზნაურთან გათანაბრება, თუ კი მისი სისხლი მსახურთა წრიდან გამოსულ განმგებლის სისხლად ფასობდა.

ამდენად ჩვენ მხოლოდ იმის ვარაუდი თუ შეგვიძლია, რომ ხევისბერთა გათანაბრება აზნაურებთან უარზანგობის განსაზღვრისას უნდა მიუთითებდეს პირველთა „საბატიო" მდგომარეობაზე, მათ „აზნაურულ" მოვალეობაზე.

აღსანიშნავია, რომ ძეგლის მე-8 მუხლის თანახმად, ხევისბერის მდგომარეობა გარკვეულ ვითარებაში განმგებლის თანასწორად არის წარმოდგენილი: „და თუ ქვეყანამან მოკლას ჯევისბერი, განმგებლის სიკუდილის სწორი პატიკი, ბეგარი და სისხლი დაეურვოს და დაედვას ბეგარი საუკუნოდ".

ჰეროვანის, ანუ რიგითი მეთემის უარზანგობა, როგორც ითქვა, 30 თეთრს შეადგენდა.

ასე წარმოგვიდგება „ძეგლის დადების" მიხედვით მთიულეთის საზოგადოების სამოხელეო და სოციალური სტრუქტურა.

როგორც ვხედავთ, აქ ძირითად საზოგადოებრივ ფენს ჰეროვანნი ე. ი. რიგითი მეთემეები წარმოადგენდნენ, რომელთა სისხლი ყველაზე ნაკლებად იყო შეფასებული (1200 თეთრად).

პრივილეგირებულ წრეს შეადგენდნენ ხევისბერის სახლის კაცები, რომელნიც უშუალოდ რაიმე ჯელის მქონებელნი არ იყვნენ, მაგრამ ჯევისბერთან იყვნენ დაკავშირებულნი ნათესაობით და ლაშქრობაშიც ახლდნენ მას, როგორც „საბატიო მოახლენი". მათი სისხლი ხევისბერის სისხლის ტოლი იყო (6 ათასი თეთრი). ამავე წრეს ეკუთვნოდნენ ხევისბერის განაყოფი მოგვარენიც. მართალია ამ უკანასკნელთა სისხლი პირველთა სწორი არ იყო — მხოლოდ ნახევარს, ე. ი. 3 ათას თეთრს შეადგენდა, მაგრამ გაცილებით აღემატებოდა ჰეროვანთა სისხლს (ორჯერ და კიდევ უფრო მეტად).

აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ ხევისბერთა და მის მოგვარეთა სახით სამეფო ხელისუფლება ქმნიდა ადგილზე პრივილეგირებულ წრეს — თავის დასაყრდენს მთაში გავლენის და რიგით მეთემეთა სამსახურის (უპირატესად სამხედრო ბეგარის) უზრუნველსაყოფად.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის, რომ ყველა მო-

ხელის ნათესაობა როდი სარგებლობდა ამ მოხელის პრივილეგიებით. ასე, მაგალითად, ხადელი ციხისთავის სახლის კაცები არ იყვნენ გათანაბრებულნი თვით ციხისთავთან სისხლის დაურვების მხრივ, არამედ განიხილებოდნენ როგორც ჰეროვანნი, ანუ რიგითი მეთემეები (მუხლი 14).

უნდა ვიფიქროთ, რომ, ხევისბერებად ზემოთ აღნიშნული პრივილეგირებული გვარების მეთაურები — უხუცესი და ავტორიტეტიანი წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ „დარბაზით დაყენებულნი". ამასთანავე, თუკი ხევისბერს „დარბაზით ლაშქართ თავადობა" ჰქონდა ნაბოძები, და მას, ვითარცა „მისნი მოახლენი"... და „საბატიონი" ახლდნენ მისი სახლის კაცები (მუხლი 10), თვით ლაშქარს ჰეროვანნი შეადგენდნენ. ძეგლის მე-19 მუხლში ვკითხულობთ: „რომელიც ქუეყანა და თემი აწვიენეს ბრძანებითა ერისთავმან და განმგებელმან და ჟამიერად არ გამოვიდნენ, — ქუეყანამან თუ სოფელმან და ანუ ერთმან კაცმან, და რაზომლა კაცმან დააკლოს ლაშქრობა, ერთს წელიწადს არ შეენდოს და მამული დაეჭიროს სასეფოდ, და თჳთო ჯარი წაეგუარის სასეფოდ, და მეორეს წელიწადს მამული ისევ ებოძოს ერისთავისა და და განმგებელისაგან საურავითა.

ესე ჰეროვანისა და სოფლიონისა იყოს".

უკანასკნელ ფრაზაში ჰეროვანისა და სოფლიონის ერთად ხსენება ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს სოფლიონი მთიულეთის მოსახლეობის განსაკუთრებულ, ცალკე კატეგორიას წარმოადგენდა და შეადგენდა ჰეროვანებთან, როგორც ერისაგან გამორჩეულ ფენასთან დაპირისპირებულ მდაბიოთა წრეს[18], ან ჰეროვანი და სოფლიონი სინონიმებია. ჩვენ გამორიცხულად გვეჩვენება ის, რომ „ძეგლის დადებაში", რომელიც მიზნად ისახავდა მთიულეთში სამართლებრივი წესრიგის დამყარებას, სისხლის განსაზღვრისას გამოტოვებული ყოფილიყო რომელიმე სოციალური კატეგორია. ძეგლის შესავალში ხომ პირდაპირ აღნიშნულია: „და აწ ყუელა გავაჩინეთ, რა რიგად ვის რა ეყოს ერთმანეთის ავი, სისხლი დგეს ანუ სხვა სასაქმო რა გინდა რა იყოს, — გარდაჴდეს... ჩვენ მსოფლიოსა ამისი სისხლი, პატიჟი და სასაქმო გაგჳჩენია". ე. ი. „სასჯულო" და „საეკლესიო" საქმის გარდა აქ ყველაფერი განსაზღვრული იყო.

დამახასიათებელია, რომ „ძეგლის დადებაში" მოცემულია ისეთი დეტალებიც, როგორიცაა არა მარტო ხადელი ციხისთავის სისხლი, არამედ „უციხისთავო ჴადელი კაცის", ან ციხისთავის ძმების და შვილე-

---

18 ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, ლექსიკონი — „სოფლიონი", გვ. 147; ბ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, ტოპონიმ „სოფიონის" საკითხისათვის ეთნოგრაფიული მასალების შუქზე, მაცნე, ისტორიის... სერია, 1978, № 3, გვ. 90—91.

ბის სისხლის ფასი და სხვა. ყოველივე აღნიშნული გვაძლევს საფუძ-
ველს ვიფიქროთ — „სოფლიონი“ ცალკე კატეგორია რომ ყოფილიყო,
მისი სისხლი საგანგებოდ იქნებოდა შეფასებული. სოფლიონი არც ჰე-
როვანის სინონიმია, რადგან, გაუგებარია, რატომ დაჭირდა კანონ-
მდებელს ჰეროვანის დამატებითი განმარტება.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ტერმინები ჰეროვანი და
სოფლიონი ერთად იხსენიება სწორედ იმ მუხლში, რომელიც სამხედ-
რო ბეგარას ეხება. აქ კანონმდებელი ცდილობს დააზუსტოს ასეთი
სამსახურის ვალდებულების მქონე საზოგადოებრივი წრე, კერძოდ
ის, რომ ასეთები იყვნენ ჰეროვანნი და, ჩანს, მხოლოდ საერო პირები
(„სოფლიონი“). ნიშანდობლივია, რომ თვით ძეგლის შესავალში ეს
ტერმინი სწორედ ასეთი გაგებით არის ნახმარი დაპირისპირებით „სას-
ჯულო“ და „საეკლესიო“ საქმესთან, რაც კათალიკოსის და ეპისკო-
პოსთა კომპეტენციას შეადგენდა.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ ვახუშტი ძველი საქარ-
თველოს სოციალური ფენების ჩამოთვლისას უპირისპირებს ერთმანეთს
სასულიერო და საერო წოდებას: „ხოლო წესნი აქუნდათ: რამეთუ კერპ-
თა მღუდელთა პატივი და რიგნი იყუნენ ცალკერძად, ვითარცა ს უ ლ ი-
ე რ თ ა. ხოლო ს ო ფ ლ ი ე რ ნ ი პირველი ერისთავნი, ბ) მთავარნი,
გ) აზნაურნი, დ) ვაჭარნი, ე) მსახურნი, ვ) მუშაკნი გლეხნი“[19].

საქმე ისაა, რომ მთიულეთის მოსახლეობაში გარდა ჩამოთვლილი
საზოგადოებრივი ჯგუფებისა, იყვნენ სასულიერო პირნიც, მაგ., „ქვეყ-
ნის ხუცესი“ (მუხლი 17), უთუოდ იგივე ჰეროვანთა წრიდან გამოსულ-
ნი, რომელთაც არამცთუ არ ევალებოდათ სამხედრო ბეგარა, არამედ
აკრძალულიც ჰქონდათ იარაღის ტარება. გავიხსენოთ „გერგეტას სულ-
თა მატიანეში“ შემონახული კათალიკოსის განაწესი გერგეტის საყდ-
რის შვილებისადმი: „იყუენით საყდრისა შვილნი ერთსულობით: უფ-
როჲსად და უმცროჲსანი (?) მღდელნი — მღდელთა წესითა და ერის-
განნი — ერისგანთა წესითა, რომელმანცა ხუცესმა აბჯარი აიღოს, ვინ-
ცა ნახოს, წაართოჲს და ჯურუმცა აზღვევინოს ქ(უეყანამა)ნ“[20]. ვფიქ-
რობთ, მოტანილი საბუთი საკმაოდ საკმარისია ძეგლის „ძეგლის დადებაში“
ნახმარ ტერმინ სოფლიონის ჩვენ გაგებას.

ამგვარად, ჰეროვანნი მთიულეთის საზოგადოების უდაბლეს საფე-
ხურზე მდგომ ძირითად ფენად, რიგით მეთემეებად უნდა მივიჩნიოთ.
მაგრამ, სხვაობა თვით ჰეროვანთა შორისაც შეინიშნება. მაგალითად,
იყვნენ „დარბაზისა ცნობისა ღირსი“ ჰეროვანნიც (მუხლი 11), ე. ი. რა-
იმე ღირსებით თვით ჰეროვანთა შორის გამორჩეულნიც. უთუოდ ასეთი

---

19 ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 17.

20 გერგეტის სულთა მატიანე, ქ. შარაშიძის გამოც. გვ. 286.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირები იგულისხმებიან იმ ჰეროვანებში, რომლებზედაც ლაპარაკია „ძეგლის დადების“ შესავალში: „შემოვიტანეთ თემისა და თემის ერისთავნი და ჯევისთავნი და ხევისბერნი და ჰეროვანნი“. ბუნებრივია, რომ „ძეგლის დადების“ აქტის გაფორმებაში არამცთუ ყველა ჰეროვანი, არამედ სავსებით შესაძლებელია, ყველა ჯევისბერიც არ მონაწილეობდა.

უთუოდ ხევისბერნიც ისეთ ჰეროვანთაგან ინიშნებოდნენ, რომელნიც გარკვეულ ღირსებებით „დარბაზისა ცნობის ღირსი“ იყვნენ. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ხევისბერი გარდაიცვლებოდა, ან რაიმეს დაამაგებდა (მაგ. განმგებელს მოკლავდა) და ხევისბერობა დარბაზით ჩამოერთმეოდა (მუხლი 5).

თუ კი ასეთ შემთხვევაში თვით ხევისბერის სახლის კაცთა შორის არავინ მოიძებნებოდა ისეთი, ვინც ხევისბერის მიერ ჩადენილ დანაშაულში არ იყო გარეული, მაშინ ჯევისბერს, ჩანს, ჰეროვანთა შორის არჩევდნენ: „და თუ მის ჯევისბერის გუარის კაცი იყოს, ასეთი რომ განმგებელის სიკუდილს არ დახუედრიყოს და არას ერიოს არა ცხადად და იდუმალ, თჳთ მას ებოძოს ჯევისბერობა დარბაზით.

და თუ არავინ იყოს მისი სახლის კაცი, ვინც ერისთავმან და ახალმან განმგებელმან გამოარჩიონ ერთი კაცი, — მეფის ერთგული იყოს და ქუეყანასაც უჯობდეს, — იგი დააყენონ დარბაზით ჯევისბერად“ (მუხლი 5).

„ძეგლის დადებაში“ მთიულეთის საზოგადოების სრულუფლებიანი წევრის ზოგად აღმნიშვნელ ტერმინად ნახმარია „კაცი“ („გუარის კაცი“, „გაუყოფარი კაცი“, „განაყოფი კაცი“, „ჰეროვანი კაცი“, „მოსაქმე კაცი“, „ქუეყნის კაცი“ და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ერთ შემთხვევაში (მუხლი 17) „კაცი“ დაპირისპირებულია ხუცესთან („... მის ქუეყნის ხუცესთა და კაცთა ჴელითა“). ჩანს, აქ „კაცი“ საერო პირს გულისხმობს. მეორე შემთხვევაში „სახლის კაცი“ დაპირისპირებულია „ყმასთან“. მაგ., მუხლი 40 იხსენიებს „რბევასა შიგან მომკვდარ“ მოსაბიეს „სახლის კაცთა და მისთა ყმათა“, რომელთაც რაღაც „სანივთო ეშოვნათ“. რადგან ეს „ძეგლის დადებაში“ ტერმინი „ყმის“ ხმარების ერთადერთი შემთხვევაა, საჭიროდ მიგვაჩნია საგანგებოდ შევჩერდეთ მის მნიშვნელობაზედაც. ვინ არიან ამ შემთხვევაში მომკვდარი მოასაბიეს „სახლის კაცნი“ და „მისი ყმანი“? ბუნებრივია, ისინი მოასაბიეს დამხმარე პირებია — როგორც ნათესავთაგან („მისი სახლის კაცნი“), ასე დამოკიდებულ წრიდან („მისნი ყმანი“).

უეჭველია, რომ მთიულეთის საზოგადოებაში, რომელიც მოტანილი მასალის მიხედვით სუსტად დიფერენცირებული ჩანს, „ყმა“ იყო „კაცის“ „მოკიდებული“, ანუ პატრონყმურ ურთიერთობის საფუძველზე დამოკიდებული პირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთიულეთის საზოგადოების შედარებით მარტივი სოციალური სტრუქტურა და თავისებურება აშკარად წარმოგვიდგება თუკი ამავე თვალსაზრისით ბექა მანდატურთუხუცესის სამართალში წარმოდგენილ სურათს გავითვალისწინებთ.

„ძეგლის დადებაში“ არ ვხვდებით ისეთ სოციალურ კატეგორიებს, როგორიცაა „დიდებული“, ვისი სისხლიც 40 ათას თეთრად იყო შეფასებული და „ტაძრეული აზნაური“ — „ციხოსან-მონასტროსანი“, რომლის სისხლი 20 ათას თეთრად ფასობდა.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ძეგლის მიხედვით სოციალური იერარქიის უმაღლეს საფეხურზე ისეთი პირი იდგა, ვისი სისხლიც 12 ათას თეთრად იყო შეფასებული, თუმცა კერძოდ ვის ეხება ეს, ძეგლში აღნიშნული არ არის. ჩვენ უკვე გამოვთქვით ვარაუდი, რომ აქ შესაძლოა გვეგულისხმა აზნაურთა წრიდან გამოსული განმგებლის სისხლი, რაც უთანაბრდება ბექას სამართლის დამცრობილი აზნაურის ან აღზევებული მსახურის სისხლს („ქოთლოსნისა და აბჯროსნისა და კარვოსნისა, და პატრონთან რომ ჯელი აქვნდეს ანუ ჰქონებოდეს, ე. ი. „პატრონსა აზნაურის შვილად ჰყვეს“)[21].

მსახურთა წრიდან გამოსული განმგებელი უთანაბრდება ბექას სამართლის მსახურს, რომელსაც „პატრონთა საჩინო ჯელი არა აქვნდეს და არც ჰქონებოდეს, აზნაურად ჰუვეს“. ამათი სისხლი 6 ათასად იყო შეფასებული.

„ძეგლის დადების“ ჰეროვანი, ანუ რიგითი მეთემე თავისი უფლებრივი მდგომარეობით უახლოვდება ბექას სამართლის რიგით მსახურს ან ისეთ ყმა-გლეხს, რომელსაც „პატრონნი იცნობენ სიკეთეზედა“. ამ კატეგორიის პირთა სისხლი ბექასთან ათას თეთრად არის შეფასებული, ჰეროვანის სისხლი კი 1200 თეთრად ფასობდა. როგორც ვხედავთ, აქ განსხვავება უმნიშვნელოა, მაგრამ თუ კი ჰეროვანის მდგომარეობას შევუდარებთ ბექას სამართალში სოციალური კიბის უმდაბლეს საფეხურზე მდგომ კატეგორიის — გლეხთა უფლებრივ მდგომარეობას, აქ განსხვავება თვალსაჩინოა. როგორც ცნობილია, გლეხის სისხლი ბექასთან 400 თეთრად, ე. ი. ჰეროვანის სისხლზე სამჯერ უფრო ნაკლებად ფასობდა.

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ „ძეგლის დადებით“ ლომისის ტაძრის გლეხის სისხლი 1500 თეთრად, ე. ი. ჰეროვანისა და ბექას სამართლის მსახურის სისხლზე საგრძნობლად უფრო მეტად იყო შეფასებული. ეს კანონმდებლის მხრივ სატაძრო მეურნეობისა და თვით ეკლესიის ორგანიზაციის მიმართ განსაკუთრებული მზრუნველობის და მფარველობის გამოხატულება უნდა იყოს. შემთხვევითი არ არის ის,

---

21 ი. დ ო ლ ი ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963, გვ. 428.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ აქ სწორედ მეფეთაგან და „გინა სხუათა ვისგანმე“ შეწირულ გლეხებზეა საუბარი. მაგრამ, ვინ იგულისხმება კონკრეტულად ამ „გლეხში“, მთლად ნათელი არ არის. ვეჭვობთ, რომ მთიულეთის გარეთ, სადმე ბარში შეწირულ გლეხზე იყოს ლაპარაკი, რადგან ბარში მომხდარ დანაშაულს ბარისავე კანონები და არა მთიულეთისათვის შედგენილი კანონმდებლობა მიესადაგებოდა, ხოლო თვით მთიულეთში გლეხთა ფენა, ისიც ესოდენ მაღალი სისხლს საფასურით, სხვა შემთხვევაში ძეგლში დადასტურებული არ არის. უნდა ვიფიქროთ, რომ ლომისის გლეხებად ითვლებოდნენ იგივე ჰეროვანთა წრიდან გამოსული უშუალოდ მეფეზე თუ დაწინაურებულ საზოგადოებრივ ფენის წარმომადგენელზე დამოკიდებული პირები, რომელთაც მეფეთაგან თუ „სხვათა“ მიერ ტაძრის სამსახური ეკისრებოდათ. ნიშანდობლივია რომ ეს სამსახური, თუნდაც „გლეხური“ კიდევაც ზრდიდა ასეთი პირის სისხლის ფასს ჰეროვანთან შედარებით. სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთ „გლეხად“ გადაქცეულიყო ვინმე იმ „ყმათაგანი“, რომლებზედაც ასაბიათა შესახებ მუხლშია ლაპარაკი („ოდეს იგი მოასაბიე მომკუდარიყოს, მისი სახლის კაცთა და მისთა ყმათა სანივთო რა ეშოვნოს... სისხლთა შიგან მიეფასოს“... (მუხლი 40).

ასეთი პირი („ყმა“) შესაძლოა იმდენადაა „გლეხი“, რამდენადაც შეწირულია, ე. ი. უკვე პირადად დამოკიდებულია. თუ ჩვენი ეს მოსაზრება სწორია, მაშინ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თავისუფალი მეთემის დაყმევების, გაგლეხების (ბარული მნიშვნელობით) პროცესის საწყისთან, ე. ი. პატრონყმურიდან ბატონყმურ მდგომარეობაში გადასვლის ელემენტებთან.

ამგვარად, სისხლის დაურვების შესახებ „ძეგლის დადების“ და ბექას სამართლის შესაბამისი მუხლების შედარება თვალნათლივ გვიჩვენებს მთის საზოგადოების სპეციფიკას, იმ სხვაობას, რომელიც არსებობდა მთასა და ბარში საზოგადოებრივ ჯგუფების სოციალური დაპირისპირების თვალსაზრისით. თუკი ბარში საზოგადოებრივი კიბის უმაღლეს საფეხურზე დიდებული იდგა, რომლის სისხლს ფასი 40 ათას თეთრს შეადგენდა, ხოლო უმდაბლეს საფეხურზე ყმა-გლეხი, რომლის სისხლი 400 თეთრად ფასობდა, მთიულეთში უკიდურეს სოციალურ პოლუსზე მყოფ პირთა სისხლი 12 ათასს და 1200 თეთრს შეადგენდა. აქედანაც, როგორც ვფიქრობთ, 12 ათასი მხოლოდ აზნაურთა წრიდან გამოსული განმგებლის, ე. ი. არაადგილობრივი მოხელის, სისხლის ფასი უნდა ყოფილიყო. ხოლო „მუნებირთაგან“ ყველაზე მეტად — 6 ათას თეთრად — ხევისბერისა და მის სახლის კაცთა სისხლი ფასდება, ყველაზე ნაკლებად კი — 1200 თეთრად — ჰეროვანთა, ე. ი. რიგით მეთემეთა სისხლი.

ცხადია, არაგვის ხეობის დიდ ნაწილში, კერძოდ, გვიანდელ ე. წ. „დაბალ საერისთავოში“, ანუ ხეობის შუა და დაბლობ ნაწილში, საზოგადოების სოციალური შემადგენლობის იგივე სურათი გვქონდა („აზნაური“, „მსახური“, „გლეხი“), როგორც საერთოდ საქართველოს ბარში.

მთიულეთის საზოგადოების თავისებურება ვლინდება საადგილმამულო ურთიერთობაშიც, მიწის მფლობელობის ფორმებში, რომელნიც „ძეგლის დადებაშია“ ასახული. მიწას, რომელზედაც სახლობდნენ და რომელსაც ფლობდნენ მთიულეთის მცხოვრებნი, რა რანგისა და საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენელნიც არ უნდა ყოფილიყვნენ, „მამული“ ეწოდებოდა. „ძეგლის დადება“ არ ასახელებს მხოლოდ ერისთავისა და განმგებლის მამულს (ჩანს, მათ ასეთი არც უნდა ჰქონოდათ). დანარჩენნი კი, ვინც იხსენიება ძეგლში, მამულის მფლობელნი იყვნენ. მთიულნი მამულის მემკვიდრეობითი მფლობელნი ჩანან, ხოლო მიწის უზენაესი მესაკუთრე სახელმწიფოა („დარბაზი“). დანაშაულის შემთხვევაში სასჯელის საყოველთაოდ გავრცელებული ზომა, სისხლის დაურვებასთან ერთად, დამნაშავის გარკვეული დროით გაძევება და მამულის „სასეფოდ დადება“ იყო. ეს უკანასკნელი უბრუნდებოდა მის ყოფილ მფლობელს სასჯელის მოხდის შემდეგ, ერისთავისა და განმგებლის შუამდგომლობის საფუძველზე „დარბაზით“, ე. ი. სამეფო საბჭოს გადაწყვეტილებით (მუხლები 6, 7, 9, 11, 13).

მამული მთიულეთის მცხოვრებთა — ხევისბერთა თუ ჰეროვანთა — სამხედრო სამსახურის და საჯარო ბეგარის გასტუმრების საფუძველია, რაც ნათლად ჩანს „ძეგლის დადების“ 27-ე მუხლიდან: „ბეითალმანად რაც პარტახტი და მამული დარჩეს, რომე მემამულე აღარ მიაჩნდეს, თუ მისის გუარის კაცნი გამოჩნდენ ერთგუარნი... მათ ებოძოს ასრე რომე საჯარო და სალაშქრო და საბეგრო არ დააკლდეს ქუეყანასა.

და თუ მათის გუარისა აღარა დარჩეს რა კაცი, ამავე საჯარო ბეგარი სალაშქროდ ვინცაღა შეიწყნაროს და ღირს იყვნენ ბოძებისა, — დარბაზით ებოძოს.

და თუ დარბაზით მისისა ბოძებისა უღირსი იყოს, ერისთავმან და განმგებელმან მისცენ, და აგრეთვე მებეგრედ და მოსამსახურედ იყვნენ“

როგორც ვხედავთ, მამული მისი მფლობელის პირობით საკუთრებას შეადგენდა.

გარდა „მამულისა“ მთიულეთის მცხოვრებთ ნასყიდი მიწაც შეიძლება ჰქონოდათ, ისეთი ზომით, რომ ამ მიწას შეეძლო შეენახა კიდეც მისი პატრონი. „ძეგლის დადების“ მე-16 მუხლი გვამცნობს. „თუ მამა დაუბერდეს და შვილი მოსწიფოდეს, და მამას სამსახური არ შეეძლოს, უპრიანია ერთგან ყოფნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ რადმე ვერ იქნებოდნენ და ნასყიდი ეყოფოდეს, მამამ ნასყიდი დაიჭიროს და შვილმა მამულით უმსახუროს.

და თუ მამას ნასყიდი არ ეყოფოდეს, მამულისაგანაც დაიზიაროს; და შვილთან ნების მყოფელი იყოს, ნასყიდიც შვილს დაუგდოს.

და თუ არ ნების მყოფელი იყოს, ნასყიდში არა ჴელი აქუს შვილსა. თუ უნდა, მამა გაყიდის, და თუ უნდა, მონასყიდე შეიტანს, — რასაც უზამს, მამამ იცის, შვილი ნასყიდს ვერ ეცილოს".

როგორც ვხედავთ, ნასყიდი მიწა მამულისაგან განსხვავებით არ წარმოადგენდა „საჯარო სამსახურის" თუ სალაშქრო ვალდებულების საფუძველს. იგი მფლობელის სრული, უცილობელი საკუთრება იყო.

რაც შეეხება მამულს, როგორც ითქვა, იგი მფლობელის მხოლოდ მემკვიდრეობით პირობით საკუთრებას შეადგენდა და იურიდიულად სახელმწიფოს ეკუთვნოდა.

ძველად მთიულეთში სათემო მფლობელობაში მყოფი მიწის ფონდი, ჩანს, მთის ფეოდალიზაციის შედეგად სამეფო ხელისუფლების მიერ იქნა მითვისებული. სახელმწიფო ცდილობს ეს უფლება განამტკიცოს, რამდენადაც და როდესაც ამის შესაძლებლობა ეძლევა. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა „ძეგლის დადების" მე-12 მუხლი: „თუ ჴევისბერმან მოკლას ჰეროვანი მამულის ნდომისათჳს, ერთს წელიწადს მამულისაგან განიძიოს.

და თუ ეფათერაკოს, დაიურვოს ისე, ვით ზემოთ გაგჳჩენია".

ამ შემთხვევაში სასჯელად სამი წლით გაძევება და სისხლის დაურვებაც იყო გათვალისწინებული (მუხლი 11).

როგორც ვხედავთ, ხევისბერის მიერ ჰეროვანის მოკვლა „მამულის ნდომისათვის" გარკვეულ შეღავათს გულისხმობდა სხვა მიზეზით მკვლელობასთან შედარებით (მაგალითად: „თუ ეფათერაკოს"). „მამულის ნდომისათვის" ანუ მამულის დაუფლებისათვის, ხელში ჩაგდებისათვის ჰეროვანის მოკვლისათვის შეღავათის მიცემა უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ აქ საქმე გვაქვს სახელმწიფოსათვის გარკვეული მნიშვნელობით მიუღებელ მიწის თვითნებურ ხელყოფასთან. ხევისბერი, როგორც მეფის მოხელე, ვალდებული იყო არ დაეშვა ასეთი რამ, მაგრამ მის მიერ დამნაშავის მოკვლა მაინც არ ყოფილა მართებული და გარკვეულ (თუმცა შეღავათიან) სასჯელს იმსახურებდა.

არ არის გამორიცხული, რომ ჰეროვანთა მხრივ „მამულის ნდომა" გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა მეთემე მიისწრაფოდა სამეფო ხელისუფლების („დარბაზის") დასტურის გარეშე დაუფლებოდა ყოფილ სათემო მიწას, რაშიც თავს იჩენდა წინააღმდეგობა თემსა და ცენტრა-

---

22 იხ. ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალ• (ლექსიკონი), გვ. 141.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ ხელისუფლებას შორის. უკანასკნელი ცდილობს წაშალოს ძველი თემური უფლებრივი ნორმები და ახალი განამტკიცოს.

თემის დამორჩილების, დაბეგვრის ცდა გამოსჭვივის „ძეგლის დადების“ სხვა მუხლებშიც. ასე, მაგალითად, განმგებლისა და ხევისბერის მოკვლის შემთხვევაში. როცა მკვლელობას ჩაიდენდა „ქუეყანა“, „ერთი სოფელი“ ან „ერთი პირი ჯევი“ და არა ცალკეული პირი, მთელ სოფელს, გარდა სისხლის დაურვებისა, გარკვეული „ბეგარა“ ეკისრებოდა: „რაზომიც სოფელი იყოს, ერთი, ორი და რაზომიცა გინდეს იყოს, განმგებელისა რთოდეს, ვითა ძველითგან გაჩენილი არის, თჳთო ცხენი ბეგრად დაედვას წელიწადსა შიგან გამოსაყვანელად სასეფოდ და საუკუნოდ“ (მუხლი 2): „თუ ქუეყანამ მოკლას ჯევისბერი, — განმგებლის სიკუდილის სწორი პატიჟი, ბეგარი და სისხლი დაიურვოს და დაედვას ბეგარი საუკუნოდ“ (მუხლი 8).

ხევისბერის მოკვლის შემთხვევაშიც, ჩანს, ბეგარა ცხენის გამოყვანას გულისხმობს.

აქ ყურადღებას იქცევს ჯერ ის გარემოება, რომ ცხენის გამოყვანა „სასეფო“ ბეგარა იყო და მეორეც, რომ ეს მოვალეობა საუკუნოდ, ე. ი. სამუდამო ვალდებულებად იქცეოდა. უეჭველია, რომ ცხენის გამოყვანა, ისევ სალაშქრო მოვალეობის რიგისა უნდა ყოფილიყო, რაც მეთემეებს ეკისრებოდათ სხვა „სამსახურსა“ და „ბეგარის“ ზევით. დანაშაული ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრივ მეთემეთა დამატებითი დაბეგვრის საფუძველი ხდება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვაძლევს საფუძველს არაგვის ხეობის „მთიულეთის“ საზოგადოება XIV—XV სს. წყაროების მიხედვით განვიხილოთ, როგორც შინაგანად სუსტად დიფერენცირებული, მაგრამ ცენტრალურ ხელისუფლებისადმი ფეოდალურ ურთიერთობის საფუძველზე საკმაო სიძლიერით დამოკიდებული, ე. ი. ფეოდალურ ურთიერთობათა ფერხულში ორგანულად ჩართული (ფეოდალიზირებული) ორგანიზმი. იგი დამოკიდებული იყო სამეფო კარზე („დარბაზზე“), როგორც საადგილმამულო ურთიერთობით (მიწის უზენაეს მესაკუთრეზ და განმგებლად „დარბაზი“ ითვლებოდა), ასევე ვალდებულებითი თვალსაზრისით (სამხედრო მოვალეობა, ბეგარა). ეს, ცხადია, არ გამორიცხავს „საჯარო“ — „საქვეყნო“ ვალდებულებებს თვით თემისა და ადგილობრივ მოხელეთა თუ ეკლესიის მიმართ.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისა და ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, დროთა ვითარებაში, ადგილობრივი თუ მოსული და აქ დამკვიდრებული ფეოდალური ძალების გაბატონების შედეგად მთაში, და კერძოდ არაგვის ხეობაში, სამეფო საკუთრება ფეოდალურ სამფლობელოდ იქცევა, რაც მეტ-ნაკლებად წარმატებით ხორციელდება ამ ახალ ფეოდალურ ძალებსა და ცენ-

ტრალურ ხელისუფლებას შორის ბრძოლის პირობებში. ეს იყო მთის მეორადი ფეოდალური ათვისების, ანუ ფეოდალიზაციის პროცესი.

ჩვენ მიერ მიღებული დასკვნები დადასტურებას პოვებს ს. ჯანაშიას მსჯელობაში, რომელიც მოცემულია შრომაში „ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ". კერძოდ, ს. ჯანაშია ეხება რა ვახუშტის შეხედულებებს საქართველოში სამხედრო საქმის ორგანიზაციის შესახებ ძველად და ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, წერს: „ნიშანდობლივად ძველი მდგომარეობისათვის მას (ე. ი. ვახუშტის—ე. ხ.) ჩანს, ის მიაჩნია, რომ მეფეებს „როქით სპანი", ე. ი. ქირის ჯარი ჰყავდათ. მეორე პერიოდში ამ სახის შეიარაღებული ძალა გამქრალა. მაშ რა შეადგენს ახლა „მეფის მცველ" ძალას, ე. ი. ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენს? მეფის საკუთარი ვასალების ფეოდალური რაზმი მარტოოდენ, უპასუხებს ვახუშტი: „სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხი ჯეობათაგან იყუნენ მცველნი მეფისანი" — ე. ი. მეფის ფეოდალური რაზმი იკრიბება სახასო აზნაურობისა და გლეხობიდან, რომელნიც მეფესთან დაკავშირებული არიან უშუალო ფეოდალური და არა მხოლოდ ზოგად-ქვეშევრდომის დამოკიდებულებით. ვახუშტის ისიც შეუმჩნევია, რომ ეს „გლეხობა" სპეციფიკური რაიონების სოფლის მოსახლეობაა, უპირატესად მაინც მთიელები: „მსახურნი გლეხნი ჯეობათაგან... და უმეტეს მოჯეგე-მთიულნი". რატომ? ცხადია იმიტომ, რომ აქ სოფლის მოსახლეობა ჯერ კიდევ საბატონო ყმებად არ ქცეულა, იგი მეფის ქვეშევრდომია უშუალოდ და მეფის ვასალიც, განსაზღვრული გაგებით (სახელმწიფო გამოსაღებისა და ფეოდალური გამოსაღების დამთხვევა). ეს ვახუშტიმ კარგად იცის და ამიტომაცაა, რომ იგი ამბობს: მეფეს მსახურებს აძლევდნენ ხეობელნი, „უმეტეს მოჯეგე-მთიულნი, ვიდრე დაიპყრობდნენ მას საერისთოთ", ე. ი. ვიდრე მეფესა და მთის ხალხს შორის შუალედი ფეოდალური რგოლი არ გაჩნდა, და მთიელებს ახალი, არსებითად საბატონო, გამოსაღებიც არ დაეკისრა"[23].

როგორც ვხედავთ, აქ გამიჯნულია ერთის მხრივ მთიელთა დამოკიდებულება მეფისაგან ადრეულ პერიოდში, ჩანს, პატრონყმური, ადრეფეოდალური ურთიერთობის საფუძველზე, ხოლო შემდეგ იგივე მთიულთა არსებითად ბატონყმურ ურთიერთობაში მოქცევა ერისთავთა აქ გაბატონების შემდეგ.

---

[23] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 457.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საყდრისშვილობის“ ინსტიტუტის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოს მთაში*

ქართულ ისტორიოგრაფიაში სავსებით დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს ფეოდალურ საქართველოში „საყდრისშვილობის“ ინსტიტუტის და მისი კერძო ვარიანტის „მცხეთისშვილობის“ არსი. ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ „მცხეთისშვილობა“... საქართველოს კათალიკოსის გვერდით არსებული გავლენიანი საგულისხმო დაწესებულება იყო“[1]. ეს ინსტიტუტი ივ. ჯავახიშვილს დადასტურებული აქვს XI ს. დაწერილ ხელნაწერის ანდერძში[2], ხოლო ამავე საუკუნის ეპიგრაფიკული ძეგლი — საამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან მოიხსენიებს რუისის „საყდრის შვილებს“[3]. შიოსა და ევაგრეს ცხოვრების მეტაფრასტულ რედაქციაში ვხვდებით ტერმინს „ეკლესიის შვილნი“[4], ხოლო უფრო გვიანდელი ხანის საბუთში (1512 წ.) დადასტურებულია ტერმინი „მონასტრის შვილი“[5].

ს. ჯანაშიას განმარტებით, „საყდრის შვილებად“ იწოდებოდა მთელი ის პერსონალი, რომელიც დაკავშირებულია კულტსა და ტაძართან, კერძოდ — ტაძრის მეურნეობასთან. უპირატესად აქ ტაძრის, საყდრის, მოხელე ხელისუფალნი იგულისხმებიან. საკათალიკოსო სენიორიისათვის სათანადო პერსონალს „მცხეთისშვილი“ წარმოადგენს, ზოგადად კი, საყდრის შვილთან ერთად (აქედან კოლექტივის აღსანიშნავად —

---

* დაიბეჭდა შ. მესხიასადმი მიძღვნილ კრებულში: „საქართველო და აღმოსავლეთი“, თბ., 1984 წ.

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. 2, თბ., 1929, გვ. 10—11.

2 იგულისხმება პალავრის მონასტერში მოღვაწე სტეფანე ხუცესის ანდერძი (1048 წ.) პალესტინურ ოთხთავზე, რომელშიც ანდერძის დამწერი—ხელნაწერის მომგებელი თავის თავზე ამბობს: „შვილი მცხეთისაჲ“. იხ. საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, H, ტ., IV, 1950, გვ. 173—174; შეად. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1979, გვ. 30—31.

3 გ. გაფრინდაშვილი, ლეონტი მროველის 1066 წ. საამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან; საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნ. განყოფილების მოამბე, 1961, № 1, გვ. 246, 255—256.

4 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. III, მეტაფრასტული რედაქციები X—XIII სს. თბ., 1971, გვ. 118.

5 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad, 11.

„საყდრიონი“) იხმარებოდა „ეკლესიის შვილი“ ... ტერმინი, რა თქმაუნდა, საგვარეულო წყობილებიდან მოდის, მაგრამ ამ დროს მას ახალი შინაარსი აქვს...“[6].

ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ „საკათალიკოსო საქონებელთა მმართველობა ფეოდალურ-კოლეგიალურია. მცხეთის სამამულო-ორგანიზაციულ საქმეებს კათალიკოსი „ყოველთა მცხეთისშვილთა“ (საეკლესიო უმაღლეს ყმა აზნაურ—მოხელეთა ჯგუფი) „თანადგომით და ერთნებაობით“ აწესრიგებს“[7].

ქ. შარაშიძის თანახმად, „საყდრისშვილები ფეოდალურ იერარქიაში ჩართულ ერთ-ერთ გავლენიან, პრივილეგიურ ჯგუფად გვესახებიან. თავისი საქმიანობით ეს ჯგუფი ყოველ ცალკე შემთხვევაში გარკვეულ ეკლესიასთან, უკეთ რომ ვთქვათ, საეპისკოპოსო საყდართან არიან დაკავშირებული (მაწყვერელთან, თბილელ-მანგლელთან)“[8].

ბ. ლომინაძე „საყდრის შვილებს“ (ეკლესიის შვილებს) განიხილავს როგორც საეკლესიო აზნაურებს, რომელთა მიმართ, „ისე როგორც ეკლესიის სხვა საქონებელზეც, სამეფო ხელისუფლებამ მოახერხა რეალურად შეენარჩუნებინა უმაღლესი სენიორალური უფლება“... „ისინი არ მოქცეულან ეკლესიის კერძო საბატონო დამოკიდებულებაში“ და „მეფის უშუალო დასაყრდენ სამხედრო და სოციალურ ძალას ქმნიდნენ“. ავტორი ასკვნის: „საეკლესიო სენიორიაში გარკვეულად გაწონასწორებულია აზნაურებისა და სენიორის უფლებები, რადგან აზნაურები — ეკლესიის (საყდრის) შვილები საეკლესიო ქონების კოლეგიური მფლობელები და მმართველები არიან“[9].

ჩვენი უშუალო დაკვირვების საგანს ამჟამად წარმოადგენს „საყდრიშვილობის“ ინსტიტუტი მთაში. კერძოდ გვაინტერესებს — იყო თუ არა „საყდრისშვილობა“ მთაში და ბარში ტოლფარდი მოვლენა? ამის გარკვევას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს მთის საზოგადოების სტრუქტურის შესასწავლად. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროდ ვცანით ჩვენ ხელთ არსებული ყველა საბუთის ერთობლიობაში განხილვა.

„გერგეტის მატიანეში“ ჩართულ საბუთების შესწავლამ ქ. შარაშიძე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „საყდრისშვილები“ ჰევის მთელ მო-

---

[6] ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 165.

[7] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 52—53.

[8] ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 249.

[9] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1972, გვ. 779—780, შეად.: გვ. 766—767, 803. საყდრიშვილების საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე ა. კლიმიაშვილი, საეკლესიო ლაშქრის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961, გვ. 101—104; ო. სანიკიძე, გერგეტის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1975, გვ. 94—100.

სახლეობისაგან ცალკე გამოყოფილ წრეს შეადგენდნენ, რომელსაც გარკვეული საეკლესიო მოვალეობები ეკისრა.

გერგეტელ საყდრისშვილთა საბუთში, რომელიც 1439 წლით თარიღდება და, ჩანს, მეფე ალექსანდრე დიდის (1412—1443) ჩარევით დაიწერა, აღნიშნულია: „... შევიყარენით ჴევი ჴეობით — კობით და გუ-ცლეთამდი. მზევლები მოგეცით თქ-ნ, გერგეტელთა საყდრიშვილ[თა]... ესე მზევლები ამათ საყდრის შვილობისათჳს მივეცით, რომე მეფესა შეეწყალნეს და ებრძანა ჩ-ნ თანა და რომენიცა მძევალი გაუტყეთეს, რისხავსმცა წმიდაჲ სამებაჲ ერთარსებაჲ...“[10].

ამ საბუთის ანალიზის საფუძველზე ქ. შარაშიძე აღნიშნავდა: „ცხადია, რომ გერგეტელების ს ა ყ დ რ ი ს შ ვ ი ლ ო ბ ა მათ გ ა რ კ ვ ე-ულ უ ფ ლ ებ ებ ს ა ნ ი ჭ ებ დ ა და ეს უფლება, ჩანს, მთელ ხევზე ვრცელდებოდა.

ერთი მხრით, გერგეტელების ამ უფლების მტკიცედ დაცვისათვის და, მეორე მხრივ, ხევის გერგეტელ საყდრიშვილთა მიმართ გარკვეული მოვალეობის სიმტკიცით ასრულების უზრუნველსაყოფად „ჴევი ჴეობით“ გერგეტელებს მ ძ ე ვ ლ ებ ს ა ძ ლ ე ვ ს.

მძევლების მოთხოვნისა და მიცემის ფაქტი კი იმის მაჩვენებელია, **რომ საბუთის გ ა ჩ ე ნ ი ს წ ი ნ ა პ ე რ ი ო დ ში** გერგეტელ საყდრიშვილთა და მთელი „ჴევის ჴეობით“ ურთიერთ მიმართებაში ყველაფერი რიგზე არ ყოფილა; რომ ხ ე ვ ი არ ასრულებდა თავის ვალდებულებას გერგეტელ საყდრისშვილებისადმი, ეურჩებოდა მათ.

ამ ურჩობის ასალაგმავად „შეეწყალნეს“ მეფეს გერგეტელი საყდრისშვილები და მეფისაგან სათანადო სანქცია მიიღეს“[11].

ამრიგად, ეჭვს არ უნდა ბადებდეს, რომ გერგეტელი საყდრიშვილები ჴევში გაბატონებულ საეკლესიო (სატაძრო) კორპორაციას შეადგენდნენ, პრივილეგიურ მდგომარეობაში იყვნენ სხვა მეთემეებთან შედარებით.

აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო ნათლად დასტურდება „გერგეტის მატიანეში“ ჩართულ მეორე საბუთით, რომელიც წარმოადგენს უცნობი კათალიკოსის მიერ (XVI—XVII სს. მიჯნაზე) გერგეტელ საყდრისშვილებისათვის დადებულ „სჯულსა და მცნებას“.

საბუთში ვკითხულობთ: „ჩვენ, ქრისტე[ს] ღ-თისა მიერ კურთხეულმან კ-ზმან ბატონ[მან]... ნ ესე რჯული და მცნება[ა]ჲ, დაგიგდე[თ] ქვენ, გერგეტელთა საყდრისშვილთა: ხეცესნი და [და ერისგანნი][12] ამა თემისნი[თ?] ქრ... რაჲცა სამას და ათურამეტთა მამათა

---

10 ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 271—273.

11 იქვე, გვ. 246.

12 ამ სიტყვას ქ. შარაშიძე აღადგენს: „და დეკანოზნი“, თუმცა მასვე ებადება ამის სისწორეში ეჭვი და კითხვის ნიშანს უსვამს. ჩვენის აზრით, აქ უფრო მარ-

[რ]ჯული გააჩინეს, მარხვაჲ და უქმი ორმოცი დღე; ქრისტეს შობის მარხვაჲ და უქმი ორმოცი დღე; ქრისტეს შობის მარხვა ოთხშაბათ-პარასკევნი, მოციქულთ მარხვა, ყოვლად წმიდის მარხვაჲ იდ დღე. ესე ასრე შეინახეთ თქვენ და თქვენ[ის] [სი]ტყ[ი]სა მ[ო]რჩ[ი]ლმან[13] კაცმან. რომენმანცა კაცმან შაბათისა ცხრა ჟამითგან ვიდრე ორშაბათისა გათენებამდის ვინცა რაჲ ქნას, ანუ თუ საუფლოთა დღესასწაულთა უქმი გატეხოს, რასაცა ავსა უზამს, უბრალოდ ვიყუნეთ. თ¯ქნ, საყდრის შვილ[ნ] შემცოდე იყ[უნეთ] წმიდისა სამებისა და ყოვლად წმიდისა ღ¯თის მშობლისა და ოთხ[ი] ათასი თანგა ქ... რ[თა]მი დაიუროს. იყუენით საყდრისა შვილნი ერთსულობით: უფროსნი, უფროჲსად და უმცროჲსანი [?], მღდელნი — მღდელთა წესითა და ერისგანნი — ერისგანთა წესითა. რომელმანცა ხუცესმა აბჯარი აიღოს, ვინც ნახოს, წა[ა]რთოჲ[ს] და ჯურუმცა აზღვევინოს ქყ¯ნ. ესე ასრე გაგათაოთ გერგეტელთა"[14]

მოტანილ საბუთის საფუძველზე ქ. შარაშიძე ასკვნის, რომ ხევის თემის მორწმუნეთა შეცოდებისათვის პასუხისმგებლები არიან საყდრის-შვილები და მათვე მინდობილი აქვთ დაწესებული ქრთამის „დაურვებისათვის" საჭირო ღონისძიებების მიღება. „ხოლო ქრთამის გამღები საეკლესიო „რჯულსა და მცნების" დამრღვევი მორწმუნენი იქნებოდნენ"[15]. „ამ ძეგლში გერგეტელი საყდრისშვილების მოვალეობანი, — განაგრძობს ქ. შარაშიძე, — განსაკუთრებული სიცხადით მჟღავნდება: ისინი წარმოადგენენ გარკვეულ ორგანოს, რომლის მეშვეობითაც კათალიკოსი განაგებს და აწესრიგებს ხევის მცხოვრებთა რელიგიურ მხარეს"[16].

გერგეტელ საყდრისშვილთა უფლება-მოვალეობათა გასარკვევად ნეტად საყურადღებო მონაცემებს შეიცავს ბაგრატ V-ის მიერ (1360—1395) ბოძებული სასისხლო სიგელი, რომელშიც ვკითხულობთ: „ქ. ჩვენ ღ¯თივ გუირგუინოსანმან მეფეთა მეფემან ბაგრატ ესე მტკიცე [და]უქცეველი ბ¯ბა და სიგელი ამის ნიშნად გიბოძებთ თქუენ გერგეტელთა საყდრიშვილთა — წმინდისა სამებისა მოსამსახურეთა — საყდრიშვილობა, ასე და ამა პირსა ზედა, რომე თუ ვისმე თქუენი განი კაცი

თებულია სიტყვა „ერთისგანნის" აღდგენა, რადგან შინაარსობრივადაც და ტექსტობრივი თვალსაზრისითაც იგი უფრო ძესაფერისია (ამავე საბუთში უფრო ქვემოთ მსგავს კონტექსტში წერია: „მღვდელნი — მღვდელთა წესითა და ერისგანნი — ერისგანთა წესითა".

[13] ამ სიტყვას ქ. შარაშიძე აღადგენს: „[არ]ჩ[ეულ]მან. ვფიქრობთ უფრო მართებულია: [მორ]ჩ[ილ]მან.

[14] ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 285—286.

[15] ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 252.

[16] იქვე, გვ. 253.

შე[მოა]კუდეს, სამ სისხლად აზღუევინეთ, ამისთუის რომე ძუელი სიგელიცა გქ[ონ] და ჩვენთა გუართაცა დაემტკ[იცნეს]. ვნახეთ სიგელი და გავსინჯეთ და დიდი სისხლი ეწერა თქუენი და ჩვენცა ახლად დაგიმტკიცეთ...“[17].

ამრიგად, გარდა იმისა, რომ გერგეტელ საყდრისშვილებს სამების ტაძრის „სამსახური“ ევალებოდათ და მათი სისხლი სამჯერ აღემატებოდა რიგით მეთემეთა სისხლს, ისიც ირკვევა, თითქოს თვით საყდრისშვილობაც მეფეთა ნაბოძები იყო. ყოველ შემთხვევაში მათ პატივს მეფე განსაზღვრავს და ამტკიცებს, რაც პერიოდულად განახლების საგანი ხდება.

გერგეტელი საყდრიშვილები უთუოდ იგულისხმებიან „გერგეტის მატიანეში“ შემონახულ „კრებულის“ განაჩენშიც, სადაც თუ კი ეს შესაძლებელია, „კრებული“ მთელ სამღვდელოებას გულისხმობს, ხოლო „საყრდისა“ და „სოფლის“ ურთიერთობაში საყდარს სწორედ საყდრისშვილები წარმოადგენდნენ[18]. იგივე გერგეტელი საყდრისშვილები იგულისხმებიან აგრეთვე იმავე მატიანეში დაცულ ნაცვლის ინდო ზაქაძის სულის მოსახსენებელ წიგნში, იმათ შორის, ვინც ინდოსა და შვილებისათვის „ლოცვა-კურთხევას და შენდობას ბრძანებდნენ“[19].

საქართველოს მთის კუთხეებიდან საყდრისშვილობის ინსტიტუტის არსებობა დოკუმენტებით დასტურდება სვანეთშიც.

„სვანური საბუთების“ მონაცემები ნათელყოფენ „საყრდისშვილობის“ ინსტიტუტის მსგავსებას სვანეთსა და ხევში, რადგან ამ საბუთებითაც საყდრისშვილები წარმოგვიდგებიან დანარჩენ მეთემეთაგან გამოყოფილ, მათთან დაპირისპირებულ სატაძრო კორპორაციად, რომლის მიმართაც მეთემეებს გარკვეული ვალდებულებანი („ბეგარა“) ეკისრათ. დაპირისპირება კარგად ჩანს XV—XVI სს. შედგენილ „დაწერილებში“, რომელთაც აძლევენ ერთის მხრივ მულახის საყდრისშვილნი მულახის ჯვეს და, მეორეს მხრივ, მულახის ჯვევ საყდრიშვილებს. ერთ-ერთ ამ საბუთში ვკითხულობთ: „ქ... მაცხოვრისა მჟალვისა თაუსდებობითა [და შუა]მდგომლობითა, დაგიწერეთ და მოგაჯსენეთ დაწ[ერილი ესე] ვინც მაცხოვრისა მ უ ლ ა ხ ი ს ა [საყდრისა] შვილნი მ[ულახსა ვ]სახლობთ თქვენ... და... არა გაგეყაროთ [ა]რაი ლხინსა და არ მოჭირვებასა, ვირე ერთ ჯელ არ მოვეწყოთ არც ჩვ... გეთ თქვენგან უკითხავად მ უ ლ ა ხ ი ს ა ჯეუსა...“[20].

---

17 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, თბ., 1934, გვ. 228.

18 ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, დასხ. ნაშრომი, გვ. 271.

19 იქვე, გვ. 273.

20 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, ტექსტები, თბ., 1941, გვ. 66.

მეორე საბუთში კი წერია: „...[მ უ ლ ა ხ-მ უ ჟ ა ლ]ვ ი ს ა ჴ ე უ მ ა ნ, ესე დაწერილი მ უ ლ ა ხ ი ს ა საყდრისა შვილთა მოგაჴსენეთ, რაც ძველთაგან ბეგარ[ი გუდე]ბიან, იგი განლამც საპატიოთ მოაჴს[ენო]ნ. მას აქეთ[....] ურდავადი ერთისა ქაბბსადინი არაი გარიდა (?). მ ჟ ა ლ ვ ი ს ა მიწისა გამაკრებისათვის თუ დავიჴოცოთ, — ერთავ.ნ დავიჴოცოთ, თუ ავიყაროთ, — ერთსა დღესა ავიყაროთ, [თ]უ ღმერთი გუწყალობდეს, — ერთ ვიყოთა. რაი გინდა ეს საქმე გაძნელდეს, თქვენ ჩვ...“[21]

მოტანილი საბუთები ეჭვს არ ტოვებენ იმაში, რომ მულახის ჴევი და მულახის საყდრისშვილნი გარკვეულ ურთიერთ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ, რასაც საბუთითაც აფორმებენ. საყდრისშვილები პირობას დებენ, რომ ლხინსა და ჭირში ჴევთან ერთად „გაუყრელად“ იქნებოდნენ და არაფერს მოიმოქმედებდნენ „უკითხავად მულახის ჴევისა“, ხოლო მულახის ჴევი აღუთქვამს საყდრიშვილებს ძველთაგანვე დაწესებული „ბეგარის“ გასტუმრებას და „მჟალვის მიწის“, ე. ი. მულახის საყდრის კუთვნილი მიწის „გამაგრებისათვის“ ერთობლივად გარჯას („თუ დავიჴოცოთ — ერთგან დავიჴოცოთ, თუ ავიყაროთ — ერთსა დღესა ავიყაროთ“)[22].

საბუთში აღნიშნული „ბეგარი“, ცხადია, გულისხმობს მულახის საყდრის სასარგებლოდ მეთემეთა („ჴევის კაცთა“) მოვალეობას. რომ ეს ასეა, პირდაპირ ჩანს სეტისა და ლაღამის ჴევთა დაწერილში, სადაც წერია: „დაგიწერეთ და მოგაჴსენეთ დაწერილი ესე მტკიცე და უქცეველი ს ე ტ ი ს ა დ ა ლ ა ღ ა მ ი ს ა ჴ ე უ მ ა ნ. რადცა შენი წესი იყოს ვის მართებდეს — [ა]რ გიყოს, ამის პირი და პასუხისა გამცემი ჩვენ ს ე ტ ი ს ა და ლ ა ღ ა მ ი ს ა ჴ ე ვ ი ერთობილ ვართ...“[23] ეჭვი არ არის,

[21] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები II, ტექსტები, თბ., 1941, გვ. 67.

[22] აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მართებული სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული დებულება, რომ „ამა თუ იმ ჴევის მცხოვრები პარალელურად იწოდებოდნენ შესაბამისი ხატის საყდრისშვილებად“ (ძ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, სვანური დოკუმენტები როგორც წყარო XIV—XV საუკუნის სვანეთის სოციალური ისტორიისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968, გვ. 114). მით უმეტეს ვერ დავეთანხმებით აგრეთვე დასკვნას, თითქოს „ეთნოგრაფიულად დამოწმებული სვანური სატაძრო თემი სვანურ ისტორიულ საბუთებში დადასტურებულ „საყდრიშვილობის“ სოციალური ინსტიტუტის ტოლფარდია“, ან „სრულიად სვანეთის ჴევის“ მოსახლენი — „სრულიად სუანნი“ — სეტის მთავარმოწამის საყდრიშვილები იყვნენ“ (გ. მ ა მ უ ლ ი ა, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979, გვ. 37, 64). ჯერ ერთი, როგორც ზემოთ მოტანილი საბუთებიდან ნათლად ჩანს, ყველა სვანი საყდრიშვილი არ იყო, და მეორეც — სეტის მთავარმოწამის საყდრიშვილები სხვანი იყვნენ, ხოლო მულახისა სხვანი, როგორც ამას ქვემოთაც დავინახავთ.

[23] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

რომ ეკლესიას, რომლის მიმართ მეთემეთა მოვალეობაზეა აქ ლაპარაკი, წარმოადგენდნენ სწორედ ეკლესიის მესვეურნი — საყდრისშვილნი.

სვანეთიდან გვაქვს ისეთი საბუთებიც, სადაც საყდრისშვილები ურთიერთშორისაც დებენ „საერთ“ პირობას. ერთ-ერთ ასეთ საბუთში ვკითხულობთ: „ქ... მთავარ მოწამისა ს ე ტ ი ს ა თავსდებობითა და შუვამდგომლობითა დაუწერეთ და დაუდევით დაწერილი ესე საერთი საერთპირი ჩვენ ოთხმან თემმან, თავად ჯეუისარმან ჯ ა ფ ა რ ი ძ ე მ ა ნ და მისთა, ი ო ს ე ლ ი ა ნ მ ა ნ და მისმან კაცმან, — მთავარ მოწამისა საყდრისა შვილმან ერთობ ყველამან,—ერთმან ერთისა ნდომითა მოწმებითა. მერმე ერთმან ერთსა ესე პირი უიმედეთ: ქვეყანა აიშალა; ვისაც დაგვეჭიროს, მისითა პირობით თაუდადებით უშველოთ ერთმან ერთსა, თუ დაგვეჭიროს. რომელმანც ჯელი იკმაროს და კაც მოკლას, და საჯელო ყველამან გარდაიჯადოს, მას არ მივანებოთ“[24].

როგორც ჩანს, „საერთპირო“ საბუთს ადგენენ ოთხი „თემის“ ანუ გვარის[25] წევრები, რომელნიც შეადგენენ სეტის მთავარმოწამის საყდრისშვილებს — „ერთობ ყველას“, მათ შორის იყვნენ „ჯაფარიძეები და მისნი“, „იოსელიანები და მისნი კაცნი“.

საყდრისშვილთა შორის ურთიერთთავდებობის პირობის დადების მეორე მაგალითიც გვაქვს: „... მთავარ მოწმისა ს ე ტ ი ს ა თაუსდებობითა და შუვამდგომლობითა დაუწერეთ და დაუდევით დაწერილი ესე ერთობისა და გაუყრელობისა ჩვენ ერთობილმან ს ე ტ ი ს ა მთავარ მოწმისა საყდრის შვილთა მტკიცე და უქცეველი... მას ჟამსა, ოდეს დაუჭირვებელად ერთმან ერთისა ერთობაი და გაუყრელობაი მოგვინდა და გავაერთედ ჩვენი საქმე სამტეროი და სამოყუროი, მოგვინდა და გავაერთედ ჩვენი საქმე ყველაი...“[26]

მართალია ამ საბუთში გვხვდება გამოთქმა „ჩვენ ერთობილმან სეტისა მთავარ მოწმისა საყდრის შვილთა“, მაგრამ, ეჭვი არ არის, რომ აქ საქმე გვაქვს ერთობილ საყდრისშვილებთან და არა „ერთობილ ჯევთან“, რომელიც სხვა საბუთებში სწორედ ასე მოიხსენიებოდა: „ქ... ს ე ტ ი ს ა მთავარ მოწამისა თავზდებობითა და შუვამდგომლობითა დაუწერეთ და დაუდევით დაწერილი ესე ჩვენ ს ე ტ ი ს ა ჯეუმან ერთობილმან ერთმანერთისა ნდომითა და დამოწმებითა, ამა პირსა ზედა: რომელმანცა გარეგანმან კაცმან საუსამართლოდ საუ [?]ურუოდ დაგვიჭროს, ვისითა მიზეზითა იყოს, პირი იგი კაცი [იყოს], ვიდრემდისაც შეიძლოს;

---

24 იქვე, გვ. 43—44.

25 В. В. Бардавелидзе, Древнейшие верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, с. 40.

26 ვ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაი იმ კაცსა არ შეიძლოს მისითა... საკელო ერთსა ოდ[ენ] არ გარდავაკდევნოთ, ქვეყანამან გ[არ] დავიკადოთ"[27].

სხვა ანალოგიურ საბუთში წერია: „ჩვენ ს ე ტ ი ს ა სოფელმან ყოველმან, ზემომან და ქვემომან"[28].

ამავე თვალსაზრისით მეტად საინტერესოა შემდეგი საბუთიც: „...ქ...მთავარ მოწმისა ს ე ტ ი ს ა თავსდებობითა და შუვამდგომლობითა... დავწერეთ [და] დავდევით დაწერილი ესე... ჩუენ ჯეუმან ერთობილმან მ ე ს ე ტ ი ს ა მ ა ნ, ერთობილთა დიდთა და მცირეთა, ვარგთა და გლეხთა, ყოველთა, ერთმანერთისა ნდომითა დამოწმებითა, მას ჟამსა, ოდეს ჯიდსა ზედა ეკლესია ავაშენეთ. იგი ეკლესიისადა ჯიდისადა მთასა ვინცა... შესცოდოს, ანუ ს ე ტ ი ს შესავალსა შიგა ვინცა რაცა შესცოდოს, ერთისა ჯ ა ფ ა რ ი ძ ი ს ა და ანუ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს ა სისხლი მისითა სანაჯშიროთა ედვას მათა... ჩუენ მ ე ს ე ტ ი ს ა სოფელი საქმითაცა გავათავებთ ამა დაწერილსა"[29].

ანალოგიური მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ „ერთობილი ჯევი" ან „სოფელი ყოველი", რაც იგივე „ქუეყანაა", სხვაა და „ერთობილი საყდრიშვილები" სხვა[30]. „ერთობილი ჯევი" უფრო ფართო კოლექტივია, რომელიც აერთიანებს საზოგადოების ყველა წევრს: „დიდსა და მცირეს", „ვარგსა და გლეხს", ე. ი. თვით საყდრიშვილებსაც. მართალია, ჩვენ გვაქვს შემთხვევები, როდესაც სეტის მთავარმოწამე გვევლინება ლალვერსა და უშგულს შორის მდებარე მთელი სვანეთის ჯევის უზენაეს ღვთაებად, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ცალკე სეტის ჯევის არსებობას. ნიშანდობლივია, რომ სეტის ერთობილი ჯევის საერთაპირო დოკუმენტში, რომელსაც მთელი საზოგადოება ადგენს, ჯაფარიძის და იოსელიანის სისხლი საგანგებოდ აღინიშნება, ე. ი. თვით ერთობილი ჯევი სცნობს მათ უპირატესობას, ჩანს, როგორც „საყდრიშვილებისა".

„საყდრიშვილთა" სტატუსის გაგებისათვის, ვფიქრობთ, მეტად საყურადღებოა ერთ-ერთი საბუთის ფრაგმენტი, სადაც წერია: „ქ. ესე

---

27 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

28 იქვე, გვ. 43.

29 იქვე, გვ. 53—54.

30 ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ერთი და იგივე პირის — გიორგი II იველდიანის მიერ არის დაწერილი საბუთი, სადაც „ერთობილი სეტისა მთავარ მოწამისა საყდრის შვილნი" იხსენიებიან და მეორე საბუთიც, სადაც „ერთობილი სეტის ჯევია" წარმოდგენილი. ე. ი. ამ შემთხვევაში გამორიცხულია ტერმინოლოგიური შენაცვლება (იხ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 45 და 51). სხვათა შორის იმ საბუთის სათაურში, რომელშიც „ერთობილი სეტის საყდრიშშვილები" მოიხსენიებიან, პ. ინგოროყვა აღნიშნავს: „დაწერილი... სეტის ჯევისა"; უნდა იყოს „დაწერილი... სეტის ჯევის საყდრიშვილთა".

წიგნი დაუწერეთ და დავდევით ჩვენ, ვინც მთავარმოწამესა წინაშე სასაფლაო გვაქვს, ერთობილთა ქ ურ ა შ ი ს ა მპყრობელთა...“[31].

„ქურაშის მპყრობელებში“ უთუოდ საყდრისშვილები იგულისხმებიან, რომელთაც ჰქონდათ სასაფლაო „ქურაშის მთავარმოწამის წინაშე“.

ამავე კონტექსტში არ შეიძლება არ გავიხსენოთ „ძველი ერისთავთაში“ აღწერილი ვითარება, კერძოდ, ქსნის ხეობაში, ცხრაზმისკევში ლარგვისის ტაძრის საყდრისშვილთა უფლება დასაფლავებულიყვნენ ტაძარში, რისკენაც მიისწრაფოდა ოსეთიდან გადმოსული როსტომი, რათა მოეპოვებინა პრივილეგირებული მდგომარეობა ცხრაზმისკევში: „ხოლო მან მოითხოვა საფლავი ლარგუს[ს] და საჯდომად სახლი შუა საყდრის შვილთა და ცხრაზმას ციხისთავისა ნაქონები მამული. და მისცეს ესე ყოველი ცხრაზმისხეველთა შუა ცხრაზმას ციხისთავისა ნაქონებნი სოფელნი და ქუეყანანი, საფლავი ლარგუს[ს] და საჯდომი ქუენიფნევს და უწოდეს ქუენიფნეველნი...“[32].

თავიდანვე აღნიშნული გვქონდა, რომ საქართველოს ბარში საყდრისშვილთა კორპორაციას საეკლესიო აზნაურები ქმნიდნენ. ზემოთ მოტანილი მასალიდან ირკვევა, რომ მთაშიც მეტ-ნაკლებად ანალოგიური ვითარება გვქონდა. „ძველი ერისთავთას“ მიხედვით ცხრაზმას ლარგვისის საყდრის საყდრისშვილებში იქაური „დიდებულნი და აზნაურნი“ იგულისხმებოდნენ, რომელთაც საფლავი ლარგვისის მონასტერში ჰქონდათ[33]. სვანეთშიც საყდრისშვილებად გვევლინებიან იქაური „აზნაურნი“ თუ „ვარგნი“[34]. ისინი განიხილებოდნენ როგორც „დიდნი“ („დიდთა და მცირეთა, ვარგთა და გლეხთა...“) და უპირისპირდებოდნენ „მეკვევე კაცთ“, რომელთა სისხლი, ჩანს, გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ჯაფარიძეთა და იოსელიანების სისხლი. გერგეტის საყდრისშვილთა სოციალურ კუთვნილებაზე, მართალია, პირდაპირი მონაცემები არა გვაქვს, მაგრამ, როგორც აღრე აღინიშნა, მათი სისხლიც მეფეთა მიერ „სამ სისხლად“ იყო შეფასებული, რაც აშკარად მიუთითებს მათ პრივილეგირებულ მდგომარეობაზე სხვა მეხევეებთან შედარებით.

---

31 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

32 ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შოთა მესხიამ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ. 1954, გვ. 345.

33 იქვე.

34 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს თვალსაზრისით „სვან. ვარგ უდრის ქართლ აზნაურს მე-12 საუკუნის მნიშვნელობით“ (იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა შრომები, III, თბ., 1959, გვ. 135). ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. გ. გ ა ს ვ ი ა ნ ი, „ვარგისა“ და „გლეხის“ საკითხისათვის, მის წიგნში: „დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები“, თბ., 1979. აღსანიშნავია, რომ „აზნაური“ სვანეთში მოიხსენიება XI—XII სს. ძეგლებში, შემდეგ კი (XIII—XV სს.) გვაქვს უმთავრესად „ვარგ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულთან დაკავშირებით, ცხადია, მხედველობაში მისაღებია მთის „აზნაურთა“ სპეციფიკა, სხვაობა მთისა და ბარის აზნაურებს შორის, კერძოდ ის, რომ მთაში ჩვენ არა გვაქვს დადასტურებული უშუალო მწარმოებლის ბატონყმური ექსპლოატაციის ფორმები, ბარული გაგებით, და სოციალური ურთიერთობის: „მოკეთეობის“ თუ „პატრონობის“, ე. ი. პატრონყმური დამოკიდებულების ფორმები ჭარბობენ. სპეციფიკა მდგომარეობს მიწის საკუთრების ფორმებშიც და მასშტაბებში, რაც გაპირობებული იყო მთის ბუნებრივი პირობებითაც. ეს არ გამორიცხავს მიწის კერძო საკუთრებას, მაგრამ გულისხმობს თემური სატაძრო მფლობელობის სიძლიერეს.

ყველაზე არსებითი კი არის მთაში უშუალო მწარმოებლის ექსპლოატაციის შეზღუდული საშუალებანი მიწის ფონდის შედარებითი სიმცირის გამო, რაც გამორიცხავს მრავალსაფეხურიანი ექსპლოატატორული იერარქიის არსებობის შესაძლებლობას და ექსპლოატაცია დაყავს მარტივ ფორმებამდე — მწარმოებლის უშუალო ვალდებულებით დამოკიდებულებაზე თავის „პატრონისაგან“, რომლის როლშიც ცენტრალური ხელისუფლებაც შეიძლება გამოსულიყო, თუ კი უკანასკნელს შესწევდა ძალა განეხორციელებინა თავის გავლენა მათზე.

საყდრისშვილობის ინსტიტუტის შესახებ არსებული მასალის განხილვამ გვიჩვენა, რომ ბარის მსგავსად მთაშიც საყდრისშვილები წარმოადგენდნენ სატაძრო პრივილეგიურ კორპორაციას. ისინი ითვლებოდნენ ტაძრის და ამდენადვე სატაძრო ქონება-შემოსავლის „მპყრობელებად“. მათი პრივილეგიის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი იყო უფლება დასაფლავებულიყვნენ ტაძრის „წინაშე“. ამავე დროს მათი სისხლის ფასი რამდენჯერმე აღემატებოდა რიგით მეთემეთა სისხლის ფასს. „საყდრიშვილობის“ ინსტიტუტის არსებობა მთაში მიუთითებს მთის საზოგადოების დიფერენციაციის გარკვეულ ხარისხზე და ამდენად, მათი გათანაბრებით დანარჩენ მეთემეებთან მთის ისედაც შედარებით სუსტად დიფერენცირებული საზოგადოების უფრო გამარტივება, უმართებულოა. კერძოდ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ არის სწორი საყდრიშვილობის გაიგივება ხევსურულ ჯვარისყმობის თუ ხატისყმობის ინსტიტუტთან, რადგან ეს უკანასკნელი მართლაც ხევსურეთის მთელ საზოგადოებას („საყმოს“) გულისხმობს. ასეთ დეტალებში სიზუსტის დაცვა კი აუცილებელია ფეოდალური ხანის საქართველოს მთის საზოგადოების სტრუქტურის მთელი რიგი არსებითი საკითხების სწორად გაგებისათვის[35].

---

[35] უმართებულოდ გვეჩვენებოდა ჩვენ გ. მამულიას ფორმულირება: „ყოველი სვანური საკულტო ნაგებობა, რომელსაც ქრისტიანობის გავლენის შედეგად ამა თუ იმ ქრისტიანული წმინდანის სახელი შეერქვა...“ (დასახ. ნაშრ., გვ. 36), ან „ქრის-

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა[36], რომ სვანეთის საზოგადოება, საქართველოს ერთიანი მონარქიის ძლიერების ხანაში ფეოდალიზმის გზაზე მტკიცედ შემდგარი, ისევე, როგორც მთის სხვა რეგიონები, საქართველოს პოლიტიკური დაშლის შემდეგ თავის ანაბარა რჩება და ადრე ცენტრალური ხელისუფლების ზეგავლენით აქ შექმნილი სოციალური ძალთა წონასწორობა ირღვევა, რაც საბუთებში აისახა როგორც „ავისა ჟამისა შემოსვლა", „დაშლილად ყოფნის" ხანა[37]. ასეთ პირობებში სვანეთის საზოგადოება — „ერთობილი ჯევი", რომელმაც ადრე მნიშვნელოვანი ფეოდალიზაცია განიცადა, ახდენს თვითორგანიზაციას, კვლავ ტაძრის გარშემო ირაზმება, მხოლოდ ამჟამად უკვე ახალ, მნიშვნელოვანწილად ფეოდალიზირებულ ურთიერთობათა ნიადაგზე. ასეთ ვითარებაში სოციალური დაწინაურებისა თუ უპირატესობის შენარჩუნების გზად ისევ სატაძრო თემში თანამდებობრივი („მელობე", „მეჭურჭლე", „კლიტის მპყრობელი" და სხვა) უპირატესობის მიღება იყო. ამავე რიგის მოვლენად უნდა მივიჩნიოთ „საყდრისშვილობაც". მაგრამ მთის პირობებში, სადაც რიგითი მეთემეები („ერი", „ჰეროვანნი") მეტ-ნაკლებად ყოველთვის ინარჩუნებდნენ თავისუფლების ნიშნებს და ძნელად ეგუებოდნენ ფეოდალიზაციის ტენდენციებს, ისინი შესაფერის დროის დადგომისთანავე ცდილობდნენ ძველი მდგომარეობისადმი დაბრუნებას და საყდრიშვილთა თუ სხვა პრივილეგირებულ პირთა გავლენისაგან თავის დაღწევას. ამ ნიადაგზე ხდებოდა სწორედ კონფლიქტი ამ უკანასკნელთა და თემს შორის, რაც გვარდებოდა ან შეთანხმებით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მულახის საყდრისშვილთა და მულახის ჯევს შორის, ან მძევლების მიცემით, როგორც ეს მოხდა გერგეტელ საყდრიშვილებსა და ხევის მოსახლეობას შორის.

საერთოდ სვანეთში, აღებულ ხანაში (XIV—XVI სს.), ერთობილი ჯევის ანუ მთელი საზოგადოების უფლებამოსილების გამოცოცხლება დამახასიათებელი ტენდენციაა. ამიტომაც არის, რომ აქ საჯევო საქმეებს, როგორც წესი, ერთობილი ჯევი და მისი წარმომადგენლები—ჩე-

---

ტიანული სახელის მატერიალური ყოველი სვანური საკულტო ნაგებობა..." (გვ. 37). აღნიშნული ნაგებობანი ქრისტიანული ეკლესიები იყო, რომელნიც VII—IX—XIV სს. მიეკუთვნებიან (იხ. ვ. ბ ე რ ი ძ ე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 165) და ამა თუ იმ ქრისტიანული წმინდანის სახელზე იყვნენ აშენებულნი, თუმცა ამ წმინდანს, შესაძლოა, ადგილობრივი ღვთაების სახელიც შეესატყვისებოდა და ეკლესია შესაძლოა ძველი სალოცავის ადგილზეც ყოფილიყო აგებული.

[36] ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, სვანეთის ადგილი ქართულ ფეოდალურ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში მთისა და ბარის ურთიერთობის პრობლემის შუქზე, სვანეთი II, კომპლექსური შესწავლის მასალები, თბ., 1979, გვ. 80—93 (იხ. აქვე, გვ. 51—68).

[37] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 18, 26 და სხვ.

ნილნი წყვეტდნენ, რაც ნიშნავს პრივილეგიურ ფენის — საყდრისშვილთა სოციალური უპირატესობის მიჩქმალვას. მაგრამ ეს ბოლომდე არ ხერხდება და ჯაფარიძეები, იოსელიანები და სხვა დაწინაურებული („საპატიო სვანთა“) გვარების წარმომადგენლები მაინც „პატრონის“ სახით წარმოგვიდგებიან, რომელთა უპირატესობას აღიარებენ რიგითი მეთემენიც, თუმცა ამით არც კონფლიქტია მათ შორის გამორიცხული[38].

ცენტრალური ხელისუფლების გავლენის შესუსტების პირობებში მთაში მიმდინარე ანალოგიური პროცესი ჩვენს მიერ დადასტურებული იქნა ქსნის ხეობაშიც[39] და აგრეთვე აღნიშნულია ქ. შარაშიძის მიერ ხევშიც. კერძოდ „გერგეტის ძატიანის“ მონაცემების განხილვის საფუძველზე ქ. შარაშიძე წერს: „თუ ძატიანის ჩანაწერების მთელი ჯგუფი, საბუთებთან თანხმობით, ამჟღავნებს ხევის ოდინდელი ფეოდალიზაციის ნიშნებს, შედარებით მჭიდრო კავშირს ცენტრთან (მეფე, კათალიკოსი), გვიანდელი საბუთების შუქზე ჩვენ თვალწინ სხვა, მეტად რთული პროცესების ნიშნები ჩნდება: გარკვევით მჟღავნდება ფეოდალურ დაწესებულებათა თანდათანობითი დაშლის პროცესი (ხევის შიგნით). ასე რომ აქ ვხვდებით არა მარტო პოლიტიკური მთლიანობის ფეოდალური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ რღვევას — ცენტრიდან ჩამოშორების სახით, **არამედ ფეოდალური** დაწესებულებების გ ა დ ა გ ვ ა რ ე ბ ა ს ამ ჩამოშორებულ უბანში“[40].

„საყდრიშვილობის“ ინსტიტუტის სათავეები მთაში (ისევე, როგორც ბარში უთუოდ წინაქრისტიანულ სატაძრო თემში უნდა ვეძიოთ. ასეთად წარმოგვიდგება, მაგალითად, სტრაბონის მიერ ალბანეთში, იბერიის საზღვარზე მოხსენიებული სატაძრო გაერთიანება, რომელიც გ. მელიქიშვილის მიხედვით „წარმოადგენდა სუსტად დიფერენცირებულ სატაძრო თემს, რომლის ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ თავისუფალი მეთემეები — სატაძრო მიწების სრულუფლებიანი მფლობელნი“[41].

ვ. ბარდაველიძე შემდეგნაირად გადმოგვცემს ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისს საყდრისშვილობის შესახებ: „როგორც პროფ. ნ. ბერძენიშვილმა დაადგინა, ხატის შვილები წარმოადგენდნენ წოდებრიობისადა მიუხედავად გაერთიანებულ სამონასტრო მსახურთა ჯგუფს, მაშინ,

---

38 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

39 ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა (ბ რ ო ს ე), „ძეგლი ერისთავთას“ ზოგიერთი რეალიის „გაგებისათვის, მრავალთავი (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი), VII, თბ., 1980, გვ. 141—142 (იხ. აქვე, გვ. 69—86).

40 ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 256—257.

41 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 411.

როდესაც საყდრის შვილებად საეკლესიო უმაღლეს ყმა აზნაურ-მოხელეთა ჯგუფები იწოდებოდნენ... პროფ. ნ. ბერძენიშვილის შეხედულებით, ეს ფეოდალური ინსტიტუტები გენეტიკურად ჯვრისყმობის, ანუ ხატისყმობის ინსტიტუტებს უნდა უკავშირდებოდნენ"[42]. ამასთან კავშირში საყურადღებოა ბ. ლომინაძის ვარაუდი, რომ „საყდრის შვილობა" ადრე ფართო ცნება უნდა ყოფილიყო და ეკლესიის ქვეშევრდომმსახურთა ყველა წრეს მოიცავდა, ხოლო შემდეგ მოხდა მისი დავიწროება და საყდრისშვილობა საეკლესიო სენიორიის ყმა-აზნაურთა პრივილეგიურმა ჯგუფმა დაინარჩუნა"[43].

ვ. ბარდაველიძე მიიჩნევს, რომ „ჯვარისყმობის (ანუ ხატისყმობის) ინსტიტუტთან შორეული მსგავსება უჩანს ფეოდალურ საქართველოში ცნობილს საყდრისშვილობის და ხატისშვილობის ინსტიტუტებს"[44]. ეს „შორეული მსგავსება" სწორედ ამ ინსტიტუტების გენეტიკური კავშირითაა გაპირობებული. „საყდრის შვილობა" „ჯვრისყმობის" ან „ხატისყმობის" ინსტიტუტიდან წარმოსდგება საეკლესიო თემისადამლის შედეგად.

ასეთი დიფერენციაციის პროცესი ხევსურული თემის მაგალითზე დადგენილი აქვს ვ. ბარდაველიძეს, რომელიც ხევსურულ თემში გამოჰყოფს „ჯვრის ყმათა" სამ კატეგორიას, ესენი იყო: „უნჯნი ყმანი", „ტახტის ყმანი" და „საყმო-საგლეხო". ვ. ბარდაველიძე წერს: „უნჯნი ყმანი სათემო ჯვრისათვის ყველა დანარჩენ მეთემეზე მახლობელ და სასურველ წევრებად ითვლებოდნენ. ეს იყო თითქოს იმის მიზეზი, რომ უნჯნი ყმანი თემის ფარგლებში არისტოკრატიულ ფენას შეადგენდნენ, საიდანაც ჯვარიონნი — თემის მმართველი წრე და სათემო ჯვარის მთავარი მსახურნი, გამოდიოდნენ"...[45]

ნიშანდობლივია, რომ ხევსურულმა თემმა არ იცის „საყდრისშვილობის" ინსტიტუტი. აქ უკანასკნელს რამდენადმე ჯვარიონნი მიესადაგება, მაგრამ ჩანს, „საყდრისშვილობა" უფრო მაღალი საფეხურის ინსტიტუტია და ხევსურული „ჯვარიონნი" მხოლოდ გზაა „საყდრისშვილობისაკენ". სამაგიეროდ ხევსურეთში გვაქვს „საყდრისშვილთან" ტერმინოლოგიურად ახლოს მდგომი „ხატისშვილი", რომელიც ღვთაებათა რიგს მიეკუთვნება და სემანტიკურად არსებითად განსხვავდება „ხატის ყმისაგან". ჩანს, ცნება „შვილობა" ამ დროს ყმობაზე საპა-

---

42 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურული თემი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, № 8, 1952, გვ. 498.

43 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 309 და III, თბ., 1979, გვ. 780, 803.

44 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 498.

45 იქვე, გვ. 499.

ტიო, უფრო მაღალი რიგის მოვლენად განიხილებოდა[46]. „საყდრიშვილობა“ კი იმ სახით, რა სახითაც დადასტურებულია ჩვენს წყაროებში, წარმოგვიდგება ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ფეოდალურ ინსტიტუტად როგორც ბარში, ასევე მთაში იმის შესაბამისად, თუ რა სიძლიერით აღწევს აქ ფეოდალური ურთიერთობა, მიწაზე კერძო საკუთრება და სხვა.

ზემოთ განხილული მასალა, ვფიქრობთ, გვაძლევს საფუძველს სოციალური დიფერენციაციის და მიწაზე კერძო საკუთრების მასშტაბებისა და ხარისხის გათვალისწინებით აღებული ხანის (XIV—XVI სს.) სვანეთის საზოგადოება მივამსგავსოთ ცხრაზმისხევის და თუნდაც ჴევის საზოგადოებას, და ისინი მივიჩნიოთ უფრო დაწინაურებულად, ვიდრე ხევსურული თემი, რომელმაც, ჩანს, ნაკლებად განიცადა ფეოდალიზაციის და ქრისტიანული ეკლესიის გავლენა.

განსხვავება „საყდრისშვილობის“ ინსტიტუტში ბარისა და მთის პირობებში გამოიხატებოდა იმაში, რომ თუ კი ბარში ეს კორპორაცია მთლიანად იყო გამიჯნული მწარმოებელი საზოგადოებისაგან — გლეხობისაგან, როგორც გაბატონებული ფეოდალური სოციალური ფენა და აქ ცნება „ეკლესიის (მონასტრის) გლეხი“ მხოლოდ იურიდიულ კუთვნილებას გამოხატავდა, მთაში „საყდრისშვილიც“ და „საყდრის კაციც“ ერთი სატაძრო თემის წევრები იყვნენ და თუ კი ბარში „საყდრიშვილები“ (საეკლესიო აზნაურ-მოხელენი) ეწეოდნენ ეკლესიის გლეხების, როგორც საეკლესიო კორპორაციისადმი სოციალურად მკვეთრად დაპირისპირებული მწარმოებელი საზოგადოების ექსპლოატაციას, მთაში ადგილი ჰქონდა თემის რიგით წევრების ექსპლოატაციას თემის შიგნითვე გამოყოფილ სატაძრო კორპორაციის მხრივ. ცხადია ამაზე იყო დამოკიდებული ექსპლოატაციის ხასიათიც და ხარისხიც. აქ იგი არსებითად ვერ გასცდა ადრეფეოდალურ ურთიერთობას.

ასეთი ვითარება მთაში (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) არსებობდა ვიდრე მოხდებოდა მისი მეორადი ფეოდალური ათვისება ბარულ ფეოდალურ-თავადური ძალების მხრივ. მთა, ყოველ შემთხვევაში, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, ბატონყმურ ურთიერთობაში მეტ-ნაკლებად მოექცა არა იმდენად შინაგანი დიფერენციაციის გაღრმავების გზით.

---

[46] ამასთან კავშირში საყურადღებოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დადასტურებული ცნება „საწულეობის“ სინონიმებად „ხატში გარევა“, „ჯვარში გაყვანა“ და „მიბრება“ ანუ „მისამბრეო“ გვხვდება და არა „შვილობა“. მართალია ეს რიტუალი თითქოს ღვთაების მიერ თავის საყმოს წევრის „შვილობას“ გამოხატავდა თავდაპირველად, მაგრამ, ჩანს, შემდეგ აქ ხატისადმი „ყმობის“ მომენტი იჩენს უფრო თავს „მიბარების“, „ჯვარში გაყვანის“ თუ „გარევის“ გზით. იხ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასხ. ნაშრომი, გვ. 499, მისივე. Древнейшие религиозные верования, с. 61.

რამდენადაც სწორედ ზემოაღნიშნული ფეოდალურ-თავადური ძალადობ
ადმი დაქვემდებარების შედეგად (სადადეშქელიანო და სადადიანო
სვანეთი, არაგვისა და ქსნის საერისთავოები...), ბალსზემო სვანეთში კი
თავისებური ვითარება შეიქმნა. აქაური საზოგადოება ახდენს თვით-
ორგანიზაციას კვლავ სატაძრო თემის ფარგლებში, ახალ, მნიშვნელო-
ვანწილად ფეოდალიზირებულ ურთიერთობათა საწყისებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადი დასკვნები

წინამდებარე წიგნში შესულ ნარკვევებში წარმოდგენილი მასალა და მასზე დაფუძნებული მსჯელობა, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი ისტორიოგრაფიის მიღწევებს, ნათელყოფენ, რომ საქართველოს მთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, განსაკუთრებით ფეოდალურ ხანაში, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბარის სამეურნეო და საზოგადოებრივ პროგრესთან. კერძოდ, ქვეყნის ფეოდალიზაციას თან სდევდა მთის რეგიონების ბარისადმი პოლიტიკური და ეკონომიკური დაქვემდებარების პროცესი, რომელიც ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა და მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო იმ სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებსა და პოლიტიკურ ვითარებაზე, რასაც თვით ბარში ჰქონდა ადგილი.

მთისა და ბარის ურთიერთობაში, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, ძლიერი მოქმედი ფაქტორი იყო მთის სტრატეგიული მნიშვნელობა და მისი საშუამავლო როლი ჩრდილოეთისა და სამხრეთის რეგიონებს შორის ურთიერთობაში.

ყოველივე ამით იყო გაპირობებული, კერძოდ, საქართველოს მთაში პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლა რომაულ ხანასა თუ ბიზანტია-ირანის პოლიტიკური მეტოქეობის დროს. მაგრამ, თუ კი აღნიშნულ ხანაში საქართველოს მთაში ჩამოყალიბებული ეთნო-პოლიტიკური ერთეულები ბარში არსებულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებისაგან (კოლხეთისა და იბერიის სამეფოები) ნახევრადდამოუკიდებელ „სამთავროებს“ თუ ტომურ გაერთიანებებს წარმოადგენდნენ, ადრეკლასობრივ („პროტოფეოდალურ“) საფეხურზე მდგომი საზოგადოებით თანდათან ამ ერთეულების საერთო ქართულ ფეოდალურ სისტემაში მეტ-ნაკლებად ორგანულად შემოყვანას თან სდევდა მათი გადაქცევა ცალკეულ საგამგეო ერთეულებად — „საერისთავოებად“ (სვანეთი, რაჭა-თაკვერი) ან ასეთი საგამგეო ერთეულების ნაწილებად (მთიულეთი).

მთის ფეოდალიზაციის პროცესი ძირითადად ორ პერიოდად იყოფოდა: პირველი პერიოდი იწყება საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ადრეული ეტაპიდანვე და ხასიათდება ცენტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალური ხელისუფლების (დასავლეთში — ლაზიკის სამეფოს, აღმოსავლეთში — ქართლის სამეფოს) ცდებით განიმტკიცოს პოზიციები მთაში, რისი იდეოლოგიური გამოხატულება იყო მთაში ქრისტიანობის გავრცელების მიზნით გადადგმული ნაბიჯები. ვახტანგ გორგასალის მეფობის პერიოდი მთაზე ბარის გავლენის გაძლიერების ძლიერი ტენდენციით ხასიათდება, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ანალოგიური სიტუაცია უნდა ვიგულისხმოთ ლეონ II-ის მიერ დასავლეთ საქართველოს გაერთიანების და ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შექმნის დროისათვისაც. თუმცა ქვეყნის სუსტი ცენტრალიზაციის და უცხოელთა (ბიზანტია, არაბები) ბატონობის პირობებში ბარის გავლენა მთაზე შედარებით ნაკლებად არის საგრძნობი. სოციალურადაც და პოლიტიკურადაც მთა ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის თვითმყოფადობას.

მთის ფეოდალიზაციის ინტენსიური პროცესი იწყება საქართველოს ერთიანი ძლიერი ცენტრალიზებული მონარქიის შექმნასთან ერთად (XI—XII სს). ბარის გავლენა მთაზე ამ დროს უკანასკნელის პოლიტიკური დაქვემდებარების გაღრმავებასა (მთის რეგიონების სამმართველო-სამოხელეო ერთეულებად გადაქცევა, ადგილობრივი დაწინაურებული წრიდან გამოსული ხელისუფლის ბარიდან დანიშნული მოხელით შეცვლა) გზით ხორციელდება, ხდება სატაძრო თუ სასოფლო თემში გაერთიანებული ადგილობრივი საზოგადოების მეფის სამსახურში მყოფი ადგილობრივი ფეოდალური წრის წარმომადგენლის, ანდა უშუალოდ ცენტრალური მმართველობისადმი დაქვემდებარება, მთის მოსახლეობის „პატრონყმურ“ ურთიერთობაში შებმა, სალაშქრო ვალდებულების დაკისრებით. აღნიშნული პროცესის თანმხლები მოვლენაა საქართველოს მთის ძლიერი ქრისტიანიზაცია X—XI საუკუნეებიდან, რომლის ტალღაც ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონზედაც ვრცელდება და ტაძრების ინტენსიურ მშენებლობაში ვლინდება.

მთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თავისებურება ამ დროს (XI—XII სს.) იმაში მდგომარეობდა, რომ თუ კი ბარად ადგილი ჰქონდა ადრეფეოდალური ხანის თავისუფალ თუ ნახევრად თავისუფალ მწარმოებელ მოლაშქრე ფენის („ერი“, „წვოილი ერი“) დაყმევებას და მებეგრე გლეხთა კატეგორიაში მთლიანად მოქცევას, რაც ბატონყმურ ურთიერთობაზე გადასვლას მოასწავებდა, მთის მოსახლეობის ძირითადი მასა კვლავ მსუბუქად დაბეგრილ, მოლაშქრე საზოგადოებად წარმოგვიდგება, რომლის დამოკიდებულება ადგილობრივ დაწინაურებულ ფეოდალურ წრეზე, თუ უშუალოდ მეფისადმი, „პატრონყმობის“ ფარგლებში თავსდება. მართალია, მთაშიც სულ უფრო და უფრო ძლიერდება ტენდენცია ადგილობრივი დაწინაურებული ფენის მხრივ უშუალო მწარმოებელთა ფეოდალური დაქვემდებარებისა, რასაც მეფის სამსახურში სალაშქრო თუ სხვა ვალდებულებათა სა-

ფუძველზე აღზევება უწყობდა ხელს, მაგრამ მთაში ფეოდალური ექსპლოატაციისათვის (ვასალიტეტის რთული სისტემით) აუცილებელი მიწის ფონდების უკმარისობის გამო, ადგილობრივი საზოგადოება კვლავ სუსტად დიფერენცირებული სოციალური ორგანიზმის სახეს ატარებს, რომელშიც სატაძრო თუ სასოფლო თემის ფუნქციები ძლიერადაა შენარჩუნებული. მოცემული ორგანიზაცია სავსებით უპასუხებდა ცენტრალური ხელისუფლების ამოცანებს — უზრუნველყოფდა მთის საზოგადოების ძირითად, სალაშქრო ვალდებულებას, ქმნიდა ქვეყნის სამხედრო ძალის სოლიდურ რეზერვს. მეორეს მხრივ ეს ურთიერთობა უზრუნველყოფდა მთის საზოგადოების გარკვეულ წონასწორობაში ყოფნასაც — მოლაშქრეობა სავსებით შეესაბამებოდა მთიელთა ყოფასა თუ ბუნებას, ქმნიდა მათი მატერიალური უზრუნველყოფის პირობას.

არსებითი ხასიათის ცვლილება მთისა და ბარის ურთიერთობაში ხდება XIII—XV საუკუნეებიდან შინაგანი სოციალური ძვრების თუ მონღოლთა ბატონობის და თემურლენგის შემოსევების შედეგად ქვეყანაში შექმნილი ძნელბედობის დროიდან.

ცენტრალური ხელისუფლება ჯერ ორად გათიშული (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები), ხოლო შემდეგ კიდევ უფრო დაწვრილერთეულებული — ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოების და ამ უკანასკნელში თითქმის დამოუკიდებელი სამთავროების (ოდიში, გურია, აფხაზეთი) წარმოქმნით, კვლავაც ცდილობს მთაზე გავლენის შენარჩუნებას, მაგრამ ფეოდალური დეცენტრალიზაციის და სათავადოთა სისტემის გამარჯვების პირობებში აწყდება ადგილობრივი თუ მთაში მოსული ფეოდალურ-თავადური ძალების წინააღმდეგობას, რომელნიც თანდათან ეუფლებიან მთას, ამჯერად უკვე მთის მოსახლეობის დიდი ნაწილის ფეოდალურ-ბატონყმურ დამოკიდებულებაში მოქცევის გზით, ზოგიერთი მაღალმთიანი რეგიონის (ხევსურეთი, მთა-თუშეთი და სხვა) გამოკლებით, სადაც კვლავ ძალაში რჩება სამეფო ხელისუფლების მეტ-ნაკლები გავლენა.

სრულიად თავისებურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ბალსზემო სვანეთში, რომელიც გადაურჩა ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა სფეროში შემოყვანას აქ შექმნილი სრულიად თავისებური „თემური“ („საჯევო“) მმართველობის სისტემის ჩამოყალიბების შედეგად, რაც გულისხმობს ამ რეგიონში ცენტრალური ხელისუფლების გავლენის შესუსტებით გამოწვეული ადრე არსებულ სოციალურ ძალთა წონასწორობის დარღვევის პირობებში სატაძრო თემის გამოცოცხლებას და მის მიერ თავის თავზე საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ფუნქციების აღებას, ახალი ვითარების შესაბამისად.

ВЗАИМООТНОШЕНИЯ НИЗИННЫХ И ГОРНЫХ РЕГИОНОВ ФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ

Резюме

Привлеченный в данной книге материал и основанные на нем суждения, учитывающие достижения грузинской историографии, явствуют, что социально-экономическое развитие горных областей Грузии, особенно в эпоху феодализма, тесно было связано с хозяйственным и общественным прогрессом, имевшим место в ведущих (низинных) регионах страны. В частности, феодализации страны сопутствовал процесс политического и экономического подчинения горных областей центральной власти, протекавший с переменным успехом и в значительной степени зависевший от социально-экономических сдвигов и политического положения в целом в стране.

Во взаимоотношениях между горными и низинными регионами страны существенными факторами издревле были стратегическое значение горных областей и их посредническая роль в связях Севера с Югом.

Этим и была определена, в частности, борьба как грузинских государств, так и иноземных завоевателей за укрепление позиций в этих регионах еще во время римских завоеваний, а затем политического соперничества Ирана и Византии.

Однако если в эту эпоху существующие в горных регионах Грузии этнополитические единицы представляли собой полунезависимые от государственных образований Грузии (Колхидское и Иберийское царство) «княжества» или племенные объединения, со стоящим на раннеклассовой («протофеодальной») ступени развития обществом, постепенно, с включением этих единиц в общую систему феодальных отношений, происходило их превращение в отдельные административные единицы — «саэриставо» (Сванети, Рача—Таквери) либо в часть таких административных единиц (Мтиулети).

Процесс феодализации горных областей Грузии можно подразделить в основном на два периода: первый период начался с раннего этапа развития феодальных отношений в Грузии и характеризовался стремлением центральной власти (в Западной Грузии — Лазского царства, в Восточной Грузии — Картлийского царства) к укреплению своих позиций в горных регионах, что нашло свое выражение и в идеологической сфере — в по-

пытках распространения христианства среди горцев. Период царствования Вахтанга Горгасала (II половина V в.) характеризовался усилением тенденции подчинения горных областей влиянию ведущих (низинных) регионов страны, в особенности в Восточной Грузии. Аналогичная ситуация наблюдается в период объединения при Леоне II (вторая половина VIII в.) Западной Грузии и образования Эгрис-Абхазского царства. Однако, в условиях относительно слабой централизации страны и иноземного (византийского, арабского) засилья, влияние низинных регионов на горные области было сравнительно мало ощутимым. Как в социальном, так и в политическом отношении горные области все еще сильно сохраняли свою самобытность.

Интенсивный процесс феодализации горных областей происходит в период образования сильной централизованной грузинской феодальной монархии (XI—XII вв.). Углубление влияния ведущих (низинных) регионов на горные области проявлялось в усилении политического подчинения первыми последних (превращение горных областей в административные единицы, смена вышедших из местной привилегированной среды правителей назначенными центральной властью должностными лицами) и в подчинении объединенных в храмовые и сельские общины горских обществ светской власти — находившемуся на царской службе представителю местной аристократии либо непосредственно центральному управленческому аппарату, что означало включение горцев в вассальную зависимость («патронкмоба») с возложением на них в основном военной повинности. Сопутствующим и способствующим данному процессу явлением было усиление с XI—XII вв. христианизации населения горных областей, выразившееся в интенсивном строительстве церквей не только в пределах горной Грузии, но и на Северном Кавказе.

Особенность социального развития горных областей в эту эпоху (XI—XII вв.) заключалась в том, что если в ведущих (низинных) регионах имело место закрепощение слоя свободных либо полусвободных производителей-воинов («эри», «цвриили эри») и их окончательное превращение в крепостных крестьян, знаменуя тем самым наступление крепостничества («батонкмоба»), с другой стороны основная масса горцев все еще представляется нам обществом, несущим военную повинность, относительно слабо обложенным другими обязанностями, зависимость которого от местных привилегированных (феодальных) кругов, либо непосредственно от царя, умещалась в рамках раннефеодальных отношений. Правда, и в горных регионах все более усиливается тенденция к феодальному подчинению местными привилегированными слоями непосредственных производителей, чему способствовало социальное усиление первых на царской военной и другого рода службе, однако из-за недостатка в горных регионах необходимых земельных фондов для обес-

печения феодальной эксплуатации (с многоступенчатой системой вассалитета), местное общество и впредь представляется, как слабо дифференцированный социальный организм с сильными элементами храмовой либо сельской общины. Данная организация вполне отвечала интересам центральной власти — обеспечивала основную, военную повинность горских обществ, создавала солидный резерв военной силы страны. С другой стороны, установившиеся с центральной властью отношения обеспечивали и равновесие сил собственно в горских обществах, военное дело вполне соответствовало быту и внутреннему складу горцев, создавало условия для их материального обеспечения.

Существенные изменения во взаимоотношениях горных и низинных регионов Грузии наблюдаются с XIII—XV веков. Они были обусловлены сильными социальными сдвигами внутри страны и создавшейся в результате монгольского засилия и нашествий Тамерлана политической обстановкой.

Грузинское феодальное государство, разделенное первоначально на два царства (Западногрузинское и Восточногрузинское), а затем раздробленное на еще более мелкие политические единицы — на Картлийское, Кахетинское, Имеретинское царства и почти независимые мтаварства (княжества) (Одиши, Гурия, Абхазия), все еще пыталось сохранить влияние в горных регионах, однако в условиях усиливающейся феодальной децентрализации и победы системы «сатавадо» (сеньорий) наталкивается на сопротивление со стороны местных либо пришлых и обосновавшихся в горных регионах феодальных сил, которые постепенно овладевают последними на этот раз уже путем вовлечения горского населения в феодально-крепостнические отношения, за исключением лишь некоторых высокогорных областей (Хевсурети, Мта-Тушети и др.).

Совершенно своеобразное положение создалось в Верхней (вольной) Сванети, которая избежала включения в сферу феодально-крепостнических отношений ввиду создавшейся здесь специфической обстановки. В условиях нарушения существовавших в период могущества Грузинского феодального государства равновесия и расстановки сил и ослабления влияния центральной власти в этом регионе, наблюдается самоорганизация общества; происходит возрождение роли церковной общины, взявшей на себя законодательные и исполнительные функции, без возвращения притом в социальной сфере к прежним, общинно-родовым порядкам.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

ქართული ფეოდალიზმის გენეზისისა და განვითარების ზოგიერთი საკითხი 4

ქართული ნარატიული ძეგლების ცნება-ტერმინის „წურილი ერის“ გაგებისათვის 40

სვანეთის ადგილი ქართულ ფეოდალურ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში მთისა და ბარის ურთიერთობის პრობლემის შუქზე 51

„ძეგლი ერისთავთას“ ზოგიერთი რეალიის გაგებისათვის 69

არაგვის ხეობის სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საკითხები XIV—XV სს. ქართულ საისტორიო ძეგლების მონაცემებით 87

„საყდრისშვილობის“ ინსტიტუტის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოს მთაში 109

ზოგადი დასკვნები 124

Взаимоотношения низинных и горных регионов феодальной Грузии (резюме) 127

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები:
ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე. ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა

სბ 2462

რედაქტორი ე. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი
გამომცემლობის რედაქტორი დ. ბ ა ქ რ ა ძ ე
მხატვარი ი. მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი
მხატვრული რედაქტორი გ. ლ ო მ ი ძ ე
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
კორექტორი ზ. ო მ ა რ ა შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 28.12.83; ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.5.84;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი №1; ნაბეჭდი თაბახი 8,3;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,4
უე 01118; ტირაჟი 1700; შეკვეთა № 3996;
ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

Эдишер Викторович Хоштария-Броссе

ВЗАИМООТНОШЕНИЯ НИЗИННЫХ И ГОРНЫХ РЕГИОНОВ ФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ

(на грузинском языке)

90 (47. 922)
Б-81